

რეტენატუნა

N12
12/2008

და ხეროვნება

1522
2008

წიწველი

ჯანო ჯანელიძე
გიორგი არაბული

ქრისტეშვილი

თამაზ ჩხენკელი

შაველიძე

ლია პარნაბიშვილი

წიწველი

მამუკა დოლიძე

ქაჩუკელაძე

სორუმი

პუხიკა


თაყაიშვილი

მართული საგალოგალი

მოსუცი ჯამბაზები



ღია ბანახიშვილი



ლიტერატურა და ხელოვნება

N12(36)



12/2008

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი
მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო სამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

ლია ბარნაბიშვილი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ვისთვიათკ ძვირფასია

ჟურნალი

„ლიტერატურა და ხელოვნება“

გთხოვთ, შეგვეწიოს!

ს ა რ ე ბ ი

ქაიხოსრო, ქაიხოსრო

3. ნანა წითელაშვილი - ცხემლები ევიზაიხოსებზე
(ჩოჩიაძე. გაგვიჩვენებთ)
15. ჯანო ჯანელიძე - მელიქები ოქროს ბუღიდან
(პოემა. ნაწყვეტი)
19. გელა ჩქვანავა - მოთხაი, ჩოჩიაძე ყველაფერი ჩიბა
27. ნონა გიორგაძე - ღვთისძე

29. მამუკა დოლიძე - ციხე
34. გიორგი ახაბული - ღვთისძე

თარგმანი

37. ბუჩქნაძე შინაძე - სხვა (გაგვიჩვენებთ. თარგმანი
ბელა სუხაბაძემ)

წერილები

45. ვაჟა ოთარაშვილი - ჩემს ეთნოგრაფიკულ დიას
47. აკაკი ხინთიბიძე - „ესე ამბავი სპახელი“
49. თამაზ ხვედელიანი - „ესე ამბავი...“ ქართული
52. თამაზ ჩხენკელი - დაბრუნება
53. გიორგი ხაჩიძე - ფიქციონალიზაციის ომში

მუსიკა

56. ბაია ვეფხვაძე - ქართული და სლავური გალობა
62. ნიკა წულუკიძე - ეპიკურიდან სპექტაკლამდე
(„მოხუცი ქაშაშვილი“)

ქორეოგრაფია

70. ივანე ქანიშვილი - ხელოვნება

მხატვრობა

78. მანია გელაშვილი - ფიქციონალიზაციის ქართული
(ლია ბარნაბიშვილი)

„როგორც უფალო, სამშობლო, ერთიან ქვეყანაზედა!“

ჩაფიქრებული ერთიანობა

საკონსულტაციო საბჭო:

ჭაბუა ამირეჯიბი, ბაჩანა ბრეგვაძე,

მერაბ ბერძენიშვილი, მაცვალა გონაშვილი,

ნათელა ურუშაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოლიკო ჟღენტი,

თამაზ ჩხენკელი, გოგი წერეთელი.

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“ იღებს შეკვეთებს პოლიგრაფიული პროდუქციის ბეჭდვაზე (წიგნები მაგარ და რბილი ყდით — ფერადი და შავთეთრი; ჟურნალები; სარეკლამო ბუკლეტები და სხვა).

მისამართი: მხატვრის ქ. 4

ტელეფონები: 32-73-62; 31-70-47

E.male. litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

ქურნალში რეკლამის
განთავსების მსურველებმა
დარეკეთ 899 25 60 14



ქურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



ნანა

ჯიორჯაშვილი

სახელები

ხვიპახოსებზე

რომანი

ერთმანეთს ხელჩაკიდებულმა სკოლის მოსწავლეებმა ჩამოიარეს. სულ პატარებმა, — საქართველო, საქართველო! — შემოსძახეს მთავრობის სახლს. ხალხმა ღიმილით და სიყვარულით შეიერთა ბავშვები. წინ დაიყენეს, მხრებზე ხელებმობეყუნნი. ბავშვები თვალისცეცებით უყურებდნენ ხალხს, მომიტინგეებს, კიბეებზე ჩახუნძლულ მოშიშმულიებს, მათ ლიდერებს. მათი სიცილი, „ზანზალაკების“ ზარ-ზეიმი შუეურთდა დელო ზარის გუგუნს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 11

— ის კაცი ვინ არის? — ხელზე დამქაჩა ბიჭუნამ

— ეგ, ქაქუცა ჩოლოყაშვილია, — ვუბახუსხე

— აქ არის? — მკითხა ბიჭუნამ.

— არა.

— რატომ? — ბავშვმა თვალი მოატარა გარშემო და გაკვირვებული მიაჩნდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტს.

— ვინ არის ქაქუცა ჩოლოყაშვილი? — იკითხა მერე.

გვერდით მდგომმა კაცმა ბავშვს თავზე ხელი დაიდა, დაიხარა და თვალეებში ჩახედა.

— ეროვნული გმირიაო, — და მერე ჰაერში შეარხია მუშტი. — საქართველო!!!

— დეიდა! — ვედრებით მკითხა ბიჭუნამ — აქ რატომ არ არის?

— იმიტომ, რომ ის საფრანგეთშია დაკრძალული.

— რატომ საფრანგეთში? — ლამაზი თვალები გაუფართოვდა ბავშვს.

— იქ გარდაიცვალა და იმიტომ.

— აქ რატომ არ გარდაიცვალა, აქი ეროვნული გმირიაო? აქ რატომ არ არის?...

— საქართველო, სა-ქარ-თველო! — ავარდა ყოჩინა. შეგაფონთან მერაბ კოსტავა იდგა. ხალხი ყვირილით და ტაშით შემოეგება. კიბეებზე ქართული დროშები შეიჩხა.

— მამულიშვილი! — შეჰბღავლა მერაბმა, მარჯვენა ხელი აღმართა და მუშტად შეჰკრა — დადგა ნანანტრი დღე, როცა ერთ მუშტად შეკრულნი თავისუფლების კარიბჭესთან დგახართ. შეციდან დაგცქერიან სულელები იმ გმირებისა, ვინც სისხლი დაღვარა საქართველოსთვის. ფეხებზე 24 ნელს დახვრეტილი იუნკერების ძვლები შეიძრა. დღეს ჩვენს ხელშია საქართველოს ბედი, ჩვენი ქვეყნის მომავალი. დადგეთ ერთად და ვიბრძოლოთ საქართველოსთვის. დამოუკიდებლობისათვის. ქართველმა ერმა დიდი მსხვერპლი გაიღო, ვიდრე დღემდე მოვიდოდა. იცოდეთ, თუ ჩვენი ერთობა იქნება, შირს არ არის დამოუკიდებელი საქართველო. ერთმუშტად შეკრულმა ჩვენი ძალა დაგვანახოთ ყველას, რომ საქართველოს მოსპობა, მისი დამონება არ შეიძლება. სრული თავისუფლებისათვის ბრძოლაა საჭირო. ღმერთია ჩვენი მფარველი და დღვისმშობელი მარიამი, რომლის ნიღბვედრია საქართველო. ჩვენი თან არს ღმერთი!

— არს და იყოს! — იქუხა ხალხმა.

— მოვითხოვთ საქართველოს მთავრობა დადგეს თავისი ხალხის გვერდით, დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნენ საოკუპაციო ჯარები და პასუხი მოიხიბოთ მოსახლეობის შეთ-

გარდაცემის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქმულებს. აფხაზეთი — საქართველოა.

— აფხაზეთი საქართველოა! — იქუხა შეძახილმა. ხალხი კიბეებს მიანყდა. მილიციელებმა ხელები ჩასჭიდეს ერთმანეთს და მოძალეხულ ხალხს გზა გადაუღობეს.

— ვიდრე არ შესრულდება ჩვენი მოთხოვნები, ჩვენ შიმშილობას არ შეწყვევით — საქართველოს ყოველი კუთხიდან მოდიან ჩვენთან ჩვენი ძმები და დები. მთელი საქართველო ჩვენს გვერდითაა. რუსთაველის ბროსპექტი ისტორიული მოვლენის მოწმეა, შევფიცით უფალს, რომ უკან არ დავიხევით. უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ დამოუკიდებლობისათვის. დავიწოქით და შევთხოვთ უფალს.

ხალხმა დაიჩოქა.

— მამაო ჩვეო, — სანთლებითა და დროშებით ფორალთ იმეორებდნენ მუხლმოდრეკილი ადამიანები, — რომელი ხარ ცათა შინა... — ჰაერი შეტორტმანდა, გადაიქცედა მოედანი დროშებით, ტრანსპარანტებით, შეძახილებით, ზეღმართული მუსტიებით, კისერზე შემოსული ბავშვებით.

— დაუკარიო! — თითქოს სხეულს შემოჰკრესო, გახელებული დაზრიალდა ფინი სულის სიღრმეში. როგორც ორლესულმა, ისე ჩაჰკაფა სხეულს მძიმე, დაინდო ნონა, დაგროვილი ქონის მასა. სისხლძარღვებში გაიარა ელვის ნათება და ძელებს ჩამოფხიკა ფანგი და დროის ნალექი.

— ამათ აღარაფერი შეაჩერებს, — შემფოთებულმა მილიციელმა ხმამაღალ ნათქვამს შიშნარევი მზერა მოაყოლა. თვალი გაეუსწორე მილიციელს. შუახნის კაცი იყო, კეთილი სახის, თვალებში ცრემლი ედგა.

— რატომ უნდა შეჩერდნენ? — ვკითხე გაოგნებულმა. მილიციელმა სევდიანმა შემომხედა, დამაცქერდა, მერე ღრმად ჩაისუნთქა, მოხერხა ჰაერი.

— ეჰ, ქალები მაინც დაეტიეთ სახლში, — ნეშტევა მოახლოებული ახალგაზრდა ფორმიანი.

— რატომ უნდა გავჩერდე? — გაანჩნლებული დაეტკა თმააჩქრილი ქალბატონი — რა, ქალები...

— არაფერი, ქალბატონო, — ხმა დაეხსო მილიციელს, — არაფერი, ბავშვები მაინც შეიცოდეთ, რა უნდათ აქ!

მილიციელი მშვიდი იყო და სევდა არ სტოვებდა.

— თქვენი შვილებიც აქ უნდა იდგნენ! — პირში სიტყვა შეაღუნა ქალმა. — თუ თქვენს შვილებს არ ეკადრებათ? კარგად ცხოვრობთ. არაფერი გაკლიათ. რა გენადლეებათ.

ჩვენ დავიხოცებით და თავისუფალი საქართველოს სადღეგრძელოსაც ისე დალევთ, არ შეგრცხვებით, არც გაგვიხივებთ.

— დაინებე თაი, შვილო, — შუახნის მილიციელმა ახალგაზრდას უბიძგა. — დაინებე, ხომ ხედავ, ჭკუაზე არ არის, ეჰჰ...

— ვინ არ არის ჭკუაზე? — ქალი მართლაც გიჟს დაემტავგა. — მე არა ვარ ჭკუაზე, მოსყიდულო, „კაგებეს აგენტებო...“

მეტის მოთმენა ვერა შევქელი, ქალთან მივედი, ხელი გამოვდე, ჩემსკენ მოვქაჩე.

— ამათ რას ერჩით, ქალბატონო.

— აბა, რას ლაპარაკობს, ვინ მიგდია, მაგის ჭკუაზე ვივლი სწორედ; განა არ ვიცი, აქ რატომაც დგას.

— დამშვიდდით ქალბატონო, — შევეცადე ქალის დამშვიდებას.

— იმის ნაცვლად რომ ჩვენს გვერდით დადგნენ, გვაჩერებს კიდევ? — გაჰკიოდა ენერგული ქალბატონი. მერე მილიციელებს მიუბრუნდა. — მონები ხართ, კომუნისტების მონები.

— ფოთოლა! — ვიდაცამ ხალხის ტალღაში წამოიყვლედა და ქალს ხელი დაუქნია. — წამოდი, რას დგახარ, მაგას მაინც ვერაფერს გააგებინებ, ეგ ამათი... — თავი ააქნია მთავრობის სახლისაკენ. — დაქირავებულია, გალაპარაკებს და მერე ამბავს წაუღებს თავის უფროსებს.

— საქართველო, საქართველო! — კიდევ ახალი ნაკადი შეუერთდა ხალხს. მოსახდენი კი ზღვრასავით ტორტმანებდა. შეთქმული, დაოკებული ბრახით, მოაშრიალებდა ქაფიან ტალღებს და ზურგზე ბენეფიცილი, აქოჩრილი, ტყლამუნით სხეპავდა სანაპიროს.

მილიციელს გავუღიმე. გულისტკივილი მინდოდა გამეფანტა მისთვის. თავადაც თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, რადგან ერთმანეთისა აღარ გვესმოდა. ის იქით ნაპირზე რჩებოდა, რომელსაც სულ მალე ჩაერცხავდა შლეგი ტალღა. მე აქეთ ვიყავი და არ მესმოდა რა სევდა შეიძლება ჰქონოდა ადამიანს ამ ერთიანობის შემყურეს? მილიციელმა ღიმილითვე მიპასუხა. უსამოვნო ტალღამ დამკრა, მილიციელის ღმილში სიბრაღელის, ვედრების დაფარული ჩრდილი იწვა და გული შემეკუმშა, შემებრალა კიდევც. უსუსური ჩინოვნიკი იდგა ჩემს წინ, — ასე მეგონა მაშინ, — რომელსაც ფუძე მორყეოდა და ჯალაბ-შემოცლილი, სევდით შეჰყურებდა იმ ფუძის ნგრევას, რომლის ჭერქვეშ მთელი ცხოვრება გაატარა. ეს იყო სევდა კაცისა, რომლის საგვარეულო კოშკი ტორტმანებდა. შეილე-

1988 წლის
სექტემბერი

ბი გარბი-გამორბოდნენ, თავის სამყაროს ქმნიდნენ, თავის ციხე-კოშკებს და არაფრად დაგაფევდნენ იმ კაცის ფიქრებს, რომლის შრომა და ღვაწლი ფუჭად დაკარგული წლები იყო თურმე, რადგან ციხე-სიმაგრე, მისი შრომის ნაყოფი გაუცხოებულიყო. შვილებს იქ არაფერი ესაქმებოდათ და ამიტომაც აღტკინებული ანგრევდნენ მათთვის უცხო, „ღამურების სადგომს“. კაცი კი იდგა და სევდიანი შეჰყურებდა. შიშობდა კიდეც ნანგრევებში არ მოჰყოლოდნენ, გაცლას ურჩევდა. შვილები კი მის შიშში, სიჭარბაგეში, დაუძლურებული მოხუცის ჩიფჩიფსა და სასონარკვეთას „წიკლავენდნენ“. აი, ასეთები ვიყავით მაშინ „ძველები“ და „ახლები“, „სასუალი“ და „ჭარბაგი“. და ყველას საქართველო გვინდოდა, როგორი? — თავისუფალი, დამოუკიდებელი. ძნელი იყო მაშინ დროს წინ ვაგდედა, ყურის მიგდედა. ხალხი ეძახდა იმ გმირს, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ელოდა და ნებისმიერი ძახილი ღვთის ზმად ესმოდათ ადამიანებს მაშინ.

სევდას აქვს თავისი იდუმალება, ფერი და სუნთქვის სიხშირე. სევდას აქვს იდუმალი კატეგორიები, ერთმანეთისაგან გამიჯნული და განსხვავებული. არის საყვარელი ადამიანის ნასვლის სევდა. არის განხიზველის სევდა. არის სევდა მონატრებისა. სევდა შეყვარებულისა. სიბერის სევდა, სევდა მოლოდინისა. და ყველა მათგანი თავისი ფერების სიხასხასით, სუნთქვის სიხშირითა იდუმალებითა განუმოკრებელი, როგორც მიულულონი სულის სიმშვიდე — მზით მოთენთილი სხულის ნეტარება, რადგან მასში სრულყოფილების დროა, განაპირება, ერთმანეთიდან მომდინარე და ერთმანეთში გარდამავალი.

— სად მიდიხარ, — საწოლზე ნამოჯდა ლადო, ვაზეთი მაგიდაზე დადო და ნანას შეხედა შეფოთებულმა.

— რაეიდეთ ზღვაზე, — ზურგშებრუნებულმა უპასუხა ნანამ და კარადიდან მოსასხამი გამოიღო.

— ახლა? — საათს დახედა ლადომ.

— რა, არ შეიძლება?

— გვიანია.

— გვიანია? — თვალები გაუფართოვდა ნანას, ველურმა ღიმილმა სახე დაუმანჭა.

ლადოს შეაჟრჟოლა, იცოდა ასეთი ღიმილი რასაც ნიშნავდა. ნამოდგა, ნანას მხრებზე ხელი შემოხვია და შეეცადა არ შეემჩნია შემფოთება.

— ნასვლა თუ გინდოდა, ცოტა ადრე ვერ მოიფიქრე? ზომ გთხოვე.

— რაა? — ისევ ავი ღიმილით უპასუხა

ნანამ. — ასეთ დროს არ ჩავსულვართ ზღვაზე?

— როგორ არ ჩავსულვართ, მაგრამ...

— რა მაგრამ, შეიცვალა რამე?

— ნანა, რას მერჩი, მე დაეინყე ომი? — ზურგი იბრუნა ლადომ და მაგიდიდან სიგარეტის კოლოფი აიღო. მოუკიდა, ღრმად ჩაისუნთქა. ნანა იდგა კარადას მიკრული, ფრჩხებს ანიწინდა მოსასხამს და ყელიდან მომწვდარი ბოლმის გადაყლაპვას ცდილობდა. ლადო არ იძროდა. სიგარეტის გამონაბოლქვი დატრიალდა ოთახში, ჭერიდან დაქანებული ნათურა ერთთავად ბოლმი გაეხვია, წისლით გააჯერა პატარა ოთახი. მხრები უთრთოდა ლადოს, სიგარეტი მიაჭყლიტა ასანთის კოლოფს და აიგანზე გავიდა. ნანამ მოსასხამი მოიხურა, უკან გაჰყვა. ნათელი ღამე იდგა. ვარსკვლავები თითქოს ქრებოდნენ და ისევ ინთებოდნენ ცაზე, როგორც იმედი შეტორტმანებული სულისა. ნანა მივიდა ლადოსთან, მხრით მიეკრა მხარზე. ასე იცოდნენ, როცა რომელიმე განანყენდებოდა, უსიტყვოდ ეპყროდნენ ერთმანეთს და ოდნავი ნაზი ბიძგი ფანტავდნენ წყენას. ეს დაზავების ნიშანი იყო. ლადომ მკერდზე მიიკრა ქალი. ნანამ ნელზე შემოხვია ხელი, გულზე დაადო თავი და ატირდა.

— მაპატიე, — ცრემლიანი თვალები ამოანათა. — მე თვითონ არ ვიცი რა მემართება, მაპატიე, კარგი? — ლადოს არ უპასუხია, სევდიანი ღიმილი გადააფინა ყვითლით მოპრიალებულ სიმწვანეს, ცრემლები მოსწმინდა ქალს.

— იქნებ ჯობდა არ შეგვედროდით ერთმანეთს, პა? — ლადომ შუბლზე აკოცა. — იქნებ ჯობდა...

— რას ამბობ? — ნანამ უკან დაიხია, შეხედა ქმარს. — შენ, რა, გავიფი?

— ალბათ, გავგიჟდი, მეც, შენც, ყველანი გავგიჟდით, ღვთის რისხვაა ჩვენს თავს. მაგრამ მე რა დავაზავე, მე რას მერჩის განგებდა.

— შენ რა შუაში ხარ, გაჭუმდი. — ნანა ისევ მოეხვია ქმარს. — მაპატიე, შეუძლებელი ამის გაძლება. ვინ შეაჩერებს? რა გვეშველება?

ღამის ფრინველმა ჩიფჩიფით ხუნა, სულ ახლოს დაფურთხა ფრთები. კუტიკალების წრიპინი ფხაყნიდა ღამეს...

შორიდან, სადღაც სიბნელის გულიდან ისმოდა საქონლების ბლავილი. რძემოზღვავებოლი ფიქნების სიმძივით, ნელში გაზნეკილი იჩქაროდნენ. ვზადავა შეშბლოდნენ და უხმობდნენ პატრონებს. საქონელს

ადევნებული, რძის სუნით გაღობიანებული მადალაძრული ძაღლები ყფა-ყფვით ერეკე-ბოდნენ ძუნძულით მიმავალ ნახირს. პაპოო, — დროდადრო ისმოდა მწყემსის შეძახილი, სახრის ტყალაშუნი, „მოდალადის“ ნკმუტული და ნკავნკავი.

— აშო, აშო! — გადასახებდა წინ შეგებებული პატრონი. შეუძახებდა ჭიპკარს გაცდენილ საქონელს. გაიხრჭილებდა რკინის კარი, მერე ეზოში აენთებოდა ციცინათელა — ჭრაქი, ბავშვების ჟღერტულე და ძილმოძალელებული ღნავილი შეარხევედა გარემოს.

— „კოლია, სორბე კოლია,“ — ტუჩ-ზე ხელმიდებული ჩასახებდა ჭრაქიანი, შუბლთავმალნაკრული ქალი ციტრუსების პლანტაციას. მერე კაცის ხეელა და ფოთლების შრიალი დაირხოვდა, ჩამოირბუნდა სახლის კიბეებს კნაჭა გოგო წყლის დოქით და მელავზე გადაკიდებული თეთრი პირსახოკით. შარვალაკანებული შემოვიდოდა ეზოში კაცი. თოხს მიაყუდებდა კედელს, ზედოფლისაგან ჩაყვითლებულ ჩაჩს ჩამოაცემდა, ხელს აიკაპინებდა. დოქს შეუშერდა ხელეგს, პირსახოცს ხელს აუქნევდა, გასვრადებანებოდა და მკერდზე შეიხოცავდა. გოგოს ლოყაზე მოუთათუნებდა ხელს — სქანი გოლუაფიროო, — ეტყოდა. გოგო მხრებს აიჩეჩავდა, დოქს იქვე დადგამდა, თეთრ პირსახოცს კიბის სახელურზე გადაკიდებდა და მამას აედევნებოდა. საგომურიდან ისმოდა ქალის ლულუნი და ქეთლში აქაფებული რძის შხრილი. ნანა სმენას დაძაბავდა, ხმას შეუნყობდა. „შხრ-შხრ, შხრ-შხრ“. მერე სამზადში იკრიბებოდნენ. ჭრაქები აენთებოდა. გარეთ გამოვარდებოდა ცხელი რძის, ღომში გადაზეული სულგუნის, შაშხის, კვრცხის და კიდევ რამდენი, ერთმანეთში შეზღული სურნელები. — ღდასახლისი ამოვიდოდა კიბეზე, ფრთხილად მოაკაკუნებდა კარზე. — ვახშამი მზადააო, არ მობრძანდებიო? — მოკრძალებით აკითხავდა.

ქალის შემოსვლას რძისა და თაფლის სურნელი შემოჰყვებოდა. ჩავიდოდნენ სამზადში, შუა ცეცხლი ბრდღვიალებდა, გრძელტაბლა კომპიაობდა, ჯორკოებით შემონკეპილი.

ოი! ღმერთო, ან რა სურნელი, ან რა ტკიბილხმინობა! ცეცხლის ალით განათებული დისახლისი ანყობდა და ანყობდა: ხაჭაპურს, ელარჯს, რძემი მოხარშულ ხბოს ხორცს, შუანიკინებულ ვარიებს, შემწვარ ქინძნაკრელ კეფალს, მორაკრაკე ოჯალებს და სინუშემი, ერთმანეთს შეწყობილ-შებერებული, შუაცეცხლის სითბონაკიდებული მოხუცი ცოლ-ქმარი, გაბრწყინებული მოლიცილიცე თვალებით მომზირალი და მოთვალთვალე,

დროდადრო ერთმანეთს მიაწვდიდნენ ხმას... და იყო „გოლუაფირუ“ და „თოლიგე“. ოჯახში იყო აფხაზეთი და სამურზაყანო, სამეგრელო და საქართველო... და მთლად საქართველო. ისეთი სურნელოვანი, ისეთი მჭიდრო, როგორც ნანანავებად ჩამოქნილი, ოქროსფრად მებოლილი სულგუნის განუმეორებელი სურნელი და სილამაზე.

მერე ალაგავებოდა ოჯახი. შუაცეცხლს შეახევედა დიასახლისი. მოხუცები ბოდიშის მოხდით თავის ოთახში წაიფიფიფდებოდნენ. ახალგაზრდები ეზოში სხდებოდნენ და იმათი კისკისი აცახცახებდა ლამეს. შუახნისანი საქონელს აცხედავდნენ, ძაღლებს მიყვრიდნენ ნასუფრალს, სტუმარს ქოთნით მიართმევდნენ რძეს — გესიამოვნებათო. თუ გნებავთ, დილით ახლადმოდულელებს მოგართმევთო. მიყურდებოდა სახლი და ეზო — მშვენიერად ქენიო — ახდახებდა მამაზეციერს ოჯახის მამა.

ფეხაკრეფით ჩაივილიდა წყვილი ქუჩას. ფეხქვეშ აენჭები სხლტებოდნენ. მომწარო სურნელს არჩქევდნენ „როხამემობრდღვნილო“ ევკალიპტები. დაუყვებოდნენ პატარა დაღმართს. სინათლეები ჩახახებდნენ ოდასახლების ზღურბლთან, სითბო ცახცახებდა პაერში. ოოო, რა დავლური ჰქონდათ ღამის პეპლებს გაჩაღებული.

— ნახე, როგორ გელის ზღვა, როგორ ღელავს, — ქმარი ხელს მოხევედა ქალს მხარზე, მკერდზე მიიკრავდა.

— აჰ, — შეუკრეფდა ქალი და მზით დამწვარ მხარს გაითავისუფლებდა. — კანი მენვის.

— მე თვალები, — გაიცინებდა ლადო. — ისეთი მშვენიერი ხარ.

— თვალები, არაა? — თვალებს მოჭტავდა ქალი.

— გულიც, — ჩასჩურჩულებდა კაცი.

— გული, არაა?

— ჰო, გული, ბევრია ერთი ადამიანისათვის ამდენი ბედნიერება.

— კარგი, ერთი; ახლა არ მითხრა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ მე ვარ.

— რატომ მხოლოდ შენ, შენ და ეს ქვეყანა, შენ და სიცოცხლე, შენ და შვილები, ჩვენი შვილები.

ნამართან ჩამოსხდებოდნენ. ქალი მუხლებზე გადაიჭიმავდა თეთრი კაბის კალთას. თმებს ჩამოიშლიდა და თავს გადაიკედებდა. ხელის გულებით ქვიშას დაეყრდნობოდა, ვარსკვლავებს ახედავდა. კაცი იქვე იდგა და ღიმილით დასცქეროდა ქალს. მერე დაიხრებოდა, მუხლებზე დაეუჭვებოდა, ორივე ხელით მოიზიდავდა ქალის თავს და ჩასჩურჩულებდა — „ძვირფასო თამარ, გახსოვს საქართველოს მუზეუმში გიჩვენებდი პალიმფესტებს“...

— დაგვრა რამე, დაუხეპირებელი, —

გაუღიმებდა ქალი და ხელით ანიშნებდა — დაჯექით. — რუსი მაინც არ იყო.

— რას ამბობ, — იწყებდა კაცი. — მე მჭადსა და ყველზე გაზრდილი კაცი ვარო, — იტყოდა.

ქალი ენას ჩივივნებდა. ლადო ნაპირზე გამორიყულ ნაფოტებს შეაგროვებდა, ცეცხლს შეუთებდა, ცოტა ხანს კოცონთან შეყოვნებებოდა, გააღვივებდა, მერეღა შემობრუნდებოდა ღიმილით.

— იბანავებ, — მშვილად ჰკითხავდა ქალს.

— მაპატიე, — შესთხოვდა ქალი.

— იბანავებ, — პასუხს აირიღებდა კაცი.

— არა, მეშინია.

— რისი? — გაიცინებდა კაცი, მიმოიხედავდა.

— აქ, არაფერია

— ზვიგენის.

— კარგი, რაა.

— მართლა, მართლა

— კარგი, რაა, — ახარხარდებოდა ლადო.

— ჰო, ჰო. ასე მგონია მომეპარება და...

შორს ველარ მიეცურავ შიშით.

— რეებს ლაპარაკობ, ზვიგენს აქ რა უნდა? — მერე წამოდგებოდა, ქალს წამოაყენებდა.

— მიდი, მე აქ არა ვარ, ნახე, — მიმოიხედავდა.

— ჩვენს მეტი არაფერია.

— არა, არა, მეშინია, — ხელს გაითავისუფლებდა ქალი.

— ასე მგონია უჩრხულს სძინავს ზღვის ფსკერზე და დროს უცდის...

აქ ჩამოვსხდეთ, უი, ნახე ცეცხლი დაინთო, ჩამოვსხდეთ რაა...

— კარგი, როგორც გინდა, — კაცი ფეხით მოასწორებდა ქვებს.

— ნელა, კაბა არ დაინვა. — შეპყვირებდა.

— უი, ისეთი განიერია, კალთები ვერ მოვიკრიბე, — ქალი სიცილით შემოიტმასნინდა ბოლოებს და მუხლებთან შეიკეცავდა.

— რატომ მიყურებ ასე? — შესცინებდა მის წინ ჩამუხლულ კაცს.

— როგორ? — თვალებს მოჭუტავდა ლადო.

— რა ვიცი, თითქოს პირველად მხედავ, უცნაურად.

— ძალიან, ძალიან ლამაზი ხარ.

— ამ სიბნელეში რას ხედავ?

ლადო გაიღიმებდა და თმებზე გადაუსევდა ხელს.

— კარგი რაა, მართლა პირველად ხომ არ მხედავ?

— ასეთს პირველად გხედავ, მზით გარუჯულს, თმებგანნილს, ეგ საყურეც ვარსკვლავებივით ანათებს. თვალბიცი იდუმალია, შენი სულიც და სხეულიც, სადაფის ნიჟარაში ხარ თითქოს წამწყვედული... ხომ შე-

იძლება არ შემეხედროდი... ნარმოვიდგენია, ბაბუაჩემს სხვა ქვეყანა რომ აერწია დაბადებისათვის, სად ვიქნებოდი ახლა, ვისთან... — ლადო თვალბიცი ჩახებდავდა ქალს.

— იმასაც შეეჩვეოდი და გეყვარებოდა, ალბათ, — სრული სერიოზულობით წარმოსთქვამდა ქალი. — სადმე სხვაგან, სხვა ქვეყანაში.

— კარგი რაა, — შეევედრებოდა ლადო.

— ვერც წარმომიდგენია... უფალი გირჩევს ქვეყანას საძვალედ და სიყვარულისთვის. შენ უნდა შეგხედროდი... საქართველოსი. ორი რამ გამაჩნია სიცოცხლის ფასი, შენ და საქართველო... დაბადებიდან — უსასრულობამდე.

საითაც უნდა მომისროლოს დრომ და სინამდვილემ, ქართველი ვარ. ამ ცის ცვარად, ამ მინად ვიქცევი და ჩემი სიმშვიდეც ამაშია. აქა ვარ და აქვე დავრჩები. საუკუნეები გადაიქვლის და ერთ ვარსკვლავებიან ღამეს, აი, ასეთ ღამეს... — ლადო სუნთქვას შეიკრავდა და ორივე ხელებით ახვებავდა ღამეს. — ვიღაც, ჩემი მსგავსი, მშვენიერ ქალთან ერთად, აუუ, თითებს შუა გაცრის მინას. მოუსმენს, ტალღების ხმაურს კი არა, ჩურჩულს. შენ იცი, რაზეც. სიყვარული დაასწეულებს და ამ ქვეშაშის, — ლადო თითებს შუა გაცრიად ქვიშას. — რომელიც სხელში სითბოს ჩაუღვრის ჩემი სხეულის ქვიშად ქცეული ნაწილაკებიც იქნება.

— ვინ დაგაბრალა რუსობა.

— რუსეთი ჩემი ისტორიული ქვეყანაა, საქართველოა სამშობლო. ჩემი ტერფებიდან საქართველო შემოვიდა ჩემს სულში და სხეულში. ქართულ მინად გადაცრილი თაობები ენებებოდნენ ჩემს თითებს, როცა პატარა ბიჭი აქ, ქვიშის გვირაბებს ვაშენებდა. და იმას, რაც ჩემს სულში შემოვიდა, ჩემს სხეულს აეკრა, ველარაფერი ჩამოფერთხავს... გათავდა, ჩემი პიროვნული ნიშანი ქართულია, ჩემი სულის დაღი საქართველოა. მეძახე, თუ გინდა, რუსი ხარო, რაღა შემცვლის.

— მე კი მეგონა, — თვალებს მოჭუტავდა ქალი. — მე ვიყავი მიზეზი შენი ქართველობის.

— შენ შედეგი ხარ ჩემი ქართველობის, დასტური ამის.

ქალი გაიღიმებდა ეჭვით და სიამაყით.

— ასეა, ასე, — ეჭვს გაფანტავდა ლადო. — როგორ ფიქრობ, რაღა მაინც და მაინც მინა მიჰქონდათ უცხოეთში.

— რა ვიცი, — მხრებს აიჩეჩავდა ქალი, დაფიქრდებოდა.

— რამდენი რამ შეეძლო ადამიანს თან ნაეღო, ყელსაბამი, ბეჭედი, სურათი, ნებისმიერი ნივთი, რაც გინდა, განა ცოტაა.

— არა, რა თქმა უნდა; შენ როგორ ფიქრობ?

— მეროგორ ვფიქრობ? — ლადო გვერდით მიუჯდებოდა ქალს, ხელს შემოხვევდა და შორს გახედავდა „უცხოეთს“, სადაც მუჭა-მუჭა შვედროვილი ქართული მინა ითხოვდა შენდობას.

— მინა ნაწილაკებად ქცეული სხეულებია. ამ სხეულების ენერგეტიკულ ველს შემოჰყავს წინაპარი შენს სხეულში. შენი სისხლი და ხორცი. და, სადაც მინაა ასეთ ნაწილაკებად, იქ არის სამშობლო. მე, ეს ენერგეტიკა ქართული მაქვს. ჩემი სხეული საესვად ასეთი ნაწილაკებით, გენეტიკად მოქცეული და შემდეგ ჩემს შვილებში გადასული. მე კი მათში ვარ და დავრჩები. ამიტომაც აქ სიკვდილიც მშვიდი, საიმედო. ამ მინას ვარ და ამ მინაში ვიქნები, გესმის, რატომ ვარ აქ ამ ცეცხლში, ამ ტკივილში?

— სიკვდილით რომ არ დაგესრულებინა ეგ ფილოსოფია, არ შეგეძლო? — აცრემლდებოდა ქალი.

— მინა მოითხოვს ოფლს და მინა მოითხოვს სისხლს, რას იზამ, ჩემო. სხვანაირად მინა არ იქნება, დედამინა, არც სამშობლო იქნება სხვანაირად.

— არც სიყვარული? — ცრემლს შეინძენდა ქალი.

— არც სიყვარული. სიყვარული ცეცხლია, მზეა. მინა კი, ნახე, რა თბილია, აი. — ლადო კენჭებს გაქეპავდა და სიღრმიდან, ნოტიო, თბილ მინას ამოხაპავდა მუჭით. აიღებდა ქალის თბილ ხელს, ხელის გულში ჩააცრინდა ამ სითბოს.

— თბილია, — იტყოდა ქალი და მინას დაყნოსავდა, მერე შევებით ჩაეშობოდა ჯერ ისევ მზის მცხუნვარება შერჩენილ ქვიშას.

— არსებობს სხვა ნეტარება? — იტყოდა ლადო და ქალის მზემოკიდებულ სხეულს ჩაიკრავდა გულში.

— მიყვარხარ! — თითქოს მშვიდი, გულწრფელი, მაგრამ ყელს მომსკდარი ტკივილით იტყოდა ქალი და ატირდებოდა.

— მეც, — კაცი ცრემლებს შენმენდდა, ქვიშის ნაწილაკებს ჩამოფერთხავდა სახიდან. — შენ და საქართველო, რადგან თქვენში ჩაემი კაცობაც და ღირსებაც ჩემი.

— შვილები? — შესცინებდა ქალი — შვილები?

— შვილები, ყველაფერი, რაც გამაჩნია საქართველოა, ამქვეყნად ჩემი ცხოვრების, ყოფნის დასტურად.

— მიყვარხარ, გესმის, მი-ყვარ-ხარ!

— მეც, კარგო, მიყვარხარ!

... შემდეგ, როცა ლადო ქართულ მი-

ნაში იხვება, ნანა თითებს შუა გაცრის შვით გამთბარ ქვიშას, ჩუმად მოინმენდს ქვიშიანი ხელებით ცრემლებს. სევდასთან ერთად სხეულში სიყვარული შემოვა და მისი, ქალის ერთადერთი დასაყრდენი მინა იქნება.

სევდას ექნება ფერი და სუნთქვა, თავისი იღუმალი კატეგორიები, ერთმანეთისაგან გამოიჯნული და განსხვავებული; იქნება სევდა თალხი ფერებით, საყვარელი ადამიანის ნასვლით მოძალებული, გაჩერებული გულის ცემით. იქნება სევდა მონატრების ვარდისფერით, აჩქარებული გულის ცემით. იქნება სევდა მოლოდინის, ცისარტყელას ფერებით და ტახიკარდიით. იქნება სევდა ჭაღარის, ვერცხლისფერებით და მშვიდი სუნთქვით... და ყველა მათგანი, თავისი ფერითა და სუნთქვის იღუმალებით შვილებში განთავსდება, მოთენილ, მოლივლივე სულის სიმშვიდეში გაზიარდება. რადგან მათში იქნება დაყნადებული ნარსულისა და მომადლის კოდი, ერთმანეთიდან მომდინარე და ერთმანეთში გარდატეხილი. ნანამ ნეტარებით სავეს სახე ქვიშაში ჩაჰყო და ატირდა. თბილი იყო ქვიშა, ნოტიო. მინა ითხოვდა ცრემლს, მინა ითხოვდა სისხლს. ეს დედამინა იყო, დედამინა, სხვა არაფერი.

ვილაცამ დაიძახა ტყვე ქალი მოიყვანესო. ატყდა ჩოჩქოლი. გარეთ გამოცვივდნენ. ნამძინარევი, დაღლილი სახეები ნამოცნო, ზოგში შურის მაძიებელი, ზოგში შეშინებული, შურაცხუცივითა და ტკივილით დამანჭული.

— ვინ არის? — კბილებში გამოსცრა ერთმა.

— ქალია, აფხაზი.

— უუუ, მაგათი! — ვილაცამ ჯიში და დაბადება შეუგინა.

— შემოიყვანეთ. — თქვა მეთაურმა.

შემოიყვანეს... ქალმა შეშინებული, დამფრთხალი ცხველის, გუგებგაფართოებული თვალები მოატარა ოთახს. ცახცახებდა და კედელს აკრული, ორივე ხელით ცდილობდა სხეულის დაფარვას.

— ვინა ხარ? — ჰკითხა მეთაურმა. — გაუშვით ხელი.

— ბიჭებმა ხელი შეუშვეს ქალს და გვერდზე გადაგინეს.

— ვინა ხარ! — ისევ ეკითხა მეთაურმა.

სამარისკებური სიჩუმე ჩამოწვა, მერე ქალის აკანკალებული ხმა გაისმა.

— ოღონდ შურაცხუცივას ნუ მომაყენებთ...

— ვინა ხარ? — წამოაღდა მეთაური,

ქალს მიუახლოვდა, ქალი კედელს მიეწეა. მეთაურმა ქალი აათვალიერა, ბიჭებს გამოხედა. ბიჭებმა ხელები ასწიეს — „არაფერი დაგვიშავებიაო.“

— ნუ გეშინია, — მხარზე ხელი დაადო მეთაურმა. — ჩვენ მსხვერპლი არა ვართ.

— ოღონდ შეურაცხყოფას ნუ მომაცხენებთ და ჩემები კარგად გადაგიხდით, — ამოისლუქუნა ქალმა, ცრემლები ჩამოუგორდა ლოყებზე. — კარგად გადაგიხდით.

— რას გადაგიხდით, ბიჭებს გაგვიცოცხლებთ? — ნამოენტო ახალგაზრდა ვაჟი.

— ჩუმადი! — იყვირა მეთაურმა — შეაჩერა ვაჟი. ქალს შეხედა, მერე ბიჭებს ჰკითხა: — სად ნახეთ?

— გზა აერიო, ბიჭებმა...

— რა იცი, იქნებ სნაიპერია? — შეანყეფტინა ლოგინზე ნამომჯდარმა ნაძმინარევი.

— არა, — იყვირა ქალმა, — საერთოდ არ ვიცი სროლა.

— აქ რა გინდოდა?

— დედასთან ვიყავი.

— აფხაზი ხარ?

— აფხაზი ვარ.

— მერე, თქვენ რომ ქართულს არ კადრულობთ, შენ ქართულად რატომ ლაპარაკობ?

— დედაჩემი ქართველია.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მამა?

— მამა, აფხაზია.

— სად არის?

— აქ. ორივე ამ სოფელში ცხოვრობენ. მაგათ სანახავად მოვდიოდი. გზაზე ეს ბიჭები შემხვდნენ, — ხელით ანიშნა ბიჭებზე, რომლებმაც ის შემოიყვანეს. — მკითხეს აფხაზი ხარო? და მეც ვუპასუხე, აფხაზი ვარ-მეთქი.

— მერე.

— მერე, აქ ნამოიყვანეს. — ქალი ატირდა. — მოკალით, ოღონდ შეურაცხყოფას ნუ მომაცხენებთ, ორი შვილი მყავს.

— ქმარი სად არის, აფხაზია? — იკითხა მეთაურმა.

ქალი აცახცახდა.

— ნუ გეშინია, ხომ გითხარი, ჩვენ მხვერპლი არა ვართ.

— ჰკითხე, ქმარი სადა ჰყავს. — შეახსენეს ბიჭებმა მეთაურს.

— შენი ქმარი სად არის?

ქალი ატირდა.

— გასაგებია, — ნამოდგა ავტომატიანი ბიჭი. — ჩვენ გვეცვრის, არა? — ჰკითხა

ქალს, ჩვენი ბიჭების სისხლი ნსყურია, არა?

— ღრიანლებდა ბიჭი.

ქალი ტიროდა, ხმამალლა, მოთქმით, მხრებმოხრილი, გულზე თავნამოვარდნილი.

— რა ვქნათ? — იკითხა მეთაურის გვერდით მდგომმა ბიჭმა და სკამზე ჩამოჯდა, მუბლი მოისრისა.

მეთაური დღმდა.

— გაეუშვათ? — ისევე ჩაეკითხა ბიჭი.

— ამ შუალამისას სად უნდა გაეუშვათ. ვიცით, ვის გადაეყრება?

— აბა, რა ვქნათ?

მეთაურმა ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე ბიჭებს შეხედა, გაიღიმა.

— ვახშამი გავანყოთ, სტუმარი ღვთისაა.

— არა, მე არ მშია, — ტირილი მოსხლიტა ქალმა, ცრემლები შეიმშრალა.

— დედა ქართველი მყავსო, რა, აფხაზები სტუმარს შუალამისას გარეთ გააგდებენ, ლუკმას დაამადლებენ, რა, სულ გაგიჟდით?..

— არა, — სიტყვა არ დაამთავრებინა ქალმა.

— ჰოდა, — მეთაურს სიტყვა გაუნყდა, ბიჭებს შეხედა, მერე ქალს მიუბრუნდა, გაუღიმა. — აქ ქალებიც არიან, ხედავ...

ოთახში, იქვე კუთხეში, მაგიდასთან ორი შავოსანი ქალი იჯდა და ორივე ტიროდა. ტყვე ქალმა დამწუხრებულმა შეხედა, რაღაცის თქმაც დააპირა, მაგრამ ვერ გაბედა. აქეთ-იქით მოატარა მზერა, თითქოს პატივებს თხოვდა ყველას, რადგან „იქითაც“ და „აქეთაც“ არჩევანი არ იყო.

ეს ყველაფერი იქ მოხდა, აფხაზეთში, ნამდვილად. გამოგონილი აქ არაფერია. ბიჭები მიყვებოდნენ სინანულით და მარადიული კითხვით, რომელიც ისტორიას დარჩება... რისთვის? თუკი „იქითასა“ და „აქეთას“ ერთი სამშობლო ჰქონდა, ერთი მინა.

ის ტყვე ქალი, ბიჭებმა დილით გაიყვანეს გზაზე და გაუშვეს, თან „სტრახოკაზე“, კარგა გრძელ მანიძლზე გააყოლეს დაცვა. არ ვიცი, ბიჭებმა შეალამაზეს თუ მართლაც ყვავილების გვირგვინი შეჰკურეს და ასე თავდადამშვენებული გაუშვეს ქალი. ყოველ შემთხვევაში მათ ასე სურდათ. ამიტომაც, მე მჯერა, ასეც იქნებოდა. იმავე საღამოს რვა ქართველი ტყვე გაუთავისუფლებია... ის ქალი, აფხაზი მეთაურის ცოლი ყოფილაო — ყვებოდნენ ბანაკში დაბრუნებული ტყვეები. ასე იყო, იქ, აფხაზეთში. ომს თავისი კანონები ჰქონდა, სიყვარულს თავისი... ვიღაც კი იდგა ომსა და სიყვარულს შორის და მას კიდევ თავისი „კანონები“ და „ზნეობა“ — მიზე-

ზი და მიზანი ჰქონდა. ერთმანეთის პირისპირ გუმისთას აქეთ და იქით კი, გარიყული ადამიანები დასაყრდენს ეძებდნენ. მინა ტორტმანებდა, ირყეოდა, „ღვარცოფი“ ძირფესვიანად გლუჯდა ხელჩასაჭიდ წარსულს და გამახსენდა სოხუმში, იური აგრბას სევდიანი სიტყვები: — „Земля Абхазии, земля Грузии будет вечно, только не известно кто на ней будет жить, после братоубийственной войны... после бессмысленной братоубийственной войны?“

დღის 7 საათზე, შინაგანი ჯარების შენობის წინ თავი მოიყარა ყველამ — 200 კაცი და ერთი ქალი. სამხედრო მანქანები — ეშელონი გასამგზავრებლად მზად არის. ავტობუსებში ესხდებით.

აფხაზეთში ომი, ყოველდღე თბილისის აეროპორტში ზმუილით ჯდება თვითმფრინავი, რომელსაც დაჭრილები და დაღუპულები ჩამოჰყავს. ხალხი მიანყდება სამხედრო თვითმფრინავს. ჩამოხსენება ტრაპი. ჯერ გასასვლელთან მომდგარი ბიჭების ცრემლები-საგან შეწინააღმდეგებელი თვალები, სამარისებურ სინურებში, წამიერად გადმოხედავენ ადამიანებს. თვალებს მიაპყრობენ იმათ, ვისაც მალე უბედურება და სიხარული აღრიალეებს. ხალხი დუმს. მლოცველები შეჰყურებენ ბიჭებს. არავინ იცის რა მოხდება. რას ელიან. ყველა აქ არის, ვისაც აფხაზეთში ჰყავს თავისიანი. მერე ნელა წამოიწევს საკაცე, ღმერთო... მთავარია სახეზე გადაფარებული არ იყოს. ქვევით სამხედროები დგანან, ხელს შეამველებენ საკაცეს. ფეხებით ქვევით დაშვებული, თავნამონეული დაჭრილი ძლივს გაიღიმებს და წამოყელყელავებული ჯგუფიდან ვიღაც შეჰკივლებს, მივარდება დაჭრილს, მუხლმოკვეთილი გადაეხსენება.

— ჰო, კარგი, დედა, ცოცხალი ხომ ვარ, —სახე ეღრიჯება ბიჭს.

— შვილო, — მამა, დედის ზურგს გადაფარებული ზღუქუნებს. მერე სივარეტს ჩაუდებს ბიჭს პირში და ორივე ფორთხვით გაჰყვება შვილს. ჩამოიდის მეორე, მეცამე, მეოთხე, ისმის კივილი და ღმულის მაგვარი სიცილი. საკაცეს მთელი საგვარეულო მოარბენინებს გასასვლელისკენ. მოლოდინი იძაბება, საერთო ისტერიკა მატულობს. ჩამოიდის მეხუთე.

— ვაი, შენს დედას! — მუხლმოკვეთილი ქალები ადგილზე დაჭედებულ ქმრებს შესთხოვენ შველას. კაცები მირბიან. თავჩაღუნული, ავტომატიანი ბიჭები მოაცილებენ საკაცეს. ათი, ოცი, ასი ხელი, ერთდროულად გადახდის საფარს და — რატიი! — მი-

ნას გართხმული კაცის ღმუილი მოეფინება ცოდილ მინას. გიჟივით მივარდება დედა, ერთი, ორი, ათი; თითქოს, დაუჯერებელ სინამდვილეს დედის სევდა გაფანტავს, თითქოს სულს ჩაუბრუნებს დაცხრილულ შვილს. საერთო ზრიალში, წყევლისა და ლოცვის მორევში, დგას გაფითრებული საქართველო; მშენიერი და თმაშაშლილი — ლოცვითა და მუღარით ხელგანვდილი, ხმალდაშვებული, ცრემლებით სავსე თასით. ქარში ფრიალებს კაბის კალთა, ალაგ-ალაგ შემოგლუვული კიდევებით. მკერდმესხნილი, დასისხლიანებული ძუძუებით და არავის ესმის მისი ხმა. ის არ ითხოვს მსხვერპლს და შურისგებას. ლევა ქორები დაფრინავენ და მიმოფანტულ, დანოკებულ, გზაბნეულ წინილებს ერთმანეთის მიყოლებით იტაცებენ. ის კი ტრიალებს. ნივილით უხმობს შვილებს, უნდა ერთად მოუყაროს თავი, ერთი ფრთის ქვეშ, დაიფაროს და დაიცვას, და ასე გადაფოფრილი ელის პატრონს, იმას, ვინც გადარეკავს ამ ლევა „ღრუბელს“.

— ყველა ადგილზეა? — იკითხავს სარდალი და ავტობუსებს ჩამოუვლის.

— ყველა ადგილზეა! — პასუხობენ ერთხმად.

— ხუთ წუთში გადვივართ, ადგილზე იყავით.

ავტობუსებს ხალხი შორიდან შესცქერის. ზოგი ახლოც მოდის. შეშინებული ხმები გვამხნევენ. ზოგის თვალეში სიბრაღელია და თანადგომა.

— მშვიდობით დაბრუნდით.

— ღმერთო, რა ხდება?

— ღმერთო, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი?

— შვილო, — ხანშიშესული შავოსანი ცრემლებს ინმენდს, — საღ მიდიხართ... აგე, ტელევიზორში, ჯერ თქვენ სიკვდილს გამოიტყაფებენ, გმირულად დაიღუპაო, მერე დუბაიში და კიდევ საღდაც ჯანდაბაში ეპატივენ. ვინ უნამუსო მიდის ახლა სასიერნოდ, აღარც ნამუსია მაგათთვის, აღარც ღმერთი, და აღარც ხატი?

— ეგ იმათ ნამუსზე იყოს, — იცინის ჯარისკაცი.

— ეებს, შვილო, სადა აქეთ მაგათ ნამუსი.

— ყველა ხომ დუბაიში არ ივლის, ვიღაც ხომ უნდა ნავიდეს ომში?

— ვიღაცა? — ყველა უნდა ნავიდეს, აბა რა! — თვალეში წამოენთო შავოსანს. — ერთის ხარჯზე მეორემ რატომ უნდა ინავარდოს, ეს სამშობლო მაგისიც ხომ არის?

— ცოლები არ უშვებენ.

— ცოლები კი არა, — შავოსანი სულს ამოითქვამს. — რამდენი ვუძახებ ჩემს ბიჭს, მაინც წავიდა, აქ რა დახედედგომებო, აი, — ხელი ჩაისვა შავებზე. — აგერ დამტოვა, ცოლ-შვილი დამიტოვა საპატრონოდ. მე რაღა შე-მეძღვება ორ-სამ წელიწადში, ეს გოგოც სულ მთლად ბავშვია...

— დაილუპა? — შეპარვით იკითხავს ახალგაზრდა ქალი.

— დაილუპა. მე დავილუპე, ის კი არა.

— რას იზამთ, გამაგრდეთ უნდა.

— მაინც ჩემი ბიჭი მესახელებს.

— მართალია. ამ ქვეყანას არაიენი შერ-ჩება, ერთი სიკვდილი ყველას ეწევა. ჩვენ მა-ინც სახელით მოვკვდებით. მაგათ იკითხონ. ვინ იცის, როგორი სირცხვილი დაუტოვონ შვილებს, თავი გარეთ ვერ გამოყონ.

— ყველაფერი უფლის ნებაა, შვილო, მშვიდობით გატაროთ ღმერთმა.

შავოსანმა პირჯვარი გადაიწერა და ბი-ჭები დალოცა. — მშვიდობით დაგაბრუნოთ თქვენ დაედებთანო.

— გამადლობთ, დეიდა.

— გაიხარეთ, შვილო, არ შეშინდეთ, ერ-თმანეთს გაუფრთხილდით.

— ნავედით.

გათეხებულზე ოჩამჩირეში ჩავალთ. მზე ამონეწერაზე იქნება. გორის სადგურზე ბიჭები შემოგვიერთდნენ, ხმაურით, ყიფი-ნით ამოვიდნენ. ამოვიდნენ თუ არა ვაგო-ნივში, ფანჯრებს მიაწყდნენ. ბაქანი ხალხით იყო გადაჭყდილი. ქალები ჩუმად ინმენდნენ ცრემლებს. კაცები, ვითომ არაფერი, ბი-ჭებს მოძღვრავდნენ; — აბა, თქვენ იცითო, — იყო ერთი ხორხოცი და გნისაი. ბიჭები მო-წიფული ვაჟკაცებივით იქით ამხნევებდნენ პატრონებს, თვალეში კი მაინც იყო, შიში კი არა, ცნობის ნადილი უცხო, საიდუმლო გზებზე სამოგზაუროდ წასული მოზარდისა, რომელსაც ბავშვური აღტიკინებით დაკაცე-ბა, სულის სრულყოფა სწყურია და ეჩქარება პირველი ღინღლის ჩაპარსვა მერე რომ ტოლ-სნორებში, ჩამოკანრული, ნაზი კანით მო-წინონოს თავი, რომ უკვე წვეროსანია, კაცი. ყვინჩილას ყოყლოჩინობით, პირველად რომ სცნო მდებრი და, ერთი სული აქვს როდის შეიტყობენ მისი ტოლები, როდის გაიბღინ-ძება „შემომხედეთ, დაეკაცდით.“ ამიტომაც მშობლების ყურადღებით განაწყენებულები, ჯიქურად ირიდებენ მათ აღერსს, აქაოდა — „ნუ მარცხვენ, ბიჭები რას იტყვიანო, პატარა ხომ აღარ ვარო.“

მატარებელი დაიძრა, ბაქანი „ახტა“ და მატარებელს დაეძვენა. ყველა ერთხმად ყვიროდა, ერთმანეთს ეძახდნენ, სიტყვებს

ვერ აკრეფდი. პატარა ბიჭი მოსდევდა მატარებელს. კარვა ხანს სდია, თან ტიროდა და რაღაცას ლულულულებდა. ვაგონიდან თავგა-ყოფილი ბიჭი მუშტს უღერებდა: „ნადი სახ-ლშიო.“

ბიჭი მოსდევდა მატარებელს და, მგო-ნი, „ნამიყვანო“, ევედრებოდა. ყმწვილიმა ბიჭებს გამოხედა... — ჩემი ძმარო — თქვა.

— სახლში დაბრუნდი. — ჩასძახა ძმას.

— მაინც წამოვალო. — მოაძახა ბიჭმა.

— დედას მიხედე! — დიდკაცურად და-უბარა უფროსმა ძმამ. — იცოდე, თუ გავიგე, რომ დედა მარტო დატოვე, ჩამოვალ და ცე-მით გაგებთქავეო.

სადგურზე ბიჭები გვემატებოდნენ. იყო ტირილნარევი სიცილი. ისევ თხოვნა — „თავს გაუფრთხილდითო“, ისევ ყოყლოჩინობა „ბი-ჭებთან ნუ მარცხენო“, და ხვალისდელი დღის გაუცნობიერებელი შიში და იმედიც — დაბრუნებისა. მერე დავლაგდით, ვაგონებ-ში ჩაშოლავდნენ ბიჭები. გაიშალა სულურა, — „ნახე, დედაჩემის შემწვარი ნინია“, — „ეს ბებიამ გამოაცხო“, — „ვაა, ბიჭო, მაინც ჩა-უნყვიათ“. „ნახე, ნახე, თითქოს ერთი წლით მივდიოდე“... იყო სიცილი, — „ჯერ ჩავიდეთ, მერე ენახათო“...

მატარებელი კი მიდიოდა... ასე იყო აღ-ბათ ყოველთვის, ერთნი მიდიოდნენ, მეორე-ნი რჩებოდნენ. ერთნი თავს სწირავდნენ, მე-ორენი უფრთხილდებოდნენ. სამშობლო კი ერთი იყო ყველასათვის, მაცხოვარაც ერთი. მაგრამ ზოგისთვის ის ხილვა იყო, ზოგის-თვის ცოდვების მიმტევებელი, ზოგისთვის კი მზარდიული ზნეობა. ყველას თავისი ანანური ეძახდა, თავისი სვეტიცხოველი — ვისთვის ისტორიული ძეგლი, ვისთვის ქვათა ერთობ-ლიობა: ვისთვის ღირსება და ეროვნულობა. სამშობლოს სადღეგრძელოს ყველა ერთნა-ირად აღავლენდა. სად იყო ზღვარი? სად გა-დიოდა ზნეობის დემარკაციული ზოლი? სიკ-ვდილ-სიცოცხლის, ღირსება-სირცხვილის, გამარჯვება - დამარცხების წყალი - გამოყო-ფი? ანაზე მხოლოდ შთამომავალი იკითხავ-და, რადგან დღეს თავისუფლება სურდა ყვე-ლას, მაგრამ სიკვდილი თავისუფლებისათვის ყველას არ სურდა.

11 სექტემბერი ახლოვდებოდა...

იმ წელს, ზაფხულში, — ვგონებ, 81 წლის ივნისი იდგა, — ხალხთა მეგობრობის მუზეუ-მი ბიჭვინთაში მუზეუმს ხსნიდა, აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობის მუზეუმს. მთელი ზაფხული ქანცის განყვეტამდე ვმუ-შაობდით. ოო, რა სიამოვნება იყო, — დაედი-ოდით სახლებში, ვაკროვებდით ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობის დამადას-

ტურებელ გადაყვითლებულ სურათებს, ნიგ-
თებს, ვინერდით მოგონებებს. მოვინანებით
საგანგებო ბანკეტზე 101 წლის მასპინძელი
ცოტა ნაწყენი შეხედება აფხაზთა და ქარ-
თველთა მეგობრობის სადღეგრძელოს. არის
მეგობრები, რანაირი მეგობრები, ვინ მოიგო-
ნათ, ჩვენ ძმები ვართო." მაშინ არავის დაა-
ფიქრებეს ეს სიტყვები, ავის მომასწავებელს
ვერავინ შენიშნავს. სისხლისღვრამდე კი
ზუსტად 10 წელი გვაშორებს. თუმცა უმად-
ლეს ეშელონებში უკვე ჩოჩქოლია. ხალხიც
გრძნობს, მაგრამ მასზე ხმამაღლა არავინ სა-
უბრობს.

ჩვენი მასპინძელი გუბაზების ოჯახია.
აქ ვარჩიეთ, აქ უფრო ახლოსა ვართ აფხა-
ზეთთან — ჩემიანებთან. ჩემს ოჯახს, უკვე მე-
ოთხეუ ზაფხულია, ეგ ოჯახი გემასპინძლობს.
მასხოვს, პირველად ჩამოვედით ლიძავა-
ში ბარგით დატვირთულნი. გადაწყვეტილი
გვაქვს მთელი ზაფხული აქ გავატაროთ. უმ-
ცროსი — გიორგი 5 წლისაა, უფროსი მარი-
ამი 17-ის. პატარას სიარული უჭირს, თანაც,
ამდენი ბარგი, პირველ სახლთან ვერდებით.
ურათი ვეისტურმრებენ, მივიწვევთ ზევით.
იქაც უარით, ზოგს პატარა ბავშვინი ოჯახი
არ სურს, ზოგს თბილისელები, რას გაუგებ.
ზოგი ბინა უკვე დაკავებულია, ზოგან „დაწ-
ნი ბეჭებს“ ელიან. მოვიარეთ სანაპირო ქუჩები.
ბავშვებს ზღვასთან ახლოს უნდათ. მოთმი-
ნება იწურება, თანაც საღამოვედება. გიორგი
სატირლად ემზადება. დაიღალა, მოშივდა.
რა ექნათ, ღამეს ქუჩაში ხომ არ გავათვით.
სხვა გამოსავალი არ ჩანს. მე და გიორგი ბარ-
გთან ვრჩებით. საშინლად გულნატკენი ვარ,
— რუსეთიდან ჩამოსულებისთვის ყველაფე-
რია, შეღავათიანი ფასები და მზიანი ოთახე-
ბიც. როგორც კი იტყვი თბილისელი ხარ, ცივ
უარს მიიღებ. ხან პატარა ბავშვია მიზეზი,
ხანაც თბილისელობა. არადა, ყველა ოჯახი
ქართველებისაა. რა ხდება, ვერ ვხვდებით. რამ
შეაძულა ამ ხალხს თბილისელები?

— ჩემს სახლში მინდა. — ღრიალებს
გიორგი.

— მამა მინდა! — ხმას უმატებს გიორ-
გი.

— მამა მალე მოვა და ძალიან ღამაზ
სახლში ნავიყვანს.

— იქ წინილები იქნება? — მეკითხება
გიორგი და ტირილს წყვეტს.

— იქნება.

— ცუგა?

— ცუგაც, პატარა ლეკვებიც, ბოჩო-
ლაც, ნახე რა კარგი იქნება.

— როდის მოვა?

— მალე, ცოტა მოვიცადოთ. — ჩანთი-

დან ხაჭაპურის ნატეხს ვიღებ, და...

— აი, შენ ხაჭაპური.

— არ მინდა...

— აიღე, ნახე, სანამ ამ ხაჭაპურს შეჭამ,
მამაც მოვა.

ასე თავმეტყუებით ვადის კიდეც ერთი
საათი და ბოლოს აქოშინებული ბრუნდება
მამა.

— ნავედით.

— იშოვე? — ქანცგანწყვეტილი, თით-
ქმის ჩაძინებულ ბავშვს ვალვიძებ.

— ვიშოვე.

— შორს არის.

— სოფლის ბოლოს, ხიდს გადავივლით
და იქვეა. ღმერთი უშველით, არც დამალა-
პარაკეს — პატარა ბავშვით ვართ-მეთქი. —
იქით შენ-უხდენე.

— ძვირია?

— საერთოდ არაფერი გვინდაო. სტუმ-
რებისთვის ფულის თხოვნა იუკადრისეს, სა-
ერთოდ არ ვაქირავებთ, მაგრამ თქვენ ბავ-
შვიანად ქუჩაში არ დაგტოვებთო.

— ღმერთო, ვინ არიან, რა გვარები?

— გუბაზები.

— აფხაზები?

— შო, ქართველები რუსებს არჩევენ...

სისხლისღვრამდე კი 10 წელია დარჩე-
ნილი.

ჭიშკართან გეხვდებიან. დიდი ოჯახია.
სამი თაობა. ყველა ჩვენს შესახებდრად გა-
მოსულა. ბარგი შეზიდეს. ეზო დიდია, კო-
ინდარით მომწვანებული. ორსართულიანი
სახლი ციტრუსების ტყეში დგას, იქვე ძველი
აფხაზური ოდა დგას. დროუამისაგან გამავე-
ბული ხის პატარა ოდა, კიბის სამი საფეხუ-
რით, გრძელი აივანით, ჩუქურთმებით და ჩუ-
ქურთმებში გახლართული კოლხური უსურ-
ვაზით. ეზო სავესა ქათმებით, ლეკვებით,
ჭიშკართან დიდი ძალდი თვლემს, ჯაჭვით
მიბმული. ეზოში მზის გულზე მოხუცი ზის,
მზეს მიფიცებული, თუთუნს აბოლებს და
მოჭუტული თვალებით გვათვალისწინებს. მას-
პინძლები მეორე სართულზე გვთავაზობენ
ოთახს, ჩვენ ძველ ოდას ვირჩევთ. იქ უფროა
აფხაზური, იქ სხვა სურნელი უდის ცხოვრე-
ბას, სხვა სუნთქვა ტრიალებს.

ოჯახის ერთ-ერთი რძალი ქართველია.
რუსული იშვიათად ისმის. რუსულად ახალ-
გაზრდები ეხმარებიან ერთმანეთს, მოხუცე-
ბი და შუახნისანი ქართულ — აფხაზურად.
ღმერთო! ნუთუ ოდესმე დამაინწყებ იმ სა-
ლამოს, ხელიდან ხელში გადატაცებულ ჩემს
5 წლის შვილს, აღტაცებულ მასპინძელს —
თეთრწვერა მოხუცს. სამზადში დაბზრიალე-
ბულ დიასახლისებს. თვალის დახამხამებში

განყოფილ ტაბლას. შუა ცეცხლში აზუზუნებული ნედლი შემის სურნელებას. ცხელი მურის ომბივარს. ახლა ხაჭაპურები? „ბორბალი მინდაო“ — მოგეცახოდა მერე გიორგი. ან რა იყო ყოველი დღილა... დღია ფანჯრებიდან შემოღვრილი მზის სხივები, აივნის რაფაზე შემოდგმული ქოთანის ცხელი რძითა და ახლად გაომომცხვარი ხაჭაპურით. რა დამაბინყებს, შუაგულ ეზოში ლეკვებით შემოფარული ჩემი ბიჭის ბედნიერ თვალებს. — ერთი თბილისში ნაივყვანოთო...“ ფხებშუა დიდი, რძეში ჩაფშხვნილი ჭადით, ჯამით და უშველებელი ხის კოვზით, გულისპირზე ჩამონუნული ნაღების ლაქებით. საღამოობით ბოხელში ბოჩოლასთან ჩაცეცხული „ჩემთან ხომ წამოხვალო“-ს ჩურჩულით. ჩემი ფიტელი დროდადრო სწევბიან იმ შორეულს, კეთილ სურნელებით და მწარე სინამდვილით... რა ბედი ენვიათ მათ? იქ ხომ მშვენიერი ქართველი ქალი სიცოცხლეს აძლევდა აფხაზ შეილებს. თუ ფიქრობებ იხინი ჩვესზე. თუ ახსოვთ, თუ სწუნან, თუ გველიან კიდევ... ჩვენ ხომ ეს არ გვსურდა.

მაგიაზე მიმობნეული ფოტოებიდან რამდენიმეს ვარჩევ. დიდხანს ვუყურებ და მინდა მეხსიერებაში დეტალად აღვიფიგინო თითოეული შტრიხი: აი, ნატა, ეს ბაბუა აღმასხანია, ეს ნანაა, ეს კიდევ ზაურ აკრბა — ბიჭვინთის სამხარეო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.

ექსპოზიციის გახსნამდე ორი დღე რჩება. ზაური დილით ძალიან ადრე შემოვიდა ეზოში, შემიწებულნი ჩანდა. გამოიკვირდა. ნატას ვკითხუე, რა დემპიოთა-მეთქი, არ უნდა მეზობლებმა დაინახონო. ცუდად შენიშნა, მაგრამ დიდი საშიშროება არ მიგრძენია, რადგან ნარმოუდგენელი იყო მაშინ ის, რაც 10 წლის შემდეგ დატრიალდა. რაღაც ძველი ფოტოები აარჩია, გადაანყო. თვალებს ვერ მისწორებდა. მე კი გაბრწყინებულმა იკვანხარე — მისასალმებელი სიტყვა აფხაზურად ვისწავლე-მეთქი — გაიღიმა. უსიტყვოდ მოკირფა ფოტოები და აჩქარდა. ნასვლისას ეს სურათი გადავივით. რამდენჯერ დამიხედავს ამ ფოტოსთვის — კაცისთვის, მხოლოდ ახლა შევიცანი მისი სახის ჩრდილებში დაგუბებული ბოღმისა და სიძულვილის კლანჭები.

გამოფენა — ექსპოზიციის გახსნას იმდენი სტუმარი ჰყავდა, ეზოში ტევა არ იყო. აფხაზეთისა და საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური პირები, მწერლები, ისტორიკოსები, საზოგადო მოღვაწეები. სრულიად მოულოდნელად აფხაზურ ენაზე ვინცებ მოსალმებას და თვალს ვადევნებ, ვინ როგორ აღუქვამს ამ სიურპრიზს. ვამთავრებ აფხაზურ ტექსტს და ვინცებ ქართულად, სამა-

რისებური სიჩუმეა. ერთდროულად გაოგნებული, გახარებული და ბოღმიანი გამობედავა სახეს მინვას, სიტყვები ყელში მეხიდება და თვალებზე მონოლით ცრემლებს ვაკაევებ. ვინცებ რუსულ ტექსტს. ბატონი ედუარდ შევარცხაძე ხელს სწევს და აცხადებს: „არ არის საჭირო“, ყველაფერი გასაგებია. მოდის, ხელს მართმევს, — ყოჩაღო მეუბნება, და არ იტიროო, — ჩუმიდ მაშხნევებს. ბატონი ირაკლი აბაშიძე მოვარდა, გულში მიკრავს და — „ახლა აფხაზური ისწავლეო?“ — გახარებულა. წითელი ლენტე გიოჭარა და უცბად წრეში ვარ, აქ არიან გერო კალანდია, — ცოტა უკლია ატირებას, — გურამ ოდიშარია, ვანო თარბა, მუშნი ლასურია...

10 წლის შემდეგ შევხედვით ერთმანეთს. გერო კალანდია მწერალთა კავშირის კიბებზე შერეოდა... დამაკვირდება, თმებზე ხელს გადაისმევს. ისევ ის თვალები, ის ღიმილი, ის სიხარული, ოღონდ ახლა გულმოკლული კაცის ღიმილით, საძირკველშერყეულ, გუმბათმოწვეული ადამიანების წუხილით. 10 წლის შემდეგ ჭუბურის გზაზე გურამ ოდიშარიას გადავეყურები, სახეშეშლილს, ტალახში ამოსვრილს, განადგურებულს. ვიდეო კამერას თვალს აარიდებს: — ასეთი არ მინდა მნახონო. სიტყვაგამშრალი დაგშორდებით ერთმანეთს, რადგან არის მწუხარება, რომელსაც ნუგეშის სიტყვებს ვერ მოუძებნი.

ეს 10 წლის შემდეგ იქნება. იმ დღეს კი... დავივლით დარბაზს, დროდადრო ერთმანეთს შევხედავთ, ერთმანეთით მდიდარი და ამაყნი. უსიტყვოდ, მხოლოდ თვალებით შევხებიანებით, რადგან არის სიხარული, რომელსაც სიტყვებით ვერ გამოხატავ.

ექსპოზიციის ერთ კუთხეში, მთელ კედელზე ფოტოკოლაჟია, ცნობილი გამოხატულებით, აფხაზი და ქართველი დედა. ერთი შეილის ფოტოთი, მეორე — შეილის საფლავთან. შეუძლებელია ამ სურათის უტყრემლოდ შეხედვა. მოსისხლე მტრებზე დაიხვეწენ ამ დიდი ტანჯვისა და მსხვერპლის წინაშე. ჩემი მზერა სტუმრებს სწევდება. ძიძარია დგას ერთ ჯვუფთან და ბოროტი ღიმილით ქირქილებს. ჩვენი თვალები ერთმანეთს ხედვბიან და ძიძარია ღიმილს ჩამოიკავფავს სახიდან. იმდენად დიდა ბოღმა, რომ თავს ვერ იკავებს, რუსულად მომმართავს.

— почему они вместе?
— потому что горе одно. — ეპასუხობ და ცივი ნაკადი დამივლის ძარღვებში.
— но они-же самостоятельные фото. — ისევ კანკალებს ბოღმის ქანქარა. — ничего отшего не имеют.
მზად ვარ თვალები ამოვიკორცნო. აი

სად არის ბოროტება. მაინც არ ვნებდები. ყელს მონოლილ ტკივილს ვაყუჩებ და ვცდილობ სიმშვიდე შევიწარმოო.

— имень. — ვულიმი.

— что? — ისევ კითხვა.

— Дети, погибшие синовья, горе материнское.

— А вы с ней. — ხელით მანიშნებს აფხაზ დედაზე, — согласованы, — არადა, შავოსანი დედა კარგა ხნის გარდაცვლილია.

— Да, — ისე ვპასუხობ, ნარბს არ ვხრი, ნავიდეს და ჰკითხოს შევათანხმეთ თუ არა. ვგრძნობ როგორ სტანჯავს სიძულელი, ბოროტი ზრახვები თვალის თეთრონებს მოაწვება და ჩახსისხლიანებული მუერა ეყინება. სულ ცოდილო, მისარია კედეც, რომ სათქმელი არ დავუტოვე. მუშნი ლასურია ეზოში მაჩერებს, ხელს მართმევს. ამ ღიმილს არ სჭირდება სიტყვები. აი, როგორია ჭეშმარიტი აფხაზი, რაინდი, მოყვარული, ალალი და მართალი. იქვეა ვანო თარბა, ახოვანი, სულნათელი და გულმართალი.

— გამაღლობთ. — ხელს მართმევს, გვერდით ქალბატონი ეთერ კოლონია ილიმება, ის — ბატონი ვანოს მუღულე — მკოცნის.

— გათხოვილი ხართ? — შეკითხება ქალბატონი ეთერი.

— დიახ.

— შეიღები გყავთ?

— ორი, ქალიშვილი და ვაჟი.

— რა ძალა დევს დედაში, — თითქოს თავისთვის, მაგრამ მაინც მიზანმიმართული ფიქრით ამბობს ბატონი ვანო. — მას ვერანაირი ძალა ვერ აიღუვება. დედის ნინაშე ყველაფერი უკან იხევს, ყველაფერი. — ჩამარცვლით იტყვის და ხელს მოხვევს მეუღლეს. 10 წლის შემდეგ ქალბატონ ეთერს უმოწყალოდ დაცხრილავენ, დედას, რომელმაც სიცოცხლე მისცა აფხაზ შვილს. არ მინდა ვიცოდე, რომ იმ ტყვიებში თუნდაც ერთი აფხაზის ნასროლი იყო.

ზემი აფხაზურ ოჯახში გაგრძელდა. მასპინძელი 102 წლის მოხუცია. ეროვნული ტანსაცმლით: სწორედ ეს მოხუცი განაწყენდება — ქართველთა და აფხაზთა გეგობრობის სადღეგრძელოს მოსმენისას. — რა მეგობრობაო, ჩვენ ძმები ვართო. კიდევ კარგი, თუ არ მოესწრო ამ უბედურებას. არ ვიცი, იქნებ ღვთის ნებით დღეგრძელია. ჩემი ფიქრები იმ მოხუცს ეძებს, იხსენებს, ეძებს, საშველს სთხოვს, ხსნას, სირცხვილის ჩამორეცხვას, ცოდვების მიტევებას თხოვს. დიდია ფესვების ძალა, ზოგჯერ ასეც ხდება, ათასჯერ მოჩეხილი, გადამტკრეული ძელქვა სასწაულად უნმობს სიცოცხლეს, წლებს შემდეგაც კი

ამოყრის ფესვები მიწის სიღრმეში გადამაღულ ენერჯის. მთავარია, იქ იყოს სიღრმე და ძალა სიცოცხლის განახლებისა.

სუფრასთან თავშეკავებული პაექრობაა. დროდადრო გაკენლავენ ერთმანეთს. თან თვალს გააპარებენ ზედა სართულისკენ, ჩვენ ეზოში ვსხედვართ, იქ, ზედა სართულზე, პარტიული მუშაკები და უმადლესი რანგის საზოგადო მოღვაწეები სხედან. იცლებათ და დოქები. ივსება ხელაღვნი. დაძაბულობა ნელ-ნელა იხსნება და შეუმჩნეველად ეძალება რუსულს ქართული, მხარზე ხელის გადახვევა და ალავერდი. სუფრას დავეყრებ. „ჭრელ ბაღდადეგ“ — იმერ-ამერია. რქანთელი ღუმის მინაში. იცლება და ივსება ჭიქები. ჩემს პირდაპირ კოლია კვინინა ზის, ლიტერატორი, აფხაზი. რუსულად გვესაუბრება. თავს ვეღარ ვიკავებ და ვეუბნები.

— კოლია, შენ ქართულად მითხარი, მე აფხაზურად გეტყვი, კარგი?

— Я Николоз... Бараташвили, ხომ იცი.

— ვიცი, — ვულიმი. — მერე?

— ჰათირ სქუ აიუზაყა, — მეუბნება, თვალს უკრავს გვერდით, აფხაზებს.

იძაბება სუფრა, სამარისებური სიჩუმე, შუბლებზე ძარღვები ამოვარდნასაა, ყველა მე შემომყურებს, ახლა ჩემს პასუხზეა დამოკიდებული სტუმართა ღირსება.

— აქ იაფსოუ ასასაცა, — ვპასუხობ კოლიას და... ავარდება სუფრა...

— სქანი გოლუაფირო, — ხარხარებს გენო კალანდია.

— ჩქიმი დუდი. — მივძახი გენოს.

— ვამ, შენი ჭირიმი. — ნამოხტება კოლია, მოვარდება ჩემთან, ხელებს მიკოცნის. — Ребята, давайте выпьем за любовь, за красоту, мы все-таки одни.

10 წლის შემდეგ სოხუმის მისადგომებთან „ჩენებად“ და „მათად“ გაყოფილ სივრცეში, ჩემი შემფოთებული სული მხოლოდ ერთზე ნუხდა. იქნებ სადმე გადაგყავრო, კოლია. შენ, შეგიძლია მესროლო? შენ, შეგიძლია დამასამარო ამ ცის ქვეშ? სადაც ჩვენამდე და ჩვენს შემდეგაც იქნება სიყვარული და სიღამაზე. ერთი კია: სხვა არ იტვირთებს ჩვენს ცოდვებს, სხვა ვერც ატარებს. მტრობა რასაც დაანგრევს ის მხოლოდ სიყვარულმა უნდა ააშენოს და, იქნებ, მონანიებას, შენდობას ვამზადებთ ჩვენი შვილებისათვის, რომლებსაც ეტოფინებთ სად მოძებნონ განსაზღვრული ჩვენმა სულებმა.



სანო
სანოეობე

მაცოლიაბი ოქიოს
ბუილან

სეედიანი პოემა
(ნანყეეტი)

ლეიკოს — ჩემს მარადიულ მეგობარს

1. სიდი ბენვის

შიგ, მკერდექეეშ, რალაც მტკიევა და
მენვის,
შიგ, მკერდექეეშ, რალაც მენვის და მტკიევა,
გასაეულელია ნინ ხიდი ბენვის,
ელავს მახვილი — გილიოტინა!..
რა უცნაურად ხმაურობს ნევიმა,
თითქოს კლავიშებს ამტკერეეს ვილაცა,
თითქოს ნინ მიზის ცისფერი ცირა
და მარცვალ-მარცვალ ცრემლებს
მიმარცვლავს.

და დედამინაც თითქოსდა იძვრის
და სადაც არის, კიდეც იელეებს,
ამომაცალეს გული და ღვიძლი
და შემერჩა მხოლოდ სიცარიელე.
და ნვეთნვეთობით ნაიღეს სისხლი,
მორჩა, დამთავრდა, ცრემლებიც გაშრა!..
და უსმენ ნევიმას, ვით გველის სისინს,
ელავს მახვილი და ელავს დამნა.
გადაჭრილია სუყველა ძარღვი,
გადაჭრილია სუყველა ვენა,
ვარ დადალული დიდების დამლით
და ჩემივ ჩრდილის მე ვგვევარ მდევარს.
კარგად გახედე, რა ბრწყინავს მალღიე?!
ნულარ იოკებ ჟინსა და ნადილს,
მისაშეებია? — მიუშვი აღვირს,
ნასასველელია? — დე, დროზე ნადი!..
შიგ, მკერდექეეშ, რალაც მტკიევა და მენვის,
შიგ, მკერდექეეშ, რალაც მენვის და მტკიევა,
გასაეულელია ნინ ხიდი ბენვის,
ელავს მახვილი — გილიოტინა!..

2. ნიჭი

ჩვენ ვიცით, დიახ, ბევრი რამ ვიცით,
ვიციტო შეხვედრაც და განშორებაც,
განსაკუთრებობით — გატეხვა ფიცის,
ასეთი არის თავად ცხოვრებაც.
გიყვარდეს მარად, ძნელია მართლაც,
უფრო ძნელია დაღი ღალატის
და ისიც ხდება, დიდების ნაცვლად
ნილად გვერგება ხვედრი მარაბის.
ჰა, ვხედავ, აგერ, ლიანდაგებზე
ჩაფიქრებული კაცი გადადის,
მეც, მოხდა ისე, ნამიერს ვეძმე,
ნამიერშია რადგან მარადი.
დიახ, სავსეა ჩვენი ცხოვრება
შეხვედრებით და განშორებებით,
ბევრჯერ მიმტყუნა ნუთისოფელმან
და, ვით ავფრინდე დამსხვრეულ
ფრთებით?!
და, ვით ავფრინდე დამსხვრეულ
ფრთებით?!
სიკვდილზე მეტად სიცოცხლე მიჭირს,
არც სიყვარული,
არც ერთგულება, —
მხოლოდ დაღალატის გვებოძა ნიჭი.

3. ნამცაცა მიწის

ეკლავ მეძახიან დაფდაფით, ბუკით,
ნეტაე რა მოხდა მაინც ამ დილით,
ისეე დაგვეცა თავს ბულა თურქი,

თუ სისხლისმსმელი ჯალალ ად-დილი?!.
 კვლავ დააბოტებს არყისგან მთვრალი
 რუსი უნიფხო, როგორც ნადირი
 და მიაქვს შენი სინათლე თვალის
 და მიაქვს შენი წმინდა მანდილი.
 ამომცალეს მკერდიდან ბეჩავს
 ფილტვი, ჯიგარი, გული და ღვიძლი,
 საფლავისათვის მიწაც არ შემრჩა
 მკერდს დასაყრელი ნამცეცა მინის.
 მომნატრებია კვლავაც დარები,
 მტერო ტიალო, რად იმადლები?!.
 უამი დამდგარა ფარსადანების,
 უამი დამდგარა შადიმანების.
 და ფრთებს კი არა
 და ფრთებს კი არა, —

ძლივსლა მივათრეე დამსხვერეულ
 მკლავეებს,
 იმ ქვეყნად რამე შენ გიკვირს განა,
 სადაც ილიას და ზვიადს ჰკლავენ?!.
 გაყიდულია ამ ჩემს მამულში
 რბილი თუ ძვალი, გული თუ სული,
 ბოზი, ჩათლახი, თაღლითი, მრუში —
 ყველა თავისას ისრულებს სურვილს.
 და დავაღ ასე, მკერდზე იარით,
 სისხლის ნაკვალევს ვერა, ვერ მოშლი,
 აბა, რა არის გასაკვირველი
 ბერბიჭაშვილის საქართველოში?!.
 ...და მაინც, ვილაც რეკავს და რეკავს,
 გაბრწყინებულან ცისკრის არკები
 და ფეხს ვაბიჯებ სიკვდილის ეკალს
 და ღვთის წყალობით მაინც არ ვკვდები.

4. სათავე

მე შენზე ფიქრით ღამეებს ვათევ,
 ძლივსლა ვიოკებ ამ გულს გათელილს,
 თუკი არ ჰგავხარ ჭეშმარიტ ქართველს,
 სულაც არა თქვა, რომ ხარ ქართველი.
 ღამეთა შენთა მე ვარ მთვეელი,
 არდავინწყების შევცქერ ობელისკს,
 შენ ხარ ჭრილობა მოურჩენელი
 და შენ ხარ ცრემლი შეუშრობელი.
 თვალდაშრეტილმა რამდენი ვნახე
 თვალხილულთაგან მოუხილველი?!.
 მე მხრებზე მცემდნენ თვით ბედის სახრეს,
 ხვალ, ზეგ უკეთესს ნეტავ ვინ ელის?!.
 ამ უკვდავთაგან შენ ხარ მოკვდავი,
 ბერჯერაც ობოლ ცრემლსაც გადარე,
 მაინც ჩხრიალებს ბედის ონკანი
 და ღმერთს უპყრია მისი სათავე.
 მესმის წკრაილი ცისკრის ვარსკვლავთა,
 ხვალ მზე და მთვარე ვიხმე ნადებად,

რამდენი ვინმე დაპატარავდა,
 რამდენი ვინმე პატარავდება!..
 ქარი ტიალი როგორ მომძახის,
 ქარი ტიალი როგორ მომკივის?!.
 ჰგავს საქართველო მინდვრად მძოვ
 ნახირს
 უკვე აყრილი მძიმე ბორკილით.
 მე შენზე ფიქრით ღამეებს ვათევ,
 ძლივსლა ვიოკებ ამ გულს გათელილს,
 თუკი არ გავხარ ჭეშმარიტ ქართველს,
 სულაც არა თქვა, რომ ხარ ქართველი.

5. ნება განგების

ოდნავ უხეშად გავტყებ პური
 და წამსვე ვიგრძენ, რომ ცუდად გავხდი,
 თითქოს საკუთარ გულ-ღვიძლს
 ვღვებავდი.
 ჩავლილი არის ცხოვრება ნაღდი,
 მასკარადია ეს ყოფა სრული,
 ჩვენი ცხოვრებაც — ყოფნა ბეჩავის.
 ჰა, ეკლესიას ვარშემო ვუვლი,
 ვერ იქნა, კარებს ვერ მივაგენი,
 ეს ნიშნავს, ველარ ავიხდენ სურვილს,
 რა მკაცრი არის ნება განგების!..
 ღმერთო, მიბოძე მე ლუკმაპური, —
 ხორცის კი არა,
 სულის სარგები!..

6. უკანასკნელი კამარა

წასაგებელი მოვიგე,
 ნავაგე მოსაგებელი,
 სადა ხარ, ჩემო თოლიგე,
 ვერ ქედობს ქედი ბებერი?!.
 შემომრჩენია რა ცოტა,
 დავკარგე მართლაც რა ბებერი?!.
 დავცქერი ჩემივ ნაცოდვარს,
 ტირის რტო ჩამონაბელი.
 ვარ ამ მინის და ამ კირის,
 და სისხლისა და ამ ფერის,
 იქედან დალი დაჰკივის,
 აქედან კიდევ — აბელი.
 უკანასკნელი კამარაც,
 ვაი, რომ ველარ შევკარი,
 მაღლით ცვარ-ნამმა დამნამა,
 დაბლით ცრემლს მადენს დეკაი,
 ჩემგან შემორჩა არა-რა,
 მკერდზე ამომდის ეკალი,
 უკანასკნელი კამარა,
 ვაი, რომ ველარ შევკარი!..

7. ანარეკლი ცის

ისე, ვით თასს, ვილაც მავსებს
და ვილაცა მცლის,
მზერა მისი — სულის სარკე —
ანარეკლი ცის,
ისე მიჭვრეტს, ისე მჩითავს,
თითქოს ფრთხილად მცრის,
მოტეხილი ისე, ვით ფრთა,
ჩრდილი გდია ძირს,
არაფერი მე არ მოთქვამს,
ჩქამი იყო ცვრის,
ველოდები სწორედ იმ ქალს,
ცრემლია თუ ნვიმს?!
დუმილი ჰგავს პირქუმ ფიქალს,
ქარი ცრემლებს ცრის,
ისე, ვით თასს, ვილაც მავსებს
და ვილაცა მცლის.

8. თეთრი ხალევი

გადითენეს თეთრმა თელებმა
და მზე ამოდის, როგორც ბრალდება,
შენთვის არასდროს არ გათენდება,
შენთვის არასდროს არ დაღამდება.
სიკვიდილ-სიცოცხლე მართლაც ერთია,
დაღმართს დაუყვავ ვილაც ხელებით,
თეთრი ალგები ლაფარდს ერთიანი
თამარ დედოფლის თეთრი ხელებით.
გარდასულ დღეებს ტირის ჭრიჭინა,
ღმერთო მაღალო, ნეტაე რას მერჩი?!
დაცლილ თასივით ხელში მიჭირავს
გული კი არა, გულის ნახლენი.
მორჩა, არასდროს ვიქნებით ერთად,
იმ გარდასულზე ვტირი და ვგლოვობ,
რამდენი რამე მიბოძა ღმერთმა,
მაგრამ გავეცი მე უთავებოლოდ.
ან სინანული არის გვიანი,
რის მაქნისია ეს დარღვევ შენზე
და დავალ ჩემი დია იარით
და, ვით ნყალობას, ვარიგებ ლექსებს.
მე ამ ცხოვრებით ნაგვემს და ნაცემს,
ვიცი, ბევრი რამ მეპატიება
და ვთესავ ცრემლებს ისე, ვით
მარცვლებს,
გაზაფხულზე რომ მოვლენ იებად.
სუვეელაფერი თუმცა ბეღია,
მე რომ მწყალობდეს, სხვას ვის
წყალობდა?!

26015

და ღიმილს შენსას ოდნავ სევდიანს
ვიგონებ ისე, ვით ღვთის ნყალობას.

9. ჭეშმარიტ!..

ოქროს სანმისი ხარ მითიური,
ვერცხლის ცრემლებით ნაგვირისტალი,
ნესტან-დარეჯნის სურთქვა ღვთიური,
მთვარის სახით და ტანად მზის ტანით.
შვიდფერ ნანანაემი როცა ჩაინანავს
მზის ცისარტყელა ნელთბლ ზეფირებს,
ღმერთო, მომწყვიტე ამ დედამინას
თუნდაც წამიერ, როგორც ექვთიმე.
როგორც ექვთიმე ათონიელი,
ჭეშმარიტ ღირსი თორმეტ მამათა,
რომლის სიბრძნით და ქართულ იერით
ცა იბერიის ბევრჯერ განათდა.
დედა ღვთისმშობლის ხარ თვალთა
ბრწყინვა,
ხატი იბერთა უწმინდეს თრთოლვით,
შენი ცრემლების ეს მე ვარ ნვიმა,
შენი სითეთრის ეს მე ვარ თოვლი.
როგორ შრიალებს ეს კვიპაროსი?!
თვალებს ლაფვარდი მე ზეცის ვასეი...
და იყო უამი ჭეშმარიტ მოსვლის
და დადგა უამი ჭეშმარიტ ნასვლის...

10. მზა რომ ამოდის

მთვარე რომ ჩადის, მე ვგლოვობ იმ ნამს,
ცრემლად ვციმციმებ, მზე რომ ამოვა,
ეს მინა არა, არ არის მინა, —
ეს გაყიადული სასაფლაოა.
ვიცი, ვილაცამ შური იძია,
წლებმა გულცივად მეც ჩამიარეს
და მე, განკიცხულს, რა შემიძლია
და ბაგით ვკურნავ ღია იარებს.
ერთახუ ჩემი ძმა არის კუშტი,
ეთანულდი — ჩემი თეთრი დიაკო,
დავჯდეთ გვერდიგვერდ, ვით ადრე,
მუშნი,
და ლუკმა პური ერთად გავიყოთ.
და საესე თასი ერთად დაცვალოთ,
შიგ ვერცხლი ვთალოთ, ვით ძველთ
სჩვეოდათ,
რუსო პირშავო, იქნებ გვაცალო,
ნულარ დაცვქერი ფინთად ზემოდან.
ვიცი, გაგვირეს, მამულო ჩემო,
ვიცი, გაგვიდეს მხარე იბერის,
მტერი მოსულა, მოყვრობას ჩემობს,
ისე, ვით ნახირს, მტერი მიგვდენის.
მესმის ძახილი ძვირფას სამარის
და მე ვიგონებ დღეებს სანატრელს,
არა, ეს ზეცა ზეცა არ არის,
აქ თვით სისხლს სისხლს ვიგონებ.

საქართველოს
საგარეო საზღვარების
დაცვის სამსახური
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთვარე რომ ჩადის, მე ვგლოვობ იმ ნამს, ცრემლად ვციმციმებ, მზე რომ ამოვა, ეს მიწა არა, არ არის მიწა, — ეს ჩემი შვილის სასაფლაოა.

11. ...და ნატყვიარი მეც მტკივა მუხლი

როცა შაბათის დღე ხსოვნის გავა და დგება კვირის დღე — დიდი მწუხრის, ისევ ჩამესმის მე დედის ნანა და ნატყვიარი მეც მტკივა მუხლი. იქ ჩარჩა ჩემი სულის ნანილი — ოქროს სიზმრები ჩემი მომავლის, გულ-ღვიძლს მიღადრავს ხარბი არწივი, თვალებს მიკორტნის შავი ყორანი. და ძილს მიფრთხობენ სიზმრები ფერთა, სისხლის გემოს ვგრძნობ, წყაროს როცა ვსვამ,

მარჯვენა ხელი მტერმა მომკვეთა, მარცხენა კიდე — ჩემი მოყვანა. თავზე გადამდის ლურჯი ენგური, მკერდზე მეხლება თეთრი არაგვი, ვარ დაბადებით შენი ერთგული, მაინც ვერ ვპოვე შენში ალაგაი.

და ცრემლი აწვიმს და სისხლი აწვიმს მინას, წინაპართ ძვლებით ნაპოხარს და ვგვევარ ვაჟას მე დაქრილ არწივს, რომელსაც ხვალ-ზევ უამი გამოხრავს. გამწუნა შენი ცრემლების თქემმა და წვეთ-წვეთობით შენს მინას ვერთვი, ყველა ჩვენშია ცოტ-ცოტა ეშმა, ყველა ჩვენშია ცოტ-ცოტა ღმერთი. მაგრამ, ვაი, რომ ვერა და ვერა, ვერ მოვიშორეთ ეს სისხლის თქემი, რადგან სრულიად არა ვართ ღმერთთან, რადგან სრულიად არა ვართ ღმერთში.

12. შენც ქართველი ხარ?!

რა ხმაური და ეს რა ექოა, რტოს ალუბლისას ასე ვინ არხევს?! ეს დედამინა თავს დავგვეშობა, თუ არ ვიპოვნით საკუთარ საყრდენს. ...და მე სისხლიანს ვითვლი თარიღებს, უკანასკნელად შენ ვიხმობ ლოცვით, ჩემი წილხვედრი მიწაც წაიღეს, წაიღეს ჩემი სულიც და ხორციც. სად უნდა ვპოვო თავშესაფარი, რა პასუხი მაქვს, თუკი მკითხავენ: „შენც ქართველი ხარ,


შვილის საფლავთან ვერ გაითხარე?!“ როცა შაბათის დღე მწუხრის გავა და ვითვლი ცრემლებს, ვით ძვირფას მარჯვანს,

ისევ ჩამესმის მე დედის ნანა და არსაკიდის მეც მტკივა მაჯა.

13. შვილური ნიშანი

და თუ მიშველის, ბრძოლა მიშველის, რის მაქნისია ეგ ჩემი მძორი, რად ვარ გართული ასე ფიქრებით ისე, ვით ხარი, ბალახის ძოვით?! დე, მოსახდენი მოხდეს, მოვიდეს, თორემ გულს ბოღმა ცეცხლად ანთია, რომ საქართველოს მიწებს ოდინდელს ცხვრის დუმასავით ურცხვად ათლიან. მაშულო ჩემო, გნამდეს, სისხლს შენსას ეს სისხლი ჩემი წვეთ-წვეთად ერთის, ჰა, თავი ჩემი, მიიღე, ფუქშაშ, რადგანაც ჩემი ეს შენ ხარ ღმერთი. ვილაც მანიშნებს შვილფერად ნიშანს, ვილაც მეძახის ხელის სავსავით და ბედისწერის ვანყდები ჭიშკარს გზააბნეული ღვინიასავით. გული — ფოთოლი სექტემბრის ქარში როგორ ცახცახებს და როგორ მიცემს, და გულუბრყვილო ისე, ვით ბავშვი, ჩემივ სასახლის მე ვრანდავ ფიცრებს. ჩემივ სასახლის მე ვრანდავ ფიცრებს, ამ მძიმე საქმის ოსტატი დიდი, ვილაც მეძახის და ვილაც მინვევს გასაოცარი კრძალვით და რიღით. და მეც მოვდივარ და მეც მოვდივარ, ჩემო ლეიკო და ჩემო ზაზა, ვერ გამიგია, დღე ვარ, ბინდი ვარ, ცრემლებს ვთესავ თუ ცრემლ-სისხლის ნაზავს?!

როცა შაბათის დღე ხსოვნის გავა და დგება კვირის დღე — დიდი უქმის, ისევ ჩამესმის მე დედის ნანა და, ვით აქილევსს, მეც მტკივა ქუსლი.





გიორგი კიკვიძე

მითხარე, რომ ყველაფერი ხიბობაა

(ციკლიდან „დაუმთავრებელი მოთხრობები
ომზე“)

ძღვლებს ქალბატონ ანა წამაშვილს

ომი ომს არ ჰგავდა. მორიგეობის შემდეგ გვარდიელები სანგრებიდან პირდაპირ სახლობლებში ელოდებოდნენ, რომ უშუალოდ ფრონტის წინა ხაზიდან გამოსული კაცისაგან მოესმინათ ნუხანდელი პოზიციური ბრძოლების ამბები. მონინააღმდეგე მხარეები ერთმანეთის საზენიტო პოზიციებს ვერ აგნებდნენ და ამას ისე მიეჩვივნენ, დაბომბვისას ერთგვარი მეთოდურობა გამოიმუშავეს: ერთ, ალაღბებზე ამორჩეულ ადგილს ბომბავდნენ სულელური დაჟინებით. მდინარის გადაღმიდან ნალმმტყორცნებს ანიჭებდნენ უპირატესობას და ყველაზე უფრო მეტად ახალი რაიონის საცხოვრებელ კორპუსებს უშენდნენ. რას ეძებდნენ იქ გაურკვეველი იყო. ღამით ქალაქში ტანკები დაგროვებუნიდნენ და არავინ იცოდა, სად და რისთვის

მიდიოდნენ, მაგრამ ისინი მაინც იმედს უსახავდნენ ქალაქელებს და ქალაქელებიც უფრო მშვიდად და ღრმად იძინებდნენ.

ომი სიზმარს ჰგავდა, უსიუფეტოსა და დამძლელს. ქალაქში ყოველთვის იჭერდნენ ფრონტის ხაზს იქიდან გადმოპარულ ჯაშუშებს. მაისში კი, ზედიზედ ორი რადისტი დაიჭირეს. ნათელი გახდა, მონინააღმდეგე ქალაქში შემოგზავნილი რადისტების საშუალებით აპირებდა საარტილერიო დამუშავების ეფექტურობის გაზრდას. ქალაქელები ჯაშუშების დაჭერის მანიით იყვნენ შეპყრობილნი. უცნობები, თუ რამე საექვოდ მოეჩვენებოდათ, ერთმანეთს პასპორტებს სთხოვდნენ. ერთი რადისტი კი პირდაპირ ფანჯრიდან გადაეშვა და ასფალტზე პირქვე დამბობილი, უმოძრაო, ხელებგაშლილი და ჩაპუტკუნებული, გასაბერ სათამაშო თოჯინას ჰგავდა.

რადისტი მეოთხე სართულიდან გადმოხტა, გადმოხტომის წინ კი რაღაც გაურკვეველი შემოგვეყვია. მაიორმა, ვინც რადისტის დასაჭერად მოსულ ფჯუფს ხელმძღვანელობდა, ცარიელ ფანჯარას ესროლა. კიბეები ხრიგინით ჩამოირბინა, გარეთ გამოვარდა და ცხედარს, ყველასთვის მოულოდნელად, გულგრილად დააცქერდა. მერე თმებში სწვდა, თავი გვერდზე გადაუნია და სახეზე დააცქერდა, მაგრამ ეტყობა, რელიეფშეცვლილმა და გასისხლიანებულმა სიფათმა ზიზღი მოჰგვარა და ხელი უშვა.

— შემოფრენილი ჩიტია! — თქვა მან. შემოფრენილ ჩიტებს ფრონტის ხაზს იქიდან გადმოპარულ ჯაშუშებს უწოდებდა, ომამდის კი სოხუმურ ფარგონზე შემოფრენილ ჩიტებად ტურისტები ქალები მოისხენიებოდნენ.

მაიორი „ვილისთან“ მივიდა, რაცით შტაბი გამოიძახა და მაშინვე უშვერ გინებას მოჰყვა. ერთი ნუთით გინება შეწყვიტა, ხელქვეითებისკენ შემოტრიალდა და ბრძანება გასცა, ცხედრისთვის ზენარი გადაეფარებინათ, მერე ისევ რაციას მიუბრუნდა და შტაბთან საუბარი განაგრძო. გვარდიელებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე „კამიკაძე“ რადისტის ცხედარი და ბოლოს კორპუსის ფანჯრებზე სარეცხივით გადმოფენილი მობინადრეები მოათვალიერეს, მაგრამ, ამ უკანასკნელთაგან არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ზენარს დათმობდა.

— ზენარი ვერ იმოვეთ? — იკითხა მაიორმა, მას შემდეგ, რაც შტაბი დედის გინებით დაარწმუნა, რომ რადისტის ცოცხლად აყვანა მართლა შეუძლებელი იყო.

— რა ფუყით ახლა ამ ნაგავს? — პათეტიკურად იკითხა მან და ისევ გულგრილი გახდა. სწორედ ამ გულგრილობით დაიმსახურა კორ-

პუსის ბინადართა პატივისცემა, ის კი არადა, მონივნებაც კი, რადგან, როცა გულგრილობის ნიღაბს ირგებდა, ჭკვიანი და მოკვანისმანხველი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— ზენარი რა ფეხებზე ვინდა, ტომარა მოატანინე და შიგ ჩავაგდოთ, — ვუთხარი მაიორს. — ზენარი, თორემ შტაბიდან კრიმინალისტებს გამოავაზვინა! — ალბათ კინოებში ენახა, საგანგებო სიტუაციებში დაღუპულებს ზენარს რომ გადააფარებენ ხოლმე კრიმინალური ექსპერტიზის წარმომადგენლების მოსვლამდე, რათა მშვიდიბინა მოქალაქეებს გვამის დანახვაზე გული არ ნახვლიდათ. ხალხს გვამი არ უნახავს, თუ რა არის?!

მაიორი ოცდარვა წლის ჭალარა მამაკაცი იყო — სუსტი, მაღალი და კოპნია. კოპნიაობა თითქოს დედის მუცლიდან დაჰყვა. არიან ადამიანთა ისეთი ტიპები, რომელთაც ესა თუ ის თვისება დაბადებიდან დაჰყვებათ ხოლმე. მაიორი, მაგალითად, საამისოდ ბევრს არ ირგებოდა, რომ კოპნია ყოფილიყო, ეს თავისთავად, ბუნებრივად გამოსდიოდა. მაიორმა ისევ შტაბში დარჩეა და გვამის გადასვენებელი მანქანა მოითხოვა.

— ნავედით, ბიჭებო! — თქვა მან. — ავალთ და კარგად გავჩხრეკთ იქაურობას, — შევთავაზე მე. მაიორმა მხრები აიჩქაა და ვილისს მიეყრდნო.

— შტაბელი ვირთხები... მხოლოდ ბრძანებების გაცემა იციან და მეტი არაფერი! — თქვა მან. ეტყობა, შტაბში რადისტის თვითლიკვიდაციით მეტად უქმაყოფილონი დარჩნენ.

მაიორმა რაკი შემატყო, რადისტის საფარად გამოყენებულ ბინაში გასაჩხრეკად ასულა გადავიფიქრე, საკმაოდ პენიანად გადააპურჩქა და გულზე ხელები დემონსტრაციულად დაიკრეფა. ის ორ შემთხვევაში იკრეფდა გულზე ხელებს — როცა უქმაყოფილებას გამოხატავდა და ბავშვივით იბუტებოდა, ან პირიქით, როცა მას ებუტებოდნენ.

— გაჩხრეკეთ თუ ჩხრეკეთ! — თქვა მან. მაიორი ჩემი ცოლისძმა იყო, ამიტომ მე მის მოადგილედ ვითვლებოდი და ფაქტობრივად ასეც გამოდიოდა, რადგან მასთან შეპასუხებას მხოლოდ მე ვებედავდი.

რადისტის საფარად გამოყენებული ბინა ტიპიურ სამოთახიან ბუნავს წარმოადგენდა, კარგი ავეჯით განყოფილ. ჩხრეკის დანყებადმდე, მეზობლებიც შეუყარეს, ჩვენი ნასვლის მერე, კონტრდაზვერვის გაფუფული და თვითუქმაყოფილი თანამშრომლების მოსვლამდე ბინას თუ გაძარცვავენ, ჩვენთვის

რომ არ დაებრალბინათ, ჩხრეკისას ხელს რალაც-რალაცები გააყოლებს.

ბინის ჩხრეკის სურვილმა მამნივე ვადამიარა, როგორც კი მეზობლებთან ერთად ბინაში აღმოვჩნდი. იმ ფანჯარასთან მივედი, რომლიდანაც რადისტის გადმოხტა და რომ შემოფიქრიალდი, მეზობლები ისე შემომიყურებდნენ, როგორც გამოძიებელს უყურებენ მოწმიებად მონვეულები.

— ბინის პატრონი ოთხი თვე გადაკარგული იყო ცოლ-შვილიანად. გუშინწინ შევხვდი ქუნაში, თავი ამარადა. ვიფიქრე დაბრუნებულა-მეთქი, მაგრამ შუქი არ აუნთია, მერე ისიც ენახე ბინაში როგორ შევიდა, სინათლე ისევ არ აუნთია და ამან დამაეჭვა, სიბნელებში რა ამყოფებს-მეთქი ვამიკვირდა, — თქვა მეზობელთაგან ერთმა, მოკლემკლავება ქალმა, რომელიც, როგორც ყველა დაბალი და ჩამრგვალეული ქალი მეტად თავდაჯერებული ვინმე ვახლდათ. — ჩუმქუმლა კი იყო, ეჭვიც გექონდა ამ ომში ჩვენი მხარე რომ არ ეჭირა, მაგრამ იმას ვერავინ წარმოიდგენდა, აგენტის თუ იყო და თანაც რადისტს იფარებდა... ჰოდა, ავედვი და ჩემს ბიძაშვილს დავურეკე. ჟურნალისტი კაცია, სამხედრო გაზეთში მუშაობს, თქვენც გაგონილი გექნებათ...

— ბიჭები მოვლენ და ყველაფერს გაარკვევენ! — ვთქვი მე.

ქალი, რომელიც კიდევ რალაცის თქმას აპირებდა, გაჩუმდა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. მივხვდი, რომ მთვრალი ვეკონე.

— მივედივართ, ბიჭებო! — ვთქვი და აღმოვაჩინე, რომ მაიორივით გულზე ხელები დამეკრიფა, გადააპურჩქების სურვილმაც კი ნამომიარა. — სხვაც ბევრი გვაქვს საქმე! — მკაცრად ვთქვი და ჩემს წინ მდგარი საჯარძელი ფეხით ვავინე. საჯარძელი იმაზე მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა.

მაიორს გადაწყვეტილება შეეცვალა — თავისი ტყუილ დის ალი-კვალი იყო.

— მანქანას უნდა დაველოდო! — თქვა მან და ანდროს სადარბაზოს შესასვლელიდან ინტელიგენტური შესახედაობის მამაკაცი გამოვიდა დაკეცილი ზენრით ხელში. პირდაპირ მაიორისკენ დააღწრა თავი და ზენარი ორივე ხელით გაუნოდა, როგორც რუსებმა იციან საბაქო სტუმრებს მარილსა და პურს რომ მიართმევენ ლანგრითა და ნელში მოხრით, დაახლოებით ისე. მაიორმა ზენარი ცალი ხელით გამოართვა და ინტელიგენტს დიდსულოვნად დართო ნება მასავით მანქანას მიყრდნობოდა. ინტელიგენტმა მაიორს სტუმართმოყვარეობა არ დაუფანა, დანჯღრულ „ვილისს“ არ მიყრდნობია. ორმოც წლამდე იქნებოდა, დაბანულ-დავარცხნილი და სტერილური.

მე ზენარი გვამს გადავაფარე.

— სად არიან ამდენი ხანი, მოდიან თუ არა?! — ვკითხე მაიორს.

— შტაბელებზე ზანტები არაინ მინახავს! — მიმართა მაიორმა ინტელიგენტს. მაიორს შტაბელების მიმართ ნამდვილი აღერგია სჭირდა. მეც არ მიყვარდა შტაბელები, მაგრამ მაიორს ისინი განსაკუთრებით არ უყვარდა.

ინტელიგენტს სუფთად და ფაქიზად ეცვა. ეტყობოდა, რომ მტკიცე ხასიათის პედანტი იქნებოდა. პროვინციული ინტელიგენტები პედანტები არიან. ისინი დედაქალაქელ ინტელიგენტებს ეჯობებიან გაუთვინციობიერებლად და რატომღაც, საკუთარი ხასიათის დახვეწის პროცესში, პედანტები ხდებიან.

— ცუდი ამბავი დატრიალდა! — თქვა ინტელიგენტმა რაღაცნაირი დაჟინებით. ჩვენი დადნაშაულება არც უფიქრია, მაგრამ მაინც ირე გამოუვიდა, თითქოს ჩვენ გვდებდა მომზდარში ბრალს. ამაზე მაიორი, ჩემდა გასაკვირრად, არ გაბრაზებულა.

— უარესიც ხდება! — განაცხადა მაიორმა.

ზევით რომ ავიხედე, ის მოკლემკლავება ლოტოს კოჭი შეენიშნე. ფანჯარას გადამოჰყუდებოდა და ბავშური ცნობისმოყვარეობით გვათვალიერებდა. შევატყვე, ისევ მთერალი ვეგონე და ხასიათი გამიფუჭდა.

— ორი კაცი დატოვოთ და ნავიდეთ! — ვუთხარი მაიორს და ამ დროს ინტელიგენტი, თითქმის შოფრული მანერით, მანქანას მიეყრდნო, თითქოს ჩვენი გაშვება არ უნდაო.

— დაველოდით! — მითხრა მაიორმა და ისევ ინტელიგენტს მიუბრუნდა. — დაილაღნენ ბიჭები, — თქვა და უცებ დადლილი კაცის გამომეტყველება აღიბეჭდა სახეზე, ალბათ, იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ დაილაღნენ მისი ბიჭები. ინტელიგენტი და მაიორი რაღაცით ჰგავდნენ ერთმანეთს.

— ომს კანონები არ გააჩნია! — თქვა მაიორმა.

— როგორც ცხოვრებას, საერთოდ! — მიუგო ინტელიგენტმა.

მანქანას მიყუდებული ორი ფილოსოფოსი სიბრძნეს აფრქვევდა სენტენციების ფიერვერკებად. შესანიშნავი სანახავი იყო.

— შესანიშნავია! — ვთქვი მე.

— რა შესანიშნავი? — მკითხა მაიორმა და გვამს გადაფარებულ, სიმეტრიულ ნაკეცებიან ზენარს შეხედა. ამ ნაკეცების შემხედვარემ გავიფიქრე, ზენარი პედანტი ინტელიგენტის დაუთოვებული იქნება-მეთქი.

— მალე აქ იმდენი ხალხი მოგროვდება,

ერთმანეთს მოხაძებნად შტაბში მოგვიწვევს დაწინავე და ჩვენი კოორდინატების გადაცემა... ან კიდევ სასიგნალო მამხალების ცაში აშვება...

— ხალხი უნდა დავშალოთ, — ისეთი ტონით თქვა მაიორმა, თითქოს ისევ სენტენციას გამოთქვამდა.

ამ დროს სადარბაზოს შესასვლელთან ლოტოს კოჭი გამოჩნდა, თვალებით ერთმანეთს შევხედეთ, სწორედ ისე, როგორც ორი ადამიანი შეეჩეხება ქუჩაში შემთხვევით ერთმანეთს. ლოტოს კოჭმა ხელეებით ჰაერი მოფხოჭნა და იკვირე ჰაერი ისე ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს წყალში აპირებს ჩაყვინთვასო. სადარბაზოდან გამოსვლას არ აპირებდა და მოუთმენლად ელოდა, როდის მივაკითხავდი იქით.

— რაღაც ხდება, — ვთქვი და ლოტოს კოჭისკენ გავემართე. მას ტურები გვერდზე მოქცეოდა, სახე ნაშოთილებოდა და თმაც განეწვოდა. მისვლისთანავე მაჯაზე წამავლო ხელი და მომიჭირა.

— ის ბიჭიც აქაა! — თქვა მან, ისევ დაქანა თვალები და ფილტვებში დაგროვილი ცხელი ჰაერი შემომასუნთქა, რეფლექტორი რომ შემოგაფრქვევს ჰაერს ისე. კინაღამ გული ამერია, თითქოს ის შემოსუნთქული ჰაერიც გაოფლიანებული და სლოპინა ყოფილიყოს მისი შემომსუნთქევილიც. — ზევიდან არ მინდა დამინახოს, ხომ გესმით?! პირდაპირ სახურავისკენ ნავიდა...

— ვინ ბიჭი? — ვკითხე მე.

— ბინის პატრონი, — თქვა ქალმა. — ბინაში იმალეობოდა თურმე... სახურავისკენ ნავიდა...

უცებ ისეთი გრძნობა დამეფულა, თითქოს ეს ყველაფერი ოდესღაც გადაამხდნოდა თავს — მქშინავი და მოთუხთუხე ლოტოს კოჭიც და ის ზენარგადაფარებული გვამიც სწორედ ისეთები იყვნენ, როგორც წინა, მაშინ, როცა მსგავსი რაღაცა გადაამხდა.

ლოტოს კოჭი უცებ დანყნარდა და ისევ ხელში ნამეტანა.

— რა უნდა ქნათ? — იკითხა მან და სანამ პირს დაფალებდი, მანამ მიხვდა რაც უნდა მეკითხა მისთვის. — მწვანე მისისური აცვია, ზუჭუჭაა, ქერა, მაღალია და სუსტი, — მოკლედ და ოპერატიულად ამიღწერა მისი გარეგნობა.

ღამა უკვე მიმხედვარიყო, რომ რაღაცა ხდებოდა და ჩვენსკენ დაიძრა. მე მაიორიც მოვიხმე თითით.

— ახლა იმ ქალარა კაცს უამბეთ ყველაფერი და სხვა სადარბაზოებიდანაც წამოგვახმარს ხალხს! — ვუთხარი ქალს.

სანამ მაიორი ქალთან მივიდოდა, მე და ლაშას პირველი სართულის კიბეები უკვე ავილილი გვექონდა.

— ვგრძნობდი, რომ კიდევ ვილაცხა უნდა ყოფილიყო, — მითხრა ლაშამ. თითქოს დიდი ხნის წინათ ნანახი და ახლა გაცხადებულნი სიზმარი გრძელდებოდა.

— უნდა მოვასწროთ, სანამ ესენი სირბილსა და ფაციფუსს ატყუნებენ და ის ნაბიჭვარიც მიხედვლობდა, რომ შემწნეულია, — ვთქვი მე და კიდევ უფრო ღრმად შევიჭყერი სიზმარში. სიზმრიდან გამოსვლა და უკან დაბრუნება მომინდა, მაგრამ ვერ დავებრუნებოდი.

სართულბზოს შორის, კიბის ბაქანზე შევიჩერდი და სადარბაზოს ბეტონის დეკორატიულ სარკმელში გაყავი თავი. ქვევით უკვე გადაბრუნა-გადმობრუნებში იყვნენ. მაიორი დირიჟორივით იქნევდა ხელებს და ხალხს სადარბაზო შესასვლელებისკენ ანანილებდა ალყის მოსაწყობად, შტურმისტოვის ორ-ორ კაციან ჯგუფებს ქმნიდა. პირველად ინტელიგენტმა შემამჩნია და მაიორს რაღაცა უთხრა, მაგრამ მას არ გაუგია. მაიორი თავის სტიქიში იყო.

— იდიოტები! — ვთქვი მე. — ვერ მოვასწარი!

უცებ, ჩემდა მოულოდნელად, შევიგინე. მგონი მაიორს ვაგინებდი. ამას მერე მიხვდები, როცა მაიორს ვუყურებდი, თუ რა თავბრუსდამხვევი სისწრაფით მოხდა ყველაფერი. ლოტოს კოჭს რომ სცოდნოდა სახურავზე გამსვლელი კარი ბოქლომით იყო ჩაკეტილი, იქნებ სხვანაირად დამთავრებულიყო ეს ამბავი. მაგრამ, ყოვლისცოდნე ლოტოს კოჭებმა, ამ მოკლემკვლავება თავდაჯერებულმა არსებებმა ის არ იციან, რისი ცოდნაც ევალებათ, სხვა ყველაფერი დანვრილებით იციან.

ის, ვისაც ვეძებდით სახურავზე გამავალ კარებთან იდგა სიზნელები და შიშისგან გაფართოებული თვალები ფოსფორიანივით უელავდა. კუთხეში მიმწყვდეულ მხეცს ჰგავდა, სჯეროდა და არც სჯეროდა, რომ გაიჭყედა. მაშინვე მიგრძნო გულმა, რომ სროლას დამასწრებდა. თითქმის ერთდროულად ვისროლე. ჩემი ნასროლი მკერდა და მუცელში მოხვდა. წელში მოიხარა, მუცელში ნიხლოზვედრილი კაცი რომ მოიკაკეცება ტკივილისგან ისე, ტყვიებმა წელში მოხრილივე გაისროლეს უკან და კედელს მიანბრცხებ, დაახლოებით ისე, უნიჭო მსახიობები რომ კვდებიან კინოებში. ლაშა მოწყვეტილად დაქანდა უკან. სიკვდილის წინ ვერც მოასწრო მწვანემისურიანის დანახვა. ერთი ტყვია მარცხენა თვალს ქვემოთ მოხვედროდა,

მეორე კი შუბლში. მწვანემისურიანი კარგი მსროლელი აღმოჩნდა. ყველა ვერც შენდებდა მსგავს სიტუაციამ „მაკაროვიდან“ ასეთი სისუსტით გასროლას.

ლაშას მზერა უცებ გაეყინა. თვალებში ნუნილისა და გაციების გარდა გაუცნობიერებელი შიშაც ჩაჰბუდებოდა.

მომეჩვენა, რომ მწვანემისურიანი გაიძრა და მჭიდში დარჩენილი ტყვიებიც დავახალე. ლაშა კიბეებზე იწვა, თავით ქვევით და მე მისი ბაქანზე გადასვენება მოვიწოდებ, მაგრამ ვერ შევძელი. განცდილი შიშისგან უცერად გამომეცალა მკვლელები ძალა და და რომ არ წავეციეულოყავი, კიბის მოაჯირს ჩავეყვდი.

მაიორი პირველი ამორბოდა კიბეებზე. თვალი მომკრა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რომ ლაშა მკედარი იყო. მიხვდები, რომ მიხვდა.

— რა სირბილი აგიტყვიათ, ნაბიჭვრებო! — ვუყვირე მე. მეგონა სისუსტეს ვერ შემატყობდა, მაგრამ შემატყო, ხელი წამავლო და კიბის ბაქანზე ჩამომიყვანა.

მე ისევე ის ვერ მომენელებინა, დაცემისას როგორ დამისხლტა ხელიდან ლაშა და უკვე მკვდარმა როგორ დაჰკრა კიბის საფეხურს თავი.

მაიორი ცდილობდა ავტომატი გამოერთმია, მაგრამ არ ვანებებდი.

— თავი დამანებე, — ვუთხარი. მაიორმაც თავი დამანება და მწვანემისურიანის დასახედა ავიდა.

— სახურავზე გამსვლელი კარი ჩაკეტილი ყოფილა! — თქვა მან.

ფეხით გადმოაბრუნა გვამი. მწვანემისურიანს ხელი გადმოუფარდა და ისე გაშალა, თითქოს რაღაცისთვის მადლობას იხდის რევერანსით და კინალამ ისევე ვესროლე. ეს ეტყობა მაიორმაც იგრძნო და გადმოიხედა.

— ჩაიყვანეთ ქვევით! — ბრძანა მაიორმა.

— ჩემი ჩავალ, — ვთქვი, მაგრამ ვერსად მივდიოდი, თითქოს დაბმული ვიყავი. პირი მიშრებოდა და მგონი მწყუროდა კიდევ. ქვემოთ ერთ-ერთი ბინის კარი გაიღო. ვილაცხა გარეთ გამოხედვას ცდილობდა და წელა აღებდა კარს.

— კარი დაკეტეთ! — ვიყვირე და კარიც იმავე წამს მიიკეტა.

— ჩაიყვანეთ ქვევით! — თქვა მაიორმა.

— კარგად ვარ! — ვუთხარი მაიორს. — ნუ ყვირი!

ლოტოს კოჭი კიბეებზე შემეფეთა და მაშინვე წელში ჩამაფრინდა.

— ხელი გამიშვი, — ვუთხარი მშვიდად. არაფრის თავი არ მქონდა, თორემ ერთ მჭიდს მასაც დავაცლიდი. ის ბუსტივით დაიწუტე-

ბოდა და ამ დროს, ალბათ, თვალღმში შევება ჩაუდგებოდა: ვერაფერი სიამოვნებაა მთელი ცხოვრება გაბერილ ბუშტად ყოფნა.

თვითონაც არ ვიცი რატომ, მაგრამ მწვანე-მისურიანის ბინაში შევედი და პირდაპირ „ხალის კედლიდან“ დავინყე. ერთი მქიფი დავაძვალე მის კარებს. მერე საძინებელში გადავინჯვლე და ახლა იქაურ კარადას მივდექი. უკან რომ მოვიხედე, მაიორი დავინახე. მშვიდად შემომყურებდა და ორთქლის გამოშვებას მაცლიდა.

*

მაიორმა ნანას უთხრა, რომ ლაშას სიკვდილში თავს ვიდანაშაულებდი. ნათქვამი ისე გამოუვიდა, თითქოს ისიც მე მთვლიდა დამნაშავედ. მე კი არაფერზე ვფიქრობდი, უბრალოდ ვინეკი და არ მეძინებოდა.

ოფლად ვიღვრებოდი, რადგან იმ ღამით აუტანლად ცხელოდა. ვინეკი და ნვიმას ველოდებოდი. ნვიმაც წამოვიდა და ნანამ ჩათვლინა, მაგრამ მალე ისევ გამოეღვიძა. მიხედავდი მეკითხა, რომელი საათი-მეთქი, მაგრამ არ მიკითხავს. ნანა უსაათოდ არ იძინებდა, ეს ჩვევა ომამდე გამოიჩნუშვა, როცა მანანაველებლად მუშაობდა. ბალისის ქვეშ მავის საათს ამოიდებდა, რადგან მე მაგიდის საათის ნიკნის ვერ ვიტანდი. მას მერე ეს ჩვევა შემორჩა.

— ჩემთვის ომი გათავდა, — უთხარი ნანას.

— რა თქვი? — მკითხა მან.

— ჩემთვის ომი გათავდა! — გავიხიორე.

ნანა მაიორივით დავკვირვებულნი ფსიქოლოგი არ იყო და ამიტომ ვერ მიხვდა, რომ ამას ისე ვამბობდი, სიტყვის მასალად და რომ სინამდვილეში ომს თავს ვერ გავანებებდი.

— ძალიან კარგი! — თქვა ნანამ. — ძალიან კარგი, თუ მართლა ასე ფიქრობ... გიორგისაც ეყოფა, რაც ავტომატი ირბინა!

ნანა ძმას შემოკლებით „ვიას“ კი არ ეძახდა, როგორც სხვები, არამედ „გიორგის“. ქალს ყოველთვის სურს აბლობელი მამაკაცის სრულყოფა. ნანა მაიორის სრულყოფას იმ დროდენ, რაც საკუთარ თავში ქალი შეიცნო, იმით ცდილობდა, რომ ძმას სრულ სახელს ეძახდა და ამით საკუთარი თავის პატივისცემას უნერგავდა. ამას ჩემით მივხვდი. კარგა ხანს ვფიქრობდი იმაზე, თუ რატომ ეძახდა ნანა მაიორს „გიორგის“ და არა „ვიას“, როგორც სხვები, თუნდაც მათი მშობლები. თუმცა, სიამამს არ მოვსწრებოვარ, მაგრამ ვიცი, რომ ის ვაჟიშვილს შემოკლებულ სახელს ეძახდა.

ნანასთვის მიხდოდა მეთქვა, რომ სულაც

არ ვგრძობდი თავს დამნაშავედ ლაშას სიკვდილში, მაგრამ არ მითქვამს. მე მხოლოდ ერთი რამე მიხდოდა, რომ ნვიმას დილაშდე არ გადაელო.

— ზავმეზიცი ხომ უნდა ნახო, — მითხრა ნანამ. — რამდენი ხანია ზავმეზიცი არ გინახავს. შევატოვებ იმ ქულს!

ნანას დედა შვილიშვილებით თავის დასთან იყო გახიზნული.

— გიორგის ცოლი რომ შევრთო, იქნებ გაანებოს ომს თავი, — თქვა ნანამ.

ცოლიანი მაიორის წარმოდგენა ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა.

ნანას კიდევ უნდოდა რალაციის თქმა, მაგრამ მე ამოვიოხრე იმის ნიშნად, რომ საუბარი არ მსურდა და ისიც გაჩუმდა. აღიით კი აღმოვარინე, რომ უქმალ ვერ გავჩერდებოდი, უბრალოდ ვერ გავძლებდი ისე, რომ არაფერი მეკეთებინა. ალბათ, ნვიმამ იმოქმედა. ღამით ნვიმა კარგია, დღისით კი საშინელებაა. მთელი დღე წვიმდა. შტაბში წავედი. ცოტა ხანში ნანამ დარეკა, მამისეული სახლიდან რეკავდა. მაიორიც იქ იყო.

— რას აკეთებ შტაბში? — მკითხა მაიორმა.

— არაფერს! — მივუგე მე.

— აქ მოდი! — მითხრა მაიორმა.

— რატომ? — ვკითხე მე.

— გელოდებით! — თქვა მაიორმა და ყურმილი დაკიდა.

იმ დროისთვის უკვე მოვასწარი მთელი შტაბისთვის დაწერილებით მომეყოლა, თუ როგორ დაილუპა ლაშა. ნანას ზარის შემდეგ ვიგრძენი, რომ შტაბშიც ვერ გავჩერდებოდი და სახლში წამოვივდი. შინ რომ მივედი, სველი ტანსაცმლის გასაშრობად ღუმელში ცეცხლი დავანთე და უსაქმურობისგან ჩაის სმე დავიწყე. ვსვამდი მაგარ ჩაის და თავისუფლებით ვტკბებოდი. ჩემი სახლის ტელეფონი კარგა ხანი იყო არ მუშაობდა, საუკეთესო შემთხვევაში ორი საათით თუ გავრძელებოდა ჩემი მარტო ყოფნა, სანამ ჩემი გაუჩინარებით შემუფთებულ მაიორი და ნანა არ მოვადრეოდებოდი სახლში.

შტაბში გენერალური რეპეტიცია გავიარე. ან კი, ლაშას სახელულობისთვის მომიხედავდა იმის მოყოლა, თუ როგორ დაილუპა ლაშა. ამავ რამე ვფიქრობდი, იმასაც მივხვდი, თუ რატომ არ დავახალე თავში ტყვია მწვანემაიორიანს (ის სულ თავისი მწვანე მაისურით მედგა თვალწინ). იმიტომ კი არა, რომ შემეშინდა არ ამეცილებინა. იმიტომ, რომ ლაშამ დაცემისას თავი კიბის საფეხურს დაჰკრა უკვე მკვდარმა. ვერ მომიხედავინა, ხელის შემეველება რომ ვერ მოვასწარი, თითქოს ამას

გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, თვით ლაშას სიკვდილზე უფრო მთავარი. იმაზეც არ შემეძლო მეფიქრა, ჩემი ბრალი იყო ლაშას სიკვდილი თუ არა. ნანას კი ეგონა, ლაშას სიკვდილში თავს ვიდანაშაულებდი.

პირველი ნახვისას ნანა იმიტომ მომენონა, რომ ნათელი თვალები ჰქონდა. როცა ქალს ნინოსავითი ნათელი თვალები აქვს, გვონია, რომ ის ღმერთმა შენთვის შექმნა ასეთი ნათელი და მეტყველი თვალებით — შენს მიერ მიცემული სპეცშეკვეთით გაისარჯა, როცა ქვეყნიერებას მოავლინა. შერე ვნახე, ნანას ძველსაც ასეთივე ნათელი თვალები ჰქონდა. ეს მაშინ შევაძინე, როცა თავსლონის თვემ გაიარა და დედა გარდამეცვალა. გარდაცვლილ დედას რომ დავყურებდი, აღმოვაჩინე, რომ მის სახეს სრულად არ ვიცნობდი. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, არავინ არ იცნობს დედის სახეს სრულყოფილად, მანამ, სანამ არ გარდაიცვლება და სახეზე სრული სიმშვიდე არ გადაეფინება. პოდა, ჩემდა უნებურად, ყველას ვაკვირდებოდი სახეზე და აღმოვაჩინე, რომ მაიორსაც ზუსტად ნანასავით თვალები ჰქონდა. მეერ ჩვენი უმცროსი გოგოც მოველნა ქვეყნიერებას და მასაც დედამისის ნათელი თვალები დაჰყვა.

მაშინაც, როცა გარდაცვლილ ლაშას ვუყურებდი, ისეთი შერდამნება დამეფლდა, თითქოს მის ნამდვილ სახეს დავცქეროდი, რადგან საბოლოოდ რომ გაცივდა, სახე დაუმშვიდდა.

ნანა ლაშას დამ გამაცნო. ლაშას და, ლაშა და მე ერთ სკოლაში ვსწავლობდით, რუსულ „მ“ მაგვარ, ხის იატაკქრინალა ძველ შენობაში. მე და ლაშა პარალელურ კლასებში ვიყავით. ლაშას და ძალიან ლამაზი გოგო გახლდათ, ჩვენზე ორი წლით უფროსი იყო და ის ლაშასგან მალულად თეთლი კლასის ბიჭებს მოგვეწონდა და, არა მარტო ჩვენი კლასის ბიჭებს. სამხეტობრო სავალდებულო სამსახურიდან რომ დავებრუნდი, ლაშას და გათხოვილი დამხვდა, მაგრამ სკოლიდან შორს ვერ ნასუღიყო — ქმარ-შვილი რომ ერჩინა სკოლის გვერდით გასტრონომში დაენყო მუშაობა გამყიდველად. ინსტიტუტში კი გამოცდებს, ლაშას დის მაგვივრდა, მისი უქნარა ქმარი აბარებდა. ქმარს მეტსახელად „მუსოლინი“ ერქვა. მუსოლინი მიდიოდა ლექტორებთან და უტიფრად სთხოვდა მისი ცოლისთვის ნიშნები დაენერათ. ლექტორებიც უწერდნენ. არ ვიცი არატომ, მაგრამ უწერდნენ. ლაშას ლოთი სიძის მორჯულება რომ მოსწყინდა, მასთან ჩხუბს თავი გაანება — ამას მისი დაც კარგად ახერხებდა.

საკმაოდ მზიარული ოჯახი ჰქონდათ,

უფრო სწორად, მუსოლინი იყო მზიარული და ორიგინალური ვინმე. ჩემზე და ლაშაზე ათი წლით იყო უფროსი და მტკიცედ გახლდათ დარწმუნებულნი, რომ ის ცოლს უნდა ერჩინა. ბოლო დროს ლუდმა ისე გაასუქა, რომ ბევრი ვერც ცნობდა.

მუსოლინი, ნანა და მაიორი ერთად მოვიდნენ (მაიორს წოდება მეტსახელად გადაქცევდა. ომის დროს ნანას გარდა ნადვლის სახელით არავინ მოიხსენიებდა). მუსოლინს ლაშას დალუპვის ამბავს რომ ვუყვებოდი, ის მდუმარედ მისმენდა. ლოთებისთვის დამახასიათებელი ფლეგმატურობით ცდილობდა წარმოედგინა ცოლისძინის დალუპვის სცენა და ამიტომ დინჯად და დანერგებით მოვეყვები ყველაფერი. მუსოლინს ლაშა ძალიან უყვარდა, ოღონდ ამ სიყვარულს არ ამჟღავნებდა. ლაშამაც იცოდა, რომ სიძეს უყვარდა, მაგრამ მაინც არ იყო მუსოლინის მიმართ ისეთი პატივისცემით გამსჭვალული, როგორც მუსოლინი მის მიმართ.

მუსოლინს, რაც გასუქდა მას შემდეგ, ზაფხულობით პერანგი არასოდეს შეუკრავს. სულ პერანგგადელილი დადიოდა. მისი თავფლისფერი თვალებისთვის სარკაზმინი მზერით გამასპინძლება ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობას ნიშნავდა და ეს ღიმილი მის საეიზიტი ბარათს წარმოადგენდა — აბრის მაგვარ რალაცას, ისეთს, როგორც შენობებზე ვაკრული და იტყობინება, ამ შენობაში ესა და ეს დანესებულება არის განლაგებული. მუსოლინის ღიმილიც იმას იტყობინებოდა, რომ მის პატრონს ჭკვიან კაცად ყოფნის საკმაოდ დიდი პრეტენზია ჰქონდა. ცხვირსახოცი გრძობდა გაკეცავდა და ყელზე შემოიხვევდა, რომ პერანგის საყელი არ გაჭუჭყიანებოდა. ქალაქის პლაქს დინჯად ჩამოუვლიდა ხოლმე, ხელებს ზურგსუკან შემოიხუცობდა და სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა აღუტყდილი, თითქოს პლაჟზე მყოფი ქალები იმის მოლოდინში იყვნენ, თუ რომელმა მათგანს გახდიდა თავისი ყურადღების ღირსად. თითქოს საკმარისი იყო, პლაჟზე მყოფ ქალთაგან რომელიმე თითით მოეხმო, რომ მის მიერ მოწონებულ ქალი მაშინვე გამოიქცეოდა და კისერზე ჩამოეკიდებოდა. დადიოდა და დროდადრო რემლიკებს ისროდა რომელიმე ქალის მისამართით. ერთი სიტყვით, მუსოლინი მეტად უცნაური და მეტად თავდაჯერებული ვინმე იყო. ომის მიმართაც ისე იყო განწყობილი, როგორც პლაჟური ცხოველების მიმართ — არ ეუროდა, მაგრამ თვალს ადევნებდა და რემლიკებს ისროდა.

მუსოლინის ეს მეტსახელი სკოლის მასწავლებელმა შეარქვა, რადგან ვაკვეთილებზე ის

ნამდვილი მუსოლინივით ბერავდა ლოყებს და სულელურად იმანჭებოდა.

თხრობა დავასრულე, მუსოლინის შევხედე და პირველად მაშინ მივხვდი იმას, რასაც მანამდე უნდა მივმხვდარიყავი (ან, თუ უკვე მიმხვდარი ვიყავი, საკუთარ თავს უნდა გამოვტყდომოდი): ყველას ასე ეგონა, რომ მაშინ, როცა მე და ლაშა კიბეებზე ავრბოდით, განგებ ჩამოვარჩი ლაშას, რათა ხიფათისთვის თავი ამერიდებინა. იმასაც მივხვდი, რომ საპირისპიროში ვერავის დავარწმუნებდი და მაშინ ისეც დამიბრუნდა იმის შეგრძნება, თითქოს, რადისტიკის თვითმკვლელობასთან ერთად დანაშაულებული სიზმარი ისეც გრძელდებოდა.

— თქვენ რაღაცას მიმალავთ, — ვუთხარი მუსოლინს, — ისე იქცევით, თითქოს ჩემი ბრალი იყოს, იმან ლაშას რომ ესროლა პირველად და არა მე!

მუსოლინიმ თავისი თავლისფერი თვალებით შემომხედა და მითხრა, რომ არავინ მაფანაშაულებდა ლაშას სიკვდილში.

— იქნებ ჩემი ბრალიც იყოს, — ვთქვი მე. — გასაზნრეკად რომ შეებრუნდით, ბინის გამზრეკა რომ არ გადაამეფიქრებინა, ლაშა, ალბათ, ცოცხალი დაიჩვენებოდა... ის ნაბიჭვარი, იქნებ, სანოლქვეშ იმალდებოდა...

— ჩემი ბრალიცაა, — თქვა მაიორმა. — არც მე დამიძალეობა ჩხრეკა... კარი რომ შევატყვრიეთ თუ, ვინც ფანჯრიდან გადახტა რაციის დასამალად ემზადებოდა. არ ეგონა, ალბათ, ასე მალე თუ მოვახერხებდით კარის შემტყვრევას და ოთახში შესვლას... რაცია ზურგჩანთაში ეყო და ფანჯრის ქვევით უნდოდა დაეკიდა გარედან. ყვევილების დასაწყობი რკინის რაფა ჰქონდა გარედან მიმაგრებული ფანჯარას და იმაზე დაკიდებდა, ჩვენ რომ ვერ გვეპოვა. გვანახა თუ არა პირდაპირ ფანჯრიდან გადაეშვა... ვერაფერ მოვისახრეთ ბინის პატრონიც თუ იქ იყო მაშინ!

გხვდებოდი, რომ მუსოლინი ერთგვარ სასამართლო პროცესის მაგვარ რაღაცას მინჷობდა და ისიც მაგრამობინა, რომ ლაშას ნათესავები მის დასკვნას ელოდებოდნენ და რომ ისინი ისე მოიქცეოდნენ, როგორც მუსოლინი იტყობდა.

მუსოლინს შევეყურებდი, მის მიერ დასმულ კითხვებზე ვაბახუბობდი და ჩემთვის სულერთი იყო, ის როგორ ვერდიქტს გაპომიტხანდა.

— ომი, ეს დედაბატირებული! — თქვა მუსოლინიმ, როცა ჩემს შინაურულ დაკითხვას მორჩა. სანამ შინაურულ დაკითხვა ტარდებოდა, ნანა შორიახლო ტრიალებდა.

მაიორს შტაბიდან დაურეკეს. ერთი საათის წინ მოწინააღმდეგის თვითმფრინავი ჩამოვარდნილიყო სადღაც ტყეში და

კატაპულტირებული მფრინავის მოძებნას ავალბდნენ მის ჯგუფს.

— ნამოხვალ? — მკითხა მაიორმა.

— აბა, რას ვიზამ, სახლში ხომ არ ვივადებო! — ვთქვი მე.

— ამ წვიმაში უნდა ინანნალოთ მთებში?

— იკითხა მუსოლინიმ და ლოყები დაბერა, — კამიკადები ხართ!.. ისე წვიმს, მკვდარ კატას არ გაავადებენ გარეთ!

— რა ხდება? — მკითხა ნანამ, როცა მუსოლინი და მაიორი გავიდნენ.

— შენ მაინც დამანებე თავი! — ვუთხარი მე.

— შენ არ მითხარი, ჩემთვის ომი მორჩაო?

— ვნახოთ! — ვუპასუხე.

— რა იქნება რომ არ ნახვიდე?! არავინ დაგემოდრება, იტყვიან შოკში არისო... დაისვენე. პანაშვიდზეც ხომ უნდა მივიდეთ?!

— შოკი არა ფეხები! — ვუთხარი მე. — საიდან მოიტანე, რომ შოკში ვარ!.. მე დავგრჩე და მაიორი მარტო ვავუშვა?!

— შენ რომ თავს დაანებებდე ომს, გიორგიც თავს დაანებებს, — თქვა ნანამ.

— ასეა. გიორგი იმიტომ არ ანებებს თავს, რომ მე არ ვანებებ. მე იმიტომ არ ვანებებ თავს, რომ გიორგი არ ანებებს.

— მითხარი, რომ ყველაფერი რიგზეა და დავიფიქრებ, — მითხრა ნანამ.

— ყველაფერი რიგზეა, აბა რა ჯანდაბაა! — ვთქვი მე.

*

ძველმა ვილისმა ნანვიმარი მთის აღმართზე ასვლაზე უარი განაცხადა და ჩვენ მთელი ზუთი კილომეტრი, სანამ სოფლამდის მივადნედი თვინით ვიარეთ. სოფელში მფრინავის კატაპულტირების ადგილი საკმაოდ ზუსტად მიგვასწავლეს. მფრინავის კატაპულტირებიდან კარგა ხნის შემდეგ ჩამოვარდნილა თვითმფრინავი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითმფრინავის ადგილსამყოფელამდე, ჩვენი გაანგარიშებით, ათ კილომეტრამდე მანძილი იქნებოდა. სანამ დანიშნულების ადგილზე მივიდოდით, კიდევ ერთ სოფელს ავუარეთ გვერდი.

მფრინავს ცოცხალს ვერ მივუსწარი. დაკარგული თხების საძებნად მეორე სოფლიდან ტყეში გამოხეტებულ მამაკაცებს მოეკლათ. მფრინავის იარაღი სოფელელებს მიეთვისებინათ და ახლა მტრულად გვიყურებდნენ, ეგონათ, დალუპლის პისტოლეტს მოვთხოვდით. ოთხნი იყვნენ. მფრინავისთვის დანებება შეუთავაზებიათ, ისიც თავიდან დათანხმებულია თითქოს, მაგრამ მერე მოულოდნელად სროლა აუტყვავს. თან

მღეროდა და თან ისროდაო, გვიტხრეს სოფლებივით. ამ ფაქტიდან გამომდინარე, მთვრალი იყო, ასკვნიდნენ. თუმცა, არც თვითონ ჰგავდნენ ფხიზლებს მაინცა და მაინც და ისიც საკითხავი იყო, მართლა დაკარგული თხების საძებნად იყვნენ ტყეში წამოსულები, თუ ჩამოვარდნილი თვითმფრინავის დასათვალიერებლად, მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ იყო და არც ვაპირებდით გამოძიების ჩატარებას, მით უმეტეს, რომ სოფლებივით ჩვენი საქმე გაკეთებული დავგახვედრეს — მფრინავს მიაგნეს. გარდა ამისა, თვითმფრინავი, მათი თქმით, ისეთ მიოვალ ხვევი ეგდო, პირდაპირი გზით იქ ალპინისტებისა და თხების მეტი ვერაინ ჩავიდოდა, შემოვლითი გზის გავლას კი ოთხი საათი მაინც დავჭირდებოდა.

ცხედარს სახე არც უჩანდა, ტყეებისგან სულ ერთიანად დაჩრქვოდა. გამრიცხვებული ტყავის ჩექმები ემოსა. ფეხსაცმლის საცხით გამრიცხვებულ ჩექმებს წყალი არც ეკარებოდა, წვიმის წვეთები ნიწკლებდნენ აჩნდა, როგორც ჩაცლებულ ბოთლებს კოკა-კოლას რეკლამებში. ხელები რამ დაგვაკირდი, ისიც ძალზე მოვლილი ჰქონდა. საბუთები არ აღმოაჩნდა, ძალიან მინდოდა მისი სახე ფოტოსურათზეც მენახა.

— მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს მოსვლამდე მოკლეს, თორემ ამის მოძებნას სამი დღე მოვუწოდებოდა! — ვთქვი მე. — თუმცა შეიძლება შორს ვერც წახულიყო... ნახე, რა ნაზი ვინმეა... ამას ფეხებიც ხელებით ნაზი ექნება...

— ხომ გადაირიყნენ შტაბში, როცა ვეტყვი მფრინავი მკვდარია-მეთქი! — თქვა მაიორმა.

— შენ ბოლო დროს რატომღაც ძან უფრთხილდები შტაბის ნერვებს, შეყვარებულნი ხომ არა გყავს იქ... ახლა არ მითხრა გვამი ნაეხსენოთო! — ვუთხარი მაიორს.

— აბა, რისთვისა ვართ აქ მოსულები?

— დამკრძალავი ბიურო ხომ არ გაგვეხსნა?... ანდა, გვამების გადაზიდვის კანტორა!.. გადაგვაქვს გვამები ნებისმიერი ადგილიდან ნებისმიერ მანძილზე სწრაფად, ოპერატიულად და დაუზიანებლად!..

— მანქანამდე უნდა მივართიოთ. გავახვიოთ თავისსავე პარაშუტში, ჭოკზე დაკვიდოთ. ორი კაცი წინიდან და ორიც უკნიდან მხარზე გაიდებს ჭოკის ბოლოებს...

— როგორც კინოებშია, არა?!

— ხომ ხედავ, ტომარაც არ დაგვჭირდა, თავისსავე პარაშუტში გავახვევთ და მორჩა!.. რაც უფრო მაღე დავიწყებთ, უფრო მაღე მოვრჩებით, — თქვა მაიორმა. რადგან მაინცდამათ, რომ მე მოკში ვიყავი, ჩემს შეპასუხებას და ირონიულ შენიშვნებს სხვების თანდას-

წრებით უკვე აღარ თავილობდა. — **раньше сядьешь, раньше выйдешь!**

— სოფლებებს მივათრევინოთ... თუ უნდათ, რომ პისტოლეტი დაგუტოვოთ, მანქანამდე მიგვათრევინო! — ვუთხარი მაიორს.

— ჰოდა, შენ უთხარი!

— შენ რას მიკეთებ?... მაიორი შენა ხარ და მე ვუთხრა?!

— ამათთან ჭიდაობის თავი არა მაქვს და არც მცალია. გარდა ამისა, თვითმფრინავიც უნდა ვნახოთ რა მიუსვლელშიც არ უნდა იყოს ჩავარდნილი! — გაჯიუტდა მაიორი.

— თვითმფრინავი დაინგებოდა... ასეთ შემთხვევაში თვითმფრინავს ცეცხლი უჩნდება ხოლმე და ისე ინეუება, მისგან არაფერი რჩება, შავი ყუთიც კი... კინოებში მაინც არ გინახავს?! — ვთქვი მე.

— ჰოდა, დამწვარი თვითმფრინავი უნდა ვნახოთ... თუმცა არა მგონია დამწვარიყო, კვამლი აუვიდოდა და ყველა დაინახავდა...

— ეს კარგ ამინდშია კვამლი ცისკენ რომ ადის, თორემ წვიმიან ამინდებში კვამლი სნაიპერვით მინახე განვება ხოლმე და შორიდან ვერც დაინახავ!.. იმ თვითმფრინავთან მისვლა ადვილი რომ იყოს, სოფლებებს შენ დაასწრებდი? ხომ წარმოგიდგენია, რა საინტერესოა თვითმფრინავის დათვალიერება სოფლებებისთვის... ეგეც რომ არ იყოს, უბრალოდ ვერ მოვასწრებთ, დაღამებას იწყებს! — ვუთხარი.

— უნდა მოვასწროთ და თვითმფრინავი აუცილებლად ვნახოთ! — თქვა მაიორმა.

— აბა, კარგად შემოგვხედე. რომელი გვაგვართ ალპინისტს ან თხას, კლდე-ღრეზე სვირნობა რომ გვესიამოვნოს?

— **Как в тюрьме — раньше сядьешь, раньше выйдешь!** — თქვა მაიორმა.

— ჯანდაბას, ეგებ ამით თხებსაც გადავანყდეთ სადმე, თუ მართლა არსებობენ ის თხები. ხორცი გაგვიჩნდება. მფრინავი რომ მოგვიკლეს, ბულკივით ბიჭი, სუფთაჩექმებიანი, სისხლი ხომ უნდა ავიღოთ?... ვეტყვი ბუჩქებში რალაცა შეინძრა, ჩვენ მეთრე მფრინავი გვეგონა და იმიტომ ვესროლეოთ... შენ მხოლოდ ის მითხარი, დაახლოებით მაინც თუ იცი, სადა აქვს შავი ყუთია თუ რაცხა ჯანდაბა, იმ დედაბატონებულ თვითმფრინავს... ოღონდ თვითმფრინავის გაჩრქვასაც ნუ დამავალბებ! — ვუთხარი მე.

— რატომ, ბიჭი, რა ხდება? — გახუმრება სცადა მაიორმა.

— ოღონდ შენი დასავით ახლა იმასაც ნუ მომთხოვ, მითხარი, რომ ყველაფერი რიგზეაო! — ვთქვი მე.



ნონა გოთონჯაძე

ზღვას ბინდი მორეული აქვს.
მთვარე არც ისე სრულია,
იქნებ, ეს ციციანათელა
ბებიაჩემის სულია?!
ბილიკი ზღვამდე მიმსვლელი
დარდებით დანისლულია
იქ რომ ფიჭვია
იმის კანს —
ჩემი ბავშვობის სუნი აქვს.

...
ყველაფერს დასაწყისი აქვს...
ყველაფერს დასასრული აქვს...

...
მჯერა ეს ციციანათელა
ჩემი გამზრდელის სულია...
ისე ანათებს, ეტყობა —
სამოთხით გამოსულია.

თორნიკეს

მეც, მეც ძალიან მიყვარხარ შეილო,
კარგი დედიკო რომ ვიყო — ვცდილობ.

ეს გაირკვევა ცოტა ხნის მერე...
აპრილი ლურჯად მოხატავს ველებს,
შენ გაიზრდები ისეთი ბიჭი,
როგორც ჩემს თბილ ფიქრებში გნერე,
მინდა ვიყვარდეს, სამშობლო ჩემებრ!
თუ შეძლებ უკეთ!
თუ შეძლებ მეტად!
მიენდე ქვეყნად ლეთისმშობლის ხელებს!
ქვეყნად ყველაზე უეზარ ხელებს!
ყველაზე სათნოფიქრიან დედას!

მოგბეზრდა ყოფა და ნისლებს
ასდევნებინახარ ხევ-ხუე
ჩემს ხსოვნას დარდის ნაბადში
პმაღავ და ვერცა პმაღავ.
ქარი ჩაუვლის ნატვრის ხეს
ელდის გადაპკრავს ფერ-ფურს
ქარი — ქარია. ჩაივლის. ჩაიშრიალებს. ნავა.
აბლა „კაი ყმის“ ცოლი ვარ
და ერთგულების მანდილს,
შვის საგალობელს ეუგალობ
და შვის საკმეველს ვუკმევე.
შენც ხომ ასეთი მოგწონდი
შენც ხომ ასეთი გზიბლავდი
და რაც ჩაივლის, მთავრდება.
...გარდასულია, უკვე-
...ჩემს ხსოვნას დარდის ნაბადში...

ვინ გაქცევია,
ვერ გავქეცი
ცხოვრების ქარბუქს
მრუდსა და მართალს...
ისევე ჩუმად ვარ
აურზაურში
და მარტოობა
ძვლებამდე ატანს.

სავსეა მთვარე
და სავსე სიზმრებს
მოერეკება ჩემი სარკმლისკენ.
ქარშია ჩემი
დღეცა და ღამეც.
ქარში ცახცახებს ჩემი ნატვრის ხეც.
ათასი ნატვრა ქარს გავატანე
ათასითა კი — სული ავივსე.
სავსე მთვარე კი
საოცარ სიზმრებს
ისევე აგზავნის ჩემი სარკმლისკენ!

რად მიწვდი ნისლიან მკლავებს
ნაწყენი მზერით რას ითხოვ?!
ვეცადე და ველარ ვბოვე
ამ გულში — საშენო სითბო!

დღეიდან არსად
აღარ გაგიშვებ,
ჩაგჭიდებ ხელს და
სულ შენთან ვივლი.
სულიც ოცნების აფრას აიშვებს
და დაივინყებს ყოველგვარ ტკივილს.

დღეიდან მარტოდ
არსად გაგიშვებ
აგედევნები და შენთან ვივლი...
დავისაკუთრებ შენს რიტმს, ნაბიჯებს,
შენს სხვანაირ და უცნაურ ღიმილს.

...
გპირდები, არსად აღარ გაგიშვებ
ჩაგჭიდებ ხელს და სულ ერთად ვივლით!

სად ხარ, მაცდურო!
ვის თვალეში ჩასახლდი ახლა...
ვისი თვალებით მთხოვ სიყვარულს...
მთხოვ პატივბას...
ნუთუ არ გეყო...
ცოდვის მორევს მანვიმე წვიმად...
ამჟღად ტვირთად
და უთვალავ მონანიებად...
ჩაველილი წლები —
უსარგებლოც და
თაფლის ფიჭაც
ამომეზარდა გულზე
სევდის ია-იებად.
სად ხარ, მაცდურო!
ვის ნაკვალევს მოყვები ჩემკენ...
ვის ნაფებურებს აკვირდები...
ვის ჰანგს იჩემებ...
ამაოდ დაძრნი!
უარყოფა დაგასწრო გულმა...
მის თბილ წიაღში
ანგელოსი — ბუდეს იშენებს.

უფალო! ეს როგორ ვიცხოვრებ...
ეს რა ცოდვები ავივალე...
უფალო! ჩემს სულში შემოდი...
უფალო! ჩემს გულში დაივანე...

დღესაც იმ სიმათლეს დავეძებ,
რომელიც ოდესღაც დამიმაღლეს...
უფალო! ჩემს სულში შემოდი...
უფალო! ჩემს სულში დაივანე...

უფალო! ამ ღრუბლებს, ამ ქარებს,
ცხოვრებას, რომელიც მანიავებს,
აუნყე, რომ ჩემს სულს დაიცავ,
ჩემს გულში ინებებ, დაივანებ.

დღეს უცაბედად დამტოვა ქარმა
გადაუქროლა ცისფერ სანახებს.
შენს სიყვარულში თუ დღემდე ბრმა ვარ.
დღეს ავღებები და — თვალებს გავახელ.

თვალგახელილი გავყვები მზისფერს,
საითაც მიძევს უცხო სამანი,
ჩემს სტრიქონებს კი აუხსნის სიზმრებს...
შენგან მოძღვნილი იასამანი!

გარეთ წვიმს...
ლურჯი ბინდი აწევს
სევდიან ქალაქს...
საკმეველის სუნი გამაბრუებს
დარდით შემოსილს...
მარტოა დედა ამქვეყნად და
მარტოა მამაც —
მზეგადასულთა იმქვეყნიურ
სამფლობელოში.

მეგაღურო!

თანაკლასელს, ზურა პაიჭაძეს!

ჩემო მეგობარო!
ჩემი ლექსების ერთგულო მეგაღურო!
ამოსნიე შენი ჯადოსნური ბადე.
ნამოჰყარე ხსოვნის ქვიშაზე —
ჩვენი ბავშვობის, თვალკრიალა
მარგალიტები!

ჩემო მეგობარო!
მე ჩემი ოცნებები განდე.
ჰოდა! ამოსნიე შენი ჯადოსნური ბადე...
ისევ დავბრუნდეთ ბავშვობაში...
ჩვენი სუფთა,
თეთრი გულეებით...
ერთად მოვეფეროთ —
ღრუბლად მორიალე დარდებს...
...
ჩემო მეგობარო!
ჩემი ლექსების ერთგულო მეგაღურო!



მამუკა ფოცოძე

სიხე

ვგრძნობ, შეუძლებელია მეტის მოთმენა. მთელი ცხოვრება მზადებაში გავიდა. ძალას ვიკრებ, ვეზომები; რამდენჯერ დავინყე და ისევ მივიანებ; სულ მეჩვენება, რომ მზად არა ვარ, ჯერ ადრეა, არადა, ვატყობ, ძალა მეღვია. ჯერჯერობით შეუმჩნევლად, მაგრამ უკვე მივგორავ დასასრულისკენ. მიზანი კი ისევ მიუღწეველია. ამიტომ, ყურადღებას აღარ ვაქცევ არავის და არაფერს, არც სიტყვის სილამაზეზე ვფიქრობ, არც ფორმას ვეძებ. ჩემთვის მისაღებია მხოლოდ ის, რაც თავისით, ძალდატანების გარეშე გაინდება აზრის მოძრაობაში, რომელიც არ უნდა შეწყდეს, რათა მთლიანობა არ დაკარგოს ამბავმა და ამ მოძრაობით გახსნილი სიტყვიდან იფეთქოს სწორედ იმან, რისი გამოხატაც მსურს.

აღარ მალეღვებს ოთახში მოთამაშე ბავშვი, არც პნევმატური უროს გუგუნი. გარეთ სულ რალაცას თხრიან, ქექვებს, ანგრევენ; სიჩუმისა და სიმშვიდის კედელს ვაშენებ ჩემსა და ქუჩას შორის, რათა თანდათან გავარკვიო და ნათელ ქმნილებად ჩამოვახსნა

ის, რაც ჯერ კიდევ ბუნდოვნად, გაუცნობიერებლად არსებობს ჩემში.

სიჩუმის გალავანი თანდათან იძენს სიმაგრეს და ჩემს ფანჯარაში მოქცეული ქალაქიც ნახატს ემსგავსება: ამ მზით სახსე ქუჩას, სხვითა არილში გახვეულ ხეებს, მავთულებზე მოთამაშე ჩიტებს, ქუჩაში მოძრავ მანქანებს, ბოლოს კი, ცას, მზეს, ღრუბლებს ახალი აზრი და მნიშვნელობა ენიჭება, როგორც მინიშნებას, როგორც სიმბოლოს, ერთს რომ გამოხატავს და მეორეს გულისხმობს.

თუ ამ განწყობილებას საკუთარ ცხოვრებაზე გადავიტან, იმსახეც მივხვდები, რომ საკუთარი თავის შეგრძნება — გზა, გავლილი დაბადებიდან სიკვდილამდე, ათას ამბად დახლართული ქალაქი, არის მხოლოდ სიტყვა, მხოლოდ მეტაფორა, როგორც ყოველივე არსებული, რომლის სახესა და სახელს ჩემი თვალი და გონება განსაზღვრავს.

ამ ფარდობითობას ვივინყებ, როცა გარეთ გავდივარ. მშვიდი მგლებივით ყმუიან მანქანები. ვასაქანი აღარსადაა, თუმცა, ესეც არ არის მთავარი. ეს მხოლოდ გარემოა, ფონია, რომელიც ქმნის ტრაგედიის შესაძლებლობას, მაგრამ არ ინვესტს მას. გამომწვევი მიზეზი სრულიად შემთხვევითი, სულელური შეიძლება აღმოჩნდეს — ვთქვათ, სექსობრივი კავშირით გადაცემული ბაქტერია, ან მოუფიქრებლად ნასროლი სიტყვა.

არც ამ მიზეზების კვლევას აქვს აზრი. დავილაღე, აღარ ვიცი სად ვეძებო სიმართლე, სიტყვებს აღარ მოაქვთ აზრი. ძველი გრძნობები დახავსდა, გაცვდა. რომანტიზმის ეპოქა ისტორიას ჩაბარდა. სანაცვლოდ კი არაფერი მოდის ბენზინის ნისლის გარდა, რომელმაც შთანთქა ქალაქის არქიტექტურა, სიმწვანე, აზრი დაუკარგა უფარდელ სეიონობას რუსთაველის პროსპექტზე. არადა, ეს ყველაფერი სულ ახლახან იყო.

მანქანებს გაქცეული მთანმინდის ფერდობზე ავდივარ. ყოველდღე დავებუტები ამ ბილიკებზე და მაინც ისეთი განცდა მაქვს, თითქოს პირველად მივიკვლეე გზას, პირველად ავდივარ ზევით. ნაცნობი, ათასგზის ნაწვლი ქუჩაბანდები უცხოად მეჩვენებიან. ისინი ერთბაშად, მზერის ერთი შემობრუნებით კარგავენ ჩვეულ სახეს და თითქოს სხვა, ჯერ უნახავი ქალაქი იხსნება თვალწინ. ეს გაუცნობეობა პირველი ბიძგია იმისთვის, რომ გატყეპნილი გზიდან გადავუხვიო. ამ დროს უკვე მყარად ვეღარ ვდგავარ ფეხზე, სამაგიეროდ, თვალსაწიერი ფართოვდება, აქამდე ბუნდოვანი მიზანი მეტ სიცხადეს და გარკვეულობას იძენს.

ამ მიზანმა მთანმინდაზე, ძველ ოსბერვა-

ტორიასთან ამიყვანა. აქ ვიკრიბებოდით. რადიოდან სიძველისგან დამტკბარი მელოდია იღვრებოდა. ობსერვატორიის კედელი ძველი თბილისის ფოტოებით იყო აჭრელებული. მათი დაზე ქარი ამრიალებდა „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებს. გულის ჯიბიდან სლავიდი ამოვიღე და დარბაზში შევედი. ვისაც ციხე-კოშკი იზიდავდა, ყველა იქ დამხვდა.

პროექტორი ჩავრთე და დარბაზი ჩაება-ნელი. დიდხანს შევცქეროდი ეკრანზე გამოხატულ კოშკს, ვიდრე თანადთან არ დამეუფლა მასთან შერწყმის საოცარი განცდა, თითქოს მე და სლავიდე აბღუჭილი ციხე ერთნი ვიყავით. იდუმალი ძალა მიზიდავდა მისკენ. ვიგრძენი, ამ კოშკისკენ მიდიოდა ჩემი გზა, მის კედლებში იმალებოდა ის, რასაც ჯერჯერობით ვერ ვარქმევდი სახელს და რაც ჩვენთვის ხსნა უნდა ყოფილიყო.

იმ დარბაზიდან, იმ ნუთიდან დაიწყო ჩვენი მოგზაურობა. უკან დარბაზის არც ერთი ნეერი აღარ დაბრუნებულა. მეორე დღეს უკვე ქედი გადავლახეთ და მინდორზე დავეშვით. იქ ვადიოდა ქვეყნის საზღვარი. მავთულხლართების ღობე ორ მხარედ შყოფდა სოფელს. ნეიტრალური ზოლი მოხსული და ვახვიერებული იყო. იქით, ლურჯად ციმციმებდა ქართული ტყე, ან თურქეთის საკუთრებად ქცეული. ლურჯი ზოლივე გადაკრავდა უცხოეთის აქაფებულ ცას, რომლის ფონზეც თითქოს მიწას იყო მონყვეტილი ნანგრევებად ქცეული კოშკი.

ღამე სოფელში გავათენეთ. საზღვარზე იქაურმა მეგზურმა გადაგვიყვანა. არაფერი მახსოვს იმის გარდა, რომ ყველანი სოფლის ბოლოს შევიკრიბეთ. მეგზურმა „ქართლის ცხოვრება“ გადაშალა და კითხვა დაიწყო. ლოცვასავით გაბმული სიტყვა მაგაურად მოქმედებდა ჩვენზე. თავდავიწყებით ჩავიძირე უსხოვარი ნარსულის სტრიქონებში და გრძნობა დავკარგე.

ახლა უკვე ვაღმა ვარ. მეგზური თავს გვაღვას და გვიხსნის, რომ თუ არა შიპონოზით, სხვაინარად შეუძლებელია ორი ქვეყნის საზღვარზე გადასვლა, გადასვლა ისე, როგორც ეს ძიღში მყოფ მთვარეულებს ძალეძთ; საოცარი სიმსუბუქით, ლამის მიწაზე ფეხდაუკარებლად, კვალის დატოვების გარეშე.

თუმცა, დარწმუნებული არა ვარ — გვეძინა თუ ცხადად ვმობრაობდით. ასკერების ჯგუფმა, რომელსაც უღელტეხილზე გადავეყარეთ, ჩვენს შორის ისე გაიარა, თითქოს არც ვარსებობდით. მერე გაირკვა, რომ ისინი თურმე ჩვენ გვეძებდნენ, მაგრამ გვეძებდნენ როგორც მსტროვებს და ვერ გვხვდებოდნენ, როგორც მლოცველებს.

ასეა თუ ისე, გადავარჩით. სასაზღვრო

ზონა უკან მოვიტოვეთ და ახლა უფრო თავისუფლად, მეტი თავდაჯერებით და რწმენით მივიწვევით ბინდით მოცული კოშკისკენ, რომლის მხოლოდ სახელი და ფერგაცვითილი, მკურთალი სლავიდი არსებობდა ჩვენთვის.

სამი დღის ხეტიალის შემდეგ მთავორიანი რელიეფი კლდოვანი ზეგანით შეიცვალა. ჩვენი ჯგუფი საგრძნობლად შეთხვლდა. ბევრმა თავმჯდომარე ითხოვა, იქაური მოქალაქეობა მიიღო და თავი დაგვანებო. თითო-ორიოლა დავარჩით. თვითონაც არ ვიცოდით, რა ძალა გვენოდა იქით. ყოველი კონკრეტული მიზანი აფერმკრთალებდა და აღარნიბდა იმ დაუშრეტელ, იდუმალებით ნავსე მისწრაფებას, რაც ჩვენი ცხოვრების აზრად იყო ქცეული. ჩვენ გვსურდა გაცევა საკუთარი თავისგან, ყოველივე იმისგან, რაც მოძველებული გარსივით გვერტყა, რაც ხასიათის არტახებში მოქცეულ სულს სახელს არქმევდა და საზღვარს უსახავდა. სწორედ ამიტომ, ხეობაში აღმართული ციხე ჩვენთვის გასაქცევად გახსნილი კარი იყო და არა ცოდნის მასალა. ჩვენთვის მთავარი იყო ის, როგორც უსახელო და შეუცნობელი არსის სიმბოლო, როგორც მარადისობის ნიშანი, სადაც წარსული და მომავალი ერთმანეთს ერწყმოდა.

ეს აზრი თანაბრად არ ფეთქავდა ყოველ ჩვენგანში. მე აღარაფერი ვიყავი ამ მისწრაფებისა და სურვილის გარდა, მაგრამ ერთ-ერთ ჩვენთაგანს მაინც შეეპარა ეჭვი. ეს მოხდა უკვე ქვეყნის სიღრმეში, როცა უდაბნო გადავლახეთ და სასურველ ციხემდე ერთი დღის სავალი იყო დარჩენილი. ეჭვი გაჩნდა ღამით, ახალი მთვარის მოლოდინში, გარსკვავებით მოკაშკაშე ცის ქვეშ. შემზარავ-მა ყვირილმა ფეხზე წამოგვყარა ყველა.

— არ მჯერა! — სიზმარში ღრიალებდა ის — აღარ მიწადა, გამიშვით...

როგორ არ ვეცადეთ მის დანყნარებას, მაგრამ ეჭვი და უნდობლობა თანაგრძნობაზე ძლიერი აღმოჩნდა. ვერ დავაკავეთ. აზრიც აღარ შექნდა მის დევნას. ვერ ერთი, ვერ დავინეოდით, მეორეც, ინფექციის გაფრცვლენის შეგვეშინდა; ერთი-ორი ასეთი ეჭვი და ჯგუფის სხვა წევრებიც მოკურცხლავდნენ უკან. ამიტომ, მისი ხსენებაც კი ავკრძალეთ, ვითომ, სულ არ ყოფილა ჩვენთან.

როგორც მოგახსენეთ, ყველა ერთნაირი თავდავიწყებით არ მისწრაფოდა კოშკისკენ. ზოგისთვის მართლაც ძვირფასი აღმოჩნდა ის გარსი, რომელშიც სულმა დაკარგა უსასრულობა და მინიერი სახე მიიღო. ზოგს ბავშვის სათამაშო ჰქონდა წამოღებული, ზოგს ქორწინების სურათი. ვერც გამაწყუნებდი მათ. ნარსულს თავისი მიმზიდველობა და

ხიბლი აქვს, ოჯახს თავისი სიმყუდროვე და სითბო. ნუთისოფელი უამრავ ცთუნებას წარმოშობს, რომლის მათობა გიძნელდება და რომელიც მუდამ უკან გეწევა. ამიტომ, მეგზურმა გველას შესთავაზა უკან დაბრუნება, კი არ შესთავაზა, უბრალოდ, გაქცევის საშუალება მისცა. ისინიც ნელ-ნელა ჩამოგვშორდნენ. ჯერ სულის მოსათქმელად შეჩერდნენ, შემდეგ უკან გაბრუნდნენ. კინაღამ მეც არ გავყვევით მათ, მაგრამ ვძლიე თავს, უკანასკნელი მოსახვევიც გავიარე და კლდეებით გარემორტყმულ ფლატეზე დავინახე ნანატრი ციხე — ჩემი მოგზაურობის აზრი და მიზანი.

რამდენადაც ცუდად გამჟღავნებული და უამით გაცვეთილი სლაიდი მქონდა ხელით, ეს ციხე-კოშკიც რალაც მომწვანაო-მოყვითალო ბურუსში იყო დანთქმული. რა არ გავაკეთე, ეკრანი საანით გავრეცხე, შუქი გავამკვეთრე, ახლოს მივედი, ციხეს შაინც ვერ მოვამორე ბურუსი, ვიდრე არ მივხვდი, რომ ეს სიზმრისებრი ნისლი თვით კოშკის სიღრმიდან იღებდა სათავეს.

— დაკეტილია. — მითხრა მეგზურმა და კიდევ ერთხელ შეაჯანჯღარა ციხის ქიშკარი.

— იქნებ გადავძვრეთ? — შეეთავაზე მე.

— აზრი არა აქვს. — სევდიანად გაიღიმა — კარი თუ არ გავვიღო, ნანგრევების მეტს ვერაფერს დავინახავთ.

ვითმინე, ვითმინე და ბოლოს მაინც ავედი კედელზე. კედელი ოღრო-წოღრო იყო და იოლად შეიძლებოდა ზედ ფეხის მოკიდება. ქონგურზე აძვერი და შიგნით ჩავიხედე. გულში მომიკვდა; ხავსმოდებული ნანგრევები, ნახევრადწამოგრეული კოშკი, მთლზე ჩამოქცეული სვეტის ნაწილი, ხის ტოტებს დაბჯენილი თალი, ქვის მოზაიკაზე მიმოხეული ადამიანთა ძვლები.

უკან, ზედ თვის ზეინზე გადმოვხტი.

— შიგაღარაფერია დარჩენილი. — ვუთხარი მეგზურს. — შორიდან ყურება სჯობდა.

მეგზურმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და ზურგანითა და ფურნალი ამოიღო.

ფურნალის გარეკანზე სწორედ ეს პეიზაჟი იყო აღზეჭდილი: ლურჯი ცა, დაკბილული კლდეები, ყვავილების გორა, მთიდან ამოზრდილი კოშკი.

მეგზურმა ფურნალი გადაშალა და კითხვა დაიწყო:

— ისტორია ამტკიცებს, რომ ეს სწორედ ის ქაჯეთის ციხეა, რომელიც ტარიელმა აიღო. სავარაუდოა, რომ პოეტს შთაგონების დროს შეუღწევია ამ ციხის კედლებში და თვალი მოუკრავს მეციხოვნეებისთვის, რომლებიც ქაჯებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ადა-

მიანებს. ეს ყოველივე გეაფიქრებინებს, რომ თუ არა შთაგონებით, სხვანაირად შეუძლებელია კოშკში მოხვედრა.

ჩვენამდე მოღწეულია ცნობა, რომ თემურ ლენგმა სცადა მისი აღება. ოთხმოცდღიანი ალყის შემდეგ მან მოახერხა გალავანზე ასვლა თავის რაზმით. ამის შემდეგ ამტყდარა ქარიშხალი, გაისმა ჭექა-ქუხილი, მინა იძრა და ციხე-კოშკი უცნაური შუქით განათებულა. საშინელმა ძალამ უკან გადმოისროლა აღმოსავლეთის მბრძანებელი, მისი რაზმი კი უკავალედ გამქრალა.

1897 წელს ციხის მიდამოებში მოხვედრილა ვაჭართა ქარავანი, რომელიც სტამბოლიდან საქართველოში მოემართებოდა. ქარავანისთვის უკანასკნელად თვალი მოუკრავს მოპირდაპირე ფერდობზე ასულ მწყემსს. მექარავნები კოშკს მიუახლოვდნენ და მის გალავანთან დაბანაკდნენ. უეცრად საშინელი გრუსუნი გაისმა, მინა იძრა და თავზარდაცემული მწყემსის თვალწინ მთელი ქარავანი ხახადლეულმა ნაპრალმა შთანთქა.

მთავრობამ ოფიციალურად უარყო ვერსია ქართულ კოშკში მაგიური ძალების არსებობის შესახებ, მაგრამ შიში და პანიკა იმდენად მოედო ახლომახლო მოსახლეობას, რომ საქირო გახდა ახალი ექსპედიციის მომზადება.

ციხეს ამჯერად ვერტმფრენით გადაუფრინეს, რათა ზემოდან, ახლო რაკურსით გადაეკოთ მისი ისტერიური.

— ვუახლოვდები. — გაისმა რადიოში მფრინაეის ხმა. — ვიმყოფები დაახლოებით ხუთი ნუთის სავალზე, ხეობა გაიხსნა, ვხედავ გალავნის ნანგრევებს.

ხუთი ნუთის შემდეგ კი: — მიშველეთ! აქ რალაც საშინელება ხდება, ვერ გადავრჩები!

სიგნალი შეწყდა. ვერტმფრენი ცამ ჩაყალაა თუ მინამ, ვერავინ გაიგო.

ვერტმფრენის მოსაძებნად მთავრობამ უკიდურეს ზომებს მიმართა; მობილიზებულ იქნა ჯარის ნაწილები, ტანკები, არტილერია, ასკერების მთელი დივიზია.

ქვემოებმა ჯერ შორიდან დაეცხრილეს ციხის მისადგომები, შემდეგ შეტევაზე ტანკები გადავიდნენ. მათ კვალდაკვალ ჯარისკაცები მიყვნენ.

ფივე ანბავი განმეორდა; დივიზია ერთი ბათქა-ბუთქით შეიჭრა ციხის კედლებში. ერთხანს კიდევ ისმობდა აუთქების ხმა და ბრძოლის ყეიონი. ციხე შეზანზარდა, მინა იძრა და შემზარავმა სიწყემემ მოიცვა ყველაფერი.

ამრიგად, ერთადერთი, ვინც შეძლო ციხეში შესვლა და უკან უვნებლად დაბრუნე-

ბა, იყო პოეტი, რომელიც მრავალი საუკუნის უკან დახეტებოდა ამ კედლებში და შემდეგ, შთანბუქდილებებით სავსე, უბრუნდებოდა თავის ხელნაწერს. მაშინ აქ საქართველო იყო...

— როგორ ახსნეს ეს ყველაფერი? — ვკითხე.

მეგზურმა ყურნალი გადაშალა და კითხვა გაავრძელა:

„მეცნიერებმა გამოთქვეს რამდენიმე ვერსია:

ა) რამდენადაც ქართული ციხე-კოშკი ბედის უკუღმართობით უცხო მიწაზე აღმოჩნდა, კოშკის ნიაღში დაირღვა ჩვეული სასიცოცხლო სივრცე და გაჩნდა წინააღმდეგობის იდეალური ძალა; კოშკის კედლებში დატრიალდა მაგნიტური ქარიშხალი, რაც იწვევს იქ მოხვედრილი სხეულების დაშლას;

ბ) ამის გამო შესაძლებელია აბერაციის მოვლენაც, ანუ სივრცის გამრუდება. კოშკი შესული გადაადის მეთხე განზომილებებში და განაგრძობს არსებობას სივრცის სამი კოორდინატის; — სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის გარეშე;

გ) იგივე მოსდის დროსაც. დრო გარდასახვას განიცდის და გადადის ან წარსულში, როცა კოშკი თავის მიწა-წყალს იცავდა ან ბურუსით მოცულ მომავალში“.

— დასკვნა ასეთია: — ყურნალი დახურა მეგზურმა. — ვინც მოგზაურობას გაავრძელებს, ვისაც კოშკის ბედ-იღბალი ანუხებს, მან უნდა დათმოს ყველაფერი, რაც თავის ანმყოფობაზეა დასაყრდენი.

გამახსენდა შეილები, შვილიშვილი, ოჯახი, ყველაფერი, რისი მიტოვებაც წარმოუდგენლად მიმანდა. საკმაოდ დიდი მეჩვენა მსხვერპლი, თუმცა, შეუცნობლისკენ მისწრაფებაც ასევე ძლიერი იყო და დავინწყე გამოსავლის ძებნა.

— ერთი ხომ მაინც დაბრუნდა უკან? — ვკითხე მეგზურს.

— ის პოეტი იყო! — მიპასუხა. — თანაც, მხოლოდ შთაგონების დროს ბედავდა იქ შესვლას.

— მეც რომ გავბედო? — ვკითხე.

— თავს დაილუპავ. — მიპასუხა. — ძალიან ძნელია ერთდროულად ორ სამყაროში ყოფნა.

— ამდენი იმისთვის ვიარე, რომ უკან დაბრუნდებ?

— როგორც გინდა, — მხრები აიჩეზა — მე კედლის იქით ველარ გამოგყვები.

მეგზური გაქრა. ფოთოლთა სიმწვანეს თუ შეერია მისი სახათლისფერი სახე? მარტო ვიყავი, ძნელი იყო გადაწყვეტილების მიღე-

ბა. მიჭირდა, ძალიან მიჭირდა იმის დათმობა, რაც აქამდე ჩემი ცხოვრების არსს შეადგენდა. თანაც, ერთი სული მქონდა გადამეხებოდა ვალავნის იქით, გამეგო ციხის იდეალურად მოცული ამბავი. შეგრძნება ისეთი მქონდა, თითქოს ბენვის ხიდზე ვიდექი. აქეთა ნაპირი სავსე იყო აბლობელთა სახეებით. ჩემსკენ გამონედლი ათასი ხელი უკან დაბრუნებას მთხოვდა. ხალხის გუგუნში ქალის ნახი ხმა და ბავშვის ტირილი იგრძნობოდა. იქითა ნაპირზე კი იდგა მწვანე, სიზმრით გარემოცული კოშკი. მისი ქონგურებიდან ათასი მზე იფრქვეოდა და სხვთა ძაფებით მოქსოვილი გუმბათისკენ მიინძვოდა ჩემი ფიქრი.

ალარ ვიცოდი რა უფრო მსურდა — უკან დაბრუნება, თუ წინ წასვლა. ამიტომ, შუა გზაზე შეეჩერდი და ყური მიეფუგე საკუთარ თავს, რომელსაც ძალდატანების გარეშე უნდა გაეკეთებინა არჩევანი.

თავიდან იყო მხოლოდ გულში ჩარჩენილი ტკივილი, ცეცხლივით რომ დაცოცავდა მეგრდის გამოქვამულში. ნოსტალგია და სინანული კევბაცა ამ ცეცხლს. მისი რუხმოდისფერი ნაკერჩხლები იფანტებოდნენ მოგონებათა შორის და ჩემს წარსულს მოვარდისფრო შუქჩრდილებით ქარგავდნენ. აქ უკვე ერთმანეთს იყო შერწყმული ახლი და შორეული წარსული; ახლახან მიტოვებული, ჯერჩაუშქრალი ოჯახის კერა, ფაშით გაფანტული ბავშვობა და უხსოვარი, ისტორიის ნიაღში გარდასული დრო. ეს ყველაფერი ხატავდა და ამკვეთრებდა ქალაქს, რომელსაც გავექეცი, ხატავდა მას მომხიბვლელად, ახვევდა შორეთის სურნელში, აფერადებდა ძველი საღებავებით, იმ სიტყვებითა და სახეებით ამკობდა, რომლებსაც საამო ტკივილი მოჰქონდა თან და ამას ყველაფერს ებრძოდა წინ სვეტივით ჩამომდგარი მუქი, მუქი, რომელიც არაფერს ანათებდა, რადგან წინ იყო მიმართული, მომავალს გამოსახავდა, მომავალს, რომელიც უკვე გაჩნდა ჩემში, როგორც უსახელო ძალა, ძალა, რომელიც ანგრევდა ოჯახს, იპყრობდა მთელ ჩემს არსებას, მენეოდა იქით, სადაც ჯერ არაფერი იყო და მეც არაფერი ვიყავი, რადგან ყველაფერი ის, რაც აქამდე მქონდა, რაც ჩემს ცხოვრებას შეადგენდა, იმსხვერვოდა და იფანტებოდა ამ ძალის წინაშე. ეს ძალა მოდიოდა კოშკიდან, ანგრევდა წარსულის დეკორაციებს, ათამამებდა ისტორიის ფურცლებს, გლეჯდა კულისების ფარდას და მიჩვენებდა სიცარიელეს, არარას, რომელშიც სამყაროს ახალი შესაძლებლობები იყო ჩაქსოვილი.

ალარც კი მასხოვს, როგორ გადაედგი ნაბიჯი იქით, როგორ გადავირბინებ ბენვის ხიდს და ციხის აღმართს შეუვდექი.

„მთავარია უკან არ მოვიხედო!“ კვალ-

დაკვალ ამედევანა ფიქრი — „თუ ერთხელ მაინც მოვკარი თვალი შეილებს, წინ რაღა წამიყვანს“.

ერთი ამოსუნთქვა, ერთი ნახტომი და უკვე გავიარე პირველი კარი, ფართოდ რომ დამხვდა გაღებული. ნანგრევებით მოფენილი ეზო გადავილახე და კოშკში შევედი.

კოშკის შიდა სივრცე მის გარემოცულობაზე გაცილებით დიდი აღმოჩნდა. სხივებისგან მოქსოვილი გუმბათი გაიფანტა და გარღვეული ქერი თვალისმომჭერლად მოციმციმე ცამ ამოავსო.

და აქ დიხწყო ის, რასაც ველოდი! მონმენდილ ცაზე მუხი გავარდა, ჰაერი შეზანზარდა, მინა იირა და ზემოდან ათასფრად მოვლვარე, მარაოსავით გაშლილი, უზარმაზარი თეფში ჩამოვარე! ძრწოლამ ამიტანა. არ ვიცოდი რა მელიდა, რისი მესინოდა და მაინც ისე წაეხდი, მზად ვიყავი მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავმძვრალიყავი. ჩემი განცდა და ფიქრი ვერ იტყვია ამ შთაბეჭდილებებს, მით უფრო შეუძლებლად მიმანია მათი სიტყვით გადმოცემა. შეიძლება შეეფადრო ეს მინის გასკდომას, ცის ჩამონგრევას; რაღაც ამოკალიფსურ მდგომარეობას, როცა ყოველივე ერთმანეთშია ათქვეფილი და საყოველთაო ორომტრიალში საკუთარ თავს დაექებ...
— აქეთ! — ვიღაცამ ხელი ჩამავლო და გვერდზე გამოქვაბულში შემიყვანა.

ეს იყო ჩემი მეგზური. შევხედე თუ არა ნაცნობ სახეს, სვება ვიგრძენი, დამბრუნდა რწმენა და სიმშვიდე. ახლა კვლავ ერთ არსებად ქცეულს, შემეძლო წინ აღვდგომოდი გარემოცულ ქაოსს.

— მაპატიე, რომ მიგატოვე, — გამიღიმა. — სხვანაირად არ შემეძლო, გადანყვეტილ-

ბა თვითონ უნდა მიგელო.

— რა ხდება?! — მივიხედ-მოვიხედე.

— კოსმოდრომზე ვართ! — დამიყვირა — ერთი ბიძგიც და მინას მოვწყდებით.

— არ მინდა! — უნებურად აღმომხდა.

— არჩევანი უკვე გაკეთებულია და უკან ვეღარ დაიხვე.

— არ მინდა! — დავიწურწულე და მივხვდი, თავს ვიტყუებდი. ჩემს ნება-სურვილზე უფრო ძლიერი რამ მიზიდავდა თეფშისკენ, რომელიც ჯერ კიდევ გუგუნებდა და თავის ერთადერთი თვალიდან იისფერ ნათებას აფრქვევდა.

ცოტა ხანში გრუხუნიც შეწყდა. დახეთქილი მინა ისევ შეერთდა. თეფშიდან კიბე ჩამოუშვეს და ციური არსება ჩამოვიდა მინაზე.

ძალა არ მყოფნის აღწერო ის, აღწერილობის საჭიროა შედარება, ის კი, არავის და არაფერს არ ჰგავდა, არაფერს ისეთს, რაც აქამდე მენახა, ან რისი წარმოდგენაც შემეძლო. მისი თვალისმომჭერელი სახე ნელ-ნელა მომიახლოვდა და ხელი რბილად, ნელ-თბილად შემეხო.

— მარტო ერთია? — ვიგრძენი ფიქრივით ჩუმი და ცხადი ხმა.

— დანარჩენებმა ვერ გაბედეს. — გაეპასუხა მეგზური. — ხალხი ძალიან მიეჯაჭვა მინას.

— მაშინ, დროს ნულარ ვკარგავთ! — გაიფიქრა თუ თქვა მან.

მავე წუთს გამიქრა შიში. ვიგრძენი, როგორ დაეკარგე სხეული, როგორ შევეურთდი ნათელს, როგორ დაეტრიალდი თეფშთან ერთად, როგორ მოვწყდი მინას და გაუგებარი, თავბრუდამხვევი სიხარულით გატაცებული, ზეცისკენ გაფრინდი.





გიორგი არაბული

გიორგი არაბული ხევსურეთის სოფელ ჩირდილიდანაა, 17 წლისაა, შატილის სკოლა-პანსიონის მე-12 კლასის მოსწავლეა. ჩვენის აზრით, უკვე ჭეშმარიტი პოეტია. ამაში მკითხველიც დარწმუნდება.

გზა დავულოცოთ...

ვაშა ოთარაშვილი

კრწანისის ველზე

ნუხელის მთვარემ, ზეცის ნარმართმა, ვარსკვლავნი კრწანისს ჩამოათოვა, შავმა დრომ წმინდა დროშა ნაგვართვა, ყველამ გაგვნირა და მიგვატოვა. ისმის გუთნური, ისმის მწყემსური, მაინც ვცოცხლობთ და ვფიქრობთ სხვა ომზე, შუბლდაღენილი მოვდევ ხევსური, არაგველებს სასაფლაოზე. ეს დღე სხვა დღეებს სრულებით არ გავს,

ქარნი ყაყაჩოს ფურცლებს აცლიან, კრწანისი ნითელ ნაჭრელას ქარგავს და სისხლისფერი ჩოხა აცვია. მთის არწივს ყანწით მოაქვს არაყი, შესანდობარი უნდა დავლიოთ, ფეხზე წამოდგა მთელი ქალაქი და ცრემლიანი ხედება ალიონს. ნამიან ველებს კვლავ ადგას ნისლი, ზეცა ტირის და მიწა სველი, მტკივა კრწანისზე შემხმარი სისხლი, ვით სააკაძეს მარაბდის ველი. ... და მაინც, მაინც ისმის მწყემსური, ისმის ჩაკრულ გულგახელებით, შუბლდაღენილი მოველ ხევსური, რომ დავიტირო არაგველები.

ლილლო

ლილლოს ქალღმერთს-მზექალას

გზას მივსდევ, ლილლოს ბილიკებს, შავი ნუხილით ვივსები, ველს აუხსნია პირიმზე, მთებს გასწოლიან ნისლები.

ფიქრებს აქ კარავს გავუშლი, ეშმამ თქვა: „იყოს, იაროს!“ გაფერმკრთალებულ აულში, მთვარელა დახეტილობს.

საფლავთგორაზე ვჩერდები, ქვის სამანებთან ვსაუბრობ, ლილლო, პატარა ედემი, ლილლო, ღმერთების საუფლო.

მთებს აკრავს ნისლის ზენარი, შავი ბურუსის ნაფლეთი, ნეტავ სად არის მზექალი, კენტი აულის ქალღმერთი.

შავ არაგვზე ამაყია შენი სული

შავ არაგვზე ამაყია შენი სული, ამაყია ფიქრთა ლურჯი რკალები, ღიმილი გაქვს მწუხარებით შენისლული, როშკის ტბებზე კრიალა გაქვს თვალეზი.

შენი ფიქრი მოცურავე გედია, ოცნებები მწვერვალების ნისლები, როცა გხედავ დარდიანს და სევდიანს, მეც მაშინვე მწუხარებით ვივსები.

მე მიტაცებს თაფლისფერი თმების სუნი, ძირს დახრილი ხორბლისფერი მკლავები,

შავ არაგვზე ამყარა შენი სული,
როშის ტბებზე კრიალა გაქვს თვალეში.

დატიობა

დატიობაა, საკლავებს კლავენ,
ხუცესი ლოცავს ხალხს და დღეობას,
ბოლო ბღავილი აღმობდათ ხარებს
და როგორც ქარი, ჩაჰყვია ხეობას.

ჩემი ფიქრი

ჩემი ფიქრი გაგიშალე ბილიკად,
გამოვცალე სიყვარულის ბოთლები,
შენ გიძღვენი ატმისფერი ლირიკა,
შენ გიძღვენი შემოდგომის ფოთლები.
ჩემი ფიქრი გამოვკიდე აივნად,
გამოვფინე კვამლი მწარე ნაფაზით,
ეს ლექსები მარცვალ-მარცვალ დაიბნა,
შენი გულის მოკრიალე რაფაზე.
ჩემი ფიქრი შენს სილუეტს ირეკლავს,
ნაფანქრალი სტრიქონებით ვლოთდები,
შენ გიძღვენი სიყვარულის ლირიკა,
შემოდგომის მოშრიალე ფოთლები.

„ზეცას შახენეო, აპარეკავ,
მთვარე დათვისჯვრისკენ იტოლებე“,
„ქალავ, შავ თვალთ რაად მაპარებავ,
ანამც ჭერხოში რად მიყოლებავ“.
„დღეს მე შენ სწორფერი ვიქნებიო,
ღამე გავიტანათ საუბარით“,
„ქალავ, ნუ ამირი ფიქრებით,
მამშორდ, გაიგონე ნაუბარი“.
ზეცა უკეცია ვარსკვლავთ ფარდას,
მთვარეც განეულა დათვისჯვრისკენ,
„ვაჟავ, სად ნახედი, აღარ ჩანხარ,
ნეტავ შენს სწორფერსამც ღამიცდიდე“.
ღამე უტეხია მათ საუბარს,
დილა გათენებულ ნამიანი,
რიჭრაფს არყიანი ბოთლა უყვარს,
ბოთლა ნაჭრელიან-სასმლიანი.
სწორფერმ მოუტანა ბოთლით არავ,
დილამ შუადღისკენ გაიწია,
კაცმა ყანნით სასმელ გადაცალა,
მერე ეშმაკურად ჩაიცინა.
ქალმა ლუკმა მისცა... თავ დახარა,
„კიდევ ერთი სთქვიო ხვესურისა“,
სასმელმ კაცის გონი გადაფარა,
(თანაც ის სწორფერი გვერდს უზის და...)
„... რაებს ვაზრობ ღმერთმა მარისხას და...“
შერცხვა, გადაეკრა სახადის ფერ,...
ნელა გადავიდა დათვისჯვარს და
ბილიკს გადაუყვია ხახმატისკენ.

შენ მკითხე „რა სტკივა ხვესურეთს?“

შენ მკითხე „რა სტკივა ხვესურეთს?“
რა გვიჭირს ან რაად ვლონდებით,
ნარსული სისხლისფრად შევესუდრეთ,
დღეს გვტკივა უხალხო სოფლები.
დრომ გადაინურა მსახურნი ჯვარისა,
(ტკივილებს ვიყურებ ლექსებად)
და ხუცესს მარტოა, ნატის ქარს,
თვალეში ცრემლებით ევსება.
არც მეზღვენე, მესანთლევ აღარ გეყავს,
აღარვინ ტკივილის გამგები,
პატვის აღარ სცემენ ჭოღარას,
პაპებს იგინყებენ ბალდები.
ნისქვილი ვლოვობენ, ყივიანი,
ჯარასაც ობლობა ანივლებს,
აქ ცივი წყარონიც ტორიან,
თუ დიდხანს მარტოკა გასწირე.
ნინადღეს დედულეთს ვესტუმრე
და დღეს კი ჩირდილსაც ვშორდები,
მე გითხარ რაც სტკივა ხვესურეთს,
რა გვიჭირს ან რაად ვლონდებით.


ამოტი სასაფლაოზე

საფლავებს ადგას მიმწუხრის ბინდი,
პოეტი ფანტავს ცისფერ ქალღღებს,
რატომ არ არის ეს ღამე მშვიდი,
ამ ვერხვებს რაღა ალაპარაკებს?!

სასაფლაოზე დადის და უფალს
შეუვალს სთხოვს, დარდით ლექსებს იგონებს,
მას ავებედითი სიცოცხლე უყვარს
და თან საფლავებს უძღვინის სტრიქონებს.
ბედნიერ ყოფას ლექსებით ეტრფის,
სავალად ირჩევს მთებს და ქარაფებს,
თან ეშინია მაღალი ღმერთის,
თან პოეტობა ალაპარაკებს.
მთვარე ქანაოზს ვარსკვლავებს შუა
და სიბნელეში ფანტავს ნანანავებს,
ქვეყნად სიცოცხლე ღამაში თუა,
პოეტს ცხოვრება რისთვის ანვალებს.

არ გვეგონოს რომ მიყვარდე; ქალავ,
მე მხოლოდ ყვითელ დალალებს ვეტრფი,
ეს გულში რამდენ ტკივილებს მალავს,
რამდენი ვთქვი და რამდენი ვერ ვთქვი.

სიყვარულისა რა გითხრა, ქალავ,
თუ ვეღარ ვუძლებ მწარე მარწუხებს,
შენ დამი ტრფობას ჩემს გულში ვკრძალავ,
ვერძალავ და უფრო ძლიერ მანწუხებს.



არ ვიცი, იქნებ მიყვარხარ, ქალავ,
ან თმები მიყვარს მხრებზე რომ იხვევ,
ხევსურ კაცივით სიყვარულს ვმალავ
და პოეტივით ლექსებად გიმხელ.

გოღარკი ჩოხელის საფლავზე

აპა, მოვედი,
ცრმელები,
მცხეთა...
დღეს შენს საფლავზე ტირის სანთელი,
გულში აზეზდა,
ნაფიქრი სევდა: —
სულ დარდით რატომ კვდება ქართველი?!

...გრილი მთის წყარო,
ბუნების შვილი,
შენ ხომ ცაღ იყავ, ლურჯი, მზიანი...
მე ახლა მივხვდი,
საფლავთან მივხვდი —
რატომაც ტირის ადამიანი.

მწუხრი...
ეს სევდა გარდასულს არ გავს,
არაგვსაც დარდი გაჰყვა იმ წლების,
შენს საფლავს ერთი სანთელი აკრავს,
ერთი სანთელი —
— არდავინყების.

შენ მწერდი ლექსებს

შენ მწერდი ლექსებს
ეს ვერხვებიც შრიალს მიძღვნიან,
დავბოდილო
და მინდა რომ მოგწყვიტო მთვარე,
რა ვქნა, ძვირფასო,
ლექსის წერაც არ შემიძლია,
მე პოეტობა მესაფლავეს გადავაბარე.
შენ მაინცა მწერ,
ეს ვერხვებიც ისევ შრიალებს,
მე ჩემი ლექსის
ერთი სტროფიც კი აღარ მახსოვს,
წუხელ ნიაგზე ერთი ლექსი ავაფრიალე
და ახლა გულში
საშინელი ფიქრები სახლობს.
მეც ვწერდი ლექსებს,
მოგველინე აპრილად, მარტად,
მეც ვწერდი ლექსებს
მუზისა და შენი უფლებით,
ახლა დავდივარ,
პანთეონში ჩემს ლექსებს ვფანტავ
და ლადოს საფლავს
სიცოცხლეზე ვესაუბრები.

ჟამი

ნასოფლარიდან ნასახლარში, იგივე ჟამი,
წუთისოფელში გაფრენილი უაზრო წამი.

დავინწყებული ეს სახლები, უხალხო, ძველი,
დედათ ტირილი და მამათა ნითელი ცრემლი.

ძველი სახლები, ნასოფლარნი, ჯვარნი
ეულნი,
წმინდა თას-ვერცხლნი უპატრონოდ
მიმოხეულნი.

თავ-პირ მტირალი, უხალხოობის
ჭირისუფალი,
ამის დამყურე ღმერთი გოდებს, ტირის
უფალი.

ჩამონგრეული, ჩავარდნილი კალო და ბანი,
მიტოვებული ბოსელი და ღორღების ქანი.

ჩამუხლულ წისქვილთ პატრონობსო მსუნავი
თავი,
გლოვობს და ღელავს მომდინარი შავი
არავი.

მუცოს კოშკები ჩამოშლილნი,
ჩამონგრეულნი,
უხალხოდ არის, უხალხობას არა ჩვეულნი.

ვითომ არაფრად ჩაგდებული შატილის
კოშკი,
გაციდული და განწირული აქ ქვები როშკის...

სულ მთლად ეულად დარჩენილი არხოტის
თემი,
დავინწყებული ბილიკები, სავალი გზები.

ღმერთო, შენ გიხმობ, ისევ შენ გთხოვ, ისევ
მოგელი,
ნეტავ შენს გარდა, არის ვინმე მისი
მომვლელი?!

გულისტკივილი დანერვილი ესაა ჩემი,
არსად არ წავალ, მე აქა ვარ, ზევსურეთს
ვრჩები.



ბენწარდ
შონცი

სსსს

7

ლიზა, ჩემო ბორენა!

იყავ სამართლიანი. მაშინ სასონარკვე-
თილი გახლდი, ხელმოცარული. მართალია,
დამეხმარე და მეც გავიბრძოლე, მაგრამ
შემდეგ ისე მომიშორე შენი ცხოვრებიდან,
მანანნალა ძალდა რომ მოიშორებენ ხოლ-
მე, ყველა კარი და ფანჯარა ჩამირაზე. არ
ვიცოდი, რა მელონა. არ მიწოდდა, თავი მო-
მებეზრებინა შენთვის. მე მხოლოდ შენთან
დაკავშირება, შენი ნახვა, შენთან საუბარი
მსურდა. ზუსტად ვერ ვიხსენებ წერილე-
ბის შინაარსს, რომლებიც მაშინ მოგწერე.
მაგრამ ვერ წარმომიდგენია, მხოლოდ თა-
ვის მომბეზრებლად მოგჩვენებოდა ისინი

ვაგრძელება. დასაწყისი იხ. № 11

და ჩემი სასონარკვეთა არ გეგრძნო მათში,
შიში იმის გამო, რომ დაგკარგავ ან უკვე
დაგკარგე. მას შემდეგ, რაც, როგორც იქ-
ნა, ტელეფონით დაგიკავშირდი, წვიმაში
ქუჩის კუთხეში შემხვდი და მაუწყე, რომ
დამთავრდა, ერთხელ და სამუდამოდ ყვე-
ლაფერი დამთავრდა, რომ აღარ შეგიძლია
და აღარც გასურს ჩემი ნახვა, ხომ დაგანებე
თავი?

მაგრამ შენ, ალბათ, მხოლოდ დასას-
რული არ გაქვს მხედველობაში, დასაწყის-
საც გულისხმობ? როცა გაიქეცი, გამოგი-
დექი და ეკლესიის გვერდით გალავანთან
შეგაჩერე? დიახ, შენს გვერდით ხელებით
კედელს რომ არ მიეწოლოდი და მკლავებში
არ მომემწყვედი, ვერ გეტყოდი, რაც უნდა
მეთქვა. მაგრამ ხელი არ დამიკარებია შენ-
თვის, სანამ თვითონ არ მომეხვიე კისერზე.
პირველ ღამესაც შენ დამადე მკლავი. აღარ
გახსოვს? ციოდა, ისე ციოდა, თავიც საბან-
ში გქონდა ჩარგული. მე წამოვჯექი, შენ-
სკენ გადმოვიხარე, საწოლთან შუქი ჩაგიქ-
რე. ხელი საბნიდან გამოყავი და შენსკენ
მიმიზიდე.

ვიცი, რა კითხვა არ გაძლევდა მოსვენ-
ებას. ამას ხომ მეც გაუთავებლად მეკითხ-
ებოდი: ჩვენი პირველი შეხვედრა ეშმაკუ-
რად მოფიქრებული, გათამაშებული ფარსი
ხომ არ იყო? არც მაშინ და არც ახლა არ
შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი შეხვედრა შემ-
თხვევით მოხდა. ეს ღვთის წყალობა იყო.
სურათები ისევ გაქვს? პირველი სურათე-
ბის ფირი შენთანაა. შენი კოლეგა იღებდა
მას. ერთი მათგანი ნინ მიდევს: რესტორანი
მილანში, მხოლოდ მუსიკოსები მრგვალი
მაგიდის ირგვლივ, შენს გვერდით კი - მე.
ეს-ესაა ჰოპზოისტმა მაგიდასთან ეულად
მჯდომი თქვენს მხიარულ საზოგადოებაში
გადმომსხვა. მომდევნო სურათები კომერის
ტბაზეა გადაღებული. მათი ნეგატივები
ჯერ კიდევ შემომრჩა. ერთში ხილის ფარ-
დულთან ვდგავართ. იქ მომუშავე პატარა
ბიჭს ვიხიოვეთ, ხელი დაეჭირა ფოტოაპა-
რატის სასხლეტისთვის. როგორი დაბნეუ-
ლები, შეყვარებულები, ბედნიერები და გა-
ბედულები ვჩანვართ. მეორეზე დიდი, ძვე-
ლი, თეთრი სასტუმროა - ჩვენი პირველი
ღამის თავშესაფარი; მთებზე ჯერ კიდევ
თოვლი დევს. შენ ჩვენს დაქირავებულ მან-
ქანას მიყრდნობიხარ, თავსაფარი ისე წა-
ვიკრავს, კატერინა ვაღენტე რომ იკრავდა
ორმოცდაათიან წლებში. ეს სურათი უჩუმ-
რად გადამიღე, უკვე პალტოში ვარ, წასას-
ვლელად გამზადებული, აივანზე ვდგავარ
და ტბას გადაყურებ, ტბაში არც ერთი გე-

მი და ნავი არაა, რადგან ჯერ ძალიან ცივა. აი, შენი ფოტოც დილის შუქზე, ვერცხლისფერი ჩარჩო მარჯვენა მისთვის.

თუ თავს გაბზერბდი დასაწყისში, ბოლოს და, საერთოდ, ყოველთვის, სამსუხაროა. ვფიქრობდი, ორივე ვიტანჯებოდით იმის გამო, სასურველი თავისუფლება არ გვქონდა. ჩვენ სხვადასხვაგვარად ვიყავით გამოძმყვედულნი. შესაძლებელია შენ უფრო გიმძიმდა შენი კონფლიქტი, მაგრამ არც მე შეადვილებოდა. ყველაზე ძნელი კი ის იყო, სისტემატურად დახმარება რომ უნდა მეთხოვა შენთვის.

ვერ ვბედავ მოგწერო, შემხვდიო. მაგრამ იცოდე, ძალიან მსურს ეს.

როლფი

აღბომი, საიდუმლო თაროზე რომ იბოვანა, მაშინ ისევე უკან დააბრუნა. ახლა გამოიღო, გადაჭრა ტყაყის თასმები და გახსნა. აღბომიც მილანის რესტორანში გადაღებული სურათით ინყებოდა: ალკოჰოლით ფრთაშესხმული სტუმრების ფლეშით დაბრუნებულნი მზერა, დაცარიელებული ჯამები და თეფშები, სავსე და ნაკლები გრაფინები, ბოთლები და სასმისები. ღიზას ეს თუ ის კოლეგა იცნო. გვერდით ვიღაც კაცი უზის, რომელიც არასდროს უნახავს. იგი ყველა სურათში ილიძეა. შესცინის მეზობელს, ღიზას, კამერას. მარცხენა ხელით სასმისი აუნეგია, მარჯვენა ღიზას მხარზე უდევს. შემდეგი სურათები კომერის ტბაზე გადაღებული. ღიზა და ის სხვა ხილის ჯიხურთან, ღიზა მანქანით საუკუნის მიჯნის სასტუმროს შესასვლელთან, ღიზა პალმის გვერდით ტბასთან, ღიზა კაფეში მაგიდასთან; წინ ესპრესოს ფინჯანი და ნყლის ჭიქა უდევს. ღიზა შავი კატით ხელში. ის სურათიც იბოვანა, აივანზე რომ დგას სხვა და ტბას გადაჰყურებს. ღიზა სასწოლში, გვერდზე წამოწოლილი, ფეხები და მკლავები საბანზე შემოუხვევია და კამერისკენ მიუპყრია ნამძინარევი, კმაყოფილი სახე.

სხვა სურათებიც იყო იქ. ზოგიერთში მისი ქალაქის სახლები, ქუჩები, მოედნები, ციხე-სიმაგრე, ეკლესია შეიცნო. რამდენიმე იმ ვიღაც სხვის ქალაქში უნდა ყოფილიყო გადაღებული. არც ერთი სურათი არ მიუთითებდა კიდევე ერთ მოგზაურობაზე. ბოლო ფოტოზე სხვა მოჩანდა. საცურაო კოსტუმში, პირსახოცგადაკიდებული, მალაი, ტანადი, ბეჭებში გამართული, ხშირი თმით, მომხიბლავი ღიმილით და მყარი ნაბიჯით მდგომარეობდა კარგად გამოიყურებოდა.

საკუთარ გამოსახულებას აკვირდებოდა სარკეში. თერთი თმები მკერდზე, ასაკობრივი ლაქები და მეჭყეები სხეულზე, ქონის გროვა თქოების ირგვლივ, განჩინკული ფეხები და მკლავები, მეწხერი თმა თავზე, ღრმა ნაოჭები შუბლზე, წარბებს შორის და ნესტოებიდან პირის კუთხეებამდე, თხელი ტუჩები, მოშიშვლებული კანი ნიკაპის ქვეშ. ტკივილი, სევდა ან მრისხანება კი არ ეხატა სახეზე, არამედ მხოლოდ წყენა.

წყენა ნთქავდა და აქუცმაცებდა პატარა ლუკმებად წარსულს. რაც მუდამ ამოძრავებდა მის ცხოვრებას – სიყვარული, ნდობა, ჩვევები, ღიზას ჭკუა, გონება, სხეული, დედური სიყვარული შვილებისადმი – ეს ამოძრავებდა მის არსებობას ქორწინების გარეთაც და ფანტაზიაშიც სხვა ცხოვრებისა და ქალების შესახებ.

აბაზანის ხალათი შემოიცვა და ქალიშვილს დაურეკა. შეიძლება ენვიოს? დიდი ხნით არა, მხოლოდ რამდენიმე დღით. არა, მარტო უმკლავდება ტკივილს. მხოლოდ საუბარი სურს მასთან. შეგიძლია, ჩამოხვიდეო, უთხრა ქალიშვილმა, თუმცა ყოყმანი იგრძნობდა მის ხმაში.

გამგზავრებამდე პასუხი დანერა. კვლავ მიმართვის გარეშე დაიწყო. ჯერ კიდევე ვერ გადაეწყვიტა, მიემართა სხვისთვის.

როგორ აყალბებ, ლამაზად წარმოაჩენ ყველავერს. დიახ, ჩვენ სხვადასხვა სიტუაციებში ვიმყოფებოდით — რა უნდა ყოფილიყო მათში საერთო? და რა უნდა ყოფილიყო მასში შენთვის ძნელი, დახმარებას რომ მთხოვდი? მე რომ ამას ვახერხებდი, განა უფრო ძნელი არ იყო? ფარისევლობა ყოველთვის გეხერხებოდა და ახლაც არ იშლი. დიახ, სურათები ისევე მაქვს. დავცქერი მათ, მაგრამ ისინი სულაც არ აღვიძებენ ჩემში ბედნიერ მოგონებებს. მეტად ბევრი სიტუება იქ.

ჩემი ნახვა გასურს? — ჯერ აქამდე არ მისულა საქმე, თუკი საერთოდ მივა ოდესმე.

ბ.

რამდენიმე თვე იყო, რაც ავტომანქანა არ გამოეყენებინა. ამიტომ სახელოსნოდან უნდა მოსულიყო ვინმე, ძრავის ჩართვაში რომ დახმარებოდა. გადააწვიოდა მანქანის ტარებას, თუმცა ვერ იტყოდა, არ სიაძოვნებდა. რადიო ჩართო, მოძრავი სახურავი გადასწია და გაზაფხულის ჰაერი შემოუშვა შიგნით.

უკანასკნელად ცოლთან ერთად გაიარა რაღაც მონაკვეთი. ღიზა უკვე ბოლომდე დაეჯახა ავადმყოფობას, სულ დაღუპულიყო. საბანში გაახვია, კიბეები ჩამოატარა და მანქანამდე მიიყვანა. უყვარდა მისი ვახვევა, ხელში აყვანა და ტარება. მანამდე დაბანა, დაფარცხა და ცოტადენი ტუალეტის წყალი აპკურა. კოსმეტიკაზე ხელი აეღო ქალს. მიჰყავდა ჩახუტებული ცოლი, გრძნობდა მის სასიამოვნო სურნელს და ესმოდა მისი კვნესა.

გახსენება არ იყო სევდით დანისლული. შეამჩნია, რომ, საერთოდ, უკანასკნელი წლების მიგონებებს, ავადმყოფობისა და სიკვდილის წლებს უახლესი მოგონება არ შეეხოდა. თითქოს ღიზა, რომლის მოპოვებისთვის იბრძოდა, რომელთანაც ოჯახი შექმნა და ცხოვრებას გაუმკლავდა და ღიზა, რომელიც თანდათან იღეოდა, ორი სხვადასხვა ქალი იყო. თითქოს ავადმყოფობამ და სიკვდილმა ყველაფერი ჩამორეცხა, რასაც ეჭვიანობა ემყარებოდა.

გზა დასახლებულ პუნქტებში, მინდვრებსა და ტყეებში გადიოდა. ყველგან წესრიგი სუფევდა. თეთრად შეღებილი, წითელი აგურით ნაგები სახლები იქნებოდა ეს, თუ ბუნება. ხასხასა მწვანე ბაღებში ჭრელი ყვავილები ყვლყვლაობდნენ. ქუჩებში კაციმკვილი არ ჩანდა. ბავშვები სკოლაში იყვნენ, უფროსები სამუშაოზე. გზაში ხანდახან ტრაქტორი, მსუბუქი ან სატვირთო მანქანა გამოჩნდებოდა. უყვარდა მთებს შორის მოქცეული ბორცვიანი მიწა და ვაკე. ეს მისი და ღიზას სამშობლოს ნაწილი იყო. როცა კარიერამ საინჟინტროსა და დედაქალაქში წაიყვანა, ღიზამ აქაურობის ერთგულება შეინარჩუნა, შეინარჩუნა სახლი და ბავშვები აქაური სკოლიდან არ გამოუყვანია. თვითონ აქეთ-იქით უწევდა მოგზაურობა, ჩამოდიოდა ერთი ან ორი დღით, ხან მთელი კვირით. ბავშვებსაც უყვარდათ მშობლიური ადგილები. როცა სახლი დატოვეს, შორს არ გაუნევიათ. ერთი საათი უნდოდა მანქანას ქალიშვილის, ორი საათი ვაჟიშვილის სახლამდე, და თუ ჩქარა ივლიდა ტრასაზე, შეიძლება ნახევარ დროშიც დაგვეფარა მანძილი. მაგრამ ამჟერად არსად ეჩქარებოდა.

ცდილობდა, იმ საუბრისთვის მომზადებულიყო, ქალიშვილთან რომ ელოდა. რა უნდა უთხრას მას ღიზასა და სხვის შესახებ? როგორ ჰკითხოს, უთქვამს თუ არა ადვება რაიმე მასსა და სხვაზე? ზუსტად არ იცოდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ ღიზა ძალიან ახლოს იყო ქალიშვილთან. ახსენდებოდა ცოლი და ქალიშვილი ზელიხელგაყრილი, ქალიშვი-

ლი სახლი ბრუნდება და მაშინვე დედას უხმობს, ან ღიზა, მასთან ერთად შევბუღებამი მყოფი, საათობით კიბია ტელეფონზე, ქალიშვილს ესაუბრება. თუმცა ეს ყველაფერი იმ დროს ეკუთვნოდა, როცა გოგონა ჯერ კიდევ თინეჯერი იყო.

9

„რაზე უნდა მესაუბრო?“ — უკმეხად ჰკითხა ქალიშვილმა, როცა ლოგინს უშლიდა ტახტზე საერთო ოთახში. დაგეხმარებო, შესთავაზა, მაგრამ ქალმა იუარა და ისიც იდგა ჯიბეებში ხელბეჩანყობილი.

„მოდი ხვალ ვილაპარაკოთ ამაზე“.

ქალმა საბანი გაშალა ტახტზე და გაიმართა. „დედის სიკვდილის შემდეგ მოგიპატივეთ, მეგონა ორივესთვის უმჯობესი იქნებოდა, უფრო დავახლოვებოდი ერთმანეთს, რადგან ჩვენ... რადგან შენ ცოლი დაკარგე, მე კი — დედა. გეორგს და ბავშვებსაც გაახარებდი, მაგრამ არ მიიღე ჩვენი მონვევა და ძალიან მატყინე გული. ახლა მოდიხარ და გინდა მესაუბრო. ზუსტად ისე, როგორც მაშინ, როცა თვეობით არ გადარდებოდა ჩვენი ამბავი და უცებ, ერთ კვირა დილას შევიღებთან სეირნობას ან საუბარს მოისურვებდი. ჩვენ კი არაფერი გვქონდა სასაუბრო, არაფერი მოგვედოდა თავში, რაც გაბრაზებდა. გახსენებაც არ მინდა“.

„ასე ცუდად იყო ყველაფერი?“

„დიახ“.

„ვწუხვარ“. ფეხსაცმელს დასცქეროდა. „დიდი ხნის განმავლობაში, როცა მეტად ბევრი საქმე მქონდა, კონტაქტი დაკარგე ოჯახთან. შემდეგ სინდისის ქენჯნა მანუხებდა, მაგრამ არ ვიცოდი, რა მეკითხა თქვენითვის. უფრო სასონარკვეთილი ვიყავი, ვიდრე ნაწყენი“.

„სასონარკვეთილი?“ — ირონიულად ჰკითხა ქალიშვილმა.

თავი დაუქნია. „დიახ, ნამდვილად სასონარკვეთილი“. სურდა, აეხსნა შვილისთვის, როგორი ყოფა ჰქონდა მაშინ, როგორ იტანჯებოდა იმით, რომ სიახლოვე აკლდა მათთან, მაგრამ მის სახეში იმის უარყოფა დაინახა, რისი თქმაც უკრავდა. მკაცრი და განიშნატებული ჩანდა. მართალია, მამას შეეძლო ამის უკან ისევ ის გულღია, მზიარული და მიმნდობი გოგონა შეეცნო, ჯერ კიდევ რომ ახსოვდა, თუმცა ვერც მასთან დალაპარაკებას ახერხებდა და ვერც მის ალაპარაკებას. იმასაც ვერ ეკითხებოდა, ერთ დროს მზიარული გოგონა რამ აქცია გაავებულ ქალად. ის კითხვა ყველა შემთხვევაში უნდა დაესვა,

რისთვისაც ჩამოვიდა, მაშინაც კი, თუ პასუხი უკმეხი იქნებოდა. „დედაშენს უსაუბრია შენთან ჩვენი ცოლ-ქმრობის შესახებ?“

„დედაშენს, არ შეგიძლია, უბრალოდ თქვა, დედას, როგორც სხვა ქმრები ამბობენ, ან ლიზას? ის რომ დედაჩემია, ამით იმას უსვამ ხაზს...“

„დედაშენს, დედას უთქვამს, რომ არ უყვარდა, როცა ასე მოვიხსენიებდი?“

„არა, არასდროს უთქვამს, რომ არ უყვარს ის, რასაც აკეთებ.“

„გახსოვს თერთმეტი წლისწინანდელი დრო? სკოლა დაბთავრე და ზაფხულში...“

„არ არის საჭირო გამახსენო, რას ვაკეთებდი მაშინ, ეს უშენოდაც ვიცო. ზაფხულში დედამ დამთავრების წუთითან დაკავშირებით ვენეციაში წამიყვანა. რატომ მეკითხები?“

„მოგზაურობისას ჩემზე, ჩვენს ცოლ-ქმრობაზე, სხვა კაცზე გქონიათ ლაპარაკი?“

„არა, არ გვექონია, გრცხვენოდეს, ასეთ შეკითხვებს რომ მისვამ“. დერეფანში გავიდა და მალე ორი პირსახოცით დაბრუნდა უკან. „აი, შეგიძლია აბაზანაში შეხვიდე. რვის ნახევარზე ვსაუზმობთ. შეიძუე გაგაღვიძებ. ღამე მშვიდობისა“.

უნდოდა შეიღოს მოხვეოდა, მისკენ გაემართა, მაგრამ მან ხელი დაუქინა თუ აუქინა და სასწრაფოდ გაქრა ოთახიდან.

აბაზანაში არ შესულა. დერეფნის გავლა მეტ სითამამეს მოითხოვდა, ვიდრე გააჩნდა. ეწინოდა, ვითუ გზა ამებნეს და სიძე-ქალიშვილის, ან ბავშვების ოთახში მოვხვდე, ან კიბის უფრედის ჩაკეტილ კართან. მაშინ ხომ ზარი უნდა დაერეკო, ჰოდა, სალანძღავ სიტყვებსაც მოვისმენ და ბოდიშის მოხდაც მომიწევსო. გადაწყვიტა, ვაჭიშვილი აღარ ენახა, არც ლიზას მეგობარს სწევოდა და ეკითხა როლფის შესახებ.

10

მეორე დღით, როცა ქალიშვილი და სიძე სამსახურში, ხოლო ბავშვები სკოლაში წავიდნენ, გამოსამშვიდობებელი ბართი დაწერა და დატოვა იქაურობა.

ოთხი საათი გაგრძელდა მგზავრობა. ქალაქს კარგად არ იცნობდა, მაგრამ ქუჩაც იპოვნა, სახლიც პარკთან და ოთახიც იქვე ახლომდებარე სასტუმროში. ტანსაცმელი კარადაში ჩამოაშკიდა და გაისეირნა. პატარა ქუჩა, სადაც სასტუმრო მდებარეობდა, კვეთდა განიერ ქუჩას განიერი ტროტუარებით და პატარა მოედანს უერთდებოდა. მო-

ედნის მერხიდან ის ქუჩა მოჩანდა, სხვა რომცხოვრობდა. სახლი წარმოადგენდა ბინებად დაყოფილ მოდერნისტილის ვილას, რომლის უკანა ნაწილი, მეზობელი სახლების მსგავსად, ნაკადულს და პარკს ესაზღვრებოდა.

მომდევნო დღეს სეიონობისას მოედნამდე მისულს ცარიელი დახვდა მერხი. მართალია, თბილი ამინდი ვარეთ უხმობდა ადამიანებს, მაგრამ ისინი პარკში ჯდომას ამჯობინებდნენ, რომელიც სულ რამდენიმე ნაბიჯით იყო მოედნიდან დაცილებული. მერხზე დარჩა, სანამ გაზეთის კითხვას ჩაათავებდა, შემდეგ სხვის სახლს ჩაუარა და ნაკადულის გაველით პარკისკენ გაეშურა. ყოველდღე გვიანს დილის საათებში წრეს არტყამდა იქაურობას: უნდოდა გეცნო სხვა, ალყაში მოექცია, მისი ჩვეულებები და მიდრეკილებები გაეყო, მისი ნდობა მოეპოვებინა და მისი სუსტი ნერტილი ეპოვნა. შემდეგ — არ იცოდა, რა იქნებოდა შემდეგ, როგორ უნდა მოქცეულიყო შემდეგ, როგორცაა უნდა განედევნა იგი საკუთარი და ლიზას ცხოვრებიდან.

მეორე კვირის სამშაბათს მერხზე იჯდა, როცა დაახლოებით 12 საათზე სხვა სახლიდან გამოვიდა. ჟილეტით, კოსტუმით, პალსტუხით და პალსტუხის შესაფერი ცხვირი-ხოცით გულის ჯიბეში. კოხტაპრუნა. უფრო მძიმე იყო, ვიდრე ფოტოსურათზე ჩანდა, წარმოსადეგი აღნაგობა ჰქონდა და ფრთაშესხმულივით დააბიჯებდა. პარკს მიაღწია, გზაჯვარედინთან პატარა ქუჩაზე შეუხვია და რამდენიმე ასეული მეტრის გავლის შემდეგ დაკვირ ტერასაზე დაჯდა. შეკვეთა არ დასჭირვებია, ისე მიართვა ოფიციალტმა ყავა, ერთი კრუასანი და ჭადრაკი. სხვამ გულის შიგნითა ჯიბიდან ნიგნი ამოიღო, ფიგურები განალაგა და ჭადრაკის თამაშს შეუდგა.

უკვე ჭადრაკის დაფას ეჯდა და კერეს-იოვეს პარტიას იმეორებდა, როცა მეორე დღეს სხვა გამოჩნდა.

„ინდურია?“ — იკითხა მოსვლისთანავე და ჭადრაკის დაფას მიაჩერდა.

„დიახ“, — უპასუხა და თეთრი ეტლით შავი პაიკი მოკლა.

„შავმა ლაზიერი უნდა გასწიროს“.

„კერესიც ასე ფიქრობდა“. — თეთრი ეტლი შავი ლაზიერით, ხოლო შავი ლაზიერი თეთრით მოკლა. წამოდგა და მოსულს მიმართა — „ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ, რიშანი“.

„ფაილი“.

ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

„ხომ არ ჩამოფდებით?“

ერთად დალიეს ყავა, მიირთვეს კრუასანი, ბოლომდე მიიყვანეს კერეს-იოვეს პარტია და ერთი პარტიაც ითამაშეს.

„ოჰ, ღმერთო, სამი საათია, უნდა გავიქცე, ხვალ კიდევ გიხილავთ“? – იკითხა და ფეთიანივით წაშობტა.

„სიამოვნებით. ერთხანს ქალაქში ვრჩები“.

შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს ერთმანეთს შეხვდებოდნენ, ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე. ბოლოს შეთანხმებაც აღარ სჭირდებოდათ. პირველის ნახევარზე უკვე კაფეში ისხდნენ, მიორთმევდნენ ნაცვინავ საუზმეს, თამაშობდნენ ჭადრაკს, შემდეგ კი საუბრობდნენ, ან პარკში სეირნობდნენ.

„არა, არასდროს ვყოფილვარ დაქორწინებული. ქორწინებისთვის არ ვარ შექმნილი. ქალებისთვის ვარ შექმნილი, ქალები კი – ჩემთვის. მაგრამ ქორწინება – არა, არა! ხანდახან გაქცევა მინევდა, როცა უსიამოვნებამდე მივიდოდა საქმე და ყოველთვის საკმაოდ სწრაფად ვახერხებდი ამას“. — გაიცინა.

„არასდროს შეგხვედრიათ ქალი, რომელთანაც სიამოვნებით დარჩებოდით?“

„ცხადია, იყვნენ ქალები, რომლებიც ჩემთან დარჩებოდნენ სიამოვნებით, მაგრამ როცა მორჩა, მორჩა. ხომ იცნობთ ზემ პერბერგერს: თამაშიდან თამაშიმდე.“

ან პროფესიაზე საუბრობდნენ.

„იცი, ვისაც ნლების მანძილზე ინტერნაციონალური პასუხისმგებლობა აკისრია, ვინც დღეს ნიუ-იორკშია, ხვალ პონკონგში, პროფესიას სულ სხვაგვარად უყურებს, ვიდრე ის, ვინც ყოველ ცისმარე დღეს ერთსა და იმავე ბიუროში მიდის და ერთსა და იმავე სამუშაოს ასრულებს.“

„რას აკეთებდით?“

„მოდ, დავარქვით ამას "Troubleshooting"-ი. სხვების ნახდენილს ვასწორებდი. მემამობენი გერმანელი ელჩის ცოლს ან ქალიშვილს იტაცებენ, ქურდი ნაციონალურ გალერეას მოპარული სურათის დაბრუნებას სთავაზობს, PDS-ი SED-ის ქონებას მაფიას აბარებს – ხედებით, რას ვგულისხმობ?“

„მემამობებთან, ქურდებთან და მაფიასთან ანარყოებით მოლაპარაკებებს?“

„ვილაცას ხომ უნდა ეტვირთა ეს?“ — მრავალსმეტყველი და მოკრძალებული იყო მისი გამომხდვა.

ან საკუთარ გატაცებებზე საუბრობდნენ.

„დიდხანს ვერ წარმომედგინა ცხოვრება პოლოს გარეშე. გოლფს თამაშობთ? პოლო ისე შეეფარდება გოლფს, როგორც ჯირითი სირბილს“.

„რას არ იტყვიო!“

„ცხენოსნობაც არ გიტაცებთ? მაშინ როგორ ავიხსნათ. ეს არის ყველაზე სწრაფი,

ყველაზე უღმობელი და ყველაზე რაინდული თამაში. სამწუხაროდ, უკანასკნელი ტრავმის შემდეგ თავის დანებება მომიხდა“.

ან ძაღლები იყო მათი საუბრის თემა.

„ასე, დიდხანს გყავდათ ძაღლი? რა ჯიშის?“

„ნავაზის, ცოტა როტვიელერის და კიდევ რაღაცის ნარევი. როცა ჩვენთან მოხვდა, უკვე ერთი თუ ორი წლისა იქნებოდა, ნაბეგვი, დემრესიული. ასეთივე დარჩა, მაგრამ ბედნიერად გრძნობდა თავს, იმდენად ბედნიერად, რამდენადაც შეეძლო და ოჯახისთვის ნაკუნებად დაავლევჯინებად თავს, სავარძლის ქვეშ თუ არ შეადგენდა შიში“.

„უვარგისი. ეს ის არის, რისი ატანაც არ ძალმიძს. უვარგისი. მე კარგა ხანს დობერმანი მყავდა, გადასარევი ცხოველი, რომელიც ჯილდოს ჯილდოზე იცებდა“.

11

„ბაქია და კობტაპრუნა, რა ნახა ლიზამ მასში?“

დამლაგებელს დაურეკა და სთხოვა, ფოსტა გამოეგზავნა სასტუმროში.

არა, ჩემო ბორენა, ასე ცუდი სულაც არ იყო ჩემი დახმარება. ჩვენ ვფიქრობდით, წარმატება მოჰყვებოდა მას. გარდა ამისა, გსიამოვნებდა, როცა მჭირდებოდი. აი, მე კი მიმიძიბდა, მარტო რომ ვერ ვართმევდი პრობლემებს თავს. მაგრამ ეს გაკვეთილი იყო ჩემთვის. ახლა სხვაგვარად ვცხოვრობ. საგნებს აყალებებ, ალამაზებო. არ არის მართალი. მე სხვებისგან განსხვავებით, სილამაზეს ვხედავ მათში. აკი, შენც გიჩვენე სილამაზე, რაც მანამდე არ ვენახა და ბედნიერება მოგანიჭე ამით.

ნება დამრთე, კვლავ ავიხილო თვალები და ვაგაბუნდნიეო.

როლფი.

იმის შიშით, თავს გავცემო, არ უთქვამს სხვისთვის, რომელ ქალაქში ცხოვრობდა. ეს შედეგტი სიფრთხილე იყო და, გარდა ამისა, საუბრის გაბმის ნერტილებს ართმევდა მას, ართმევდა ანკესის კაუჭს, რომელსაც სხვა გადაყლაპავდა და რომელზეც წამოგებოდა. შოდა, ახსენა ქალაქი, ერთხანს იქ ცცხოვრობდით.

„მეც მქონდა ოდესღაც იქ ბინა. იცი, ალბათ, სახლები მდინარესთან. ახალ ხიდსა და მეორე, უფრო ახალ ხიდს შორის, რომლის სახელი აღარ მახსოვს“.

„ჩვენი სახლიც იმავე უბანში მდებარეობდა, მაგრამ მინდორში, სკოლის უკან“.

ქუჩა დაასახელა, თავისი ქუჩა.

სხვამ შუბლი შეჭმუნა.

„ხომ არ გახსენდებათ ქალი 38-ე სახლიდან?“

„ნაბლისფერი თმა, თაფლისფერი თვალები, მეგობრები, ორი ვიწრო, ქმარი ჩინოვნიკი. იმას გულისხმობთ? იცნობდით?“

სხვა თავს აქნევდა. „რა დამთხვევაა, რა დამთხვევა. დიახ, ოდესღაც ვიცნობდით ერთმანეთს. მე ვგულისხმობ...“ ხელებს დააჩერდა. „დახვეწილი ქალია“.

„ჩემი ცოლი დახვეწილი ქალი იყო?“ მიუხედავად იმისა, რომ სხვამ მოწინებით წარმოსთქვა ეს, ქედმაღლობა და მოწყალეების გაღების მაგვარი დაიჭრა მის ხმაში. გაბრაზდა.

მამინაც ბრაზობდა, როცა ქადრაკის პარტიას მოუგებდა სხვა. თუმც იშვიათად ხდებოდა ეს, რადგან სხვა დაბნეულად თამაშობდა, ქუჩისკენ, ქალებისკენ ან მეზობელ მაგიდასთან ჩაცუცქული ძაღლისკენ ეჭირა თვალი. ბევრს ლაპარაკობდა და აქებდა საკუთარ სვლებს. როცა მცდარ სელას გააკეთებდა, შენუხებული აბრუნებდა უკან და წაგებისას სიტყვაუხვობით ხსნიდა, მაინც რატომ უნდა მოეგო ეს პარტია. მოგება ბავშვივით ახარებდა. მოჰყვებოდა ტრაბახს – არ ჰქვიანოდა გაცვალა ეტლი მხედარიში ან შეერია პაიკი, რა ოსტატურად შეუსუსტა მოწინააღმდეგეს ლაზიერის ფრთა და როგორ გაიძლიერა ამით ცენტრი. ყველაფერს, რაც თამაშის დროს ხდებოდა, ხსნიდა და წარმოაჩენდა, როგორც საკუთარი შესაძლებლობის უშირა-ტესობის სახუთს.

ხომ არ გადაიხდით ჩემს მაგივრად, სახლში დამრჩენია ფულიო, სთხოვა მომდევნო კვირას. მეორე დღით კვლავ ითხოვა ფული. სახლში კი არ დარჩენია, როგორც ფიქრობდა, შარგლის ფიბში ჩარჩენია თურმე. შარვალი ქიმშიმუნდაშია და კვირის ბოლომდე ვერ გამოიტანს. ამიტომ მეტი თანხა სჭირდება, იმდენი, კვირის ბოლომდე რომ გაიტანოს თავი. ოთხასი ბევრია, მაგრამ სამასი რომ იყოს?

მისცა ფული, თუმც აბრაზებდა მისი თხოვნის მანერა. როცა ფულს გათხოვდა და იღებდა, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს დიდად გაეალებდა ამით.

ბრაზობდა, რადგან არ იცოდა, რა გაეკეთებინა შემდეგ. გაეგრძელებინა მასთან ქადრაკის თამაში, სეირნობა, ეძლია მისთვის ფული და ესმინა მისი ტრაბახი? ერთხელ, ალბათ, იმ აფერის ამბავის მოსმენაც მოუწევდა, რომელშიც მისი ცოლი ფიგურირებდა. უფრო უნდა მიახლოვებოდა სხვას. წერილი დანერა,

დამლაგებელს გაუგზავნა და სთხოვა, საფოსტო ყუთში ჩაეგდო.

ასეა, ალბათ, უნდა შევხედეთ ერთმანეთს. რამდენიმე კვირაში შენს ქალაქში ვიქნები და შევეძლებ, გნახო. ჩემი ცხოვრება შეიცვალაო, მიჩვენე ეს. მიჩვენე შენი საქმიანობა, მეგობრები და, თუ არსებობს, შენი ცხოვრების ქალი. იქ, სადაც ჩვენი ურთიერთობა შეწყდა, ვეღარ გავგრძელებდა. მაგრამ იქნებ მოიძებნოს შენს ცხოვრებაში ადგილი ჩემთვის და ჩემს ცხოვრებაში – შენთვის, ცხოვრების შიგნით და რა მის განაპირაში.

ბ.

მიუპატიებლად და გაუფრთხილებლად ენვია სხვას და კარზე დარეკა. გაპრიალეული სპილენძის აბრა გვარებით, ზარით და სელექტორით ისეთი იყო, როგორც იუგენდსტილის მოვლილი საბლის მოდერნისტულ ფასადს შეეფერებოდა. სხვისი გვარი სულ ბოლოს ეწერა. სახლის კარი ღია იყო და როცა პირველი სართულის ორი ბინის კარიდან ვერც ერთზე ამოიკითხა მისი გვარი, ქვემოთ ჩაუსყვა კიბეებს, რომლის საფეხურებიც, სადარბაზოს იატაკის მსგავსად, მარმარილოსი, სახელურები კი, ისევე, როგორც ზემოთა სართულის, მოჩუქურთმებული მუხისა იყო. სარდაფის კიბის ქვემოთ, მარჯვნივ მდებარეობდა მისი ბინა. ზარი დარეკა.

„თქვენ ხართ, ფრაუ ვალტერ, მოვდივარ“, - მოესმა მასპინძლის ხმა. ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო და ისიც გამოჩნდა, მუხლებზე გამობერილ სპორტულ შარვალსა და დალაქულ მაისურში გამოწყობილი. ღია კარიდან მოჩანდა ბაღში გამავალი, მინის ღონეზე გაჭრილი ფანჯარა, გადაუგებელი საწოლი, ჭურჭლით, გაზეთებით და ბოთლებით სახე მავიდა, ორი სკამი, კარადა და შემდეგი ფართოდ გაღებული კარიდან – საპირფარეშო და შხაბი. „ოჰ, რა სურპრიზია“, — დერეფანში გამოვიდა და თითქმის მიუკერძო კარი.

„მინდობდა ერთხელ ისე, უბრალოდ...“
„დიდებულია, მართლაც რომ დიდებული. ენუხვარ, სათანადოდ ვერ გხვდებით. აქ მეტად სივინროვეა. იქ ზემოთ, კარგა ხანს ვაქტივედი ყურადღებას იმას, ყველაფერი ნესრიგში ყოფილიყო. ორი თვეა სარდაფში მინევს ღამის გათვეა, რადგან კუბეს ვუღლი. გიყვართ კუბები?“

„მე არასდროს...“
„არასდროს გყოლიათ კუბები? თუმც, ისინიც კი, რომლებსაც ჰყავთ, ნაკლებად იცნობენ მათ. და როგორ შეიძლება, გიყვარდეს ის,

რასაც არ იცნობ. ნამობრძანდით!" გაიარეს რკინის კარი, დერეფანი და საქვაბეში შევიდნენ. „მალე შეძლებენ ვარეთ გასვლას. თუმცა ჩემს თავს ვეუბნებთ: ზედმეტი სიფრთხილე სჯობია ნაკლებს. ჯერ არასდროს მომხდარა ჩვენთან, კუებს გამორეკოთ. როცა ბებრუხუღა შემოდგომაზე ბურქებში რალაცას მარხავდა, ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ იმას ვერა, კვერცხებს მალავს - მეთქი. სამი კვერცხი იყო. მე ისინი საქვაბეში ვადმოვიტანე და იქიდან ორი გამოიჩეკა“.

საქვაბე ცუდად იყო განათებული. სანამ სტუმარი სუსტ შუქს შეაჩვევდა თვალს, სხვამ აიღო მისი მარცხენა ხელი და ნამცეცა კუ დაუსვა ხელის გულზე. ჯერ კუს უსუსურად მოძრაუი ფეხები, ნაზი ფხაქნა და ღიტინი იგრძნო, შემდეგ მისი ჯავშანი დაინახა, ისეთივე, როგორიც დიდ კუებს აქვთ, ისეთივე დანაოჭებული კანი თავის ქვემოთ და ქუთუთოების ისეთივე ნელი მოძრაობა ბებერი, ბრძენი თვალის ირგვლივ. გულისამაჩუქებლად პატარა იყო და როცა მარჯვენა ხელის თითებით შეეხო მას, იგრძნო ჯერ კიდეც რა რბილი ჰქონდა ჯავშანი.

სხვამ რალაც სასაცილო მოძრაობა გააკეთა და სტუმარს გახედა; სპორტული მარვალი ღიბს ქვემოთ ჩამოსწოდა, თეთრი და წვრილი ხელები საცოდავად ეკიდა, სახეზე კი შინაგანი სურვილი გამოხატვოდა - გაეოცებინა იგი და ქება დაემსახურებინა.

მართლაც ამბობდა თუ იყიდა პატარა კუები? შეიძლება ასე პატარა კუების ყიდევა? სხვა დროს კორსეტი აცვია, ღიბი რომ დაუმალის? ამ სოროში იმიტომ ცხოვრობს, კარგი მისამართით მიწონოს თავი და დილაობით კარგად გამოწყობილი კარგი სახლიდან გამოვიდეს?

ხელისგულზე დასმულმა კუმ კინალამ აატირა - ასე ნორჩი და უკვე ასე ბებერი, ასე დაუცველი და უსუსური და უკვე ასე ბრძენი. ამავე დროს სხვა აღიზიანებდა, აღიზიანებდა მისი უსუფთაობა, გავერანებული ბინა, ტრახბახი და ფინი - თავი მოეწონებინა მისთვის. ამ უვარგისში ვაცვალა ღიბამ?

12

რამდენიმე დღის შემდეგ საუზმობისას სხვამ ქურთუკის ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და მაგიდაზე დადო. „მნიშვნელოვანი შეტყობინება მივიღე!“ ხელი გადაუსვა კონვერტს. „ცნობილი მევიოლინე ქალი ჩამოდიხ ჩემთან. მის ვინაობას რომ ვერ გიმხვლეთ, გამოიკვით. მიღება უნდა მოვუწყო. ქალაქში ხომ რჩებით?

შეიძლება მოგნვიოთ?”

მონვევა აქ არ იყო მთავარი. სხვას მისი, როგორც დამფინანსებლის, მოპოვება სურდა. „მოხვალთ არა? რა კარგია! შეიძლება ასევე გთხოვოთ, ამ მომენტისთვის შექმნილი სირთულისგან მისხნათ? ამჟამად უძრავი ქონებით ვარ დაკავებული. ერთ-ერთ მათგანში უფრო დიდხანს ვილენი, ვიდრე ეს ხელს მძალევეს. ამის შედეგია, რომ ცოტათი გადახარჯვის პრობლემა შემექმნა, რამაც მიღებაში ხელი არ უნდა შემიშალოს. ასე არ არის?“

„რამდენი გჭირდებათ?“ - მზერა მიაპყრო სხვას. ისევ ის მოვლილი ვაჭბატონი კოსტუმით, ჟილეტით, პალსტუხით და შესაფერი ცხვირსახოცით გულის ჯიბეში. პალსტუხებს და ცხვირსახოცებს ხშირად იცვლიდა, კოსტუმი მხოლოდ ორი, ზუღაპეშტური მოდელის შავი ფეხსაცმელი კი, რომელიც ყოველთვის უზადოდ პრიალებდა, ერთადერთი ჰქონდა. ეს ახლა გააცნობიერა. ისიც გააცნობიერა, რატომ მოითხოვდა სხვა ასე დაჟინებით მხოლოდ ასფალტირებული და მოკონსულული გზებით ევლოთ. ფეხსაცმელს ზოგავდა თურმე. ის, რომ უძრავი ქონებით იყო დაკავებული და ერთში უფრო დიდხანს იღწვოდა, ვიდრე ეს ხელს აძლევდა, იუგენდსტილის ვილის მეეზოვეობა ხომ არ იყო? დააფინანსებს. მიღება შესაძლებლობას მისცემს, მისი მეგობრები და ნაცნობები გაიცნოს, მეგობრების და ნაცნობების წინაშე ამხილოს იგი.

„იცი, ალბათ, Trattoria Vitorio Emanuele ორი ქუჩის გადაღმა, მარცხნივ? ეს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო იტალიური რესტორანია, რომელიც მინახავს და უკანა ეზოში გამაგალი დარბაზი შეიძლება დაეხუროთ, მე-პატრონეს ვიცნობ. ოცი სულის გამასპინძლება სამიათას მარკაზე მეტი არ დამიჯდება!“

„გამასპინძლება? მეგონა მიღების მოწყობა გასურდათ.“

„დიახ, იგი მე ასე წარმომიდგენია. ფინანსურად დამეხმარებით?“

როცა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა, სხვამ გვამების შედეგა დაიწყო: რა უნდა იყოს სუფრაზე, ვისი მონვევა სურს; რომ აპერიტივი კარგ ამინდში შეიძლება ეზოში გაიწყოს, რომ სიტყვებით გამოსვლაა საჭირო.

ვისი მონვევა სურს - ყოველ საუზმობისას ამაზე იყო ლაპარაკი. შესაძლებელი სტუმრებიდან, რომელთაც ასახელებდა და აღწერდა, გარკვეულ სახეს იღებდა მისი ცხოვრება. სხვა ყვებოდა თეატრზე, ერთ დროს რომ ჰქონდა, თეატრისა და კინოს წარმომადგენლებზე, უცნობ ან უკვე დაინეკებულ სახელებზე, თუმც ზოგიერთის გვარი მაინც ჟღერდა; ახსენებდა პოლიციის ყოფილ პრუზიდენტს, ტაძრის წინამძღვარს, ვილად პროფესორს და ბანკის დი-

რექტორს. მათთვის ოდესღაც სამსახური გა-
უნევიდა და სიამოვნებით მოვლენ. რა სამსახურ-
რი? პოლიციის პრეზიდენტს ერთის მიქელად
აყვანისას ინფორმაციით დახმარებია; პრო-
ფესორი და ბანკის დირექტორი მის გარეშე
დროზე ვერ შეამჩნევდნენ, რომ მათ უმნიფარ
შვილებს ნარკოტიკების პრობლემა ჰქონდათ;
ეკლესიის წინამძღვარს კი მეტისმეტად უჭირ-
და ცვლებათის აღთქმის დაცვა. ჭადრაკის იმ
გუნდის პირველი და მეორე დაფის მოწვევაც
სურდა, სადაც თავად მესამე იყო. უძრავი ქო-
ნების თანამშრომლებიდან, რომლებთანაც
ამჟამად მოღვაწეობს, მხოლოდ ცოტას თუ
აქვს დონე, მაგრამ ერთის ან ორის ამორჩევა
შეიძლება. „ჩემი ინტერნაციონალური კონ-
ტაქტებით ვინმეს დაპატივებისგან, სამწუ-
ხაროდ, თავი უნდა შევიკავო. საიდუმლოების
შენახვა მათთვის ყველაფერია“.

მას შემდეგ, რაც სხვამ იმეორა და იმე-
ორა ერთი და იგივე სახელები, ჩემი ვაჟიცო,
დაამატა.

„ვაჟი ვაყვით?“

„თითქმის არ მქონდა მასთან კონტაქტი.
ვახსენებთ, როგორი წესი იყო წინათ. უკანონო
შვილისთვის შეგძლო ფული გეხადა, მაგრამ
მისი ნახვა, მასთან უქმე დღეების ან არდადე-
გების გატარება ნარკოზიდგენელი იყო. ჩემმა
ვაჟმა, ასე თუ ისე იცის, რომ მისი მამა ვარ,
თუმც ვშიშობ, ჩემს წინააღმდეგ განაწყვეს.
სწორედ ამიტომ არის კარგი, ჩემს სამყაროში
თუ მიხილავს. ასე არ ფიქრობთ თქვენც?“

რამდენიმე დღიანი მხიარული დაგვიტყვის
შემდეგ, როცა წერილი მიიღო უკვე ვიზიტის
თარიღით: შაბათს, ორ კვირაში, სხვას შიში
შეუბარა. „Trattoria თავისუფალია, მოპატივებ-
ებები უნდა დავაჩქარო. არავინ რომ არ მოვი-
დეს?“

„მოპატივებაზე მიუთითეთ, რომ პასუხს
ელთ მათგან“.

„რა თქმა უნდა. მაგრამ პასუხი შეიძლება
იყოს თანხმობა ან უარი. ასე დაენერ: მევიო-
ლინე ამის და ამის ... საპატივცემულოდ, თავს
ნებას ვაძლევ, ვახშამზე მოვიწვიოთ Trattoria
Vitorio Emanuele –ში, ან ასე: მევიოლინე ამის
და ამის ... ჩვენს ქალაქში ვიზიტის გამო თავს
ნებას ვაძლევ ... ან გვარს და სახელს გამოვ-

ტოვებ და დაენერ: ჩემი ძველი მეგობარი და
ცნობილი მევიოლინე ქალბატონი ჩვენ ქალაქს
სტუმრობს. თავს ნებას ვაძლევ ვახშამზე მო-
ვიწვიოთ, ან გადავაადგილებ: ცნობილი მევი-
ოლინე ქალბატონის და ჩემი მეგობრის...“

„მე გვარს და სახელს გამოვტოვებდი.
მოკლედ შედგენილი მოწვევა საუკეთესოდ
მიმანია“.

სხვამ სახელი და გვარი გამოტოვა, მაგ-
რამ ცნობილი მევიოლინე და ძველი მეგობა-
რი დატოვა. საზეიმო ვახშამობამდე ორი კვი-
რით ადრე მოსაწვევები უკვე ადრესატებთან
იყო – დაიწყო ლოდინი, ვინ განაცხადებდა
თანხმობას და ვინ იტყოდა უარს.

შერეული გრძნობით აკვირდებოდა მის
მზადებას, იმედებს და შიშს. თუ შურისძიებას
ელოდა, მიღება შესაძლებლობას აძლევდა,
შური ეძია, მაშინაც კი, თუ ჯერ არ იცოდა,
როგორ უნდა ეძია შური. ასე რომ, მასთან ერ-
თად ელოდა თანხმობას ან უარს, ეხმარებო-
და მას ფულით და რჩევით. თუმც ამავდ დროს
სწამდა, რომ სხვა არაფრის ღირსი არ იყო,
არც იმისი, ვინმეს მიეღო მისი მოწვევა. ტრა-
ბახა, კოსტაპრუნა, ყალბი, უვარგისი. იგი შე-
იჭრა მის ქორწინებაში და, სავარაუდოდ, არა
მარტო მის ქორწინებაში. ფულს ცინცლაფდა
მას და, ალბათ, არა მარტო მას.

ერთ საღამოს ერთად გაემართნენ Trattoria
Vitorio Emanuele-ში, შეამომწეს დარბაზი
და მენიუ. Pate trikolore, ბატკნის ხორცი სა-
ნებლით, Torta di ricotta, მასთან Pinot Grigorio
და Barbera. კერძები დიდებული იყო. სხვა ყვე-
ლაფერზე და თითოეულ წვრილმანზე ზრუ-
ნავდა. Pate ზედმეტად ცხიმოვანი ხომ არ იქ-
ნება? ბატკანს ყოფნის როზმარინი? სანებე-
ლი სხვაგვარად ხომ არ უნდა შერჩეულიყო?
ყველაფერზე ფიქრობდა, მოვიდოდა ხალხი,
ესტუმრებოდა თითოეული, რას იფიქრებდა
მამაზე, მობაზამდა სიტყვას თავს? მოუტანდა
ძველი მეგობრის და ცნობილი მევიოლინის
სტუმრობა ნარმატებას? სხვა გაენდო მას:
ლაპარაკია ქალზე, რომელთანაც ოდესღაც
სიახლოვე ჰქონდა. შემდეგ გაახსენდა, რომ
მის წინ ამ ქალის ყოფილი მეზობელი იდგა.
„ცოტა ხნის წინ მასზე გვეჭოდა ლაპარაკი.
გახსოვთ? ნატიფი ქალია, და თქვენ მცდარი
დასკვნები არ უნდა გამოიტანოთ.“

გერმანულიდან თარგმნა
ბელა სურგულაძემ



ჩები ვნებიან მზერით, შენი საყურეც მზესა-
ვით ელავს...“

მაყვალა გონაშვილი — მაღლიანი ოჯა-
ხის დედა და ღირსეულ ქმარ-შვილზე მზრუნ-
ველი...

მაყვალა გონაშვილი — სევდიანი ქალი და
მარტოსული პოეტი...

მაყვალა გონაშვილი — ქართული მწერ-
ლობის და სულიერების მტრებთან მაცვლის-
ფრად ანთებული თვალებით მებრძოლი და
ქედუბრელი...

მაყვალა გონაშვილი — „ღვთისმშობლის
მონოლოგიით“ ცრემლმორეული და მიმტე-
ვებელი...

მაყვალა გონაშვილი — მაცხოვრის ხატის
წინ დაჩოქილი, მოცახცახე სანთლით ხელში
ლოცვად და სინანულად დაღვრილი...

მაყვალა გონაშვილი — შენინავე და წი-
ნამძლოლი... პირველი ქართველი ქალი თავ-
მჯდომარე ქართული მწერლობის ისტორია-
ში.

ამას წინათ, შენმა (ჩვენმა) ბაბომ — 90
წელს გადაცილებულმა დედილამ, რომელ-
მაც ჩვენი და-ძმობის ისტორია კარგად იცის,
შენთან სტუმრობისას მითხრა:

— „შენ და ჩემმა მაყომ მშვიდობიანი

ჩემს ჯითაჯით დაიას!

მაყვალა გონაშვილი — ჩემი ერთადერ-
თი დობილი ქვეყანაზე...

კეთილი და მკაცრი... მიზანდასახული და
დაბნეული... შეუპოვარი და გულჩვილი... მო-
სიყვარულე და შეუდრეკელი... გონაშვილთა
კეთილშობილი გვარის დედოფალი...

მაყვალა გონაშვილი — „არა მარტოდენ
მამულის ანდა, არა მარტოდენ წინაპრის ვა-
ლით“ და —

მაყვალა გონაშვილი — „მოგვდევს ქუ-



ცხოვრება ვერა ნახეთ, სულ რეკოლუციებში
და ომებში ხართ... ასოციაცია „გულანდიან“
დანწყებული, ვერ დაისვენებთ რა ვი...“

— რა დავასვენებს დედილა, როცა ქარ-
თულ სიტყვას, ქართულ ბგერას, ქართულ
პანგს, ქართულ ფერს, ქართულ ორნამენტს,
ქართულ სულს ეომებიან შინაური თუ გარე-
ული ურჯულოები...

ყოველთვის კეთილი შურით მშურდა ანა
კალანდაძის და შურმან ლებანიძის და-ძმო-
ბის და მეგობრობის. შეენატროდი და ვფიქ-
რობდი, მომავალში მე და მაყვალაც ასე ვიქ-
ნებით-მეთქი.

უფალს მადლობა, რომ ეს ნატვრა ამიხდინა!

ბედნიერი ვიქნები, თუ შენი ცრემლებიც მიმაბარებენ სამშობლოს მიწას...

ეს ისე... ასი წლის შემდეგ, ჩემო დაო!

გილოცავ დაბადების დღეს მთელი ჩემი ოჯახით!

გაზაფხულდა...

გაზაფხულის სურნელება და ახალი შემოქმედებითი ყვავილები არ მოჰკლებოდას შენს განუმეორებელ პოეტურ ხალიჩას!

**შენი მესამე ძმა (ნიკოს და ბესოს შემდეგ)
ვაჟა ოთარაშვილი**

1 მარტი, 2006 წელი

P.S.

საქართველოსთვის ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება, ჩემო დაო!

გარედან ბოლშევიკური რუსეთი უტევს ქართულ მიწას, შიგნიდან შენი სიტყვებით რომ ვთქვათ „ზოგი მუნჯი, ზოგი გონჯი, ზოგი კიდევ ცალთვალა ხისთავიანი კაცუნე-

ბი“ „ზიზლით ესევიან“ — ჩვენს მამულს, მამულს, რომელიც „ტელებედნიერი“ მხოლოდ გაყიდულ ე. წ. ქართულ ტელეარხებზეა, თორემ სინამდვილეში ქართული სულის ამოსაძირკვად ღონეს და პიარტექნოლოგიებს არ იშურებენ ივერთა ერის გადაგვარებისთვის. შენ კარგად უწყი მამულის წინაშე მწერლის მარადიული ვალი — ვალი უფლისა და მამულის წინაშე და უშიშრად თეთრი ირემივით მიიმღერი „დამგეშე, მგელო, მტერო, ჩემო გადამრჩენელო, თორემ ორივეს მონადირე ჩაგვსაფრებია“.

მარადიულ ლოცვასავით ჩამესმის „ღვთისმშობლის მონოლოგიდან“:

**„თუ განსაცდელი ელის ქვეყანას,
ღვლები სევდით თუ დაიბინდა
გფარავდეთ ჩემი ტანჯული შვილი,
მამუფალი და სულიწმიდა“**

მამამღერთი, ძემღერთი და სულიწმიდა გფარავდეთ შენ და ჩვენს საქართველოს, დაო მაყვალა!



აყაყი ზინთიძე

„ნუ აზბაჰი სპარსული“



მასნიჩის აქიჰიძან

2008 წლის 26 მაისს გარდაიცვალა ქართული ლექსის ცნობილი მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, ბატონი აკაკი ზინთიძე.

ქართული ლექსმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ეროვნული ვერსიფიკაციის უბადლო მკვლევარი სიცოცხლის მინურულამდე აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა: მონაწილეობდა სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და შეხვედრებში, წერდა გამოკვლევებს...

აკაკი ზინთიძის არქივში მოვიძიეთ მისი გამოუქვეყნებელი წერილი: „ესე აზბაჰი სპარსული“, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკით დაინტერესებული მკითხველი, ვიმედოვნებთ, ყურადღებით გაეცნობა.

თამარ ბარბაქაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ამ ნახევარტაეზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს. როგორ უნდა გავიგოთ იგი? მართლაც სპარსული აზბაჰი, სიუჟეტი უდევს საფუძვლად რუსთველის ქმნილებას?

ამ დებულებას თავისი მონინალმდებელიც ჰყავს და მომზრენიც.

ვახტანგ VI წერდა: „სპარსულად ესე აზბაჰი არსად იპოვება“.

ნიკო მარი დარწმუნებული იყო, რომ პოემა სპარსულიდანაა ნათარგმნი, თუმცა ბოლოს თავისი ნათქვამი შეარბილა, მაგრამ პოემის სიუჟეტის სპარსულობა დატოვა.

თამარ ხვედელიანს ნიგნში „ვეფხისტყაოსნის“ მითოსურ-ფოლკლორული სამყარო“ დეტალურად აქვს გადმოცემული ამ საკითხის ისტორია.

საგულისხმოა ჯუმბერ ჭუმბურიძის დაკვირვებაც მამუკა ბარათაშვილის ტრაქტატის სათაურზე: „პოეზილი მამუკა ბარათაშვილისაგან ძველთა ნათქვამთაგან“.

იგი სტერეოტიპული ფრაზაა, — წერს ბატონი ჯუმბერი, — ამით ცდილობდნენ, ნაწარმოებისათვის სიძველე და კომპეტენტურობა მიენიჭებინათ; ისე, როგორც „სიბრძნე ბალაშვილისას“ სიტყვები: „მივიხიე ოდესმე იოპედ, მუნ ვპოვე ნიგნი ესე ჰინდოთა სანიგნესა“ — პირდაპირი მნიშვნელობით არ არის ნათქვამი.

ზომ არ შიძლება, ესაზრი „ვეფხისტყაოსნის“ ამ ნახევარტაეზეც იქნას გადატანილი (ორიგვან პოვნაზეა საუბარი!) და არაპირდაპირი მნიშვნელობით გაგებული?

სპარსული პოეზია დიდი პოეზია იყო. შიდი მნათობიდან რამდენიმე, მათ შორის, ფირდოუსი, რუსთველს უსწრებდა და თავისი თხზულებებისათვის რომ მეტი ფასი დაედო, მის სპარსულ წარმომობაზე მიუთითო. ერთ ჩემს წერილში მე ამის ვარაუდი გამოვთქვი.

ახლა რომ ვუკვირდები, ამ მოსაზრებას თავისი კონტრარგუმენტებიც აქვს.

დავიწყეთ „ჭაშნიკით“. შესაძლოა, „პოეზილი მამუკა ბარათაშვილის მიერ ძველთა ნათქვამთაგან“ სტერეოტიპული ფრაზა კი არ იყოს, არამედ რეალური ვითარების ამ-

სახელი. მამუკას უსათუოდ ეცოდინებოდა სპარსული ენა, სპარსული პოეზია. ერთგან წერს: „სპარსის მოშირეთში ეს უკადრისი არის“, მეორეგან — „სპარსის მოლექსენი ამას მავთონს არად მიიწვევენ. შესაძლებელია, არაბულ-სპარსულ პოეტიკურ ტრადიციებზე-საც იცნობდა. ამის აღმნიშვნელი უნდა იყოს: „პოეზილი ძველთა ნათქვამთაგან“.

თვით რუსთველი პოემის შესავალსა და დასასრულში სამჯერ გვეუბნება, რომ ამბავი გავლექსეო. მე-7 სტროფი: „დავჯე, რუსთველმან გავლექსე... აქამდის ამბად ნათქვამი, ან მარგალიტი ნყობილი“; მე-9 სტროფი: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანე-ბი... ეპოვე და ლექსად გარდავთქვი“.

1597-ე სტროფი: „ესე ამბავი გავლექსე“.

მართალია, „ნათარგმანები“ („ქართულად ნათარგმანები“) დღევანდელი გაგებით, თარგმანს კი არა, კომენტარს ნიშნავს, მაგრამ ამბის ლექსად გარდათქმასაც ხომ ნიშნავს, რაც რთული, „საჭოჭმანები“ საქმეა, რადგან არჩილ მეფის თქმისა არ იყოს, „ლექსს ამბავზე მეტი ფასი აქვს“.

„ლექსს უფრო ყურსა უგაღებენ, ამბის წიგნები ძეგს ავად“.

ანგარიში უნდა გაენიოს გიორგი ლეონიძის აზრსაც, რომელიც მის მიერ გამოცემული „ქაშნიკის“ (1920წ.) წინასიტყვაობაშია ფიქსირებული: „შოთას ვრცელი პოეტიკა, ჩახრუხაულის, ძაგნაკორულის, ფისტიკაურის მეტრები და „ვისრამიანის“

პროზა საბუთს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ მეთორმეტე საუკუნეში ჩვენ გვექონდა საკუთარი კოდექსი კაზმული გემოვნებისა“.

მე დავეუმატებდი: იოანე-ზოსიმეს ქართული ენის ქებას (X ს.) ახლო ხანებში ქართული ლექსის ქებაც უნდა მოჰყოლოდა.

მაგრამ ყველაფერი ეს დაიკარგა და დაგვრჩა რუსთველისეული: „ესე ამბავი სპარსულ... ეპოვე და ლექსად გარდავთქვი“.

სარწმუნოდ მიმანია თამარ ხვედელიანის სიტყვები, რომ „ამბავი სპარსული“ გამოგონილი, „ნატყუარი“ ამბავია (რაც, ნაწილობრივ, თანხვედბა ჯუმბერ ქუმბურ-იძის ზემოთმოტანილ აზრს), ამავე დროს, რუსთაველისათვის „ამბავი“ არა მხოლოდ სპარსულია, არამედ ხელით-ხელ საგომანებულ ამბავს ნარმოადგენს.

იგი პირდაპირი მნიშვნელობითაც უნდა გავიგოთ და გადატანითი მნიშვნელობითაც.

ასე გავიგებთ თუ ისე, „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი სპარსულია, საერთოდ, „ვეფხისტყაოსნის“ სამყარო (ინდოეთი, არაბეთი) აღმოსავლურია.

ესე ამბავი სპარსულით, ქართულად ნათარგმანებით ეთხოვება რუსთველი აღმოსავლურ კულტურას და კურსს დასაველეთისაკენ იღებს. აღმოსავლურ — დასაველური კულტურის გზაჯვარედინზე დგას და წინ უსწრებს ევროპულ რენესანსს (დანტი, პეტრარკა).





თაბარი
სვეტიცხოველი

„ესე აზბაჰი...“ ჩახთიცი

შოთა რუსთაველი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდესი და უმდიდრესი კულტურის მემკვიდრეა, რაც სიღრმისეულად აისახა მის ქმნილებაში. „ვეფხისტყაოსანს“ საცესებით დამასახურებულად უწოდეს „აკლდამა საუნჯეთა“, რომელიც დაუფარავად წარმოაჩენს ქართველთა ბუნებას, მათთვის დამახასიათებელ თვისებებს.

მართალია, არცთუ იშვიათად აღნიშნულა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თავის თავში მოიცავს აღმოსავლური და დასავლური კულტურის ტრადიციებს, მაგრამ პოემისა და ქართული ზეპირსიტყვიერების ურთიერთკავშირიც არაერთგზის დადასტურებულა. ამკარაა, რომ ქართულმა ფოლკლორმა და ჯადოსნურმა ზღაპრებმა თავიანთი სიტყვა თქვეს პოემის მხატვრული თუ იდეურ-შინაარსობრივი საფუძვლების მომზადებაში. ამ კუთხით ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ „ვეფხისტყაოსანს“, სხვა წყაროებთან

ერთად, ხალხური სიბრძნეც კვებავს და ასახავს რდობს, რამეთუ ქართული ფოლკლორი უტყვი მონმეა ჩვენი კულტურის სიძველისა, ჩვენი ხალხის დახვეწილი მხატვრული გემოვნებისა. ქართული ფოლკლორი ზედმინვენით სრულად ასახავს ჩვენი ერის სულს, ბუნებას, მის შინაგან სამყაროს, მის წარსულსა და აწმყოს.

შესაძლოა, სწორედ ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა აღმოჩენილიყო გასაღები ძნელად გადასაჭრელი პრობლემისა, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ „ამბის“ (ფაბულის) სადაურობის საკითხი ჰქვია.

პროლოგისეული სტროფი:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად
ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ
საკოვმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე
ქემენ საჭოჭმანები“...

მხოლოდ იმას გვაუწყებდა, რომ შოთა რუსთაველს სპარსული ამბავი „უპოვია“ და ქართული მწერლობა „ლექსად გარდავთქმული“ „ობოლი მარგალიტი“ დაუმშვენებია, თუმც რუსთაველისეული ფრაზა, ასე პოეტური და შთამბეჭდავი, პასუხს ვერ სცემდა უმთავრეს კითხვას, კერძოდ: ორიგინალური იყო თუ ნასესხები „ვეფხისტყაოსნის“ „ამბავი“? მართალია, ფაბულის ნასესხობაც ვერ მოაკლებდა სხვის შოთა რუსთაველის შარავანდედს (რამეთუ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ამბავს, არამედ მის მხატვრულ ხორცშესხმას), მაგრამ ჭეშმარიტების წვდომა რუსთაველოლოგიური მეცნიერებისათვის ეროვნული თუ პროფესიული ღირსების საქმედ იქცა.

... და გამოითქვა არაერთი, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება. მიაჩნდათ, რომ პოემა სპარსული ენიდან იყო ნათარგმნი. რომ ეს იყო აღმოსავლეთში ფრანგ გავრცელებული ამბავი, რომელიც საქართველოში ზღაპრის სახით ჩამოყალიბებულა. მეცნიერთა მეორე ნაწილი მას არაბულ სადევგმრო ამბად მიიჩნევდა, რომლის პროზაული ვარიანტიც რუსთაველს გაუღიქსავს და თან სხვადასხვა წყაროდან ამოღებული ეპიზოდებითა და ქართულ ყაიდაზე გადაკეთებული დეტალებით გაუმდიდრებია. ზოგი კი ლიტერატურული „ვეფხისტყაოსნის“ საწყისს ხალხურ „ტარიელთანში“ ეძებდა და მიიჩნევდა, რომ მოგვიანებით რუსთაველის ქმნილებაში, მისმა პოპულარობამ უბრალოდ დაჩრდილა ფოლკლორული თავწყარო.

შესაძლოა, პოემის ფაბულა ნასესხებიც ყოფილიყო. არაბული ან სპარსული, მაგრამ მაშინ რომელიმე ქვეყნის წერილობით ძეგლებში გაკვრით მაინც უნდა იყოს ნახსენები ეს თხზულება — დედანი, ან ლიტერატურაში სრული სახით უნდა იყოს დატული და დინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი, ან უნდა არსებობდეს თუნდაც უმნიშვნელო მინიშნება, რომ ოდესღაც რომელიმე გამოჩენილმა (ან ნაკლებად ცნობილმა) პოეტმა შექმნა მსგავსი სიუჟეტის მქონე ნაწარმოები. შეუძლებელია, მას ყურადღება არ მიეპყრო, მით უფრო, რომ არაერთი მხატვრულად სუსტი თხზულება შემორჩა ისტორიას. მაინც რატომ უნდა გამქრალიყო აღმოსავლურ (არაბულ-სპარსულ) მწერლობაში ასე უქვალად ნაწარმოები, რომლის „ქართულად თარგმანებამ“ ქართველ ხალხს „ვეფხისტყაოსანი“ შესძინა და საქვეყნოდ გაუთქვა სახელი?

ზემოხსენებული ვითარება მეცნიერთა იმ ნაწილს აძლევდა ხელს, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ „ამბავს“ ორიგინალურ, ეროვნული ფესვებიდან ამოზრდილ თხზულებად მიიჩნევდა.

ფაბულის ორიგინალობის თეორია სათავეს სწავლული მეფის — ვახტანგ VI-ის შრომებში იღებს, რომელმაც 1712 წელს დაბეჭდა პოემის ტექსტი და დაურთო მეცნიერული კომენტარები, სადაც კატეგორიულად, სრული პასუხისმგებლობით განაცხადა — „ეს ამბავი სპარსში არ არის“, სპარსშიდ ეს ამბავი არასდ იპოვება, ამბავიც თვითონ გააკეთა და ლექსადაც.“

ეს დასკვნა იყო შედეგი მრავალწლიანი დამქანცველი შრომისა. ვახტანგ VI აღმოსავლურ ლიტერატურაში გულმოდგინედ ეძებდა მსგავსი სიუჟეტის მქონე ნაწარმოებს და, როგორც ჩანს, უშედეგოდ. სწორედ ამის შემდეგ მან თავს უფლება მისცა კატეგორიული ტონით განცხადებინა „სპარსულ ლიტერატურაში მსგავსი სიუჟეტის მქონე პოემა არ მოიპოვება, შემდგომი ძებნა ამოა, დროის ფუჭი ხარჯვაა. პოეტმა ამბავიც თავად მოიგონა და ლექსადაც თვითონ თქვა.“

სწავლული მეფის ტონი შეუვალი და პრინციპული იყო, თითქოს ცდილობდა, შემდგომი თაობის მეცნიერებისთვის შთაეგონებინა, რომ არაბულ ან სპარსულ მწერლობაში „ვეფხისტყაოსნის“ თავწყაროს ძებნა აზრი არ ჰქონდა და პოემის ფესვები სადმე სხვაგან უნდა ეძებნათ, სადმე სხვაგან... თუნდაც ეროვნულ ნიადაგში.

და, როგორც ყოველთვის, მეცნიერებას შემწე მამულიშვილი მოეწვინა — ილია ჭავჭავაძე და მისი „ივერია“. სწორედ „ივერიამ“

იტივრთა ქართული ფოლკლორისა და ლიტერატურის ურთიერთკავშირის დადგენა და მისივე ძალისხმევით ქვეყანაში ინტენსიური მუშაობა დაიწყო პოემის ვარიანტების შეკრება-შესწავლისათვის. მეცნიერები ცდილობდნენ მოეძიათ პოემის ქართული ძირები და ამ გზით ემტკიცებინათ მისი ორიგინალურობა.

ამ მიმართულებით კვლევამ ცხადყო, რომ რუსთველი შესანიშნავად იცნობდა და, შესაბამისად, სარგებლობდა კიდევ ქართული ხალხური შემოქმედებითი წყაროებითა და ქართული მითოსით.

„ვეფხისტყაოსნის“ ფოლკლორული ძირების ძიება კვლევის ერთ-ერთ რეალურ და გამართლებული გზა აღმოჩნდა. მკვლევარმა მარიამ კარგელაშვილმა არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომით, სავსებით ცხადი გახადა პოემის მჭიდრო კავშირი ქართულ ფოლკლორთან. კერძოდ, ჯადოსნურ ზღაპართან, რომელიც, თავის მხრივ, უძველეს საკრალურ რიტუალურსა და მითოსში უნდა იღებდეს სათავეს. ამ კუთხით შესწავლილია ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ყველა პროზაული ძეგლი და დადგენილია, რომ ისინი ჯადოსნურ ზღაპარს წარმოადგენენ. ამაზე მეტყველებს რუსთველის პოემისა და ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურული მოდელის მსგავსება, ერთი ზღაპრულ-სიუჟეტური სქემა, მკაცრად განსაზღვრული ფუნქციები, რომლებიც ფრიად ლოგიკურია და მხატვრული აუცილებლობით ნაკარნახევი, „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია, რომელიც გენეტიკურად ფოლკლორულ ჯადოსნურ ზღაპარს უკავშირდება. გარდა ამისა, არსებობდა ის აუცილებელი დეტალები, დამახასიათებელი ნიუანსები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო ზღაპრისთვის და არანაკლებ ნიშანდობლივი „ვეფხისტყაოსნისთვის“. ასე, მაგალითად, ეს შეიძლება ითქვას გასამაგებიაზე (სამი რაინდი, დავალების აღსარულებლად დათქმული სამწლიანი ვადა, ავთანდილისა და სამი ხატაელი ძმის შეყრა მაშინ, როცა „წელიწადი სამი სამთვედ მიყარა“, ტარიელისგან გარდახდილი სამი მნიშვნელოვანი ბრძოლა, რომელიც ნესტანის სახელთან იყო დაკავშირებული, სამი დაბრკოლება, რომელიც, როგორც წესი, მხოლოდ მესამე ცდის შემდეგ გვირგვინდება ნარმატებით — ესეც ზღაპრული სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია).

მკვლევარმა ე.კახაბრიშვილმა საილუსტრაციოდ ასმათისა და ავთანდილის შეხვედრის ეპიზოდი განიხილა და ჩამოაყალიბა რამდენიმე მზა ფორმულა, რომელიც ყველა ჯადოსნურ ზღაპარში მეორდება და მას

„ვეფხისტყაოსანშიც“ ვხვდებით:

1. გმირს ეძლევა სახიფათო დავალება.
2. გმირს უნიშნავენ ვადას.
3. ვადის გადაცილებას შემთხვევაში გმირი დალუპულად ითვლება.
4. დავალება სრულდება ვადის მიწურულს.
5. გმირი სახიფათო არსების ბინაში მის ახლობელს (ქალს) ხვდება
6. გმირი განსაკუთრებული სიტყვით (დედაშვილობა, მიჯნურობა...) მოიპოვებს ქალის კეთილგანწყობას.
7. ბოროტი არსების გამოჩენას ნინ უძღვის ხმაური.
8. ქალი მალავს გმირს.
9. ქალი დამალული გმირის ხელშეუხებლობის ფიცს ართმევს სახიფათო არსებას.
10. გმირს გამოაჩენენ
11. მეგობრული შეხვედრა

გარდა ამისა, საერთოა მთავარი თემა: მზე-თუნახავის მოტაცება ბოროტი სულის მიერ და რჩეული რაინდის ბრძოლა სატრფოს დასახსნელად, მაგისტრალური სიუჟეტური ხაზი: დაკარგვა — ძებნა — პოვნა (მ.კარბელაშვილი)

შესაძლოა, რუსთველს ქართულ ფოლკლორთან „ვეფხისტყაოსნის“ სიახლოვე აძლევდა იმის თქმის უფლებას, რომ „ესე ამბავი სპარსულია“. საქმე ისაა, რომ „ამბავი სპარსული გამოგონილ ამბავს ნიშნავდა. მოგვიანებით თითქმის გაიგივდა ზღაპრული ამბავი და სპარსული ამბავი. მართლის თქმა ერთგვარად დაუპირისპირდა ფანტაზიით შექმნილს, გამონაგონს, ზღაპარს. გამონაგონსა და ზღაპრულს „სპარსულ ამბავს“ უწოდებდნენ“ (რ. სირაძე). როგორც ჩანს, ზღაპრად ჩათვალეს „ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილი ამბავიც. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ვახტანგ VI-ც უკავშირებდა მას ზღაპარს. მართალია კომენტარებში წერს „რუსთველმა“ ამბავიც თვითონ გააკეთაო“, მაგრამ წყაროს არ აკონკრეტებს, სამაგიეროდ, ხშირად ახსენებს სიტყვას „ზღაპარი“. მაგალითად: „იმ თავის მოგონილს ზღაპრის ტარიელისას და ავთანდილისას უბნობს...“, პოეტი „იმ ამბავს ზღაპრად ხდის...“, „ამ ზღაპრის თქმას

თამარ მეფეს ადებს... რომ ღვთის ქების თქმა არ გიბრძანა და ზღაპარს გალექსინებსო“... , „ამ ზღაპრის თქმას მეფეს აბრალებს...“, „ესეები ამ ზღაპრის მიზეზით კაცის სასწავლოდ უთქვამს...“ და სხვა მრავალი.

ნათელია, რომ ვახტანგ მეფე ამ სიტყვაში მოგონილ ამბავს გულისხმობს, რომელსაც აღმზრდელიობით ფუნქცია მიანიჭა შოთამ, „კაცის სასწავლოდ“ გამოიყენა და ამ მიზნის მისაღწევად მასში დიდი სიბრძნე ჩააქსოვა. ანალოგიური შეხედულება გამოთქვა პროფ. რევაზ სირაძემ, რომელმაც მიიჩნია, რომ პოეტის მიერ შემთხვევითი აქცენტირებულია არა პოემის ნაწილობა, არამედ ის, რომ ამბავი „სპარსულია“ თავისი ლიტერატურული ხასიათით, შეთხზულია. როგორც ჩანს, მსგავსი ხასიათის ფაბულების გამოყენება სპარსული ლიტერატურისთვის უცხო არ იყო. ხოლო „თარგმანება“ („ქართულად ნათარგმანები“) უფრო კომენტირებას უნდა გულისხმობდეს.

ამდენად, უკვე არსებული შეხედულებების გათვალისწინებით, პროლოგის შემოსხენებულ სტროფში ასეთი შინაარსი იკითხება „პოემის ამბავი სპარსულია (შეთხზულია), მაგრამ იგი „ქართულადაა ნათარგმანები“ ანუ ქართველის ცნობიერებისათვის მისაღები, გასაგები და მახლობელია.

სავარაუდოდ, ამას გულისხმობდა რუსთველი: რომ გამოგონილი ამბავი „წყობილ მარგალიტად“ გადააქცია მისმა შემოქმედებითმა გენიამ, არარეალური პერსონაჟები სამაგალითო, მისაბამ იდეალებად დასახა და ასე იქადაგა ზნეკეთილობა, სულიერი სიმალე, კეთილშობილება, სამშობლოს სიყვარული და მისი დაცვის ნმინდათანმინდა ვალი, ქალის თავყვანისცემა და გულწრფელი, რაინდული სამსახური, მეგობრისთვის „ჭირსა თავის არ-ადარიდება და „ჭირსა შიგან“ ქვითკირით გამაგრება, ანუ ყოველივე ის, რასაც ერთად შერწყმულს, ადამიანური, პიროვნული ღირსება ჰქვია და მის ფასს მხოლოდ ქმში-მარიტად სულით რაინდი, ზნეკეთილი ადამიანი მიხვდება.

ყოველივე ზემოთქმული, ალბათ, გვაძლევს იმის უფლებას, რომ განვაცხადოთ: „ამბავი ესე“ არც სპარსულია, არც არაბული... ქართული არის!



თამარ ხუნელი

დაბრუნება

ყველა რელიგია დიდია. ისინი მოგვიწოდებენ ღვთის და ერთმანეთის სიყვარულისკენ. მაგრამ ეს რელიგიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ მსოფლიოს რომელ რეგიონსა და რომელი ხალხის წიაღში წარმოიშვნენ. ისლამი არაბეთის ნახევარკუნძულზე იშვა ქრისტეს ჯვარცმოდან ექვსი საუკუნის შემდეგ. ყურანში ქრისტე მოხსენიებულია როგორც წინასწარმეტყველი.

არაბეთის ნახევარკუნძულის 95% უდაბნოა, უდაბნოა მაჰმადიანური რელიგიის სამშობლო. უდაბნო და უდაბნოში მცხოვრები ტომების მენტალიტეტი განსაზღვრავს მისი წარმოშობის დასაბამს.

და აი, ამ უდაბნოდან ათასი, თუ ათასხუთასი კილომეტრით დაშორებული ქრისტიანული ქვეყნის ერთ მთიან კუთხეში ქართველი ხოჯა ქართველ ბავშვებს ყურანს ასწავლის. და როცა ხოჯა გაამეორებინებს ბავშვებს „ჩვილი მთვარის“ დასალოცავ სურას: „ველელა ალი იბრაჰიმე ინნეჟე ხემიდუნ მეჯიდ“ ბავშვები ცალ თვალს გამოაპარებენ ერთი ბიჭისკენ, რომელსაც ხემიდი ჰქვია. ამ ბავშვს უყვარს ქართული ნიგნი, მაგრამ ჯერ კიდევ შედრესეში მოსიარულეს /1933-34 წ./ ხოჯა ჩამოართმევს ქართულ ნიგნს, მედრესეში შეტანა ცოდ-

ვაო და გარეთ ფეხსაცმელებთან დაგდებს, თან ავდებით ეტყვის: გაგაქართველეს, ჭოვ?!
 ამ ბავშვმა /ხემიდმა/ დიდი გზა განვლო.

მას აღმოაჩნდა პოეტის ნიჭი. მალე იგი აჭარის სახალხო პოეტი გახდა. მას ხელი დაასხა დიდმა გიორგი ლეონიძემ და ფრიდონი დააჩქეა, რაკი რუსთაველის ფრიდონი ზღვისპირა სახელმწიფოს მფლობელი იყო და აჭარაც ხომ ზღვისპირა რესპუბლიკაა. შემდეგ, მიუღ საქართველოში ცნობილ პოეტს რუსთაველის პრემია ებოძა. ასე მიდიოდა იგი აღმავალი გზით და ბოლოს, იგი ოფიციალურად მონათლა ქრისტიანული წესით და მისი ნათლია საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გახდა. ასეთი იყო ფრიდონ ხალვაშის ცხოვრების გზა.

ოთხმოც წელს მიღწეულმა ფრიდონ ხალვაშმა დაწერა ბრწყინვალე ნიგნი — „ომრი“. ამ ნიგნის არსია მეტამორფოზა, რაც გარდაქმნას ნიშნავს, თუმცა, უფრო ღრმა აზრით, ეს არის „დაბრუნება“, დაბრუნება წინაპართა ათასწლოვანი რელიგიის წიაღში. რა არის 250, ან თუნდაც 300 წლის ამოვარდნა ქრისტიანობის ორიათასი წლის მდინარეებიდან? ბოლოს და ბოლოს ეს არის ათი თაობის იძულებით გამოთიშვა ასი თაობიდან. „საქართველოს გეოგრაფიაში“ ვახუშტის აღწერილი აქვს აჭარა: „და არს აჭარის ხეობა ვენაზოვან-ხილანი, ტყიანი, კლდანი, იწრო, ხრამოვან-ლრატოიანი, მთიანი, ტყიან-ნადირიანი“, და განა შესაძლოა, ამ კუთხეს დაეუფლოს უდაბნოს რელიგია? და განა შეიძლება ამ კუთხის ისლამის წინარე ხანის ლიტერატურის, ქართული ლიტერატურის ენაზე მოლაპარაკე ხალხს დაეუფლას უდაბნოს ხალხის ენა? არაბუნებრივი, არაორგანული და ამიტომ შემზარავი არ არის, როცა ქართულ მიწაზე ქართველი ხოჯა თავის თანასოფელელ ქართველ ბავშვს ნიშნისმოკებით ეუბნება: გაგაქართველეს, ჭოვ? ფრიდონ ხალვაშმა დასძლია ეს არაბუნებრივი ინერცია, მასთან ერთად ეს ინერცია დასძლია აჭარის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა და ეს არის მშობლიური რელიგიის და მშობლიური მენტალიტეტის წიაღში დაბრუნება. ამის საფუძველი არსებობდა, რაკი ქართული ენა წმინდად იყო შენარჩუნებული აჭარაში და ენა ხომ სულისწმიდაა, რომელიც წარმართავს ჩვენს შემოქმედებას.

ეს ნიგნი უნდა ნაიკითხოს ყველა ქართველმა — მაჰმადიანმა და არამაჰმადიანმა, ქრისტიანმა და არაქრისტიანმა. ეს ნიგნი მიგვახედრებს სად არის ჩვენი სისუსტე და სად არის ჩვენი სიძლიერე, მიგვახედრებს იმას, რომ კაცმა ყველაფერი შეიძლება დასძლიოს, თუ მას ძლიერი თვითცნობიერება ახლავს.



ომრი

ფრიდონ ხალვაში

გოგო
ზარნაძე

ფრიდონ ხალვაშის ომრი

ფრიდონ ხალვაში, გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ოთხმოცდახუთისა გამხდარა!

გამხდარა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ არც ბექედითსა და არც საეთერო მედიაში ამის თაობაზე სიტყვა არ დაძრულა!

ისევ ისე იუბილარმა შეგვახსენა თავი: თუ დროს გაიმეტებთ და ტაროსიც კარგი შეიქნა, მანქანას მე გამოგიგზავნით და ჩვიდმეტო მაისისათვის იქნებ ჩემს მშობლიურ სოფელში, გვევლიძეებში მენვიოთ!

რა ხდება-მეთქი, შინაურულად ვიკითხე.

მე მგონი, ჩემი ომრი უკვე მოვჭამე და, სანამ წავიდოდე, შემოვუსხდეთ ერთ დიდ გობს, ზოგი წარსულისა ეთქვათ და უფრო მეტი დღევანდლისაცო.

ვისაც ჯერ კიდევ არ ნაუკითხავს ხალვაშის შესანიშნავი წიგნი „ომრი“, იმათთვის მითქვამს: „ომრი“ ანუ ერთი კაცის ცხოვრება, ერთი ადამიანის სიცოცხლის მთელი ხანგრძლივობა, წუთისოფელი, ღვანლი, ამაგი“.

ვითომ აგრე? გაილია მთელი სიცოცხლე? შენი მხილველი და მოყურადე კაცი ამას ვერ დაიჯერებს. ჯერ ქალბატონ მარიკა ბარათაშვილის ხნისა მოიყარე და დანარჩენი მერე ეთქვათ. გადააბიჯე საუკუნეს!

დრო იყო, მეგობრების დაბადების დღეებზე მიუნვევლად დაედიოდით, დრო დადგა, დაუბატიყებლად ფეხს ვერ ვადგამთ.

ახლახან გარდაცვლილი, „ღრუბლებს ცად გაყოლილი“, შენივე სათაყვანო ანა კალანდაძე მახსენებს თავს უებრო ხუმრობით. ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე ბატონები: გოგი გოგოლაშვილი და იოსებ ჭუმბურიძე სწევია. ზარის ხმაზე ანას უკითხავს — „ვინ ბრძანდებით?“ პასუხად — ყაჩაღებო! ახლავე გაგიღებთ, მე სტუმრები მეგონეთო!

წახდა ცხოვრება, ქართველი კაცი სტუმარს ემალება!

ეს ისე, სიტყვამ მოიყოლა. იცის ხოლმე სიტყვამ მოყოლება.

კინაღამ რეტმა დამრია ხელი და ლამის ასე მწადადა მომემართა: „ჩემო უფროსო ძმავო!“, მაგრამ უმაღლე შეიცხადა „ი კაცმა!“ „იმ კაცის“ თაობაზე, ალბათ, გსმენია ოტი-ასაგან: „თუ კაცად უქნიხარ ღმერთს, შენში მუორე კაციც უნდა იჯდეს, სინდის-ნამუსის მაკონტროლებელიო! ძაანაც რო მევიწდომო შენი გასწრება, ვერ ვიზამ, თუ ი კაცმა არ მიქნაო!“

ეს ოტია იოსელიანის კრედაო! ჰოდა, მეც დამამუნათა ი კაცმა: სადაური ძმა ხარ ფრიდონ ხალვაშისა, ის მწერალია, შენ — მხოლოდ მკითხველიო!

დროზე მიშველა, არ შემატოპინა შეუტოპავში.

ბატონო ფრიდონ!

მეც, როგორც მკითხველი, კიდევ ერთხელ და უთვალავჯერ გიცხადებ სამიღლეშიო მადლობას იმისათვის, რომ ბედის უკულმართობით შორეულ უზბეკეთში გადახვენილი ახალგაზრდა კაცი, სწორედ შენმა „გენაცვალემ“, ნოდარ დუმბაძის „ბებიამ“, ოტიას „ღევანამ“, მუხრან მაჭავარიანისა და მურმან ლებანიძის გულისგულში გამჭოლმა ლექსებმა დამაბრუნა საქართველოში!

ქუდბედიანი კაციც არსებობს და, ეტყობა, ლექსიც! შენი „გენაცვალე“ სწორედ ის

უცნაური ელდა იყო (ელდა აღტაცებდასაც სწევია!), რომელმაც ერთბაშად ამოგწერა „რიგითი ჯარისკაცობიდან“ და მალაღწიროსანი გაგზავდა.

ჯერ მარტო ის რად ღირს, რამაც ეს ბრწყინვალე ლექსი გაშობინა!

„ტი, აფუარეც, ხოჩემ სტატ „გენაცვალე“?! — შეუცხადებია დამთხვეულ, „ობრუსევი“ ინგუშს თუ თათარს! (აჭარელი ხარ და ქართველი გინდა გახდო?!).“

გაუბრაზეხიხარ და დაუნერინებია შედევრი! ასეც ხდება.

ყველას გვახსოვს ჭეშმარიტება: „სადაა და უბრალო, როგორც ყოველივე გენიალური!“

სადა და არა — მარტივი! აქსადა და მარტივი ერთმანეთს ვერ ესინონიმებია...

გაიხსენეთ, როგორ უბრალო ფრაზით ინყატბს ტოლსტოი „კავკასიის ტყვეს“: კავკასიაში მსახურობდა პორუჩიკი ფილინი!...

ანა: „ლამის სახლში შემოვიდეს თუთა“...

გრანელი: „გაზაფხულის საღამოა მშვიდი. ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“.

ბარეორს ეჩვენება, რომ ტერენტის ამ მინიატურაში გენიალობის ნატამალიც არაა! ჩიტის ბუნება ასეთია: მოენყინება ერთ ხეზე დიდხანს ჯდომა და მეორეზე გადაჯდება!

„გენაცვალესთან“ ერთად, ამ ნიშან-თვისებით გამოირჩევა შენი „მე არ ვიქნები შენი სტუმარი!“

თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,

სიყვარულივით ვიყავ მდუმარი.

მე უნდა ვიყო შენი პოეტი,

მე არ ვიქნები შენი სტუმარი!

ორი მშვენიერი მარგალიტია ამ სტროფში. ერთი ისა, რომ სიყვარულს ბევრი ქაქანი და მიეთ-მოეთი არ სწევია. ბავშვობაში მსმენია სასიყვარულო ბარათების კითხვისას: სანამ კასპის ზღვა შვე ზღვას არ შეუერთდება, მანამ შეყვარებო!

არადა, მტრისას! — ეს რო მოხდეს.

დაბა, სიყვარული ხშირად მდუმარეა, მაგრამ უფრო თვალისმომჭრელია მეორე მარგალიტი: „მე უნდა ვიყო შენი პოეტი!“ გვერდნითელისგან განსხვავებით, ჩემთვის ეს ტაეპი მეტად ღირებულა.

მავანს იქნებ მოეჩვენოს, რომ პოეტი მეტად თავმდაბლად უცხადებთ დედაქალაქს, რომ იგი მისი მომღერალი პოეტი იქნება.

სინამდვილეში, მამუელი ზმნის ასეთი ასპექტით გამოყენება — „მე უნდა ვიყო“, —

პირიქით, დიდ თავდაჯერებულებასზე მიგვანიშნებს. ასეთი თავდაჯერებით შეყვარებულ ქალსაც ვერ ეტყვი: მე უნდა ვიყო შენი საყვარელიო! სინჯეთ, უთხარით და ნახავთ, რასაც მიიღებთ!

პოეტს რომ მართლაც სურვებოდა მორიდებულად გაეგზილა თბილისისთვის სათქმელი, ასეთ სტრიქონს დასჯერდებოდა: „ვეცდები, ვიყო შენი პოეტი!“ მაგრამ არა — „მე უნდა ვიყო შენი პოეტი“.

რაც შეეხება „ომრის“, ეს არის უშესანიშნავესი სიახლე თანამედროვე ქართულ მწერლობაში, ძნელად დასადგენი ჟანრის თხზულება, რომლის მთელი სიგრძე-სიგანით განხილვა-გაანალიზება — შეფასებას, ნამუსიანი, „ი კაციანი“ კაცისათვის დრო სჭირდება! ასე პაიპარად „ომრიზე“ საუბარიც კი მკრებელობა იქნებოდა.

იმედს უნდა ვიქონიოთ, გამოუჩნდება ღირსეული შემგებელი.

მე კი, მართლაც ერთი სული მაქვს, შემოგთავაზოთ მცირე ფრაგმენტები „ომრიდან“, რომელთა ფონზე ნათლად გამოიკვეთება ამ უსპეტაკესი შემოქმედისა და პიროვნების იერსახე.

„1979 წ. სამკურნალო ბლოკის წინ, (ლიკანში. გ.ზ.) გაზეთები ავიღე. პირველივე გვერდზე რუსთაველის პრემიაზე წარდგენილთა სიაა. ლიტერატურის დარგში, — იოსებ ნოეშვილი და მე.“

აქ დავა რა საქორა. ერთ ადგილზე ერთი, იოსები გავა. მე, ალბათ, მალე თავად მოვხსნა უნდა ჩემი კანდიდატურა... ასე სჯობს. იოსები საქვეყნოდ აღიარებული, პოპულარული, სახალხო და საყვარელი პოეტი. როგორ ვიკადრებ დაპირისპირებას! ან წინ გადადგომა. ამას ვერც შევძლებ, არც დამშვენილება. ისედაც, ჩემი თანაკუთხელი ფაღავების სიძეა. ჩვენი ახლობელია.

რა თქმა უნდა, აქ ყველაფერი წინასწარ გარკვეულ-გადანყვეტილი ჩანს, მაგრამ თვით წარდგენილთა შორის ყოფნაც დიდი რამეა ჩემთვის. თუმცა, ვგანძობ, რაღაც გამოსავალზე იფიქრებენ ზევით, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ამბავი ჩემთვის, მარტო ამბავიც კი, ჯილდოა. პრესა ხომ იქნება, შეფასებები ხომ იქნება!

... ჩავედი თბილისს და პირდაპირ გრიგოლ აბაშიძეს მივაღდექი შინ, კეკელიძის ქუჩაზე.

წინასწარ არავისთვის, შინაურთათვისაც კი არ გამიმხელია, მაგრამ გულში

საბოლოოდ გადავწყვიტე, პრემიების კომიტეტიდან ჩემი საქმე უკან უნდა გავიტანო!

კაიხანს ვისაუბრეთ. აეუხსენი, — ბატონო გრიგოლ, ისეთი პრესა იყო ჩემზე და ჩემს წიგნზე, ერთ უმაღლეს პრემიად მართო ის მიღირდა-მეთქი. ახლა, მგონი, საქმისთვის ჯობს, მე ჩემს კანდიდატურას თუ მოვხსნი-მეთქი და განცხადებაც წინ დავუდო.

არაო, გადაჭრით გამიცხადა გრიგოლმა. გატანა წესდებით დაგვიანდა. იყოსო. თუ ხმები დაგაკლდა, ეს თავისთავად უკან წაღებაც იქნებაო.

... აიკრიფა ბიულეტენები და იმ საცოდავი ბიულეტენების ხრაშა-ხრუმ-ტკაცავ-ტკაცვით, აქეთ-იქით მიმორიგდნენ კომიტეტელები: ზოგმა შუა დარბაზში, ზოგმა სხვა ოთახში გასულმა, ჰქნა თავისი საქნელი... ხელებში ნასრესი, დაკეცილ-დაპანა-ვებული ბიულეტენები ყუთში ჩაუშვეს.

ხმის დამთვლელები ცალკე ოთახში ჩაიკეტნენ და კაიხანი აღარ გამოჩნდნენ.

როცა ბრუნდებოდნენ, მე ვინრო დერეფნის კედელს ზურგით მიკერებული ვიდექი. ჩავლიხანს არც შემომხედეს. მგონი, ერთმა ნოდარ დუმბაძემ ნაპით თვალი ჩამიკრა, მაგრამ მომეჩვენა რაღაც ნაღვლიანი სურათი იხატებოდა. ალბათ, ორივე ნაგვშალეს. ზოგიერთს, შეიძლება, კიდევ შეეებრალე, ისე ატუზული ვიდექი საცოდავად. არადა, გეფიცებით, შიგნით, სულში და გულში, უარს შერიგებული ვიყავი.

ოქმს კითხულობენ. „მხატვრულ ლიტერატურაში...“ და... მე — მეტი ხმა. მას —

ნაკლები. ასადგომად წამონეული უკანვე დავეშვი.

დამაბნეველი, წყენიანი სიხარული! ჰო, ჰო, სიხარულს წყენა წაეფარა, დაბორკა. ნონშვილიც იმ შენობაშია. იგი ხომ კავშირის ერთ-ერთი მდივანიც იყო! მახსოვს, ირაკლი აბაშიძე და ნოდარ დუმბაძე იოსებთან მივიდნენ. აწყნარებდნენ, ამშვიდებდნენ, აიმედებდნენ. არაფერია, ხდება, მომავალ წელს აუცილებლად შეინიას! მაგრამ იოსები თავჩაღუნული, მგონი, ქვითინებდა. შევხედე. მეც ცეცხლი მომეკიდა. დავღონდი. ადგილს ველარ ვპოულობდი. დამებათრა, გული მეტკინა. იოსებმა თვალი მომკრა. თავი წამოსწია, ყველაფერს სძლია და მოგილოცავო, გამაგონა. კი, ეს შეძლო, ეს გააკეთა.

ეს მისი კაცური და რაინდული სისხეტაკის საკვირველებანი სამუდამოდ ჩამრჩა“.

აი, ბატონებო, ის შემთხვევა, როდესაც სიუაქიზით, ზნეობითა და სამართლიანობის განცდით აღსავსე კაცი, როგორ ააფორიაქა და ლამის უარი ათქმევინა ყოველივე ამან მისთვის მოულოდნელ უდიდეს ჯილდოზე!

მას არც შეეძლო და არც შეუფერებია ქედმაღლურად ეს მოულოდნელი ჯილდო, არ განუცხადებია მავანივით საჯაროდ, დავიმსახურე და იმიტომ მომცესო!

ფრიდონ ბატონო, ოი, როგორი დეფიცითა ასეთი კაცების დღევანდელ საქართველოში!

დიდხანს გაცოცხლოს კელავაც გამჩენ-მა!

გაგიმარჯოს!





საქართველ
კულტურაში

ქართული და სლავური
ბალონის
ახორთქთონი
სახორთქონისათვის

ისტორიული პროცესები, ქვეყნის პოლიტიკური თუ კულტურული ორიენტაცია ყოველთვის პირდაპირ ასახავს ჰმოვება ქართული ეროვნული მუსიკალური აზროვნების განვითარებაზე. სავსებით მართებულია კულტურის ფილოსოფიაში დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ცალკეული კულტურების, როგორც სრულიად ჩაკეტილი სისტემების განხილვა; რომ განვითარების არც ერთ ეტაპზე ბუნებაში არ არ-

სებობენ სტერილური, უცხო გავლენისაგან სრულიად დაცული კულტურები;

რიგ შემთხვევებში ერთი კულტურის გავლენა მეორეზე იძულებით ხასიათსაც კი იძენს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი დამპყრობელი ქვეყნის კულტურის პოლიტიკითაა ნაკარნახევი. კულტურა ერის, როგორც „გონითი სუბიექტის“ (შელერი) თვითშეგნებას გამოხატავს. ერის მესხიერებიდან საკუთარი ტრადიციების ამოშლა ეროვნული თვითშეგნების დაკარგვას განაპირობებს. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ დამპყრობელი ერები უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურთან ერთად კულტურულ ანექსიას ახდენენ.

XIX საუკუნეში მეფის რუსეთის კულტურული ანექსიის წნეხის ქვეშ ქართული მართლმადიდებლური საღვთისმსახურო გალობაც მოექცა.

ცხადია, საქართველოს რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში თითქმის ორსაუკუნოვანმა ყოფნამ ასახვა ჰპოვა მის სამგალობლო ტრადიციაზე. 1801 წელს, მას შემდეგ რაც მეფის რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმებულად გამოაცხადა, ქართულ კულტურას თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხე შეექმნა. მიუხედავად რუსეთის ერთმორწმუნეობისა, ქართული მართლმადიდებლური კულტურის დევნა-შევიწროება სამეფოს გაუქმების პირველივე წლებიდან შეინიშნება.

ქართული საეკლესიო გალობის სლავური გალობით ჩანაცვლების ტენდენციამ XIX საუკუნის დასაწყისშივე იჩინა თავი. საქართველოში მოღვაწე რუსი სასულიერო პირები ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში სლავურ გალობას ამკვიდრებდნენ. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს რუსი სასულიერო მოღვაწეები უპირატესობას ანიჭებდნენ არა ტრადიციულ კანონიკურ სლავურ გალობას (გვულისხმობთ ზნამენურ, დემესტვურ, სტროჩნოეს), არამედ რუსულ სამგალობლო პრაქტიკაში ეკლესიის მიერ მხოლოდ დამკვიდრებული კანონიკური ჰანგების გამრავალბმინებულ გადამშუავებებსა და პარტესულ გალობას (დაშვება- ანუ სინოდისაგან სამგალობლო პრაქტიკაში დროებითი შესრულების უფლების მიღება, ეს საგალობლები სინოდის მიერ დღემდე არაა კანონიკურად აღიარებული). როგორც სლავური გალობის ცნობილი მკვლევარი ი. გარდნერი აღნიშნავს, რუსული გალობის ეს ორივე განშტოება უკვე XVII საუკუნის შუა პერიოდიდან ჩნდება და ორივე დასავლური საეკლესიო მუსიკის გავლენას განიცდის. ამ ტიპის საგალობლების ლეთის-

მსახურებაში შემოღებას იმთავითვე ენინა-აღმდეგებოდა მოსკოვის სკოლა, რომელიც პეტერბურგული საგან განსხვავებით ტრადიციული თვითმყოფადი რუსული გალობის ქომაგი გახლდათ.

XIX საუკუნის ქართულ რეალობაში სლავური საგალობლები ჯერ საეკლესიო გუნდების რეპერტუარში დამკვიდრდა, ხოლო მოგვიანებით ამ საგალობლების გავლენამ თავი იჩინა ეკლესიაში მოღვაწე მუსიკოსების, სახელდობრ, რეგენტების შემოქმედებაზეც. XIX საუკუნის დასაწყისში ქართული გალობის მდგომარეობის შესახებ შემდეგ ცნობებს გვანვდის ელდარ ბუბულაშვილი: „სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ, ქართულ გალობას დაუინანსება მოესპო. 1803 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ მგორც თხოვნით მიმართა საქართველოს მთავარმართველ პავლე ციციანოვს, რომ სახელმწიფო ხაზინიდან ქართული საეკლესიო საგალობლის სრულყოფისათვის გარკვეული სახარები გაღებულყო. მთავარმმართველმა კათოლიკოსის თხოვნას უარყოფითად უპასუხა. უფრო მეტიც, წარმოშობით ქართველმა ციციანოვმა, რომელსაც ყოველგვარი ეროვნული თვითშეგება დაკარგული ჰქონდა, პატრიარქისადმი საპასუხო მიმართვაში აბუჩად აიგდო საქართველოს ეკლესიის წარსული, მრავალსაუკუნოვანი ქართული საგალობლის კილო თვის პეტელს (კიკინს) ამგავსებდა და კათოლიკოსს ურჩევდა, რომ ნირვა-ლოცვის დროს მის ნაცვლად კიევის ნოტიები (აქ იგულისხმება პარტესული გალობა — ბ. ჟ.) გამოეყენებინა.“¹

ისევე, როგორც სხვა დამპყრობლების, რუსი მოხელეების სურვილიც იყო სახელმწიფოებრიობადაკარგულ ქვეყანაში ჯერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, შემდეგ კი მისი ისეთი ფორმით რეორგანიზება, რასაც ეკლესიის ცარიზმის რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკის სამსახურში ჩაყენება მოყვებოდა. მხოლოდ ამ გზით გახდებოდა შესაძლებელი ქართულთა ასიმილაცია. უძველესი ქართული საეკლესიო საგალობლები ავტოკეფალიანართმეულ ეკლესიაში ეროვნული სულის შენარჩუნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახლდათ. ეს კი მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნიდა ასიმილაციის გეგმის განხორციელების გზაზე. ამის გამო რუსი მოხელეები ქართული სამგალობლო ტრადიციების შენარჩუნებას და მის

შემდგომ აღმავლობა-განვითარებას ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს.

„ახალი მმართველობის წინააღმდეგობის მიუხედავად, კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ მგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე შეინარჩუნა უსახსროდ დარჩენილი ანჩისხატის გალობის შემსწავლელი სკოლა და მგალობელთა გუნდი. ისინი ყოველგვარი ვასამრჯულოს გარეშე ცდილობდნენ დამპყრობლის სურვილის წინააღმდეგოდ გადაერჩინათ ქართული საეკლესიო საგალობლები“ (იქვე, გვ. 35).

ქართული გალობის სლავური გალობით ჩანაცვლების პირველი ნაბიჯები პ. ციციანოვს უკავშირდება, მისი მოთხოვნით ჯერ კიდევ ავტოკეფალიის გაუქმებამდე ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში ქართული გალობის ნაცვლად სლავური გალობა შემოიღეს. ქართველი სასულიერო პირების წინააღმდეგობის მიუხედავად, 1806 წელს სლავური გალობა ქაშუეთის ტაძარში დაკანონდა, უსახსროდ დარჩენილი ქართველ მგალობელთა გუნდი კი დაიშალა.

ქაშუეთის სლავური გუნდის შესახებ საგულისხმო ცნობებს გვანვდის კათოლიკოს პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე): „იყო თუ არა ქაშუეთში გუნდი წინათ, რუსობამდე, ჩვენ არ ვიცით, ვფიქრობთ კი, დღევანდელი გაგებით წინათ ქვაშუეთში გუნდი არ არსებობდა. საქმე ის არის, რომ წინათ გალობა ფრიად გავრცელებული იყო საქართველოში. ძველ საქართველოში გალობის ცოდნა შედიოდა სწავლა-აღზრდის სისტემაში: გალობას სწავლობდნენ და ჩინებულადაც გალობდნენ გვირგვინოსანნიცა და დიდებულნიც. ისტორიკოსის სიტყვით, ერეკლე მგორც „ჩინებულ მგალობელი იყო“. მგორც ისტორიკოსს კი ვადმოგვცემს კალაუზნის დათვალისკერების დროს გიორგი მეფემ (ერეკლეს ძემ) მოწაფეები გამოსცადა, სხვათა შორის, გალობაში და გამოცდის დროს „თვითცა გალობდა ნირვასა და მწუხრისა საგალობელთა-ო“. გალობისადმი ამგვარი ყურადღებისა გამო, თუ მთელი ხალხი არა, მისი დიდი უმეტესობა თვით გალობდა ტაძარში: ამ პირობებში ცალკე გუნდების არსებობა მეტი იყო. ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს მღვდელმთავართა საკათედრო ტაძრების კრებულთა მდებალი წევრები, რომელნიც ყოველსამღვედელთა „სეიტას“ შეადგენდა, — ქვაშუეთი კი საკათედრო ტაძარი არ იყო, მაშასადამე, აქ ასეთი გუნდი არ იყო (თუ გუნდად არ ჩავთვლით მღვდლების მონაფებებს); აქ გალობდა თვით ერი. მაშინ კი, როდესაც ქვაშუეთი გადაიქცა რუსეთის „ჯარის სარდლის“ ტაძრად, აქ გაჩნდა „სალ-

1 — ელ. ბუბულაშვილი. ქართული საეკლესიო საგალობლები ევ. ხარქოსოძის პერიოდში. 2001 წელი გვ. 35.

დათობისაგან¹ შემდეგი გუნდი, რომლისათვის ტაძარში ცალკე „ხორო“ — ბალკონიც კი გააკეთეს. ვინ ხელმძღვანელობდა ამ გუნდს, ჩვენ არ ვიცით: უჭკველი რომელიმე გალობის მცოდნე „უნტერ-ოფიცერი“. ეს გუნდი რომ დიდი ღირსება-მარისხით არ იყო, ამას ადასტურებს თვით მის ხელმძღვანელთა — ლოტბართა მრავალრიცხოვანება და მაღალი შეცვლა. მგალობელთა უმრავლესობას შეადგენდა სხვადასხვა „კანცელარიების“ დაბალი მოსამსახურენი, რომელნიც ცდილობდნენ გალობით გაეუმჯობესებინათ თავიანთი უნუგეშო ქონებრივი მდგომარეობა.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ქვაშეეთში 1810 წლიდან კვირა-უქმე დღეებში სამღვდელთა ალაფუნდა ლოცვებს ჯერ რუსულად, შემდეგ კი შიგადაშიგ ქართულად ცამობნდა კვერეკი-ასამაღლებლებს. რაც შეეხება გუნდს, იგი განაგრძობდა სლავიანურად, მხოლოდ ხანდისხან „შეგინჯალენს“-ზე გაიგონებდით „უშალო შეგიცხალენ“-ს¹. ქაშეეთის გუნდის ისტორიას მოგვიანებით კვლავ მივუბრუნდებით.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (1811წ.), ქართულ საეკლესიო საგალობლების სლავურით ჩანაცვლების ტენდენციამ უფრო მეტად იმძლავრა. საქართველოს ეგზარქოსების სურვილით წირვა-ლოცვის დროს სლავური გალობა დამკვიდრდა იმ ტაძრებში, სადაც არაქართული ან შერეული მრველი ესწრებოდა მსახურებას, მაგრამ ქართულ სამრევლოებში, სლავურ გალობასთან ერთად, ქართულიც დატოვეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსმა სასულიერო პირებმა საქართველოში დამკვიდრეს არა ტრადიციული კანონიკური, არამედ კანონიკური ჰანგების გამრავალხმიანებული დამუშავებები და პარტესული გალობა. ვინაიდან გალობის ამ ტრადიციამ შემდგომაც შეინარჩუნა ფუნქცია ქართულ მსახურებაში (XX საუკუნის II ნახევრამდე), მისი წარმომავლობის დასადგენად საჭიროდ ჩავთვალეთ რუსული გალობის ისტორიის ჩვენთვის საგულისხმოდ მოვლენების გაანალიზება.

პარტესული გალობის დამკვიდრება რუსეთში

XVII საუკუნის უკრაინაში, განსაკუთრებით კიევის რუსეთში, ორი ტიპის სამგალობლო ტრადიცია არსებობდა. პირველი ტიპის

გალობა — უძველესი *стопное пение* — ნებრივი ევოლუციის შედეგი გახლდათ. სამგალობლო ტრადიციის მეორე განმტოება — პარტესული გალობა, უცხო დასავლური წარმომავლობისა იყო. ინსტრუმენტალურ მუსიკასთან გათანაბრებული, აღებული პოლონური ნიმუშებიდან, მაგრამ მორგებული საეკლესიო სლავურ საღვთისმსახურე ტექსტებთან (ასევე ნაწილობრივ კანტიც — რელიგიური შინაარსის მქონე არასაღვთისმსახურე საგალობლები). XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან კიევის რუსეთში გავრცელებულმა ამ ორმა განმტოებამ მოსკოვის რუსეთში მოიკიდა ფეხი, რამაც, როგორც ი. გარდნერი აღნიშნავს, არა მხოლოდ საღვთისმსახურე გალობის სისტემის უდიდესი ცვლილებები გამოიწვია, არამედ განაპირობა თვით საღვთისმსახურე გალობის არსის გადაზრებაც.

პატრიარქი ნიკონი და მისი რეფორმა

გარდნერის პერიოდიზაციის მიხედვით XVII საუკუნის შუა პერიოდთან იწყება რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საღვთისმსახურე გალობის ისტორიის მეორე ეპოქა, უფრო ზუსტად კი 1652-1654 წლებში. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა რუსულ საეკლესიო-სამგალობლო კულტურაში მომხდარი მკვეთრი ცვლილებები. ეს ცვლილებები უკავშირდება 1652 წელს ნოვგოროდის მიტროპოლიტის, ნიკონის რუსეთის საპატრიარქო ტახტზე ასვლას.

ჯერ კიდევ ნოვგოროდის მიტროპოლიტის დროს გამოიშლავნდა ნიკონის დამოკიდებულება გალობისადმი, იგი განსაკუთრებულ მფარველობას უწევდა დასავლური ყაიდის მრავალხმიან საგუნდო გალობას. მიტროპოლიტ ნიკონის პარტესული გალობით გაცაცებას ეწინააღმდეგებოდა მამინდელი პატრიარქი იოსები (1642-52). ნიკონმა ნოვგოროდში დაამკვიდრა კიევიური სამხმინი გალობა, დამყარებული პარმონიულ სანყისზე (სამხმოვანება), რომელიც დიდად არ აკვირვებდა ნოვგოროდელებს, მაგრამ ამ საიხლემ წარმოიშვა დაპირისპირება ტრადიციონალისტებსა და ნოვატორებს შორის. პატრიარქი იოსები უკრძალავდა მიტროპოლიტ ნიკონს ღვთისმსახურებაში ამ ტიპის გალობის გამოყენებას. როგორც გარდნერი მიუთითებს მოსკოველებს ექნებოდათ საშუალება გაცილებით ადრე, თუნდაც შემთხვევით, გაცნობოდნენ კათოლიკების საორღონო მუსიკას. ტყუილად არ ეუბნებოდა პატრიარქი გერმოგენი სალტიკოვს: „გვდავჭეშმა-რიტი რწმენის ხელყოფას ერეტიკოსებისაგან

¹ — ქართული ეკლესიის ისტორია. მასალები და გამოკვლევები — II. კალისტრატე ცინცაძე - ქვაშეეთის წმიდის გათრგის ეკლესია ტფილისში, თბ., 1994წ; გვ.97-98;

და თქვენგან, მოღალატეებისაგან და მწინდა ეკლესიის განძარცვას: მეტი აღარ შემიძლია მოსკოვში ლათინური გალობის მოხმენა."

პატრიარქის ტახტზე ასვლის შემდეგ ნიკონმა უფრო მეტი ენერგიულობით დაიწყო თავისი ხედვისა და გეგმონების დამკვიდრება. „კიევეური“ გუნდების საშუალებით მოსკოვში ფეხი მოიკიდა კიევერმა, ბულგარულმა და ბერძნულმა ჰანგებმა. მოსკოვში პარტესული გალობა ზნამენური გალობის გვერდით დამკვიდრდა და დაიწყო მისი თანდათანობით შევიწროება. პარტესულმა გალობამ სწარფად ჰქოვა ვაერცკლება მოსკოვის რუსეთში. ამას სამეფო კარის დიდი მფარველობაც უწყობდა ხელს. კიევის რუსეთიდან დიდი რაოდენობით ჩამოყვანილი მგალობლები ლებულოდნენ სახელმწიფო გუნდში მგალობელი დიაკონების თანამდებობას, სადაც მათ ევალეობდათ გუნდის ხელმძღვანელობა და პარტესული გალობის სწავლება. თანდათანობით პარტესულმა გალობამ ზნამენურთან ერთად დემესტურად და „სტროჩნოე“ გალობის შევიწროებაც დაიწყო.

პატრიარქ ნიკონის რეფორმიდან ჩვენ მხოლოდ იმ საკითხებს განვიხილავთ, რომელიც რუსულ საეკლესიო-სამგალობლო კულტურას ეხება:

- ა) საღვთისმსახურო ტექსტების ახალი თარგმნა ბერძნულიდან, ტექსტების ამ ახალი რედაქციების შეთანხმება საუკუნეთა განმავლობაში დაკანონებული საგალობლების ჰანგებთან, რომლებიც მგალობლებმა ზემოირად იცოდნენ, ეს საგალობლები არახაზობრივი ზნამენური ნოტაციით გახლდათ ჩანერილი.
- ბ) საღვთისმსახურო განგების რეფორმა XVII საუკუნის შუა პერიოდის ბერძნული ტრადიციის მიხედვით, სწორედ ამ რეფორმებმა და კიდევ სხვა საკითხებმა, რომელთა განხილვას აქ არ შევედგებით, გამოიწვია განხეთქილება ძველმონესეებსა და რეფორმატორებს შორის.

1658 წელს, პატრიარქ ნიკონსა და მეფეს შორის მომხდარი უთანხმოების გამო, პატრიარქმა ნიკონმა დატოვა საპატრიარქო ტახტი, 1666 წელს გაიმართა სასამართლო, რომლის დადგენილებითაც იგი ვაგ ზაენილი იქნა შორეულ მონასტერში, სადაც გარდაიცვალა 1681 წელს.

მართალია ნიკონი სულ ექვსი წლის განმავლობაში ვახლდათ პატრიარქი, მაგრამ მის მიერ წარმოებულმა საეკლესიო გალობის რეფორმამ უდიდესი გავლენა იქონია რუსული

საღვთისმსახურო-სამგალობლო კულტურის ისტორიაში. როგორც ვარდნერი აღნიშნავს, ამ კულტურის გადატრიალების, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადართვით და ამით კულტურის თანდათანობითი სეკულარიზაციის ცენტრში დგას პატრიარქი ნიკონი თავისი რეფორმებით. პატრიარქი ნიკონი თავისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ვარდნერს რკინიგზის მანიშნებელს აგონებს, რომელმაც საღვთისმსახურო-სამგალობლო კულტურის გზის მანიშნებელი ისარი სხვა მიმართულებით გადაანა. ამგვარმა გეზის შეცვლამ განაპირობა პირველი, ძირითადი გზიდან გადახვევა და დაშორება. შეუძლებელია უარყოფითი მისი რეფორმების კოლოსალური, საბედისწერო მნიშვნელობა მთელი რუსული ეკლესიისა და მისი კულტურისათვის" 3 გვ.380.

საღვთისმსახურო-სამგალობლო სფეროსთან დაკავშირებულ პატრიარქ ნიკონის რეფორმებში ვარდნერი გამოჰყოფს ორ ძირითად საფუძველს, რომელთა ფესვები პატრიარქ ნიკონის ხედვებში და ხასიათში მოიძებნება.

„1) სიახლისაკენ სწრაფვა, (ანუ თანამედროვე ენაზე თუ გამოვთქვამთ, ცნობილი მოედერნიზმი), რასაც საფუძვლად უდევს ძველით, ჩვეულებრივით გაუაზრებელი უკმაყოფილება, მეტწილად ვერ დასაბუთება იმისა, თუ რა ინვეცია კონკრეტულად დაუკმაყოფილების შეგრძნებას და რა საშუალებით შეიძლებაო და ამ საკითხის მოგვარება.

2) ვაბედული პრობერძნული პოზიცია, კრიტიკული მიდგომის გარეშე, დამყარებული საერთო წეს-ჩვეულებების მქონე სამყაროს ერთიანი მართლმადიდებლური სამეფოს შექმნის იდეაზე. ამიტომ პატრიარქ ნიკონის აზრით, რუსული ეკლესია საჭიროებდა ყველაფერში თანამედროვე ბერძნულ ეკლესიასთან გათანაბრებას. ნიკონსა და სამეფო გარემოცვას შესაბამისი განათლება რომ ჰქონოდათ, ისინი კრიტიკულად მიუდგებოდნენ ჩამოსულ ბერძნებს და საერთოდ რეფორმებს. სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა ამ რეფორმების საფუძველშივე სიმცდარე." 3 გვ.380.

თავისთავად წარმოშობილი ბრძოლა პარტესულსა და ძველრუსულ ტრადიციულ სამგალობლო ფორმებს შორის საბოლოოდ პარტესის გამარჯვებით და თვითმყოფადი რუსული საგუნდო კონტრაპუნქტის — სტროჩნოე და დემესტურული გალობის ტრადიციის განვითარების შეჩერებით დასრულდა. XVIII საუკუნეში ეს ორი უძველესი ტრადიცია თითქმის სრულებით მივიწყეს.

1 - ია ვარდნერი. რუსული მართლმადიდებლური გალობის ისტორია; გვ.66;

რამ განაპირობა პარტყული გლოზის ასეთი წარმატება მართლმადიდებლურ რუსეთში? მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულეებით არ შეესაბამებოდა რუსულ ტრადიციას?

ამ ტრადიციის დამკვიდრებას, რუსული სასულიერო მუსიკის მკვლევართა აზრით, ბევრი მიზეზი უნდა ჰქონოდა. ერთ-ერთი გახლდათ ტრადიციული ფორმებისაგან რადიკალური განსხვავების სურვილი, რასაც გამაოცებელ-აღმაფრთოვანებელი მნიშვნელობა შეეძლო შეეძინა. მეორე მიზეზი კი, მეფე ალექსანდრე მიხეილის ძის პერიოდიდან დაწყებული დასავლეთით ზოგადი გატაცება. უნდა გავითვალისწინოთ მამონდელი ესთეტიკური შეხედულებებისა და გემოვნების მნიშვნელობაც.

რუსული საეკლესიო გალობის ასევე საყოველთაოდ ცნობილი მკვლევარი პრეობრაჟენსკი წერს: „პოლიონური კომპოზიციის ფორმების საზღვრებში ცხადია საკუთარი თავის გამოხატვა რუს კომპოზიტორებსაც შეეძლოთ, მაგრამ ეს სტილი მათთვის მარცხუცხო გახლდათ. ამ სკოლის წარმომადგენელ რუს კომპოზიტორებს დასჭირდათ დიდი დრო, ძალა და მონდომება სწორედ მუსიკალური ენისა და მანამდე უცხო ტექნიკის ასათვისებლად. XVII საუკუნეებში — კერძოდ 1652 წელს, კიეველმა მგალობლებმა რუსეთში პარტყული გალობა უკვე მზა და გადამუშავებული სახით მოიტანეს, მაგრამ თავად კიეველებს მინიმუმ 50 წელი დაეხარჯებოდათ ამ სტილის ასთვისებაში.“³ გვ 96.

საუკუნუნახევრის შემდეგ რუსული სამგალობლო კულტურის გაელენით იგივე პროცესები განვითარდა საქართველოშიც. XIX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის (1817-1821 წწ.) ბრძანებით თბილისის ეკლესიებში და სასულიერო სასწავლებლებში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. როგორც წყაროები გადმოგვცემენ, „ამან აღიღო გალობა ქართული და ნაცვლად მისსა მოაყოლა გალობა ქართული ერთ რუსთა და ლათინთა კილოზედა“⁴. ეს გახლდათ ქართული საგალობლის ტექსტის მისთვის უცხო ჰანგზე განწყობის პირველი ფაქტი.

ამას მოჰყვა ქართველი მუსიკოსებისაგან ქართული საგალობლის გაოთხმანების მთელი რიგი მცდელობები. მათ შორის ერთერთი პირველთაგანი გახლდათ ანდრია ბე-

ნაშვილი. 1897-1906 წლებში ბენაშვილის მიერ რედაქტირებულ იოანე ოქროპირის წიგნის წესს ქაშვეთის ქართული გუნდი გალობდა. „შემდეგ ქაშვეთში დაისვა საკითხი ქართული გუნდის მოწვევისა და წირვა-ლოცვის მხოლოდ ქართულს ენაზე შესრულებისათვის: მოწვეულ იქნა მონადირიშვილის გუნდი. იოსებ მონადირიშვილი იყო სემინარიაში კურსდამთავრებული და ქართული გიმნაზიის მასწავლებელი, იგი დიდი მოყვარული იყო ოთხხმოვან გალობას, მან მოიპოვა და შესანავლა ქართველ ახალგაზრდობას ა. ბენაშვილის „წირვა“. ამ ჯერ გაუგონარ გალობით გატაცებულმა ქართველმა ახალგაზრდობამ, ქალებმა და ვაჟებმა, ოთხხმოვან გალობისადმი სიყვარული და გულმოდგინება მოიტანეს ქაშვეთში, რომელიც საამოვნებით, სიხარულით და დედობრივი მზრუნველობით შეხვდა „ქართული გალობის მოყვარულთა გუნდს“. 1897-1906წწ. ეს გუნდი გალობდა ქაშვეთში და მორწმუნენიც თანავარძობით ეპყრობოდნენ.“⁵ გვ97-98.

როგორც ამ სიტყვებიდან ირკვევა, XIX საუკუნის ბოლოსათვის ოთხხმობიანი გალობა უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. 1910 წლიდან ქაშვეთის გუნდს ხელმძღვანელობდა ზ.ფალიაშვილი, მოგვიანებით ნ.სულხანიშვილი. ყველასათვის კარგადაა ცნობილი ზ.ფალიაშვილის მიერ რედაქტირებული „მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტებზე გადაღებული წმ.იოანე ოქროპირის წირვის წესი“—1899წ. (ქართლ-კახური კილოთი), ჩანერილი ძმები კარბელაშვილების, ალ. მონადირიშვილისა და გრ. მღერბიშვილის დახმარებით“. საკუთარ გაოთხმანებულ რედაქციებს გვთავაზობს ნ. სულხანიშვილიც. რადგან დროის სიმციროს გამო რედაქტირებული საგალობლების დაწვრილებით ინტენსიური ანალიზს ვერ შევხებით, გთავაზობთ მხოლოდ ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებს.

როგორც ცნობილია, ძველი პროფესიული მუსიკალური ხელოვნება დაკავშირებულია კანონის ორმაგ სისიტემასთან: კანონიური ტექსტებში, რომელთაც ბერძნულიდან თარგმნის დროიდან უმნიშვნელო ცვლილები განიცადეს. კანონიკურია ჰანგებიც, რომელიც ტექსტის შინაარსს გადმოგვცემენ და ჰქმნიან გარკვეულ ემოციურ განწყობილებას. ჰანგის დაცულობაც კანონიკითაა დადგენილი. ზ.ფალიაშვილისა და ნ. სულხანიშვილის გადამუშავებამი საგალობლის კანონი ორმაგი სისიტემიდან ორივე მნიშვნელოვანი პარამეტრი გარდაქმნილია.

დაძრულია კანონიკური ტექსტის მარ-

³ ბატონიშვილი დავით — მხალეუბი საქართველოს ისტორიისათვის, შუკრებილი ბატონიშვილის დავითის გაორგის ძისა და მისი ძმების 1744-1840წწ. თბ., 1905, გვ113;

ცვლები, რაც ცვლის სიტყვისა და პანგის კანონიკურ ურთიერთმიმართებას;

ირღვევა კანონიკური სამხმინანობა, მეოთხე(ან მეტი) ხმის დამატებით;

კანონიკურ I ხმაში ჩარევა, მნიშვნელოვანი საქცევების ამოღება, ან მათ მაგივრად საკუთარი (სავტორი) ინტონაციური მასალის ჩამატება;

დედნისეული ფრაზირების პრინციპების დარღვევა, რაც საგალობლის რადიკალურად განსხვავებული ინტერპრეტირების მიზეზი ხდება;

ტრადიციული ქართული საგალობლისათვის არატიპური ხმათასვლა, საკუთარი საკომპოზიტორი გემოვნებით შემუშავებული, რომელზეც მკაფიოდ შეინიშნება ევროპული საგუნდო სტილის გავლენა;

ზედა ხმის (კანონიკური პირველი ხმა) უზვეულოდ მაღალ რეგისტრში გადატანა;

ევროპული ფუნქციონალური სისტემის მნიშვნელოვანი გავლენა მოდალურ კილოურ აზროვნებაზე;

წმინდა ევროპული ტრადიციებიდან მომდინარე ქალთა და ვაჟთა შერეული გუნდის სპეციფიკა. მაშინ, როცა ქართული გალობის შესრულებისას „დიდი მნიშვნელობა ენიჭება გუნდების ერთგვაროვნებას, კერძოდ, უნდა მოვერიდოთ მამაკაცთა და ქალთა შერეულ შემადგენლობას, რაც ევროპული პროფესიული საგუნდო მუსიკისათვისაა დამახასიათებელი“¹

¹-თ. გაბისონია - „ტრადიციული სამგალობლო გუნდების შემადგენლობის შესახებ“. - გაზ. „ქართული გალობა“. №1, 2006 წ.

²-ბ. ასაფიევი „მუსიკალური ფორმა, როგორც პროცესი“. გვ.217

ასაფიევი წერდა, რომ ერი, კულტურა, ეპოქა მათ ისტორიულ ცხოვრებაში განსაზღვრავს ინტონაციის სტადიებს, ხოლო ინტონაციის საშუალებით დგინდება მუსიკის გამომსახველი საშუალებები და მუსიკალური ელემენტების ურთიერთმიმართების პერჩევა. XIX საუკუნემდე ქართული მუსიკალური კულტურა თავის ძირითად გამოვლინებებში მარტოოდენ ინტონაციურ-სასიმღერო გახლდათ, რითიც განისაზღვრებოდა მუსიკის მთელი სისტემა. რუსული მუსიკის გავლენით დასავლეთ ევროპული ინსტრუმენტალიზმისაკენ და ამ სკოლის ნორმებისაკენ მკვეთრმა გადართვამ, ქართულ სამგალობლო ნიდადგზე თითქმის მექანიკურად გადმონერგილმა უცხო კანონზომიერებებმა განაპირობა „მუსიკალური ცნობიერების გადაწყობა“. „პრობლემის არსი მდგომარეობდა არა მხოლოდ უცხოელების „მუსიკის სწავლების ახალი მანერის“ ახლებურ ტიპში, არამედ სმენითი (ინტონაციური) აზროვნების სრულებით განსხვავებულ მეთოდში: ეს ყველაფერი შეეხო ერის მსოფლშეგრძნებასა და მსოფლაღქმას“² გვ.217.

სწორედ „მუსიკალური ცნობიერების გადაწყობა“-მ განაპირობა XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ქართულ სამგალობლო ტრადიციაში ახალი ტენდენციების გაჩენა, რისი გავლენითაც XX საუკუნეში ცალკეული კომპოზიტორები სასულიერო ტექსტზე განყოფილ საგალობელთა საკუთარ ნიმუშებს პქმნიან. ამდენად ქართულ სამგალობლო ტრადიციაში წარმოიშვა ახალი, არაკანონიკური პლასტი, რომელიც ტრადიციულისა და ევროპული მუსიკალური აზროვნების თავისებურ ნაზავს წარმოადგენს.





ნესა
ჩუკუყვიძე

„ჩუკუყვიძის
სახელობის“

ანა
ნიჭიბაძე
დაეხმარებათ
და ახალი

„ეკვარტეტი“ - ასე ჰქვია რონალდ შარ-
ვუდის პიესას, რომლის დადგმაც რეჟისორმა
გოჩა კაპანაძემ შოთა რუსთაველის სახელო-

ბის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გად-
ანწყვიტა. რონალდ შარვუდის პიესები მსოფ-
ლიოს ასზე მეტ თეატრშია დადგმული, მისი
სცენარის მიხედვით ცნობილმა პოლონელმა
რეჟისორმა რომან პოლანსკიმ გადაიღო მხ-
ატერული ფილმი „პიანისტი“, რომლისთ-
ვისაც დრამატურგმა 2003 წელს ამერიკის
კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო ოსკარი
დაიმსახურა. იგი ასევე ფლობს ოქროს გლო-
ბუსს პიესისათვის „კოსტიუმერი“.

რონალდ შარვუდის შემოქმედებაში
ერთ-ერთი გამორჩეული პიესაა „ეკვარტეტი“,
რომელიც 2005 წელს პეტერბურგის გიორგი
ტოვსტროვოგოვის სახელობის დრამატულ თე-
ატრში დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ნიკო-
ლაი პინიგინმა. სპექტაკლში თამაშობდნენ
რუსული თეატრის ისეთი ღვაწლმოსილი არ-
ტისტები, როგორებიც არიან: კირილ ლაერო-
ვი, ოლეგ ბასილაშვილი, ალისა ფრენდლიხი
და ზინაიდა შარკო.

„ეკვარტეტი“ მოთხრობილი ამბავი ვი-
თარდება ინგლისის პროვინციაში, ოპერის
ყოფილი მსახიობები სიცოცხლის უკანასკნელ
წლებს შემოქმედ-ხელოვანთა პანსიონში
ატარებენ. ოთხი მსახიობი, რომლებიც მთელი
ცხოვრება შემოქმედებით ზენიტში იყვნენ და
ყოველდღე მათ ათასობით ადამიანი უკრავდა
ტაშს, უცბად გაუსაძლის მარტოობაში აღ-

მოჩნდნენ, ისინი აღარავის სჭირდება, ისლა დარჩენილი წარსული ცხოვრების გახსენებით შეიქცეონ თავი, ერთმანეთს გაუზიარონ უკვე რამოდენიმეჯერ მოყოლილი ისტორიები, მაგრამ არა შელამაზებული, არამედ რეალისტურად, პირდაპირ მთელი თავისი წინააღმდეგობებით, კონფლიქტებით, თავსაგარი ინტრიგებით, რომელსაც სჭირად ერთმანეთის წინააღმდეგაც ხლართავდნენ. ეს არის წინარე ისტორიების თავისებური რეტროსპექტივა.

პიესის გადმოქართულება ეკუთვნის თამაზ გოდერძიშვილს, რომელმაც რამდენადმე შეცვალა ორიგინალური ვერსია და სიუჟეტი ქართული ხასიათისთვის უფრო ახლობელი გახადა. რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ სპექტაკლში დააკავა ის მსახიობები, რომლებიც თავიანთი შინაგანი ბუნებითა და შემოქმედებითი აქტივობის თვალსაზრისით ახლოს არიან პერსონაჟებთან, უმეტეს მათგანს წლებია ფეხი არ დაუდგამს სცენაზე და ეს სპექტაკლში მათი ხელახალი ჩაბმა იყო თანამედროვე თეატრალურ ცხოვრებაში. ამ გარემოებიდან და მათი სამსახიობო ოსტატობიდან გამომდინარე, არტისტებისათვის ძალზე ახლობელი აღმოჩნდა საკუთარი პერსონაჟების ბუნება. სპექტაკლის დამდგმელი გოჩა კაპანაძე თავადაც მსახიობია და მას ძალიან კარგად ესმის, თუ რას ნიშნავს მსახიობისათვის ოთხმოცი წლის ასაკში ახალი როლის მიღება. ალბათ სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მან მოქმედი ოთხი პერსონაჟი ცხრა პერსონაჟამდე გაეზარდა და ოპერის ოთხი მომღერლისათვის ოთხი დრამატული მსახიობი და ერთი ბალერინა დემატებინა. რეჟისორის ამ გადაწყვეტით სპექტაკლში დაკავდა რუსთაველის თეატრის თითქმის ყველა ასაკოვანი, დვანაღმოსილი მსახიობი. ამრიგად, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობთა ფოიეში გამოიკრა ახლი ბრძანება, რომელიც იუნკებოდა, რომ წარმოებაში ჩაეშავს ორნალდ პარვულის „ეკარტი“ შემდეგი განაწილებით:

- 1) ელისო მედეა ჩახავა
- 2) თამარი ზინაიდა კვერენჩილაძე
- 3) გრიგოლი გურამ საღარაძე
- 4) მალვა ჯემალ ლაღანიძე
- 5) კოტე კარლო საკანდელიძე
- 6) ქრისტეფორე კახი კავსაძე
- 7) ლოლა ზაზა ლებანიძე
- 8) ნინა მარინა ჯანაშია
- 9) ალექსანდრა მარინა კახიანი

იმას, რასაც გოჩა კაპანაძე აკეთებს, გარკვეული პრეცედენტი აქვს ქართულ თეატრში. ანალოგიური შემთხვევა ქართული თეატრის ისტორიაში 1966 წელსაც მოხდა, როცა კოტე მარჯანიშვილის სახელობის

სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მივიდა ლორთქიფანიძემ და იური კაკულიამ ერთობლივად დადგეს ა. სუმბათაშვილი-ოუჟინის პიესა „ლალატი“ და ამ სპექტაკლში დააკავეს აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარაძე, სესილია თაყაიშვილი, ვასო გომიძეშვილი და ქართული თეატრის სხვა ლეგენდარული მსახიობები. ისტორია თითქმის გამეორდა, მაგრამ ყოველი მსახიობი დიდი ინდივიდუალობა და ბუნებრივია, რომ ისტორიის გამეორება მხოლოდ სიმბოლური ფაქტია.

მოქმედი პერსონაჟების რიცხვის გაზრდასთან ერთად პიესაში გარკვეული სცენებისა და მონოლოგების ჩამატება გახდა აუცილებელი, რათა უფრო ბუნებრივი და საერთო სიუჟეტისათვის ორგანული ყოფილიყვნენ ახალი გმირები. ამიტომ რეჟისორმა გადაწყვიტა სპექტაკლი გამედიდრებინა დიდი ქართველი მსახიობების ცხოვრებიდან ამოკრეფილი სიუჟეტებით. პიესის უმთავრესი მონაკვეთი ასოციაციებითა და ალეგორიებითაა გამსჭვალული, საკმარისია ოდნავ მაინც იყო ჩახედული რუსთაველის თეატრის შიდა სამზარეულოში, რომ გაიხსენო წარსული ცხოვრების დრამატული მოვლენები. მაგრამ მასყურებელი მარტო თეატრის ისტორიის მკვლენი ხომ არ იქნებიან, ამიტომ ყველაფერი ზოგადდება და ადამიანთა რთული ცხოვრების ისტორიად განიცდება. სცენაზე ამოიცნობთ შენკრეტულ პიროვნებებს და ბევრ რამეს შეიტყობთ მათ ადამიანურ ღირებულებებსა თუ საკლოკანებებზე..

კახი კავსაძეს მეორედ მოუწია ამ პიესაში მონაწილეობის მიღება. პირველად მან მოსკოვში, „ასტუფენკაზე“ გალინა ვინენცკაიას მუსიკალურ ცენტრში განასახიერა მოხოცი მსახიობის გმირი, თუმცაღა სრულიად სხვა პერსონაჟი. აღსანიშნავია, რომ ეს სპექტაკლი ქართველმა რეჟისორმა, წარმოშობით აფხაზმა რომა მარხულიამ დადგა და მასში დააკავა ისეთი არტისტები, როგორებიც არიან ბარბარა ბრილსკა, სვეტლანა კრიუჩკოვა,



იგორ დიმიტრიევი და კახი კავსაძე. საომარო არიებს კი ვაჭარს ვიშნევსკაიას მუსიკალური ცენტრის სოლისტები ასრულებდნენ. ამრიგად, ბატონი კახისათვის გარკვეულწილად გასაგები იყო თუ როგორი შტრიხებით უნდა გაემთხინებინა სკუთარი პერსონაჟის ხასიათი.

რეპეტიციების დაწყებისთანავე დაიწყო რეჟისორმა ფიქრი იმაზე, თუ რა უნდა დაერქმია სპექტაკლისათვის. ძველი სახელწოდება „კვარტეტი“ არ გამოდგებოდა, რადგან სპექტაკლში უკვე ცხრა მსახიობი იყო დაკავებული. ასევე არსებობდა შემდეგი ვერსიები: „უკანასკნელი მოიპიკანები“, „გახუნებული ესკიზები“, „შესანიშნავი შვიდეული“, რადგან იქნის ერთ-ერთ ვარიანტში შვიდი მსახიობი იგულისხმებოდა, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა „მოზუცი ჯამბაზები“ და მართლაც, ეს ვერსია შემოქმედებითი კოლექტივისათვის მისაღები და მრავალფუნქციური აღმოჩნდა. რეპეტიციების სამაგიდო პროცესი, რომელიც რუსთაველის თეატრის სამთავრობო დარბაზში მიმდინარეობდა, შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს, პირველი ტექსტის ნაკითხვა იყო, მეორე კი პერსონაჟების ხასიათის გაცნობა და ქვეტექსტუალური მოვლენების განვითარება. აქაური რეპეტიციები ჩვეულებრივისაგან რამდენადმე განსხვავებული იყო, რეჟისორი ცდილობდა მაქსიმალური თავისუფლება მიეცა მსახიობებისათვის და ნაკლებად შეეცვალა მათ მიერ მოცემილი დეტალები. თუმცაღა მიმართულებასაც და ხასიათის ბუნებასაც გოჩა კაპანაძე თავად უთითებდა. თითოეული პერსონაჟის ხასიათი რეპეტიციების მსვლელობის დროს რამდენჯერმე შეიცვალა. მაგალითად, მარინა ჯანაშიას ნინა თავიდან ზუგდიდის თვატრის მსახიობი იყო და შიგადაშიგ მეგრულად ლაპარაკობდა, თუმცაღა მსახიობმა რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ სრულიად ახლებური გადანწყვტა მოუფიქრა საკუთარ გმირს და იგი საბჭოთა კავშირზე მეოცნებე, მკაცრი და პირქუში ქალბატონი გახადა, რომელიც თითქმის სულ რუსულად ლაპარაკობს და მისტირის იმ დროს, როდესაც გახდა „ლაურეატ ვსეი პრემიი“. აღსანიშნავია, რომ მსახიობს ასეთი მკვეთრად სახასიათო როლი აქამდე არ ჰქონდა ნათამაშები, ქალბატონმა მარინამ ამ როლით უდიდესი აღიარება მოიპოვა. იმედი მაქვს, რომ მას არაერთხელ ვიხილავ მსგავსი ამპლუის როლებში.

რეპეტიციების პროცესი იმდენად საინტერესოა, რომ ზოგჯერ გეუფლება განცდა იმისა, რომ ზიხარ პარტერში და უყურებ კარგ სპექტაკლს, რომელიც კომედიასთან ერთად საოცრად სევდანარეგია. თითქმის ყოველ

მესამე რეპეტიციაზე მოდიოდნენ ტელევიზიები სხვადასხვა არხებიდან სიუჟეტების გასაკეთებლად. ოპერატორი ჩართავდა თუ არა კამერას რეპეტიციის ნაწყვეტის გადასაღებად მსახიობები იწყებდნენ ხმის ბოლო რეგისტრირებას იმის დასამტკიცებლად, რომ ხმა ჯერ კიდევ შესაშურ ფორმაში ვაჭქესო. ისეთი ჩქარი ნაბიჯებით დადიოდნენ და იმდენ ენერჯიას ხარჯავდნენ, რომ კამერის გამორთვისთანავე რეპეტიციის გაგრძელების უნარი ეკარგებოდათ და გასავათებლები ბრუნდებოდნენ სახლში. სწორედ მსახიობების მსგავს თვისებებზე ნერდა მიხეილ თუმანიშვილი მაშინ, როდესაც იგონებდა რეპეტიციის პროცესს აკაკი ვასაძესთან - პარტერში ჩემსა და ვასაძის გარდა არსები იყო, ჩვეულებისამებრ ვუსხინდი მისი პერსონაჟის ხასიათს და ისიც საკუთარ მოსაზრებებს მიზიარებდაო, უცებ ამ კაცმა დაიწყო თამაში, არადა ჯერ სამაგიდო პროცესიც არ გვექონდა დაწყებული, მივიხედუე უკან და დავინახე თუ როგორ გვიცქერდა რადისტი ზემოდანო. ასეთია ქეშმარიტი მსახიობის ბუნება, მათ ერთი მავსურებლისთვისაც კი შეუძლიათ თამაში ისე, როგორც გადაჭედილი პარტიკრისათვის.

ზოგადად მსახიობებისათვის მთავარი საზრუნავი და საფიქრალი არის ახალი როლი, რომლის წყალობაც მხოლოდ და მხოლოდ რეჟისორებს შეუძლიათ გაიღონ. რაც დრო გადის და მსახიობს ასაკი ემატება ეს წყალობაც ნელ - ნელა იშვიათდება, მთლოს კი საერთოდ ქრება. ამრიგად იმ მსახიობებისათვის, რომლებიც ხანში შესულ ხელოვანთა პანსიონში ცხოვრობენ და სხვადასხვა დროს თვატრიდან სწორედ რეჟისორების მიერ არიან განთავისუფლებულნი ძნელი წარმოსადგენია არ უნდა იყოს თუ რა არასასიამოვნო განწყობა დაეუფლებათ მათი სახელის გაგონებისას. ზაზა ლიბანიძის პერსონაჟი ლოლა ამბოზს - გამაგნა ამ ხალხმა, ყველა ერთი და იგივეს მუხებზე, პიროვნება არ ვარგა, მაგრამ იმედი რეჟისორია, ნამდვილი გენიოსიაო, არ შეიძლება ერთ დღეს შეცვალოს ეს პოზიცია და იყოს ცუდი რეჟისორი და კარგი ადამიანი, იქნებ მოეწონოს ეს მდგომარეობაო? მაგრამ რას ვიზამთ ალბათ ძნელად თუ მოიძებნება დიდი ხელოვანი, რომელიც ერთდროულად ამ ორივე თვისების მატარებელი იქნება.

სპექტაკლის რეპეტიციების დაწყებიდან ხუთი თვე იყო გასული, როდესაც მსახიობი კარლო საკანდელიძე შეუძლოდ გახდა და იძულებული შეიქნა როლზე უარი ეთქვა. ბატონი კარლო განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა ახალ როლს და გმირის ხასიათის გამდიდრება დაიწყო, ის, როგორც ნენსი,

ერთი საათით ადრე მოდიოდა რეპეტიციაზე და იწყებდა მუშაობას. მის ტექსტში არ იყო არც ერთი ფრაზა და წინადადება, რომელიც მსახიობის ინიციატივით არ იყო გასწორებული. რეჟისორიც იმდენად იხიბლებოდა მსახიობის იმპროვიზაციით, რომ ყველაფერს ინიშნავდა. მის გამოცდილებას და ოსტატობას განსხვავებულ ხიზლს სძენს იუმორი. რეჟისორი იძულებული გახდა ბატონი კარლოს ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი პიესიდან აყოლო, რადგან მათი წარმოთქმა მხოლოდ კარლო საკანდელიძის პერსონაჟის ხასიათს შეესაბამებოდა. ამ მხრივ სპექტაკლს ერთი დიდი ოსტატია გამოაკლდა.

ვისი იმედი შეიძლება ჰქონდეს რვა მოხუც ხელოვანს, რომლებიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს მოხუც ხელოვანთა თავშესაფარში ატარებენ, ალბათ შეილების, შესაძლებელია, მაგრამ სპექტაკლის პირველსავე სცენაში მოდის წერილი ქალბატონი ლოლას (ზანა ლებანიძე) სახელზე, რომელსაც ამერიკაში მცხოვრები შვილი უგზავნის „საყვარელო დედა! ჩვენზე ნუ იდარდებ, კარგად ვართ, სამწუხაროდ წელს ვერ ვახერხებთ შენს მონახულებას, მაგრამ მომავალ წელს აუცილებლად გინახულებთო“. სწორედ ამ სცენიდან ვლინდება ის პრობლემა და მთელს სპექტაკლს ლაიტმოტივად გასდევს, რასაც მოხუცთა უფუნქციობა და მათდამი უყურადღებობა ჰქვია. არტისტები კი ყველანაირად ცდილობენ როგორც საქმე გამოიჩინონ და საკუთარი თავის თვითრეალიზება მოახდინონ. ამ კუთხით საუკეთესო გამოხავაღს მიაგნო ბატონმა გრიგოლმა (გურამ სალარაძე) და თავისუფალი დრო მოგონებების წერით შეივსო. ქრისტეფორე (კახი კავსაძე) და ალექსანდრა (მარინა კახიანი) კი წარდს თამაშობენ და ერთმანეთს საცვლებს ართმევენ, ბატონი შალვასთვის (ჯემალ ლაღანიძე) კი მთავარი საზრუნავი ახალი პორნოგრაფიული ფურნალების ყიდვა და მათი დათვალეოერებაა, მიუხედავად დიდი ტრაგედიისა, მას მიუღწევ

და ვაჭიშვილიც გარდაცვლილი ჰყავს, მაინც არ კარგავს იუმორის გრძნობას და ცდილობს დამაბული სიტუაციების განმუხტვას. დადის ხელნაკეთი მიკროფონით, რომელიც წნევის გასაზომი ამპრატისგან აქვს გაკეთებული და პანსიონატის თითოეული ბინადარისაგან ინტერვიუებს იწერს სექსუალურ თემებზე. აი ასეთია მის მიერ შემუშავებული კითხვების ნუსხა:

ვინ იყო თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ძლიერი მამაკაცი და რამდენჯერ?

პირველად რამდენი წლის ასაკში დაამყარეთ სექსუალური კავშირი?

ახლაც ხართ თუ არა სექსუალურ მზადყოფნაში? და სხვა...

ასევე სექსუალური თემებით არის გატაცებული, მაგრამ შედარებით იოლ ფორმებში, ქალბატონი ელისო (მედეა ჩახავა), მიუხედავად მისი ოთხმოცდაათი წლის ასაკისა, სულ იზარაჭება და ცდილობს, რაც შეიძლება კარგად გამოიყურებოდეს, რათა მონაონის თავი პანსიონში მცხოვრებ მამაკაცებს. თუმცა, ზოგიერთ მომენტებში მას გონება ებინდება და ჰგონია, რომ ახალი ჩამოსულია ბლდადიდან სადაც ლამაზ შროშანებს და გემრიელ მარწყვს კრეფდა. ასევე საქმე გამოიჩინა ქალბატონმა ლოლამ, რომელიც კოლეგებს ვერდის საიუბილეო კონცერტისათვის გამოსასვლელ კოსტუმებს უკერავს. მას სულ ჯიბით დააქვს ვალერიანის წვეთები და სხვადასხვა ნამალა, რათა შეუძლოდ გამხდარ მსახიობებს დააღვინონ. იგი საოცრად შზრუნველია. პირად პრობლემებს გვერდით დებს, რათა სხვათა „საქმეები“ მოავაროს.

აი, ასე ატარებენ დროს მოხუცები და მარტოობით ტკებნიან, ტკებნიან ისე, როგორც ეს ორი სიტყვა შეესაბამება ერთმანეთს, მარტოობით ტკობა, ეს ხომ იგივეა, როგორც კარგი ტანჯვა შეიძლება იყოს. ანუ ერთფეროვნულად ატარებენ მარტოობით გაუარესებულ ყოფას. გრიმის სუნი ენატრებათ, სცენის მტვერც... ვარსკვლავური ყოფა კი წარსულში დარჩა, ახლა ყველასგან დავიწყებულვებს, ერთმანეთილა დარჩათ იმედად. თუმცა ეს სულაც არ უშლით ხელს, მწარე სიმართლით სავსე სიტყვები არ დაიშურონ კოლეგებისადმი. ასე მთავალითად: „შენ არასდროს გაგანდა მოქალაქეობრივი პოზიცია“, „შენ არ იყავი, ხელიდან ხელში რომ გადადიოდი გარდამავალი დროშასავით ცეკვას კაბინეტში“ და მრავალი სხვა. ყოველ ასეთ ექსკლაობას მოხუცებისათვის დამახასიათებელი გულჩვილობა და ისევ მარტოობის საშიშრელი შიში მოსდევს, ამიტომ პატარა ბავშვებივით გაბუტულები, ისევ პატარებივით რიგდებიან და მაინც მათი მთავარი დევიზია, თავი არა-



ვის შევაცოდოთ!! თუ, რა თქმა უნდა, ამ ყოფაში საკუთარი თავი თავადვე არ გეცოდება. ირგვლივ კი ყველაფერი ისეა, რომ საკუთარი თავი თავადვე უნდა გეცოდებოდეს.

თავიდან მოხუცებულთა თავშესაფარში ყველაფერი რიგზეა, მათი ცხოვრება მდორე დინებით მიედინება, მაგრამ მოულოდნელად გრიგოლს (გ. საღარაძე) და შალვას (ჯ. ლანდანიძე) ატყობინებს ქალბატონი ელისო (მ. ჩახავა), რომ პანსიონში მოყავთ ახალი ბინადარი თამარ ახვლედიანი (ზ. კვერენჩილაძე) სწორედ ის თამარი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინ გრიგოლის ცოლი იყო და ყოველგვარი მიზეზის გარეშე მიატოვა მეუღლე. აი, ამ სცენიდან იძაბება სიტუაცია პანსიონში და იწყება ადრინდელი ფილმების, ექვიანობა, ბუტიანობა და ნელ-ნელა ცოცხლდება თავშესაფარი. თამარის პანსიონში ცხოვრების წინააღმდეგია გრიგოლი. მას არ სურს იმ ტკივილის გახსენება, რომელიც მეუღლისგან განშორების დროს მიიღო და კითხულობს მონოლოგს, რომელშიც თამარს ცოცხლდება თავშესაფარი. მონოლოგი მსახიობ გურამ საღარაძეს საოცრად სევდიანად მიჰყავს, ახსენებს თუ არა თამარის სახელს, თვალები უცრემლიანდება და სათუთი ხდება. რაც უფრო ლანძღავს მას, მით უფრო ნათელი ხდება, თუ რაოდენი სითბო და სიყვარული აკავშირებს გრიგოლს თავისი ერთადერთი სიყვარულის მიმართ, რომლისადმი გრძნობა განუღებელი მაგივრად ერთიორად უმძაფრდება. ამ მონოლოგიტ გურამ საღარაძემ კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რაოდენ დიდი პროფესიონალია და როგორი დიდი მასშტაბების მქონე მსახიობი. სცენაზე შემოაქვთ უზარმაზარი კიბე რომლის კენწეროზეც თამარი დგას და ნელ-ნელა ამ კიბიდან ჩამოდის პანსიონში. ეს მიზანსცენა რეჟისორის და მხატვრის ანა ნინუას ერთობლივი გადაწყვეტაა. ამ სცენაში ვხედავთ ქალს, რომელიც ცხოვრების მწვერვალისგან ეშვება უფსკრულში და ხვდება იმ მოხუცთა თავშესაფარში, სადაც მოხვედრის ყველაზე ძალიან ეშინოდა. კიბესაც ხომ სიმბოლური დატვირთვა აკისრია. რადგან ეს პატარა სცენა ამ ქალის ცხოვრების „კარდიოგრაფის“ ამსახველია. ელისო და შალვა ცდილობენ მათ შერიგებას, მაგრამ ამაოდ, თამარიც აღიარებს დანაშაულს, მაგრამ გრიგოლი ბავშვით კრიტიკურულია. ასევე შიგადაშინებულ კონკლავს ელისო და თამარი. ისინი ცდილობენ ერთმანეთის უპირატესობა აშკარა გახადონ. სანამ თამარი შემოდის ელისო ამბობს - „იგი ჩემზე ბევრად უფროსია და სამინლად გამომიყურებაო“ შემოვა თუ არა „ბიჭებს“ ეუბნება: ბიჭებო, ხომ გითხარით თამარი ისეთი

კარგად გამოიყურება, რომ თქვენმეტი წლის გოგოს გავსო. მოხუცებში კვლავ იჩინა თავი კონკურენციის გრძნობამ. ამას თამარის რეპლიკაც მონიშნავს, როდესაც გაიგებს, მისი ერთ-ერთი კოლეგა დიდუბის პანსიონში დაკრძალესო, ამბობს: „გაგიჟდება კაცი, ყველაფერი ჩანსოებითა ამ ქვეყანაზე, თორემ კანკის ქალს პანსიონში რა უნდაო“.

ერთ დღესაც პანსიონში მოდის ცნობა, რომ ათ ოქტომბერს მოხუც ხელოვანთა თავშესაფარში გაიმართება უდიდესი კომპოზიტორის, ჯუზეპე ვერდისადმი მიძღვნილი საღამო, სადაც გრიგოლმა, თამარმა, ელისომ და შალვამ უნდა იმღერონ კვარტეტი „რიგოლეტოდან“. ეს ფაქტი ყველას გაახარებს. მათ სიცოცხლეს კვლავ აზრი მიეცა, ისევე გახდნენ საჭირონი, კვლავ დასჭირდათ მათი სიმღერა, მაგრამ ერთადერთი სცენაზე გამოსვლის წინააღმდეგი თამარია. იგი შეურაცხყოფილია და არ დაუშვებს, სიბერეში ვინმეს სასაცილო გახდეს. გრიგოლი კი ალტაცებით აფიშავს დასანერ ტექსტს ადგენს: „ ათ ოქტომბ-



ერს გაიმართება კონცერტი, მონაწილეობენ დაფეხილი მეგა ვარსკვლავები: ტენორი — ცნობილი სექსუალური მანიაკი, ბანი — სახელგანთქმული იმპოტენტი, მეცო-სოპრანო — გამოჩენილი მეძაბე, სოპრანო — უცნობილესი სუპერ კახა. . . ასრულებენ „რიგოლეტოდან“ კვარტეტს. დასწრება უფასოა, კონცერტის შემდეგ გაიმართება სახალხო პანაშვიდი მუხადგერდის სასაფლაოზე, მათივე მონაწილეობით. . . . უფრო მწარედ დაცინვა საკუთარი თავისა შეუძლებელია! კვარტეტს კი საფრთხე ემუქრება. თამარი კატეგორიულად წინააღმდეგია იმღეროს პანსიონში მოხუცებულთა იმისა, რომ დანარჩენების აზრით, წელიწადში ერთხელ, სცენაზე გამოსვლა და სიმღერა მათთვისაც არის აუცილებელი „ისევე განმეორდება გრიმი, სცენა, ოვაციები, ამით დაავიწყდება რომ ვარსებობთ.“ გრიგოლი ცდილობს როგორმე გადმოიბიროს

თამარი, „ნღებმა ჩაიქროლა და სიბერემ ყველას აქ მოგვიყარა თავი. ჩვენი ხმები ტკბილ მოგონებებდ დარჩა. იქნებ ვცადოთ და ნაწილობრივ მაინც გავაყოცხოთ ჩვენი ნარსულ-ლი. მართალია ეს ჩვენი აზრდილები იქნება, მაგრამ მზადების პროცესი ხომ ძველებურად ალგაფართოვანებს. თეატრალურ სამოსს ჩაიცვამთ თუ არა თავი დაგავიწყდება, ვიგონებთ, რომ ნერვები ჯერ კიდევ არ გავგზომობა. ვიგრძნობთ პროექტორების სხეულთა სითბოს და ბოლოს გავისხენებთ თუ როგორები ვიყავით ერთ დროს. ეს ხომ საუკეთესა მქურნალობაა. კონცერტი დაგვემძარება კეთილი გულით მივიღოთ ანმყო და რაც მთავარია მომავალი.“ თამარის დადარწმუნებას მალევე ცდილობს და იხსენებს მისი ცხოვრების ურთულეს ნუთებს „აიდაზე გამაგებინებს ჩემი ბიჭის დალუპვა. სპექტაკლი ვერ მოხსნეს. გავვიღო სცენაზე და ყველაფერი დამავიწყდა. სამსიელი პროფესია გვაქვს. მეზიზღებოდა მოახლოებული სიბერე. მეზიზღებოდა ყოველი მომავალბული დღე. ჯერ წინამდებარე ჯორკალი, პროსტატა განუხებებს და დამემი სამჯერ გარბენინებს, მერე კბილები დაგცვივა და პროტუნი გვიარდება პირიდან, მერე ყურში აღარ გვსმის, თვლები გიცრემლიანდება და კატრაქტა გვეყვება, ბოლოს ჯერ სხვისი სახელი გავიწყდება, მალე საკუთარი. თამბაქოს მოწვევას შეეშვიო, ქოლესტერინი გააკონტროლო, არტიკოლონი ნენვა მოიგვარო, ნუ სვამო, ამ რეჟიმს თუ დაიცავ ან გიშველი ან არაო.“ უდიდესი ოსტატობით აქვს ბატონ ჯემალს ეს მონოლოგი გაკეთებული, აღსანიშნავია მის მიერ გავლებული ოქროს შუალედი, რომელიც ტრაგიკული და კომედიურ სცენებს შორისაა დაცული.

ბევრი ხეენის შემდეგ თამარმა გაუმხილა მიზეზი კოლეგებს და უთხრა, რომ მშობიარობის შემდეგ ხმა დაკარგა, თამარის ასეთ ტრაგედიას რომ გაიგებენ, მოხუცები უთანაგრძნობენ, ცდილობენ დაამშვიდონ და გამოსავალი მოძებნონ, რათა თამარმაც მიიღოს მონაწილეობა ვერდისადმი მიძღვნილ გალა კონცერტზე. უეცრად ოთხივეს ერთი და იგივე აზრი გაუუღვივებს თავში და გადანწყვტენ კონცერტზე ფონოგრაფით იმღერონ. არაფერია არტიკულაცია, სუნთქვა, დინამიკა, ერთმანეთს დაამშვიდებენ და ინყებენ მზადებას კონცერტისათვის.

მსახიობისთვის ხომ ყველაზე დიდი ტრაგედია შემოქმედებითი პაუზაა, ხოლო ყველაზე დიდი სიხარული ახალი როლის მიღება. ალბათ ამიტომია, რომ მოხუცი „გამბაზები“ რეპეტიციავ მოსვლისას ძალიან ცუდად გრძნობენ თავს, ზოგს ნენვა ანუხებს, ზოგს ენერგია აქვს გამოლეული, მაგრამ საკმარისია რეჟისორის მიერ წარმოთქმული ერთი სიტყვა — „აბა ავიდით“, რომ მაშინვე ავი-

წყდებათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემები და ახალგაზრდული შემართებით იწყებენ რეპეტიციას. ისინი სცენაზე ისეთ მოზღვავებულ ენერგიას გრძნობენ, რომ ხშირ შემთხვევაში მათ ბოლომდე რეალიზებასაც ვერ ახერხებენ.

მოხუცი ქაიხოსროსათვის (ვ. კავსაძე) კი ერთადერთ საზრუნავს მისი გარდაცვლილი მეუღლე წარმოადგენს, მართალია იგი სულ ცდილობს, რაც შეიძლება მხიარული იყოს და სხვებიც კარგ შედეგაზე დააყენოს, მაგრამ მაინც იგრძნობა მის ხასიათში უზომო ნოსტალგია და მოთმინებით ლოდინი. ლოდინი იმ ბედნიერი წამისა, როდესაც შეხვდება მის გარდაცვლილ მეუღლეს. თუმცა ქრისტეფორე ამ ქვეყნიდანაც ესიყვარულება თავის პირველ სიყვარულს.

როდესაც კახი კავსაძე მონოლოგს კითხულობს, უშუალოდ ესაუბრება გარდაცვლილ მეუღლეს, ამიტომ რეჟისორმა თეატრალური განათების დახმარებით უფრო დამაჯერებელი გახადა მისი არსებობა სცენაზე. მსახიობი სხვის ესაუბრება, რომელიც ტოვებს ასოციაციას, რომ ეს სხივი ზეციდანაა გადმოსული. ბატონი კახი ასევე მღერის სპექტაკლში, მისი შესრულების დონე ნებისმიერ საოპერო მომღერალს შემურდება, აბსოლუტური სიზუსტით ასრულებს იგი ყოველ ნიუანსს.

დადგა ათი ოქტომბერი. სადაცაა კონცერტი დაიწყება. მსახიობებს სცენაზე შემოაქვთ ძველი სკივრი, სადაც სპექტაკლის სხვადასხვა კოსტიუმებია შენახული, სკივრში ასევე ზის მარინა კახიანის გმირი ალექსანდრა, რომელიც სკივრიდან ამოსვლისთანავე ცეკვავს. მარინა კახიანა ყოფილი ბალერინაა და იგი არაჩვეულებრივად ასრულებს ამ ნომერს. ყოველივე ეს სპექტაკლს კიდევ უფრო მხიარულსა და სევედიანს ხდის. მსახიობმა არაჩვეულებრივად მოირგო მოხუცი ბალერინას გმირი და ტოლი არ დაუდო უფროსი თაობის მსახიობებს.

ჩაივლის კონცერტი, შესანიშნავად იმღერებენ მსახიობები და დიდ შთაბეჭდილებას მოახდენენ მაყურებელზე. მართალია ფონოგრაფით, მაგრამ მაინც!!! დამთავრდა კონცერტი, გამბაზებს კი აღარ აქვთ მინანი, მათი ცხოვრება კვლავ უინტერესო გახდა. დაიწყო ისევ ერთფეროვნული ცხოვრება. სწორედ ამიტომ ამბობს ელისო „ხელიდან რა უნდა გვაკეთოთ“...

საოცარი დამოკიდებულებაა თეატრის ტექნიკური პერსონალის ამ სპექტაკლის მიმართ, ყველა ცდილობს რეპეტიციებზე შემოსვლას, ასეთი დიდი მსახიობების ერთ-თად ნახვას სცენაზე, სამკერვალოდან ერთ-თერძის მაგივრად ხუთინი ამოდინა ზომების ასაღებად, დამლაგებლები რიგრიგობით მოდიან დასალაგებლად, რადგან ყველამ



მოპკრას თვალი რეპეტიციების მიმდინარე პროცესს, სცენის მუშები ერთმანეთს ხუმრობით ეძახიან: „ნამოდი, ბებერი მეზურნეების რეპეტიციანზე მივდივარო.“ ასევე არიან გრიმიორები, ჩამცმელები, სცენის მემანქანეები, გამანათებლები, რადისტები და დაცვის ბიჭებიც კი. სწორედ ამიტომ იყო რომ ყველა რეპეტიცია გადაჭედილი პარტერის თანხლებით ტარდებოდა.

დადგა იენისიც, დაიწყო გენერალური რეპეტიციები, მხატვარ ანა ნინუას მიერ შეიკარა არაჩვეულებრივი კოსტუმები. დრამის მსახიობებს კონცერტის დღეს პიეროს კოსტუმები აცვიათ, „ოპერნიკები“ კი ფრაკებში და საღამოს კაბებში არიან გამოწყობილები.

რვა თვის დაუღალავი ძიების შემდეგ 9 იენისს გაიმართა საჩვენებელი სპექტაკლი, სადაც მოწვეული იყო თეატრალური საზოგადოება, ანუ მოენყო სპექტაკლის „გასინჯვა“. რალაც სიმბოლური იყო 9 იენისის ფაქტი. ესეც ხომ ნოსტალგიური, ძველი ტრადიციის გახსენებაა, როცა არც ერთ თეატრში ისე არ შედგებოდა პრემიერა, თუ წინა დღეებში წარმოდგენის საჯარო „გასინჯვა“ არ ჩატარდებოდა. საზოგადოებრივი და პროფესიული აზრის ვათვალისწინება ხომ ხელს უწყობს თეატრის შემოქმედებით წარმატებას. კარგი იქნება თუ ეს მივიწყებული ტრადიცია გაგრძელდება.


გაისმა მესამე ზარი. ეს იმის მაუწყებელია, რომ სპექტაკლი იწყება. ხმა აფრთხილებს მაყურებელს, რომ გამორთონ მობი-

ლური ტელეფონები. სინათლე ნელ-ნელა ქრება, სცენა ნათდება ძალიან მწირედ. აქა-იქ ძველი ავეჯი დგას, ყველაფერს თეთრი დიდი ნაჭრები აქვს გადაფარებული, რაც მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედება ხდება სახელმწიფოს კუთვნილ უსულგულო სივრცეში. ეს სივრცე კი სიცოცხეს ასხივებს. აქ მცხოვრები ადამიანები ვერ ეღიროსებიან ადამიანურ სითბოს, გარემო უცხოა მათთვის და ისინიც უცხონი არიან იქაურობისათვის. სცენის მარჯვენა კუთხეში მოკუნტული ადამიანი ნეწს დივანზე. ძნელი გასარჩევია, მართლა ადამიანია, თუ უბრალოდ უსარგებლო ტანსაცმლის გროვა. სცენის სიღრმეში ჯამბაზის კოსტუმში გამოწყობილი, სიბერისაგან დაუძლურებული პერსონა ჩნდება და აკანკალებული ფეხებით წინ, ავანსცენისაკენ მოიწეწს, თან ლოლას ეძებს. აი, უცვრად ფართულელის გროვა შეირხევა და პროფესულ ტკივილში ჩაძირული ადამიანი ვედრებით მიმართავს ჯამბაზს (კახი კვსაძეს), რომ თავი დაანებოს. ლოლას (ზაზა ლებანიძეს) ლაიტ-მოტივია თვით ამ გმირის სიტყვები: „მარტოობით დავტკბები“. მარტოსულია ლოლა, იგი გარიყა და ცხოვრების მიღმა დატოვა თეატრმა, არც შვილს სჭირდება. ის ზედმეტი ადამიანია. ამ მარტოსულობას ატარებს ზაზა ლებანიძის გმირი. მართალია მის პერსონაჟს იუმორის გრძნობაც გააჩნია და სხვებთან ერთადაც ერთობა, მაგრამ მიუხედავად ბედის უკუღმართობისა, მისი იუმორი მსუბუქია, არ არის შეურაცხყოფელი, სარკაზმში არას-

დროს გადადის. თუმცა ცნობილია, რომ ცხოვრებისაგან დანიხლული ადამიანები ხშირად სარკასტულები ხდებიან. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ზაზა ლებანიძის გმირისათვის მთავარი ტკივილი არა შვილის მიერ მისი უარყოფაა, არამედ ის, რომ სცენის მიღმა დატოვეს! რომ მოამორეს მისი სიცოცხლის მთავარ აზრს, სიცოცხლის წყაროს. ერთადერთი არსება, ვისკენაც მისი გესლია მიმართული, ეს რეჟისორია.

ზაზა ლებანიძის არც ერთი რეჟისორია, არც ერთი სიტყვა ძლიერი ქვეტექსტის გარეშე არ ჟღერს. იშვიათია მსახიობი, რომელიც ასეთი დიდ ოსტატობით ახერხებდეს სიტყვების მიღმა არსებულ განცდათა და ფიქრთა ასე ზედმიწევნით მაყურებელამდე მიტანას. ეს ქვეტექსტები უფრო ძლიერია, უფრო ხელშეშახები, თვალით და ყურით მძაფრად აღსაქმელი, ვიდრე ის, რასაც ზაზა ლებანიძის გმირი ხმამაღლა წარმოთქვამს.

მისი მონოლოგი, მისი სულის სიღრმე-დან წამოსული სცენისადმი მიმართული სიტყვები მაყურებლის გონებაში ისარივით ესრობა. აქ ზაზა ლებანიძე მაღალ ტრავიზმამდე ადის. მისი სიმღერაც ხომ მარტოსულოზის, უიმედობის, ზედმეტი ადამიანების ჰიმნია, რომელსაც ზაზა ლებანიძე (ლოლა) მთელ სამყაროს უგზავნის... მერე და რა ოსტატობით. მისი ხმა საზოგადოებამ მარო თარხნიშვილის ხმას შეადარა. პირველი სცენა მთლიანად ლოლასა და ქრისტეფორეს მონოლოგით ვითარდება. ქრისტეფორე, მოხუცი ჯამბაზი (კახი კავსაძე), ზოგჯერ მთლად უფილაგო, ზოგჯერ ათასი ახალგაზრდის ენერგიით და-მუხტულია, კეთილი იუმორის შარავანდედით გარემოცული, გადამდევი. კახი კავსაძე ქემ-მარიტი არტისტიკა ტერფოდან თხემამდე როგორ შუეძლია ამ მსახიობს ერთდროულად სანყალობელიც იყოს და ამაღლებულიც, სასაცილოც და საცოდავიც, ტრაგიკულიც და კომიკურიც და ეს ყველაფერი ერთ სახეში, ერთი პერსონაჟის ხასიათში. მოგესხენებათ სპექტაკლის წარმატება და რიტმის გრძნობა მეტწილად პირველ სცენაზეა დამოკიდებული. ამ მხრივ გამოცდა ამ ორმა დიდებულმა მსახიობმა წარმატებით ჩააბარა. ასევე წარმატებით დასრულდა მთელი წარმოდგენა. სპექტაკლმა თეატრალური საზოგადოების მონონება დაიმსახურა. სცენაზე იყო ქართული სამსახიობო ოსტატობის ზემიძ, მსახიობებმა უკანასკნელი ძალებიც კი მოიკრიბეს და სწორედ ამიტომ საღამომი მდენად სევდიანი იყო, რომ გედის სიმღერას მოგაგონებდა. სამსახიობოების განმავლობაში მაყურებელი და მსახიობები ერთი სუნთქვით სუნთქავდნენ. პარტნიორი იჯდა ყველა თაობის მაყურებელი, ისინი ერთნაირად განიცდიდნენ სცენაზე მიმდინარე ზემის, რომლის მონანილე თითოეულ



ლი მათვანი იყო. სწორედ იმ ზემის, რომლის ხილვასაც თეატრში კარგა ხანი მოკლებულია ქართული საზოგადოება. ყველა მსახიობს მაყურებელი ტაშით ხვდებოდა და ტაშით აცილებდა. უხაროდათ მონატრებული მსახიობების კიდევ ერთხელ ხილვა სცენაზე, მიუხედავად სპექტაკლის ხანგრძლივობისა, მაყურებელს ერთი წუთით არ უგრძნია დაღლა, რასაც ვერ ვიტყვით მსახიობებზე, მათი ასაკისათვის ცოტა ძნელი აღმოჩნდა ამხელა სპექტაკლის „გადაგორება“, მაგრამ სიძნელეს არ ეუბებოდნენ და ახალგაზრდული შემართებით თამაშობდნენ, რამაც კიდევ უფრო გააკვირვა მაყურებელი. არ შეიძლება არ აღვნიშნო მედია ჩახავის ესპანური, რომელსაც ნიუთელი მართათ ასრულებს. იგი ისე მაღლა წევს ფეხს ცეკვისას, რომ მისი გამეორება ახალგაზრდა მსახიობებს გაუჭირდებოდა. საერთოდ ეს იმ რანგის მსახიობია, როგორებიც დღეს თითქმის აღარ მოღვაწეობენ ქართულ თეატრში.

პირველი მოქმედება მთავრდება ქორეოგრაფ კოტე ფურცელაძის მიერ დადგმული ტანგოთი, რომელსაც „ჯამბაზები“ ლუი ამსტრონგის მუსიკის ფონზე ასრულებენ, მსახიობები წყვილებად არიან დაყოფილები და ერთმანეთის მონაცვლეობით ცეკვავენ. ასევე კახი კავსაძე და მარინა კახიანი მონოლოგების დამთავრების შემდეგ შუუღარებლად ცეკვავენ. საერთო ჯამში სპექტაკლი იმ ფულკანს გავს, რომელიც ბოლო ამოფრქვევამდე ახალ-ახალი შარავანდედით გვაოცებს და გასურს, რომ ეს შარავანდედი არასოდეს არ დასრულდეს, რადგან იმდენად დიდია მისგან მიღებული სიამოვნება, რომ განშორება გიჭირს. საოცარი იყო მოხუცი ჯამბაზების რეპეტციების თითოეული წამი. მსახიობები რეჟისორთან ზოგჯერ ძალიან ცხარე პოლემიკაში ერთვებოდნენ. არწმუნებდნენ თავიანთი სიმართლემი. იყო რეპეტციებიდან გაქცევებიც, ხმამაღალი საუბარიც, კამათიც. ყოველივე ამის გარეშე ხომ კარგი სპექტაკლი ვერ დაიდგმება... მითუმეტეს, რომ სცენაზე ერთდროულად ამდენი გენიოსი იჯდა.



ნოზი ქანიშვილი

„სოჩუმი“ ღოჯაიზასიის სახითსისათვის

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია საკუთარი მეობის შენარჩუნების, მისი გადარჩენისათვის ბრძოლა-საქმიანობის ისტორიაა. ამგვარ ბრძოლაში დაკრისტალდა ქართული სულის საუკეთესო თვისებების მატარებელი მისივე ეროვნული კულტურა, რომლის მრავალფეროვან სპექტრშიც ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს. ქართველი ხალხის მიერ შექმნილ სწორუბოვარ საცეკვაო ნიმუშებს შორის „ხორუმი“ მართლაც რომ გამორჩეულ ადგილზე დგას. ეს არის ბრძო-

ლის, მომხდური მტრისადმი შეურიგებლობის ფინით აღსავსე ცეკვა — „სიმფონია საქართველოს სიფხიზლის“. გამოჩენილი პოეტის, მურმან ლებანიძის ეს სიტყვები ყველაზე უსუსტად მიესადაგება „ხორუმის“ არსსა და სულისკვეთებას.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია: ქართული ქორეოგრაფიული ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებმა ჩვენამდე, უმეტეს შემთხვევაში, პირდაპირ წარმართული ხანიდან მოაღწია. ქრისტიანული ეპოქის სუსხმა, მის ხასიათში გარკვეული კორექტივები კი შეიტანა, მაგრამ მთლიანად ცეკვის არსის შეცვლა-გარდაქმნა ვერ მოახერხა. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ეკლესიის მახვილ მზერას გარიდებული საცეკვაო ხელოვნება ხალხში ვითარდებოდა. აქ იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ტრადიციაში მკვიდრდებოდა და ფოლკლორის არსებობის, მისი განვითარებისათვის დამახასიათებელი შინაგანი კანონებით შემოინახებოდა. სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ საცეკვაო ფოლკლორი უშუალო კავშირ-მიმართებაში იმყოფება ქვეყნის ისტორიულ წარსულთან, ხალხის მიერ გადატანილ მოვლენებთან, ცხოვრების ყოველდღიურ მდინარებასთან.

დადასტურებულია, რომ „ხორუმი“ ფესვები ისტორიულად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველეს გავრთიანებაშია გადავსული და შემდგომ აღმოცენებულ-განვითარებული. ისტორიული დიაოხი

/ჭაობი, ტაო, და კოლხა/ კოლხეთი/ იყო ის პირველი ე. წ. ადრეკლასობრივი /განუვითარებული კლასობრივი/ საზოგადოებრივი გაერთიანებები, სადაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ სახელმწიფოებრიობას.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ამ ორი დიდი გაერთიანების ჩამოყალიბებას, ბუნებრივია, წინ ურთულესი პერიპეტეებით აღსავსე მოვლენები უძღოდა. მათ შესახებ ჩვენი წარმოდგენა, ბუნებრივია, არც მთლად ნათელი და გამოკვეთილია, თუმცა ძვ. წ. XIII-VIII ს-ის ასურული და ურარტული ლურსმნული წარწერებიდან უკვე გარკვეული ისტორიული ცნობები აღწევს დიაოხისა და კოლხას შესახებ. წარწერები ამაკარავენ, რომ ასურელებს უმძიმესი ბრძოლების გადატანა უხდებოდა ხეთების სამეფოზე გამარჯვების შემდეგ ხალხებთან — მუშქებთან და ქაშქებთან.

ანტიკური ეპოქის ისტორიული ანალები კი მუშქებს იგივე მოსხი, მესხი უცილობლად მიიჩნევს ქართულ ტომებად.

ასურელებს ბრძოლა უხდებოდათ აგრეთვე ე.წ. „ნაირის ქვეყნების“ ხალხებთან, რომელიც დასავლეთ ევფრატის რაიონში მდ. ყარა-სუსა მურად სუს ორმდინარეთში მდებარეობდა, როგორც სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულთა კავშირი. მათ შორის ყველაზე ძლიერი და გამორჩეული ყოფილა „დიაოხი“, ასურულად „დაიაჰნი“. ურარტულ წარწერებში იგი „დაიხურის“ სახელთანაა მოხსენიებული. ანტიკური ეპოქის დიდ ისტორიკოსთან ქსენოფონთან დასთან უკვე „ტაობი“ გვხვდება და სწორედ ამ სახელით შემორჩა ჩვენამდე ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი ოლქი „ტაო“. ახლა იმაზე საუბარი თუ სადამდე უწევდა და რომელ ტომთა გაერთიანებას წარმოადგენდა „დიაოხი“, ბუნებრივია, საკმაოდ რთულია, მაგრამ ფაქტი ერთია — იგი ძირითადად ქართველური ორიენტაციის ტომების კავშირს წარმოადგენდა.

უდიდეს სახელმწიფოებთან და შედარებით მცირე პოლიტიკურ გაერთიანებებთან ბრძოლაში „დიაოხი“ თანდათან დასუსტდა და დაიშალა. ამ საქმეში მას ხელი შეუწყო მეორე, ასევე ქართულმა გაერთიანებამ „კოლხამ“, რომელიც, ასურული წარწერის მიხედვით, „ზემო ზღვის“ ან კიდევ „დიდი ზღვის“ რაიონში ჩამოყალიბდა შედარებით გვიან და მძლავრ პოლიტიკურ გაერთიანებადაც იქცა. ძვ.წ. XI-IX ს-ისათვის „კოლხამ“ საკუთარი საზღვრები გააფართოვა სამხრეთ-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიაზე. ცხადია, სამხედრო-პოლიტიკური ერთიანობა კულტურულ ერ-

თიანობასაც გულისხმობდა და სწორედ ამგვარი შეკავშირების შედეგი იყო ძღვევამოსილი კოლხეთის სახელმწიფოს აღმოცენება. ესაა სწორედ ის სახელგანთქმული „კოლხური კულტურა“, რომელმაც მთელს მსოფლიოში გავითქვა სახელი. „არგონავტებზე“ ძველბერძნულ თქმულებაში, რომელშიც ბერძენი გმირების კოლხეთში მგზავრობაზეა ლაპარაკი, აისახა დიდება და ძლიერება სწორედ ამ ძველი კოლხური სამეფოსი“. ეჭვგარეშეა, რომ კოლხურ კულტურაში უთუოდ არსებობს მისი მონათესავე წინარე კულტურის — დიაოხის შემადგენელი ხალხების კულტურული მემკვიდრეობის პლასტი, რომელმაც ახალ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში ალბათ ახლებური ელფერი შეიძინა.

სახელწოდება „კოლხეთმა“ კოლხიდა ბერძნულ სამყაროში, მეცნიერთა სამართლიანი შენიშვნით, ადრევე მოიპოვა ზოგადი, კრებითი მნიშვნელობა და ძალიან ხშირად აღნიშნავდა შავი ზღვისპირა ქვეყანას, კავკასიონის ქედებიდან მოკიდებული ვიდრე დღევანდელი ტრაპეზუნტის რაიონებამდე.

მკვლევარებს არც ის ფაქტი გამოპარეიათ, რომ ანტიკური ეპოქის სხვა ავტორები „კოლხეთს“ უფრო ვიწრო პოლიტიკური თუ ეთნიკური ერთეულის სინონიმადაც ხმარობენ. ასეთთა შორის თვით ჰეროდოტეცაა, თავისი ჩანაწერების იმ ნაწილში, სადაც იგი კოლხებისა და აქემენიდების ურთიერთობაზე საუბრობს. აქემენიდებმა, როგორც ცნობილია, საკუთარი სამფლობელოები გარკვეულ ადმინისტრაციულ ერთეულებად — სატრაპიებად დაჰყვეს. ერთ-ერთ მათგანში, ანუ მე-19 სატრაპიაში შედიოდა ისტორიული კოლხეთის სამხრეთი ფრთა, რომელსაც, ჰეროდოტეს მიხედვით, შეადგენდნენ ტიბარენები, მოსიონკები, მაკრონები, მოხსები და მარები. თვითონ კოლხები აქ ცალკე დგანან. მათ, ჰეროდოტეს მიხედვით, ნებაყოფლობითი ხარკი — ძღვენი უეისრიათ. ასევე მოქცეულან მათი ზემო მეზობლები მთლიანად ვიდრე კავკასიონის ქედამდე. ისტორიული კოლხეთის შესახებ სხვადასხვა ცნობები მოიპოვება ცალკეულ ავტორებთან. ასევე განსხვავებულია ცალკეული ეპოქების მიხედვით კოლხებისა და მათი მეზობელი ქვეყნების ლოკალიზაციის შესახებ მკვლევართა შეხედულებებიც. მიუხედავად ამისა, ეჭვგარეშე არააოდეს მდგარა მათი ეთნიკური ერთიანობის, ნთესაობის, ენობრივი და, საერთოდ, კულტურული სიახლოვის საკითხები. ამის დასტურია, თუნდაც, ურარტუს ძღვევამოსილი მეფის არგშით I-ის მატანის ის ლურსმნული ტექსტი, რომელიც ვანში სურბ

საპაკის ეკლესიაში ჩატანებულ სტელაზეა ამოკვეთილი. ამ წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ ურარტუელების შემოსევას დიაოხის ხალხებთან ერთად იგერიებდნენ მათი თანამოაზრენი: ლოსა ლაზი, ვიტრუხი ოძრახენი, ქათარზა კლარჯნი, აქვეა იგანიების შენიობები ტომის ხალხიც. საერთოდ ურარტული წარწერები აღნიშნულ რეგიონში აფიქსირებს სხვა ტომების არსებობასაც. ასეთია მაგალითად „ზაბაზა“, „ერიახი“. პირველი მათგანი სუციალისტთა ვარაუდით ჯავახთა ტომს უნდა აღნიშნავდეს, რაც შეეხება „ერიახებს“, იგი ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით შერთა ტომის საერთო სახელწოდება უნდა იყოს. საგულისხმოა, რომ ურარტუელებმა თავიანთი გამანადგურებელი ლაშქრობების დროს ვერ უწიეს კოლხეთის სამეფოს იმ ნაწილებამდე, რომლებიც უშუალოდ ზღვას ეკვროდა. სწორედ ამ რეგიონში, დიდი მდინარე — ჭოროხის ქვემოწელზე ვარაუდობენ მეცნიერები ძველი კოხეთის სამეფოს ცენტრს. სწორედ „აქ, ჭოროხის აუზში, არის საძებნი გვიანბრინჯაოს განთქმული კოლხური კულტურის სამშობლო, მისი უმთავრესი სამრწველო რაიონი. ძველი კოლხური სამეფო, უეჭველია, ამ კულტურის შემოქმედი მოსახლეობის გაერთიანება იყო.

როგორც გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის მატარებელი, ისე ძველი კოლხური სამეფოს მოსახლეობა უმთავრესად ქართველური ტომებისაგან შედგებოდა. ამ დროს ქართებსა და მეგრულ-ჭანებს შორის ენობრივი განსხვავება ჯერ თითქმის არ იყო. მხოლოდ სვანური რამდენიმე უკვე დაშორებული იყო საერთო ქართველურს. თუმცა „კოლხური კულტურა“ და ძველი კოლხეთის სამეფო, რომელიც XI-VIII სს. არსებობდა, ქართველი ტომების უძველეს სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა“.

შავი ზღვის სამხრეთ ალმოსავლეთით მოსახლე ტომების ნათესაური ერთობა და მათი ზოგადქართული ორიენტაცია და კულტურული ერთიანობა კიდევ უფრო მტკიცდება მომდევნო საუკუნეებშიც. ამის დასადასტურებლად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ადრეანტიკურ ხანაში და უფრო ადრეც, კიმერიელთა გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ რასაც კოლხისა და მცირე აზიის მესხური გაერთიანებების განადგურება მოჰყვა, ჩვენი ქვეყნის სამხრეთ და ალმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ნაწილში მრავალი სხვადასხვა ტომთა შორის ჰეგემონურ პოზიციაზე მაინც მესხური გაერთიანებები დგას. მათი გამოვლენა თანდათანობით ვრ-

ცლდება კოლხეთიდან ალმოსავლეთით და მესხეთიდან რჩდილო-ალმოსავლეთის მიმართულებით.

ეს პროცესი, როგორც ჩანს მსხვილი ალმოსავლურქართული გაერთიანების შექმნით დასრულდებოდა, რომ არა აქემენიდების სახელმწიფოს გაძლიერება და მეთვს ამიერკავკასიაში მისი ძალაუფლების გავრცელება.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ორიენტაცია და კულტურული ერთიანობა კარგად გამოჩნდა პონტოს ძლიერი სახელმწიფოს ზეობის ხანაში.

ქართველმა მეკლევარებმა დამაჯერებლად აჩვენეს, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ბერძენთა გამოკლებით ქართული წარმოშობისაა და ამიტომაც ძალიან მჭიდრო კავშირი აქვს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ იმდროინდელ მოსახლეობასთან. პონტოს სამეფოს მოსახლეობის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართველური ტომების მესხები, ტაბალ-ტიბარენების იბერიები ხალხების, ხალიბების, კოლხების, მოსინიკებისა და სხვათა წარმომადგენლები.

ანტიკური ეპოქის ავტორები პლინიუს სეკუნდუსი, ორაზიუსი, პლუტარქე, აპიანე, ლუკიანე და სხვები დაწვრილებით აღწერენ პონტოს სამეფოს პოლიტიკურ თუ კულტურულ მდგომარეობას.

ეს უკანასკნელი ხომ ყველაზე უკეთ მიუთითებს ხალხთა ერთიანობის, მათი ყოფის, ცხოვრების წესის, წარსულისა თუ დღევანდლობის თვისობრივ ხასიათზე. პონტოს სამეფოს ყველა კუთხეში ფართოდ ყოფილა გავრცელებული სანახაობითი ხელოვნების ხელკულები დარგები, ყვაოდა არქიტექტურის ხელოვნება, მნივნობრობა, ქანდაკება. ლუკიანეს ცნობით, პონტოს სამეფოს ქალაქებში თითქმის ყველგან მოქმედებდა თეატრი, სადაც იმართებოდა ვაკური ცეკვები. ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობდნენ ქალაქის წარჩინებული ადამიანები, რომლებიც თურმე ამყობდნენ ამით და თავის გამოჩენაც ღირსების საქმედ მიაჩნდათ.

ანტიკური ეპოქის ავტორებს, როდესაც ისინი ქართველი ტომების შესახებისტორიულ ცნობებს გვანოდებდნენ, არასოდეს ავისწყუბათ ხაზი გაუსვან მათ ყოფა-ცხოვრების კულტურულ ასპექტებს, ამ თვალსაზრისით ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა საცეკვაო ხელოვნების შესახებ მათ მიერ მონოდებული ცალკეული ცნობები, და დასკვნები. შემთხვევითი არაა, რომ ანტიკურ

ავტორებს ყველაზე მეტი ცნობები აღნიშნული კუთხით, სწორედ საბრძოლო შინაარსის შიშინე ცეკვებზე აქვთ შემონახული. სხვადასხვა ხალხები ხომ იმ უძველეს დროში, უპირველეს ყოვლისა, საბრძოლო, საომარ ასპარეზზე ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ამ თვალსაზრისით უარესად საინტერესოა ის ცნობები, რომელსაც გვანვდიან ქსენოფონტე, ლუკიანე, პროკოპი კესარიელი და სხვები.

ბუნებრივია გაჩნდება კითხვა — ტიპიკურების, მაკრონების, მოსხების, მოსინიკების, ქანების თუ სხვა ქართულ-კოლხური ტომების იმ საომარი ცეკვებიდან, რომლის შესახებაც უძველესი ავტორები საუბრობენ, მოაღწია კი ჩვენამდე რაიმემ? თუ ყველაფერი ის, რაც დღემდე მოვიდა გვიანდელი ყოფის ანარეკლია? ნერილის დასაწყისში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართული საცეკვაო ფოლკლორის ყველა ძირითადი პლასტი, რომელიც სიძველეთაა დალდასმული, სწორედ ქრისტიანობამდელი, წარმართული ეპოქის რელიგიურ სახაზავს და მას ეხმარება. ცნობილ მიზეზთა გამო ქრისტიანულმა ეპოქამ ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშები თავისი სერიოზული კორექტივები ვერ შეიტანა. აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვთქვათ ერთგვარი ჰიპოთეზური აზრი, რომ ქორეოგრაფიული ხელოვნების ისეთი შედეგრი, როგორიცაა „ხორუმი“, მისი ვარიანტებით, სწორედ იმ საბრძოლო ცეკვების გამოძახილს, მის დაკრისტილებულ სახესხვაობას უნდა წარმოადგენდეს, რომელთა შესახებაც ანტიკური ეპოქის ზემოაღნიშნული ავტორები წერენ. დადასტურებულია, რომ საბრძოლო ცეკვის ეს ნაირსახეობა, უძველეს, ზოგადქართულ, უფრო კონკრეტულად კი კოლხური კულტურის საკუთრება-ფენომენს წარმოადგენდა. მის გარეთ იგი ახალი ეპოქის დადგომამდე არ დასტურდება.

საბრძოლო ხასიათის ცეკვა და მასთან დაკავშირებული რიტუალური ფრიად გავრცელებული ყოფილა უძველესი ქართული ტომების ყოველდღიურ ყოფაში. თავის „ანაბასისში“ ქსენოფონტეს არ დაფიქვებია ამგვარი დეტალის აღნიშვნა: მოსინიკები „ცეკვას იწყებდნენ სადაც არ უნდა ყოფილიყო, თითქოს სხვებისთვის უნდოდათ ეჩვენებინათ თავიანთი ხელოვნება“. მისი აზრით მაგიური როკვა დაკავშირებული იყო ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებასთან და იგი რაღაც სიმღერის ხმაზე სრულდებოდა. სწორედ ამ ცნობებზე დაყრდნობით შენიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, რომ როგორც ჩანს „წარმართ-

თობის ხანაში, IV ს. ძვ. წ. ქართველურ ტომთა შორის საერთო მუსიკა, მაგ: სამხედრო და საცეკვაო სიმღერები, ძალიან გავრცელებული ყოფილა. ქანების ტომები ომსაც კი, თურმე, საომარი სიმღერა-ცეკვით იწყებდნენ. უეჭველია, საერთო მუსიკა ასევე დანარჩენ ქართველ ტომებსაც უნდა ჰქონოდათ და ჰქონიათ კიდევაც. ეს ცხადად მტკიცდება თუნდაც დღევანდელამდე დაცული არაერთი წარმართული ხალხური სიმღერით, რომელთა შანგევიცა და სიტყვებიც უხსოვარი დროის ანარეკლს შეიცავს“.

დაუკლებელი ფიქრი ცეკვა „ხორუმს“. უძველესი ისტორიკოსების ცნობა იმის თაობაზე, რომ ძველი მესხური ტომების წარმომადგენლები მტერზე გამარჯვების აღსანიშნავად რაღაც რიტუალურ როკვა-სიმღერას აწყობდნენ, უშუალო ასახვას პოულობს ხორუმის ერთ-ერთ სახეობაში, ენ. „გადახვეულ ხორუმში“. დღეისათვის მთლად ნათელი არ არის თვითონ ცნება გადახვეულის წარმომავლობის საკითხი.

ერთის შეხედვით „გადახვეული ხორუმი“ ხელ-გადაჭდობით, ხელ-გადახვევით ცეკვას უნდა ნიშნავდეს, თუმცა სპეცილისტთა შორის არის სხვა თვალსაზრისიც, კერძოდ ცნობილი ქორეოგრაფი ენე. ხაბაძე თვლის, რომ „გადახვეული“ ამ შემთხვევაში საერთო წესიდან გადახვევად უნდა გავიგოთ.

სტრუქტურული თვალსაზრისით „გადახვეული ხორუმი“ ცეკვა „ხორუმის“ დასკვნით ნაწილს წარმოადგენს. მოცეკვავენი ისეთ ილეთებს ასრულებენ თითქოს ფეხით ეხებიან და ერთმანეთსაკენ ავლოვებენ მტრის მოჭრილ თავებს. აღნიშნული საფერხულო მოძრაობების ანალიზისას ავთ. თათარაძემ ყურადღება მიაქცია იმ ანალოგიას, რომელიც საკმაოდ თვალნათლივ იკითხება ცეკვის დღევანდელ ნახაზსა და ბერძენი ისტორიკოსის, ქსენოფონტეს ერთ ცნობას შორის. ბერძნულმა მოსინიკებმაო, წერს ქსენოფონტე, მტრის მოკლულ მეომრებს თავები დასჭერეს და თავიანთი მტრების, აგრეთვე ბერძნების დასახაზავად გორად აღმართეს. ამ დროს კი ისინი თან ცეკვავდნენ და მღეროდნენ კიდევ რაღაც თავისებურ ჰანგზეო. ავთ. თათარაძე ფიქრობს, რომ ბერძენი ისტორიკოსის მიერ აღწერილი მოსინიკების ეს ჩვეულება შესაძლებელია „გადახვეული ხორუმის“ აღმოცენების საფუძველი იყოს. აქ არ შეიძლება — ლეგენდა, რომელიც დადასტურებულია ჯ. ნოლაიფელის რედაქციით გამოსულ „აჭარის ხალხურ სიტყვიერებაში“. აჭარული მთხრო-

ბელის, ა. ქათამაძის გადმოცემით, ცეკვა „ხორონს“ ასეთი ამბავი უდევს საფუძვლად: „იყო ვორი ძმაი: ხასიეი და ხუსიეი. მტრის შესოსევის დროს, ხუსიამ უღალატა ამფხანაკებს და მიემხრო მტერს. მერმე შემოესია მტრის ჯარით. ჯარი დახორცეს და ხუსიეი ცოცხლად ჩაიგდეს ხელში. ჯერეო აწვალეს და მერმე თავი წასჭრეს. აი, თავი მეითრიეს ფეხებში, დეინწეს სამა და აგორეს. ერთქენებს თავს ფეხებში უგორებდნენ და თან „ჰოპ-ჰოპ“-ს იძახოდნენ. მარა მტრის ფიშმანშიც მაინც ქე იყვენ. ამიხა სამაც ბოლოს ძალიან ჩქარამიდის, რომ მტერმა არ შამუუსნროს. თავი ახალ-ნაჭრილი რომაა, ჯერ კიდევ ცოცხალსავით იმზირება. შეიყრის ჯარი თავს და სიცილით, სიხარულით უყურებენ ნაჭრელ თავს. მივა, ჯერ ერთი წამოხრავს ფეხს, მერმე მეორე და ყველაი ურტყამს ამ თავს. ჯარი ნაბმულია ერთქენებზე. ჯარს ერთი მიუძღვება ნინ. შამუურვარებენ სამხელ, მერმე ყველაი მიესყარა ჩუუჩოქებენ და ისე აგორებენ ამ თავს. სამა სწარმოებს ფეხშემორტყმული, ხალხი იქით მიდის, ხან აქეთ. მერმე ვოთხი — ხუთი კაცი ავა სხვა კაცების ფხრებზე და ისე სამობენ. ვითომ მტრებს აგონებენ, რომ ხუსიეს თავი ფეხებქვეშაა და თუ შეგიძლიან ნიღეთო. აი სამა ხტება დაბნელებამდე, და ბოლოს დიდი ყვირილით, თავს რომ სულ დაბეჯევენ, დეიშლებიან“. ფიქრობთ, აღნიშნულ მონათხრობში არა მარტო შინაარსობრივ-საბრძოლო ულასტი იკითხება გამჭვირვალედ, არამედ საკმაო სისრულით წარმოჩინდება თვით ცეკვა „ხორუმის“ ქორეოგრაფიული ნახაზიც.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თავისი წარმოშობით ცეკვა „ხორუმი“ საბრძოლო შინაარსის მქონე ცეკვაა, რომელიც პირდაპირ კავშირშია უძველესი ქართული ტომების მიერ შექმნილ სანახაობით კულტურასთან.

აქვე უნდა შევნიშოთ, რომ არ არის გამორიცხული ცეკვა „ხორუმის“ შინაარსობრივი სტრუქტურის სხვაგვარად წაკითხვა და შესაბამისად წარმოშობის საკითხის განსხვავებული ინტერპრეტაციაც.

კერძოდ, თეორიულად დასაშვებია, რომ „ხორუმის“ გადახვეული ნაწილის ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყარო შრომითი პროცესის ასახვის მცდელობა იყოს. ამ მხრივ იგი უახლოვდება სანახელში ყურძნის დასანეხად ჩამდგარი მამაკაცების მოძრაობას, ლაზ მეთევზეთა ცეკვის ელემენტებს და მეთუნეების მიერ თიხის მოზღვლის სვენას. ჩვენს მიერ აქ გამოთქმულ თეორიულ ვარაუდს საფუძველს უმაგრებს ეთნოგრაფთა მიერ გურიაში,

აჭარის მთიანეთში, შავშეთსა და კლარჯეთში მოპოვებული მასალების ანალიზი. მოუხედავად ამისა, მოცემულ ეტაპზე მეტის თქმა ძნელია. ამდენად ჩვენი ვერსია მხოლოდ პიპოტიზაა და მას დამატებითი გამოკვლევა, დადასტურება ესაჭიროება. გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტი, რომ ქართულ მკვლევართა შორის ხორუმის საბრძოლო შინაარსის შესახებ ერთიანი, გაზიარებული აზრი არსებობს. ამ საერთო პოზიციიდან ოდნავ განსხვავებულ, შეიძლება ითქვას წინააღმდეგობა აზრს გამოთქვამს ლილი გვარამაძე. მისი აზრით „დინამიკით აღსავსე, უსიტყვოდ მეტყველი აჭარულ-გურული ცეკვა „ხორუმი“, რომელიც ჩვენს დროს ხარულდება, ძველი დროის ნაშთია, „ხორუმი“ ანუ „ხორონი“ მეომართა ცეკვაა“. აღნიშნულის გარდა, მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ „ხორუმის“ წინამორბედად მონადირეთა ცეკვა უნდა მივიჩნიოთ. ძნელია მხოლოდ იმის გარკვევა, თუ რომელი სახეობის ცეკვას მიეკუთვნება იგი — მიმიკურს თუ ტანვარჯიშულს, რადგან მასში გაერთიანებულია ორივეს ელემენტები“. ლ. გვარამაძე „ხორუმში“ ცეკვის ტანვარჯიშული და რიტუალური ნიშნების შერწყმას ხედავს და ფიქრობს, რომ ტანვარჯიშულობის თვალსაზრისით აქ „თულოს წრის“ ელემენტები იკითხება, რომელშიც ჩანს უსიტუალური ნიშნები. მისი აზრით, „შესაძლებელია, რომ ძალიან ძველ დროში „ხორუმსაც“ უქონდა რიტუალური ნიშნები. მეომრები ლაშქრობის ნინ ცეკვაში ასრულებდნენ რიტუალურ ლოცვას, რათა მათ გაემარჯვათ მტერზე“.

თეორიული დაშვების დონეზე გარკვეული პარალელობა მოძიება მონადირულ და სამხედრო ცეკვებს შორის, ცხადია, შესაძლებელია, მაგრამ თვითონ „ხორუმის“ სტრუქტურა და შინაარსი უფრო შორს მიმავალი დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა. ამდენად „ხორუმი“ მაინც საფერხლო წყობის მქონე უძველესი, ამასთან საბრძოლო შინაარსის მქონე ცეკვაა.

აღნიშნულთან დაკავშირებით უთუოდ უნდა გავიხსენოთ ერთი საგულისხმო მომენტი. კერძოდ, გურიაში „ხორუმის“ სახელწოდებით დადასტურებულია ლექსით დაობა, შეჯიბრი შაირში.

ი. მეუნარგიას ცნობით „დათა გურიელის სახლში ჩვეულებად იყო, როცა აზნაურისმედილები მოიყრიდნენ თავს, დაიწყებდნენ „ხორუმის“ თამაშს და სიმღერას. ისინი გაიყოფოდნენ ორ დასად და დაიწყებდნენ ერთმანეთის დაობას ლექსით. ექსპრომტად სხვაზე უფრო შესანიშნავი მოლექსენი იყვნენ

მათ შორის ტრიფონა გიგინიშვილი და ბიკო-ლია ქყონია, რომლებიც არჩევან-არადღივით იყოფდნენ მთელ კრებას და შემდეგ შეუტყუ-ვდნენ ერთმანეთს მოსწრებული სიტყვების ცეცხლით". როგორც ჩანს, სახელწოდება „ხო-რუმი“ ამგვარ თამაშს მაინც იმის გამო შეერ-ქვა, რომ ადგილი აქვს შერკინებას, ლექსით გაბროძობებას. ამგვარ ვარაუდს მხარს უჭერ-და ავთ. თათარაძე. ამასთან არც იმ ვარაუდის გამოიცილება შეიძლება, რომ სახელწოდების წარმოშობაში გარკვეული როლის თამაში თვით მონანილეობის პრინციპისაც შეეძლო. იგი ხომ გუნდურ პრინციპზეა აგებული, ანუ მასში „ხორო“ მონაწილეობს.

ლექსითა და ცეკვით ერთდროულად გაფი-ბრების ჩვევა მართო გურული ფოლკლორის მონაპოვარი არაა და იგი სხვაგანაც დასტურ-დება. ამის მაგალითია საქართველოს სხვადა სხვა კუთხეში დაფიქსირებული საფერხლო სვლები და თეატრალიზებული სანახაობანი. ლაზეთში მოგზაურობისას, ნ. მარს თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „შე-მონახულია გუგუფური ცეკვების საექსპრომ-ტო ლექსები, რომელსაც ძირეული ქანური ტერმინით ეწოდება ობირუ, ხოლო ნასესხ-ებით ოტრ..... საზოგადოება ორ გჯუფად იყოფა, თითოეულ გჯუფში ხუთი და ხუთზე მეტიცაა. გჯუფები ერთმეორის პირისპირ დგანან და ერთიმეორისკენ ცეკვით მიიწევენ. თითოეული მხარე ექსპრომტის საუკეთესოდ მოქმედის საშუალებით ლექსით დასცინის მოპირდაპირეს. ვაჟებთან ერთად ქალები ფერხულ ვერ აბამენ. სოფლის ქალები ამგ-ვარადვე აწყობენ საცეკვო სიძღვრებს. მუსიკოსებს მათთან მოთამაშე ქალებთან არ მიესვლება, მაგრამ ისინი ყურს უგდებენ ქალთა შიარებს, იზეპირებენ მათ ლექსებს, რადგან ქანურზე საუკეთესო ლექსის მოქმედება ქალები ითვლებიან“. ნ. მარმა გარკვეული ყურადღება მიაპყრო თვით ზო-გიერთ სახელოვნებო ტერმინთა ლოკალ-იზაციის საკითხსაც. მისი აზრით ქანურში ფიქსირებული „ოტრალუს“ ფუძე, ალბათ, ბერძნულ „ტრაგოდი“-დან — სიმღერა, უნდა მომდინარეობდეს. ასევე, თითქოს ბერძნულიდან უნდა იყოს ნასესხები ქანური ზმნა ოხორანუ, რომელიც ცეკვას აღნიშნავს. აქ ნ. მარი ბერძნული ხორო-ს პირდაპირ ანა-ლოგიას ხედავს. მსგავსება მართლაც დიდია, მაგრამ თუ საერთო ქართულ სინამდვილეს გავითვალისწინებთ ეს საკითხი უფრო მეტი სისავსით შესწავლას მოითხოვს. გარკვეული მინიშნება ამ მიმართებით გააკეთეს ქართ-ველმა მკვლევარებმა ს. ჯანაშიამ, ა. იმნაიშ-ვილმა, ჯ. ნოლაიდელმა, გრ. ჩხიკვაძემ. კერ-

ძოდ, მათ ყურადღება მიაქცევს იმ გარემოე-ბას, რომ ქანურ-მეგრული „ოხარი“, როგორც ქართული „სახლის“ შესატყვისი და აქედან გარკვეული საზოგადოებრივი ერთობის მი-მანიშნებელი ტერმინია. სეანური „ლალახარ“ — საკრებულოს აღნიშნავს, ხოლო

დიდი ოჯახის ტრადიციით დადგენილ დღესასწაულს ანუ „სულთა საკრებულოს“ — „ხორგა“. სამეგრელოში დასტურდება, როგორც ტოპონიმი, „ხარგუა“. ამასთან საქართველოს უამრავი კუთხის დიალექტში „დახორგოლი“, „ხორაგი“, „ხორანი“, „ხორვა“, და საერთოდ „ხარ“ ფუძის სხვა მრავალი სი-ტყვა, მიანიშნებს სიმრავლეზე, კრებულზე, გჯუფზე, მასობრიობაზე და ა.შ. ეს ყვე-ლაფერი კი იმაზე მეტყველებს, რომ ქართ-ველურ ენებში „ხარ“ ფუძის მქონე სიტყვათ-ნარმოება უძველესი ტრადიციის მქონეა და აქ ბერძნული უთუო გავლენის კვალი შეი-ძლება ყოველთვის დამაჯერებლად არ გამ-ოიყურებოდეს.

ამრიგად, აღნიშნულიდან გამომდინ-არე, ვფიქრობთ, დაკვირვებულ შესწავლას საჭიროებს თვით ცეკვის სახელწოდება „ხორუმის“ წარმოშობის საკითხიც. არ არის აუცილებელი, რომ იგი უთუოდ ბერძნუ-ლიდან მომდინარეობდეს. შეიძლება ეს ტერმინი იმ ეპოქიდან იყოს შემორჩენილი, როდესაც ერთიანი ზოგადქართული ფუძე — ენა ჯერ კიდევ დაშლილი არ იყო, ხოლო ამგვარი დიფერენციაციის მერე სხვადასხვა დიალექტში იგი ან მისი საფუძველი სწორედ ფუძე — ენიდან გაიყოლია და შემოინახა.

ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით ხორუმი შემორჩენილია თავისი რამდენიმე ვარიანტით, რომელთა შორის უმთავრესია:

- აჭარული ხორუმი
- გურული ხორუმი
- ლაზური ხორუმი

გარკვეული ლიტერატურული წყაროე-ბითა და ზეპირი გადმოცემით ხორუმი დას-ტურდება სამეგრელოსა და იმერეთშიც. არის თუ არა მათში საერთო და განმასხვავებელი ნიშნები?

ცხადია არის. საერთო ბუნებრივია ბევრად მეტია. მათი ანალიზის საფუძველზე ქართ-ველმა ქორეოგრაფებმა დაადგინეს ცეკვა „ხორუმის“ ძირითადი კონსტრუქცია. იგი ასეთი სახით გამოიყურება:

- „ხორუმი“ ოთხნაწილიანია: 1. მეომართა დასაბანაკებელი ადგილის ძებნა; 2. მტრის ბანაკის დაზვერვა; 3. იერიში, ბრძოლა; 4. გამარჯვება და ზეიმი.

თანამედროვე სასცენო შესრულების ტრადიციით ცეკვა „ხორუმს“ მხოლოდ მა-

მაკაცებო ასრულებენ. მათი რაოდენობა როგორც წესი კენჭია. „ხორუმს“ ჰყავს თავისი ხელმძღვანელი ე.წ. „ხორუმის“ თავი, ანუ „თავმოსამე“. ცეკვის დროს აუცილებელია ჩამკეტიც. ხშირ შემთხვევაში თავმოსამე ხელში ბალდადით მართავს პროცესს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცეკვავენი ილიეთიდან ილიეთზე მხოლოდ ბალდადის აქნევის შემდეგ გადადიან. ამ როლს, უფრო ზუსტად თავმოსამის როლს ზოგჯერ ჭიბონზე დამკერელიც ასრულებს. სადღეისოდ „ხორუმი“ სრულდება დროის ან ჭიბონის თანხლებით, თუმცა, ხალხურ ვარიანტში — ძველად იგი სიმღერის თანხლებითაც სრულდებოდა. ხორუმს გამორჩეული მუსიკალურ-რითმული თვლა 5/4 ან 5/8 აქვს, რაც ქორეოგრაფიული ფოკლორის ისტორიაში საკმაოდ იშვიათი მოვლენაა.

აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: ტრადიციულად ჩვენში ხორუმის ხელმძღვანელის, მისი თავკაცის საქმიანობის შინაარსის გამოსახატავად გამოიყენებოდა ცნება „ხორუმამში“. დამატება „ბაში“, ცხადია, მას არაქართულ ელფერს აძლევს. სამწუხაროდ სხვა სიტყვა ქართულმა ყოფამ არ შემოინახა.

1969 წელს თურქეთში ანსამბლ „გორდას“ გასტროლების დროს მისმა ხელმძღვანელმა, სახელგანთქმულმა ქორეოგრაფმა ბესიკ სვანიძემ იქაური ქართველებისაგან შეიტყო, რომ „ხორუმის“ მოთავეს, მის წარმმართველს „თავმოსამეს“ ე.წ. „მთავარ მოცეკვავეს“, „მოცეკვავეთა თავს“ მის ხელმძღვანელს უწოდებენ. აღნიშნული ტერმინი ბატონმა ბესიკმა გააცნო ცნობილ ავტორიტეტებს ავთანდილ თათარაძეს და ალექსანდრე ჯიჯიშვილს. აი, სწორედ ამის მერე, ანუ 70-იანი წლებიდან დამკვიდრდა ეს ტერმინი ქართველ ქორეოგრაფთა ლექსიკაში. სამწუხაროდ დღემდე საქმის რეალურ ვითარებაზე არსად დანერგა და ამიტომ ვცანით აღნიშნულის თქმა საჭიროდ. მეორეს მხრივ ეს ფაქტი კარგად მიუთითებს თუ როგორი ყურადღების გამომჩენა მართებს ყველა ქორეოგრაფს სიძველეთა ძიების საქმეში.

„ხორუმი“ ბოლოვდება ე.წ. „გადახვეული ხორუმით“, თუმცაღა არსებობს სხვა ვარიანტიც, კერძოდ, ცეკვა შეიძლება დასრულდეს ბრძოლის ველიდან დაჭრილების გაყვანით: ნახევრად მწოლიარე დაჭრილ მემომარს, ზოგჯერ ეს სწორედ თავმოსამეა, განსაკუთრებით მთის ხორუმის ვარიანტებში, თანამებრძოლები მხარში შეუდგებიან და ბრძოლის ველიდან გააყავთ. ავთ. თათარაძე თვლის, რომ ამგვარმა გადაწყვეტილებ-

ბამ საცეკვაო ხელოვნების ისეთ შემდგომ, როგორც „ხორუმი“ გარკვეულწილად თავისი ნამდვილი სახე დაუქარგა, რადგან დაჭრილების გამოყვანა გაიგივდა უკანდახვევასა და ბრძოლის შეწყვეტასთან, რითაც გაქრა გამარჯვებამდე ბრძოლის ის პათოსი, რომელიც „ხორუმის“, როგორც საცეკვაო პანტომიმის არსს შეადგენს.

სპეციალისტთა დაკვირვებით „აქართული ხორუმი“ უფრო წყნარად, ფრთხილად და მოზომილად სრულდება. აქ მოძრაობები შედარებით უფრო რბილი და პლასტიკურია. მაშინ, როდესაც ბარში, განსაკუთრებით გურიაში შესრულების მანერა სხარტი, მაკაცრი და დაძაბულია. თავმოსამე და ჩამკეტი გაცილებით მეტი სიმკვირცხლითა და შეტყვის ფირით გამოირჩევა.

ჭრისის რეგიონიდან „ხორუმის“ გავრცელების არეალი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გაფართოვდა და მას სხვა კუთხის მცხოვრებლებიც გაეცნენ. ამის დასტურია ლ. გვარამაძის მიერ გამოყენებული გაზეი „დროების“ ერთი ინფორმაცია, რომელიც გასული საუკუნის ვითარებას ასახავს. კერძოდ, ქუთაისის დრამატული წრის მიერ მოწყობილი კონცერტის აღწერისას „დროების“ (1882 წ.) კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „დასასრულ გურულაბმა იცეკვეს შესანიშნავი „ხორუმი“. სავარაუდოა, რომ ტომონიმა „ხონმა“ აქ გარკვეული როლი ითამაშა და „ხორუმი“ გაუცნობიერებელი კორესპონდენტის ინფორმაციაში „ხორურით“ შეიცვალა.

„ხორუმის“ თავისებური ვარიანტს ავღიწერს ძუკუ ლოლუაჯ. მისი აზრით, „ხორუმი“ ანუ მხარული შემდეგნაირად გამოიყურება: „სოფლად მოხუცნი და ახალგაზრდანი ხელიხელ ჩაიკიდებულნი, რკალივით წრე შეკრულნი, ფეხზე შეწყობილნი და ტანთა შეთანხმებულნი — ხელის პატარა ტოტების ჯაჭვით მიემიან ერთი მეორეს და ნელა იმღერიან; სანამ ჩქარ სიმღერაზე გადავიდოდნენ, რომელიც დიდ მოძრაობის იწვევს და ხტომასაც, მაგრამ სიმღერის დაჩქარებით და მოძრაობის აჩქარებისას ქალები თანდათან გამოდიან წრიდან. სანახაობა ამის შემდეგ უფრო საინტერესოა. წრე ისევ რჩება, — გატაცებული მოთამაშენი გვერდით ეკვირიან ერთიმეორეს მალა-მალა — ამ დროს არავის შეუძლია მათ წრეში შესვლა; უცბად ერთბაშად უშვებენ ხელს ერთიმეორეს — ამის შემდეგ შეიცვლიან მკლავებს და მხრებზე გადაწყობენ ერთიმეორეს, ასე განავარძობენ შემოვლას, რომელიც გაცილებით ორჯერ უფრო ფართო წრეს ქმნის. ჩქარი თუ წყნარი ნაბიჯებით უწლიან წრეს და ამასვე უთანხმებენ სიმღერას“.

სამწუხაროდ, მოტიანილი აღწერიდან ძნელია იმ აზრის გამოტანა თუ რა ტიპის მოძრაობებთან გვაქვს საქმე და რამდენად შესაძლებელია ამგვარი „ხორულის“ ანუ „მხარულის“ იდენტიფიკაცია იმ სამხედრო შინაარსის მქონე ცეკვასთან, რომელსაც ჩვენ „ხორუმის“ სახით ვიცნობთ.

ცეკვა „ხორუმის“ ერთ-ერთი ვარიანტი უნდა იყოს „ლაზური“. შესრულების მანერით იგი ძალიან სწრაფია, რითაც დიდ ნათესაობას ამჟღავნებს გურულ „ხორუმთან“. მთელი ცეკვის მანძილზე „ლაზურში“ წრე ბოლომდე შეერულია და იხსნება მხოლოდ სცენაზე შემოსვლისა და გასვლის დროს. ამ მხრივ იგი ახლოსაა აგრეთვე ძუკუ ლოლუას მიერ აღწერილ „ხორულთან“. წრეული მოძრაობა, როგორც აღინიშნა, ძალიან სწრაფია, მოცეკვავენი დიდი მონდომებით ერთიან რიტმში აბაკუნებენ ფეხებს, ხოლო მეთაურის მოკლე შეძახილზე მთელი ტანით გადაახრებიან უკან.


ცეკვა „ლაზურის“ შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვანდის ცნობილი მხატვრის ელანსერეს ჩანახატები, თუმცა აქედან რაიმე კონკრეტული დასკვნის გაკეთება ძნელია, რადგან ნახატებზე აშკარად ჩანს „ხორუმის“ ჩახვეული მოძრაობები ნიხლურა ილეთების გამოყენებით, კარგად იკითხება აგრეთვე

მიპარვით და ქობულეთურად წოდებული ილეთებიც.

შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობისას ნიკო მარს დაუფიქსირებია „ხორუმის“ კიდევ ერთი სახეობა ე.წ. „დელიხორუმი“. მისი აზრით, ეს იმერხველთა ფერხულია ბუქნით. ცეკვა წრედ შეერული ფერხულის სახეს ატარებს, თუმცა იგი ბოლომდე არ იკვრება, ერთ ადგილას გახსნილია.

თვით სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს შესრულების მანერიდან — ნელი — ჩქარი — გიჟური ხორუმი. ასეთია სპეციალისტთა საერთო აზრი.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული ვფიქრობთ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ცეკვა „ხორუმი“ ქართველი ხალხის ისტორიის, მისი წარსულისა და თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო გამომხატველ პლასტიკურ-პანტომიმურ სანახაობად მივიჩნიოთ. აქ კიდევ ერთხელ უნდა დავესხსნოთ გ. დოჩანაშვილს — „ხორუმი“ ქართული ცეკვაა“. ვფიქრობთ ამით ყველაფერია ნათქვამი.





კათა

გულაშვილი

ფინჯითა ჯალბაქითი

მხატვრის ჯადოსნურ ფუნჯს არაერთი მარგალიტი შეუქმნია. ფერთამეტყველების ძალას სასწაულები მოუხდენია. მათ ენაზე ამეტყველებულა ბიბლიური სიუჟეტები. მოხატულა განუმეორებელი ყინწვისის ანგელოზი, ბეთანიის კედელს თამარის სახე შემოუნახავს სამარადჟამოდ, ვარძიის ფრესკები აელვარებულა.

მხატვრის ხორცშესხმის იდეის ძირითადი საშუალება ოდითგან ფერი იყო. სწორედ აქედან დაიბადა სიტყვა ფერწერა. ფერის ოსტატია სწორედ მხატვარი. მისი სათქმელი ფერში ხშიანდება. მას ემსახურება შემოქმედის მთრთოლვარე თითები. ცნობილმა ქართველმა მხატვარმა ლია ბარნაიშვილმა ხე-

ლოვნების სამყაროში სრულიად ახალი მიმდევრობა შექმნა. „ფრთაბუმბულით წერა“ — ასე შეიძლება ვუწოდოთ ამ შესანიშნავ შედეგებს. ფრინველთა სამოსი გამზდარა ზღაპრული სამყაროს სულის ჩამდგმელი. არც აკვარელი, არც ზეთი, არც გუაში, მხოლოდ ჰაეროვანი ბუმბული ქმნის ულამაზეს პეიზაჟებს, პორტრეტებს, ტაძრებს, წმინდანთა სახეებს.

ახლა უკვე ოცდამეერთე საუკუნე სუნთქავს სამყაროს ბორბალზე და თითქოს ძნელი გახდა შენი ორიგინალურობით ვინმე გააკვირვო, სხვა მადლით დაატყვევო, განაცდევინო ალფრთოვანება, სულის საოხად ფრთები მისცე. ეს ყოველივე შეუძლია ბარნაიშვილის შემოქმედებას, მის თითოეულ ქმნილებაში ზეციური მადლი მზიანობს. ეს არცაა გასაკვირი. მისი დიდი წინაპრები ხომ სასულიერო მოღვაწენი იყვნენ. ქართლიდან კახეთს მიაშურეს და ბოდბეს წმინდა ნინოს ეკლესიის კედლებს თავიანთი სული მიაშუქეს, მოხატეს დიდი მომეტყველის სამარადჟამო სავანე.

როგორ შეიძლება ქართველი კაცის გენში ნიჭი, მადლი დასრულდეს?! თაობებში უნდა ახშიანდეს, გაგრძელდეს.



ასეც მოხდა. დებს, ღია და ნათელა ბარნაბიშვილებს მხოლოდ ხატვის ნიჭი არ ამშვენებს, ისინი შესანიშნავად მღერიან და უკრავენ. ამიტომაცაა, ალბათ, რომ ქალბატონი ღია მუდამ მუსიკის ფონზე მუშაობს. საპატრიარქოს რადიო მისი ერთგული მეგობარია.

ნიკოლაძის სასწავლებელში „მაესტროს“ ეძახდნენ. მუდმივ ძიებაში იყო პატარა, ნიჭიერი გოგო. არასოდეს ყოფილა თავისი თავის კმაყოფილი. სამხატვრო აკადემიაში სწავლამ ბევრი რამ შესძინა. მუშაობდა ზეთში, აკვარელში, კერამიკაში, დაეუფლა მხატვრული ქსოვილების ხელოვნებას. ჰქონდა დიდი წარმატებებიც, მაგრამ უფლის ნებამ შეაბიჯებინა ხელოვნების მეტად უჩვეულო, ორიგინალურ სამყაროში.

თბილისში დატრიალებულმა ძმათამკვლელმა ომმა ბევრი ღამე თეთრად გაატარებინა. ფუნჯსაც ვეღარ ეკარებოდა, თითქოს ფერთა დასასრული დამდგარიყო მის სულში. რაღაც ახალი უნდა შეექმნა, აქამდე არსად ნანახი, განცდილი. ცრემლიანი თვალებით დააბიჯებდა ოთახში, ცივ ღამეს კი



სროლის ხმა აფორიაქებდა. ახლაც ვერ მიმხვდარა, რატომ გაახსენდა ის ღამაში ბუმბულები, რომლებსაც ვაჟიშვილის ნანადირევი ფრინველებისგან აგროვებდა. ამოალაგა, თითოეულს მოეფერა. თითქოს შვება იგრძნო.





ერთმანეთს უნაზესი გრძნობით შერწყმიან ხობხის, მწყრის, თუთიყუშის, გედის, ფარშევანგის, გნოლის, ღურაჯისა და სხვა ფრინველთა ბუმბულები. მშვენიერი ქალბატონის თითებისა და გონის წყალობით ისინი შედევერებად ქცეულან. ასეთი მდიდარი და იდუმალი მადლით მოსილი სახლი ძნელად მეგულება ქალაქში. ერთი ჩვეულებრივი ოთახი საგამოფნო დარბაზად ქცეულა. ყველა კედელი მნახველის წინაშე ინონებს თავს. შესვლისთანავე ყურადღებას დიდი თვალი მიიპყრობს, გიმზერს და თავის წიაღში გიზიდავს. საოცარი ენერგიით გმუხტავს. ეს თვალი ალბათ უფლის თვალს მოგავგონებთ, რომელიც გაგიძღვებათ ამ ზღაპრულ სამყაროში სამოგზაუროდ.


წმინდა წინოს ვაზის ჯვარიც კიდევ ერთხელ შემოიტანს თქვენში ქრისტესმიერ მადლს. ბუმბულთა იდუ-



მერე მუყაოზე დაალაგა და ხელოვანის თითებმაც დაინყო მუშაობა. პეიზაჟი სულისმიერი აღმოჩნდა, სევდიანი, ცრემლის სურნელით. გათენებამაც მოაღწია, სხვა დილა იშვა მის ცხოვრებაში. შემოქმედისთვის ფანტაზიის სულ სხვა კარი გაიღო — „ბუმბულთწერა“.

ვუყურებთ გამოფენას და დაუჯერებლობის განცდა გვიპყრობს. ნუთუ არსად არაა გამოყენებული ფუნჯი, ან რომელიმე ბუმბული არაა შეღებილი, მას როგორ შეიქმნა ასეთი ფერთა ზეიმი. სამყაროს თავისი ფერები ჰქონდა, მას არ სჭირდება ხელოვნური დამუშავება, ის მზას გჩუქნის, „მარგალიტად ნყობა“ კი მხატვარზეა დამოკიდებული.

ქალბატონ ლიას შემოქმედებაში



მალეზას ქართველთა მომაქცევარი თითქოს გხვევთ „რძისფერ ნისლში“. დავით აღმაშენებელი ერთხელ კიდევ დაგიბრუნებთ სიამაყეს, თამარის ფრესკა კი ოქროს ხანის საქართველოს მოგანატრებთ. ამ დიდი მეფის ღვთიური სახე ქალბატონმა ლიამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაასურათხატა. მისი შემოქმედების ყველაზე დიდი შემფასებელიც პატრიარქია. ახალი სამების საგამოფენო დარბაზში გამართულ ღია ბარნაბიშვილის შემოქმედებით საღამოზე ამ დიდ ქართველთან გადაღებული ფოტო მხატვარს ძალიან უამაყება. „საკვირველია... დიდებულია... ანალოგი არა აქვს...“ —

ეს სიტყვები კათოლიკოს-პატრიარქს ეკუთვნის.

ქალბატონი ღია სვანეთში არასოდეს ყოფილა, მაგრამ მის მიერ შექმნილი სვანური გარემო ისეთი დამაჯერებლობითაა ნაფერები, რომ ვერ წარმოიდგენთ, თუ როგორ „ააგო“ სვანური კომკები, ღრუბლებისთვის გოლიათ მთებს თავი მიუნვდენიათ, ხეებს კი შემოდგომის თალხი შეჰპარვიათ.

თითოეული ნამუშევრიდან ავტორის სული იმზირება, მისი განცდა მოწონავს და ჩვენც ტკივილისა თუ სიხარულის თანაზიარს გვზღის.

ქალბატონი ღია სამი ვაჟიშვილის დედაა. სამწუხაროდ, პატარა შვილი, თემუკა ნაადრევად მოსწყდა დედის

ალერსიან კალთას. კიდევ ერთი ნიჭი-
ერი არქიტექტორი გამოაკლდა თბი-
ლისს. „რა დიდი მხატვარი დაიღუპა“.
— ჩაილაპარაკა ერთმა ცნობილმა
პიროვნებამ ლიას შესახებ. არავის ეგო-
ნა, რომ კვლავ შეძლებდა შვილმკვდარი
დედა ხელოვნების სამსახურში ყოფ-
ნას. მაგრამ ასე არ მოხდა, პირიქით, იგი
დაეხმარა ტკივილის დაძლევაში, ცრემ-
ლიანი ღამეების გადატანაში.

უყურებ ბუმბულებით შექმნილ
თევზების აკვარიუმს და ვერც დაი-
ჯერებ, რომ იქ ნამდვილი ნყლის სამყა-
რო არ სუნთქავს, თევზები კი თითქოს
ავტორის ფიქრებიაო, მიმოფანტულან,
წყლის დინების მარადიულობაში ჩა-
ძირულან.

ეს „მოცეკვავე გოგონა“ მისი მეგო-
ბრის შვილია, ერთ დროს ლასკალას დიდ
სცენას იპყრობდა. ქალბატონ ლიას კი
ისეთი მაღლით აუმეტყველებია მშვე-
ნიერების ყოველი ხაზი, რომ ცოტაც და
კედლიდან ჩამოსრილდება ზღაპრული
ფერია.

აგერ „ბედურები“, ისეთი სიცოცხ-
ლით არიან საესენი, რომ თითქოს მათი
უღურტული ჩაგესმის, პატარა ფრთე-

ბის შრიალიც.

მხატვარი პეიზაჟებისთვის წინას-
წარმონახაზებს არ აკეთებს. ბუმბულე-
ბი კარნახობენ თემას, იდეას, ფიქრს.
უტყვი დიალოგია მათ შორის, ესმით
ერთმანეთის.

შთაბეჭდილების წიგნი აღვსილია
საინტერესო ჩანაწერებით:


„თქვენმა ზეციური მაღლით
მონიჭებულმა ხელოვნებამ მომწუსხა,
გამაოგნა, აღმაფრთოვანა, სიცოცხ-
ლის ფასი მაგრძნობინა, სამყარო სხვა
თვლით დამანახა, დიდ მაღლობას
გიხდით, რომ მაზიარეთ ამ საოცრებას,
მე თქვენ ფრინველთა ქალღმერთს გი-
წოდებდით“. — კომპოზიტორი მარიკა
კვალიაშვილი.

„ეს სამყარო, რომელიც მე ვიხ-
ილე, თქვენი სულის უზადო ხედვაა და
ასევე შემოვიდა ჩემშიც. ეს ფერები,
თქვენი და არა მარტო თქვენი, ჩემი
სულის ფერებიცაა“. — მსახიობი ზაზა
ბანელაშვილი.

ეს სამი სიტყვა კი თითქმის ყველა-
ფრის დამტევია: — „იცოცხლე, ხალხ-
ისთვის საჭიროვ“.

როგორი სევდის ფერებითაც





დატვირთული არ უნდა შეხვიდეთ ლია ბარნაბიშვილის სახლში, ყველაფერი გეხსნებათ. თბილი ღიმილი, სასიამოვნო საუბარი, ხელოვნების ზღაპრული სამყარო ისეთ მსუბუქს და ჰაეროვანს გაგხდით, რომ აუცილებლად წამოგცდებათ დიდი გალაკტიონის სიტყვები: „ფრთები, ფრთები გინდა კიდევ...“

საბედნიეროდ, ქალბატონ ლიას შვილებშიც შემოქმედის ნიჭი ხარობს. ერთი შვილი, ვაჟა გელაშვილი დიზაინ-

ერია, მისი ქალიშვილი, მარიამი— მოდელიორი. გარდაცვლილი თემუკას სალომე კარგად ხატავს, ასევე მეორე შვილიშვილი რუსუდანიც.

ქალბატონ ლიას შემოქმედება ერისთვის განძია. მან ხომ იშვიათი ტექნიკა დანერგა ხელოვნებაში. სამწუხაროა, რომ ამ დიდ ხელოვანს სამუშაო ოთახიც კი არ გააჩნია, თავისი კუთხე, სადაც შეძლებდა თავისუფლად მუშაობას.

ასეთი ნიჭიერება ღვთისგანაა ბოძებული ერის საკეთილდღეოდ, მას კი მოვლა და მოფერება სჭირდება.



მარცხნიდან: კონსტანტინე გამსახურდია, ხ. ვარდო შვილი, ს. თეაძე, ბორჯომი - 1927 წ.



მარცხნიდან: ბოჭორიშვილი, ტერენტი გრანელი, ვადაკტიონ ტაბიძე, ხარიტონ ვარდოშვილი. 1922 წ.

ფოტოები მოგვანოდა მადონა ჩამგელიანმა

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვეწიოსთ!

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
 სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
 „ელვასერვისი“, იოსებძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“ – ტელ: 93-64-72,
 99-01-37 და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
 3 თვით 9ლ; 6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
 რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერი:

გიორგი ქადაგიშვილი

ოპერატორი:

თამარ ტყაბლაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
 ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



ლია ბარსაბიშვილი





საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ISSN 1512-3189

თარიღი 3 იანვარი